36 გვ

# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 11 (361) ◆ 18 – 24 მარტი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## რატომ ექცევა აშშ ასე დაუნდობლად რუსეთს?!



— ამერიკელები არსად არავის არავითარ შანსს არ დაუტოვებენ, რომ ვინმემ ოდესმე აშშ-ს რაღაც საფრთხე შეუქმნას, მით უმეტეს რუსეთს, რომელიც ამერიკისთვის კვლავ რჩება არასანდო ქვეყნად! ქართულ ისტებლიშმენტში კვლავ გაიძახიან, რომ რუსეთი გავაბრაზეთ და ამიტომ გვსჯისო, რაც, რბილად რომ ვთქვა, ბავშვური აზროვნებაა, რომელიც უფრო ქვის ხანას შეეფერება, ვიდრე თანამედროვე რეალობას.

გვ.3

— მაშფოთებს არა რუსეთის შესაძლო აგრესია, არამედ ისეთი საფრთხეები, რომლებიც დღეს ქართველებს ვერ წარმოგვიდგენია. ანუ, ისეთი, როგორიც აშშ-ს დაატყდა თავს 11 სექტემბერს.

## „უფრო სწორი იქნება, თუ მათ ბავშვების „ბარიგებს" ვუწოდებთ"



„ყოველწლიურად უცხოეთში გაყიდული ქართველი ბავშვების რიცხვი სამნიშნა ციფრით აღინიშნება და კარგა ხანია, 400-ს გადააჭარბა"

— როცა ბავშვს საზღვარგარეთ ვაშვილებთ, ვუცვლით სახელსაც, გვარსაც, ეროვნებასაც, მოქალაქეობასაც, სარწმუნოებასაც, ანუ ვქმნით სრულიად ახალ ადამიანს, გაყალბებული საბუთებით. ხომ არ ჩავდივართ მიუტევებელ ცოდვას და ზედმეტად ხომ არ ვიჭრებით უზენაესის კომპეტენციაში?!

— იცი, რამდენი ჯდება აქ დაბადებული ბავშვის საზღვარგარეთ გაშვილება? არასრულწლოვანთა კომისიას უნდა, სასამართლოს უნდა, სამინისტროს უნდა, მერე შენ რა მოგცე ან მე რა უნდა დამრჩეს?!

გვ.6

## გენერალი ყურაშვილი საქართველოდან მიდის...



**„მე მგონი, პრეზიდენტმა დღესაც არ იცის – რა მოხდა გალში..."**

ვიზას ველოდები და მივდივარ. აქ რომ დავრჩე, რამეს მომიწყობენ – ან ავარიას, ან მანქანაში ჩამცხრილავენ. ადამიანის მოკვლას რა უნდა – იარაღი არა აქვთ თუ რა!

გვ.5

აქათ კანონპროექტში არის ყველაფერი, რაც იყო 37-ში – „ანონიმკები", „ტროიკები"... ნამდვილი განკულაკება იქნება.

იგივე სახელები და გვარები აქვთ და თან გაიძახიან, ისინი აღარ ვართო. აბა, ვინ არიან? ტყუილად კი არ ვუწოდე „მხედრიონს" დანაშაულებრივი ორგანიზაცია.

*მიხეილ სააკაშვილი*

პანკისი, პანკისიო, რომ გაჰყვირიან... რა პანკისი, რის პანკისი, რეებს ბოდავენ... მარტო დამავალონ და დედას ვუტირებ... უცებ შევაგროვებ „მხედრიონს" და ერთ დღეში გავყრი ყველას იქიდან... სააკაშვილს თურმე მეც დავხმარებივარ, მერე გამახსენეს. ჯერ საშა ჩიკვაიძეს დავურეკე, მაშინ მინისტრი იყო და ვუთხარი, ახალგაზრდა კაცია, ნიჭიერი, სამსახურში მიიღე-მეთქი, მაგრამ არ მიიღო... თურმე „ბოტასებით" მისულა, როგორ მიიღებდა?

გვ.7

*ჯაბა იოსელიანი*

## ლოტკინელმა ბოშათა ბარონმა საკუთარი ვაჟი მოკლა

ვასილ მარტინოვი ამ ფაქტში თავის საყვარელს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ცულის ტარი მან კი არა, ილონა მარენმა ჩაარტყა ბონდარენკოს, თუმცა არ უარყოფს, რომ შემდეგ მან კისრის არეში პისტოლეტი ესროლა მოსამსახურეს.

შესაძლოა, მოკლულის პიროვნების დადგენა ვერც მომხდარიყო, ვასილ მარტინოვს ამ მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ საკუთარი შვილი – 21 წლის მიშა მარტინოვი რომ არ მოეკლა.

გვ.5,13

## პოლიციის (და არა მხოლოდ) საყურადღებოდ!

**ფრთხილად! ქალაქში ავტომობილების ძარცვის ახალი ხერხი „ინერგება"...**



როგორც ტაქსის მძღოლებმა მითხრეს, ძარცვის ეს „ქმედითი" მეთოდი, ორიოდე კვირაა, რაც პრაქტიკაში დაინერგა.

თუ ვინმემ თქვენი ავტომობილის საბურავს დანა დაარტყა, ან მანქანის კორპუსი დაუნდობლად დაკაწრა, ნუ გამოედევნებით, არ მიატოვოთ ავტომობილი, თორემ, გვერწმუნეთ, მხოლოდ დასერილ საბურავს არ დაგჯერდებიან..

გვ.13

## ტიან-შანი – ცისფერი მთები

### ამ სამი კაცის დაღუპვით თითქოს მთელი თაობა გაქრა...



გვ.29

1961 წლის 29 აგვისტო... მეხივით გავარდა ხმა უნივერსიტეტში, კიროვის პარკში, რუსთაველზე შემოიჭრა და ჩააქრო ღიმილი. ელდა ჩადგა თვალებში – კუხო დაიღუპაო, ჯუმბერი დაიღუპაო... ჩვენი ბიჭები ტიან-შანზე დაღუპულანო.

## ჯეკ-პოტი! 300-ლარი

გვ.35

**ჩანართი**

სასამართლო ...

DURA LEX SED LEX

**გვერდი 17-20**

**სამხედრო თემაზე:**

## „ციებ-ცხელება" ქართულ ჯარში

ჯარისკაცის ულუფიდან მხოლოდ პურსა და მარილს არ იპარავენ

გვ.8,9

**ვერსია**

გვ.10

## ვაზნებით გაძეძგილი პარაბელუმი ედო თავთან...

ის იყო, აშოტმა სიგარეტი მიაწოდა შემხვედრს და ახლა ასანთიც უნდა გაეკრა, რომ ერთბაშად უცნობის მარჯვენას გადავაცვი მარყუჟი. ძაბნილმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ აშოტმა ისეთი თავური აჯახა, გულახდილად ვუთხარი, სპორტსმენი შენი ინსპექტორი კი არა, შენ ყოფილხარ-მეთქი.

## გაიძვერა პოლკოვნიკი მახეში გაება...

ეს ახლა მომრავლდა ჩვენში გენერლები და პოლკოვნიკები, თორემ იმ დროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სულ სამ-ოთხი გენერალი და ოციოცდახუთი პოლკოვნიკი ირიცხებოდა. მგონი ისტორიაში პირველად მოხდა, რომ არასაომარ პირობებში, მშვიდობიან დროს, სერჟანტებმა პოლკოვნიკს „პაგონები" აჰყარეს და...

გვ.10,13

რამდენი ხანია გულიანად აღარ გაგვიცინია!



ფილთაქვა

სატირულ-იუმორისტული ჟურნალი

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## „ეს ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის...“

გასულ კვირას, კერძოდ, 11 მარტს შესრულდა 6 თვე 11 სექტემბრის უსაშინლესი ტერაქტებიდან. ეს თარიღი თეთრი სახლის ეზოში, ე.წ. სამხრეთ მდელოზე გრანდიოზული ცერემონიალით აღნიშნეს, რომელსაც პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციასა და კონგრესის წევრებთან ერთად 11 სექტემბერს დაღუპულთა ოჯახის წევრები და აშშ-ში აკრედიტებული 150 ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა დაესწრნენ. ცერემონიალის დასასრულს ვრცელი და ჩვენთვის, ქართველებისთვის მნიშვნელოვანი სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელმაც მსოფლიოს აუწყა ანტიტერორისტული კამპანიის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ. ბუშმა, კერძოდ, ბრძანა: „ჩვენ ყველა ქვეყნის მთავრობისგან გვჭირდება მხარდაჭერა ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ამ საერთაშორისო ბრძოლაში. ფილიპინებზე სამხედრო ძალები გადავისროლეთ, რომლებსაც ქვეყნის სამხრეთ ტერიტორიების გაკონტროლება ევალებათ. იქ 500 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა შეყვანილი, რადგანაც „ალ ქაიდას“ წევრები ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროებდნენ და გაიტაცეს ამერიკის მოქალაქეებიც. რაც შეეხება საქართველოს, გვაქვს ინფორმაცია, რომ „ალ ქაიდასთან“ დაახლოებული ტერორისტები იმყოფებიან პანკისის ხეობაში და ჩვენ უნდა გავაკონტროლოთ ეს ტერიტორიაც, საზღვარი რუსეთთან! პრეზიდენტ შევარდნაძის თხოვნით, საქართველოში შეყვანილია 150 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, თუმცა ისინი ქართველი ჯარისკაცების მოსამზადებლად გავგზავნეთ. ეს ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის... ასევე ტერორისტებთან ბრძოლაში დახმარების ხელს ვუწვდით იემენის მთავრობას!“ რაც შეეხება პრეზიდენტ შევარდნაძეს, ის უკვე ერთობლივი ქართულ-ამერიკული ოპერაციის განხორციელებასაც არ გამორიცხავს...

## რუსები „ზომებს“ ღებულობენ!

პენტაგონმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 1 მილიონ 500 ათასი დოლარის ღირებულების სამხედრო-საინჟინრო აღჭურვილობა და ნაღმების მპოვნელი ტექნიკური აპარატურა გადასცა. იმავდროულად, უშიშროების სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად რუსებისგან შეიარაღებას იღებენ აფხაზებიც, კერძოდ, გულრიფშის რაიონში რუსებმა რამდენიმე ათეული მძიმე ტექნიკა შეიყვანეს. სოხუმის რეჟიმი იმუქრება, რომ ამ საბრძოლო ტექნიკის გამოყენებას აფხაზები იმ შემთხვევაში დაიწყებენ, თუკი ამერიკელების მიერ მომზადებული ქართული ჯარი ანტიტერორისტული ოპერაციის გადატანას აფხაზეთის ტერიტორიაზე შეეცდება! ამასთან, ცნობილი გახდა, რომ სამაჩაბლოში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალები ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებით სამი საგუშაგოს გახსნას გეგმავენ. ამის მიზეზი პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციის შესაძლო დაწყებაა და, როგორც ჩანს, რუსები აფხაზეთის მსგავსად, სამაჩაბლოშიც ღებულობენ „ზომებს“.

## აფხაზებმა მუშტი გაეროსაც მოუღერეს

ცნობილი ხდება ახალ-ახალი ფაქტები იმის შესახებ, რომ სეპარატისტებმა არა მხოლოდ თურქებს მიჰყიდეს ტყვარჩელის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვანახშირის საბადო, სოხუმის რეჟიმთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ რუსი ბიზნესმენებიც დასასვენებელი და სხვა სახის ობიექტების შესაძენად. 1997 წლიდან 2002 წლამდე აფხაზეთში 1000-ზე მეტი ობიექტი გაასხვისეს, ქართველთა სახლები საჩუქრად მიართვეს რუს გენერლებს, აფხაზეთის ომის „გმირებს“, დანარჩენ სახლებს კი ყიდიან მიწის ნაკვეთებითურთ და ა.შ.

მოსკოვში კი სეპარატისტული რეჟიმის ე. წ. წარმომადგენლობა არნახულად გააქტიურდა. ისინი საქართველოში ამერიკელთა შემოსვლის ფაქტს რუსეთის ყველა ინსტანციაში აპროტესტებენ, „შველას“ ითხოვენ მოსკოველი პატრონებისგან. ამ ე.წ. წარმომადგენლობის შეფმა იგორ ახბამ საგანგებო პრესკონფერენციაც გამართა მოსკოვში და ისტერიულად მოუწოდა კრემლს და დუმას რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ასოცირებულ წევრად მიღების შესახებ. დაიმუქრა, ამერიკელთა წინააღმდეგ ომში მთელი ჩრდილოეთ კავკასია ჩაებმება და რუსეთის უსაფრთხოებას სამხრეთის საზღვარზე საშიშროება ელისო(!). ახბამ მუშტი გაეროსაც მოუღერა და განაცხადა, სოხუმის მთავრობა არ შეასრულებს გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუციას, ვინაიდან ეს დოკუმენტი არაფერს გვავალდებულებსო და ეს აბდაუბდა, რომელსაც რუსეთის მასმედიის წარმომადგენლები ისმენდნენ, დაასრულა უსირცხვილო ტყუილით — აფხაზეთი ისტორიულად არასოდეს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაშიო...

## აბაშიძე მობრძანდეს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტი ორი დღის მანძილზე დახურულ პლენარულ სხდომაზე განიხილავდა აფხაზეთის საკითხს, რომელსაც „ახალი მემარჯვენეებიც“ დაესწრნენ და რომლებიც რამდენიმე თვეა ბოიკოტს უცხადებენ პარლამენტის სხდომებს ბურჯანაძე-ბიწაძის წყვილთან დაპირისპირების გამო („ახლები“ თანამდებობიდან ერთ-ერთის გადადგომას ითხოვენ), მაგრამ სხდომაზე არ განუხილავთ აფხაზეთის სტატუსის საკითხი და ამით აღშფოთებულმა თამაზ ნადარეიშვილმა პროტესტის ნიშნად მიატოვა სხდომა. არადა პარლამენტი დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდა ამ სხდომისთვის, სადაც სამ საკითხზე უნდა ემსჯელათ და შესაბამისი დადგენილებაც მიეღოთ. აფხაზეთის სტატუსის გარდა უნდა განეხილათ და მიეღოთ ქართველთა გენოციდის და აფხაზეთის ქონების უკანონოდ გასხვისების შესახებ დადგენილებები, მაგრამ საბოლოოდ პარლამენტმა აფხაზეთში შექმნილი ვითარების განხილვაზე გადაიტანა აქცენტი. ნინო ბურჯანაძისა და ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, ეს საკითხები იმიტომ არ იქნა განხილული, რათა ამით ხელი არ შეშლოდა სამშვიდობო პროცესს, თუმცა თუ აფხაზი სეპარატისტები კვლავაც გაჯიუტდებიან და ხელაღებით უარყოფენ გაეროსა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინადადებებს, ეს საკითხები კვლავ დადგება დღის წესრიგში!

დახურულ სხდომაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბორის კაკუბავა და ნოდარ გრიგალაშვილი, რომლებიც ალბათ თავ-პირსაც დაუმტვრევდნენ ერთმანეთს, რომ არ გაეშველებინათ. გრიგალაშვილი კაკუბავას რუსეთის აგენტს უწოდებდა, კაკუბავა კი გრიგალაშვილს კომკავშირელს და კომუნისტს... ჩხუბი კი მას შემდეგ ატყდა, როცა კაკუბავამ მოუწოდა პარლამენტს გადაწყვეტილება ასლან აბაშიძისთვის შეეთანხმებინა, გრიგალაშვილმა კი ბრძანა, თავად აბაშიძე უნდა მობრძანდეს პარლამენტში და მოგვაწოდოს ინფორმაციაო!

ორდღიანი დახურული სხდომა იმით დასრულდა, რომ პარლამენტმა ვერც დადგენილება და ვერც განცხადება ვერ მიიღო(!).

## „ინტრიგანული პოლიტიკის“ შედეგი

„საოცარი ამბები“ ხდება ერთ დროს მონოლითურ „მოქალაქეთა კავშირში“. ზურაბ ჟვანიას გუნდის გადაწყვეტილებამ და განცხადებამ, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ ოპოზიციური ძალაა, მკვეთრად ნეგატიური შეფასება დაიმსახურა ოდესღაც ამ პარტიის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძისაგან. ჟვანიას გუნდს დაუპირისპირდნენ ლევან მამალაძე, ფრაქციები „ალიანსი“ და „თანადგომა“. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს „მოქალაქეთა კავშირიდან“ გარიცხვით ემუქრებიან. ზურაბ ჟვანიამ ამ ამბებს ინტრიგანული პოლიტიკის შედეგი უწოდა.

„ალიანსისა“ და „თანადგომის“ ლიდერების თქმით, ჟვანიას გუნდი უმცირესობაშია, მას „მოქალაქეთა კავშირის“ რაიონული ორგანიზაციები მხარს თითქმის არ უჭერენ და რომ პარტიის პოლიტიკური მიმართულების შეცვლის უფლება მხოლოდ ყრილობას აქვს! თავის მხრივ, შევარდნაძეც იმუქრება, რომ თუკი „მოქალაქეთა კავშირის“ ყრილობა ამ პარტიის ოპოზიციურობის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, დატოვებს „მოქკავშირს“...

უფროსებს არც უმცროსები ჩამორჩნენ და „მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის“ შეკრებაზე ერთმანეთს შეებნენ ჟვანიასა და მამალაძის ნორჩი კოლეგები სწორედ იმის გამო, გამოეცხადებინათ „მოქალაქეთა კავშირი“ ოპოზიციურ პარტიად თუ არა. ჟვანიას მომხრე „ნორჩმა მოქალაქეებმა“ მამალაძის მომხრე „ნორჩი მოქალაქეები“ გარეკეს და გამოაცხადეს, რომ „მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი“ საგანგებო ყრილობაზე მხარს დაუჭერს „მოქალაქეთა კავშირის“ ოპოზიციურ პარტიად გამოცხადებას!

## საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩი

აშშ-ის სენატში მოხსენებით გამოვიდა საქართველოში აშშ-ის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილზი, რომელმაც კიდევ ერთი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი განცხადება გააკეთა. მისი თქმით: „მომავალი სამი წლის განმავლობაში, ანუ 2005 წლამდე აშშ-ის პოლიტიკის უმაღლესი პრიორიტეტი დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნების მომზადებაში საქართველოსთვის ყველანაირი დახმარების გაწევა იქნება! საქართველო ამჟამად პოლიტიკური ცხოვრების ტრანსფორმაციის კრიტიკულ პერიოდში იმყოფება და არჩევნებამდე დარჩენილი დროის მანძილზე აშშ მჭიდროდ ითანამშრომლებს ედუარდ შევარდნაძესთან საქართველოში დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისთვის. დღეს კი საქართველოში რეფორმების წინსვლას ხელს უშლის კორუფცია, მის ტერიტორიაზე ეროვნებათაშორისი კონფლიქტების მოუგვარებლობა, აგრეთვე, პანკისის ხეობაში ტერორისტების საქმიანობა...“

რიჩარდ მაილზი უახლოეს მომავალში შეუდგება მოღვაწეობას საქართველოში!

## აშშ-ში საქართველოს ახალი ელჩი

პარლამენტმა აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში ახალ ელჩად დაამტკიცა ლევან მიქელაძე, რომელიც დღემდე საქართველოს ელჩის პოსტზე იყო ეუთოში.

ლევან მიქელაძე თედო ჯაფარიძეს შეცვლის ვაშინგტონში, რომელიც მალე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტს დაიკავებს.

## ახალი საგადასახადო ომი

მორიგი „ომი“ დაიწყო თბილისსა და ბათუმს შორის, ამჯერად საგადასახადო სფეროში. შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო სამსახურმა განაცხადა, რომ არ ცნობს აჭარის ტერიტორიაზე გაფორმებულ ანგარიშფაქტურებს და იმპორტიორ კომპანიებს აჭარაში გადახდილ გადასახადებს არ ჩაუთვლის! ამ ნაბიჯს ცენტრალურმა ხელისუფლებამ აჭარის ხელმძღვანელობის იმ ქმედების საპასუხოდ მიმართა, რომელსაც ბათუმი ახორციელებს, — აჭარა ცენტრალურ ბიუჯეტში დიდი ხანია აღარ რიცხავს თანხებს. თბილისში ჩამოვიდა აჭარის ფინანსთა მინისტრი დავით აბაშიძე, რომელმაც ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართა მოლაპარაკება და პრეტენზიებიც წაუყენა სახელმწიფო მინისტრს აჭარაში გაცემული ანგარიშფაქტურების გაუქმების გამო. საქმეში ჩაერთო ფრაქცია „აღორძინებაც“, რომლის ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ ცენტრალური ხელისუფლება დაადანაშაულა აჭარის საწინააღმდეგო ახალი კამპანიის დაწყებაში და განაცხადა, რომ ხელისუფლება აჭარის ეკონომიკურ იზოლაციაში მოქცევას ცდილობს. მისი თქმით, აჭარაში რეგისტრირებულ კომპანიებს არ უთვლიან დღგ-ისა და აქციზის გადასახადებს, რომლებსაც ეს ფირმები ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის განბაჟებისას იხდიან. შესაბამისად, აჭარიდან წარდგენილი ანგარიშფაქტურა ბათილად ცხადდება და მეწარმეც იძულებულია დღგ ხელახლა გადაიხადოსო...

„აღორძინებას“ სოლიდარობას უცხადებენ პარლამენტში და მოუწოდებენ ხელისუფლებას მოაგვაროს პრობლემა აჭარის ხელმძღვანელობასთან. სახელმწიფო კანცელარიაში კი უკვე ლაპარაკობენ, რომ მალე აჭარაში გაიხსნება რეგიონალური ხაზინა, რასაც ითხოვდა კიდეც დიდი ხნის მანძილზე ბათუმი.

## კომუნისტები საქართველოს ფეხით შემოივლიან

საქართველოში ამერიკელ ინსტრუქტორთა შემოსვლის ფაქტმა „სულით ხორცამდე შესძრა“ ქართველი კომუნისტები და მათი ბელადი პანტელეიმონ გიორგაძე (სხვათა შორის, პანტელეიმონ გიორგაძე ახლახან ბი-ბი-სი-ს რადიოეთერშიც მიიწვიეს, სადაც მან სასტიკად დაგმო ამერიკელთა შემოსვლის ფაქტი და საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის პრეროგატივა რუსეთს მიაკუთვნა (ისევე როგორც ჩვენს ქვეყანაზე რუსეთის გავლენის დაკარგვა კატეგორიულად გამორიცხა). იგი მთელი საქართველოს ფეხით შემოვლას აპირებს, რომლის დროსაც დარაზმავს მოსახლეობას და საპროტესტო აქციით დაიძრება თბილისისკენ პარლამენტის დაშლისა და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. მეტიც, კომუნისტები ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა ყოფნის წინააღმდეგაც აპირებენ პროტესტის გამოთქმას, რასაც, რა თქმა უნდა, უმალ აიტაცებს რუსეთის მასმედია...

## რუსები საბრძოლო მასალას ანადგურებენ

საქართველოში ამერიკელ სამხედროთა შემოსვლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, საგარეჯოს რაიონში არსებული უდიდესი სამხედრო საწყობიდან რუსებმა გამალებით დაიწყეს იარაღისა და საბრძოლო მასალის გაზიდვა სომხეთში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ამ ფაქტს მშვიდად შეხვდნენ და განაცხადეს, აღნიშნული შეიარაღება და საბრძოლო მასალა ვადაგასულია და არ გვჭირდებაო. წლის ბოლოსთვის საწყობი მთლიანად გასუფთავდება უვარგისი საბრძოლო აღჭურვილობისგან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცემა.

რუსები კი მართლაც გამოუსადეგარ საბრძოლო მასალას უკვე ყოველდღე აფეთქებენ და ანადგურებენ ვაზიანის პოლიგონზე!

## „გეოპოლიტიკოსები“ ერთმანეთს ხშირად შეხვდებიან

აფხაზ სეპარატისტთა მსგავსად მოსვენება აქვთ დაკარგული ოს სეპარატისტებსაც. საქმეში ჩაერთო ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ძასოხოვიც, რომელმაც თავისი ადმინისტრაციის სხდომაზე საგანგებოდ განიხილა პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება(!), შემდეგ კი თავის „სამხრეთელ“ კოლეგას ედუარდ კოკოევსაც შეხვდა. ეს შეხვედრა იმით გამოდგა საინტერესო, რომ „ორი ოსეთის“ პრეზიდენტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ერთობლივი... ანალიტიკური ჯგუფის შექმნის შესახებ! ამ ე.წ. ანალიტიკურმა ჯგუფმა უშუალოდ პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ უნდა შეაგროვოს ინფორმაციები, მიაწოდოს „პრეზიდენტებს“, რომლებიც შემდეგ „გააანალიზებენ“ მიღებულ მასალას და გამოიტანენ გადაწყვეტილებებს(!). ძასოხოვი და კოკოევი იმაზეც შეთანხმებულან, რომ ამიერიდან ხშირად შეხვდებიან ერთმანეთს ცხინვალშიც და ვლადიკავკაზშიც და რეგიონში მიმდინარე პროცესების ზედმიწევნითი და დეტალური განხილვით დაკავდებიან(!).

## სოხუმში მეჩეთები და ვაჰაბიტური სკოლები იხსნება

ევროპის საბჭოდან დაბრუნდა იქ ვიზიტით მყოფი აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, რომელმაც ევროსაბჭოს ხელმძღვანელობას წარუდგინა აფხაზეთში არაბი და სხვა ჯურის ტერორისტების ყოფნის დამადასტურებელი ფაქტები, რომლებიც ქართულ მასმედიასაც გააცნო საგანგებო პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, სოხუმთან ახლოს დაბანაკებულია „ალ ქაიდას“ 45-კაციანი ბანდა; ხოლო თურქეთის უშიშროების ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომელი გუდაუთაში ისლამური ფუნდამენტალიზმის სკოლას ქმნის. და საერთოდ, თურქი ისლამისტები ხშირად სტუმრობენ სოხუმს. შენდება მეჩეთები და იხსნება ვაჰაბიტური სკოლები. სეპარატისტებს აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში უკვე დასახლებული ჰყავთ იორდანიელები, პაკისტანელები, სირიელები და თურქები, რომლებიც აფხაზეთის ომისას საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ. აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების პროკურატურას ამ პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აქვს აღძრული, რაც ასევე წარუდგინა ნადარეიშვილმა ევროსაბჭოს.

## რუსეთი ინდიფერენტული ვერ იქნება(!)



გასულ კვირას ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, რომელმაც კოლეგა დონალდ რამსფელდსა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ბირთვული იარაღის შემცირების პრობლემატიკასთან ერთად, განიხილა საქართველოში ამერიკელ ინსტრუქტორთა შემოსვლის საკითხიც. გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ სერგეი ივანოვის ვიზიტის შედეგების შესახებ, კერძოდ, აღნიშნავს, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის დუმის მწვავე რეაქციის მიუხედავად, სერგეი ივანოვს საქართველოში ვაშინგტონის სამხედრო გეგმების საწინააღმდეგოდ მინიშნებები არ გაუკეთებია, მხოლოდ დააფიქსირა მოლაპარაკებისას, რომ რუსეთი საქართველოში მყოფი საერთაშორისო ტერორისტების იგნორირებას და პანკისში მიმდინარე მოვლენებისთვის ინდიფერენტულად თვალყურის მიდევნებას არ აპირებს!

## ხოცვა-ჟლეტას ორი ჟურნალისტი ემსხვერპლა

პალესტინა-ისრაელში მძვინვარე ხოცვა-ჟლეტას იტალიელი ჟურნალისტის რაფაელო ჩილის სიცოცხლეც შეეწირა. ქალაქ რამალაში გამართული ბრძოლისას ისრაელის ტანკიდან გახსნილმა ტყვიამფრქვევის ცეცხლმა ჟურნალისტი მაშინ მოცელა, როცა იგი თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. მას ექვსი ტყვია მოხვდა მკერდის არეში. იმავე დროს ფეხში დაიჭრა ფრანგი ფოტოკორესპონდენტიც. ისრაელის მთავრობამ ოფიციალურად მოუბოდიშა იტალიისა და საფრანგეთის მთავრობებს ამ ტრაგედიის გამო, სამძიმარი გამოუცხადა დაღუპული ჟურნალისტის ოჯახს და მომხდარი ინციდენტის გამოძიება დაიწყო... საინტერესოა, რომ რამალაში ამ ხოცვა-ჟლეტის განახლებამდე რამდენიმე საათით ადრე გაეროს უშიშროების საბჭოში ისტორიული კენჭისყრა შედგა. უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, სადაც პალესტინა ისრაელთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოდაა მოხსენიებული. რეზოლუციის მიხედვით, ორივე ქვეყანა ვალდებულია შეაჩეროს სისხლის ღვრა და კონფლიქტი მოლაპარაკების გზით მოაგვაროს. იმავდროულად, ვაშინგტონმა თავისი ემისარი მიავლინა ისრაელში, რომელმაც აიძულა თელ-ავივი, ტექნიკის გაყვანა დაეწყო პალესტინის ტერიტორიებიდან...

## აგენტმა ხარაკირი გაიკეთა

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში დიდი შეტაკება მოხდა პოლიციასა და ამ ქვეყნის სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომლებს შორის. 200-მდე ყოფილი საიდუმლო აგენტი, რომლებსაც მთავრობა ჩრდილოეთ კორეაში იყენებდა სადაზვერვო-აგენტურული საქმიანობისთვის, საპროტესტო აქციით მიაწყდა სამხრეთ კორეის პრეზიდენტის სასახლეს და ხელისუფლებას სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოსთხოვეს თავიანთი ადრინდელი საქმიანობისთვის. სწორედ ამ დროს მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც ერთ-ერთმა ყოფილმა აგენტმა საჯაროდ... ხარაკირი გაიკეთა! იგი სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში, თუმცა მუცელგამოფატრული ყოფილი აგენტის გადარჩენა ვერ შეძლეს!

## როდის აპირებს ბინ ლადენი ალაჰთან შეხვედრას?

დიდ ბრიტანეთში მცხოვრები არაბული სამყაროს დიასპორის ინგლისურენოვანმა ჟურნალმა „ალ მაჯარიმ“ გამოაქვეყნა სენსაციური ინტერვიუ ბინ ლადენის... ერთ-ერთ ცოლთან! პლანეტის №1 ტერორისტის ამ ცოლმა, რომელმაც, რა თქმა უნდა, არ დაასახელა თავისი სახელი და გვარი, განაცხადა, რომ მისი უსაყვარლესი ქმარი, ბინ ლადენი, როგორც ჩანს, კვლავ ავღანეთში იმყოფება; ხოლო თუ მაინც გადაწყვეტს ავღანეთის დატოვებას, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, როცა ბინ ლადენი შეხვედრას დააპირებს... ალაჰთან! ამასთან, ტერორისტის მეუღლე იმასაც ამბობს, ბინ ლადენს კვლავაც გრანდიოზული გეგმები აქვს აშშ-ის წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან ამერიკამ დაამცირა არაბებიო...

# რატომ ექცევა აშშ ასე დაუნდობლად რუსეთს?!

„ჩვენ უკვე მარტონი აღარა ვართ. ანტიტერორისტული კოალიციის წევრი სახელმწიფოები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი საქართველოთი და ქმედით ნაბიჯებს დგამენ ამ მიმართულებით“, — იტყვის ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ 11 მარტს გაკეთებული განცხადების შემდეგ, როცა ოფიციალურად გამოაცხადა ანტიტერორისტული კამპანიის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ და კიდევ ერთხელ მოიხსენია საქართველო, რომელსაც აშშ დახმარებას უწევს კონტრტერორისტული ოპერაციის განსახორციელებლად. საინტერესოა, რომ ამ ფონზე იგორ ივანოვი ჟურნალ „თაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უკვე წუწუნებს: „მოსკოვი აღშფოთებულია იმით, რომ ვაშინგტონში აღარაფრად აგდებენ რუსეთის პოზიციას საქართველოში ამერიკელ სამხედროთა განთავსების შესახებ“, და როგორც ჩანს, არც ცდება რუსი მინისტრი. მეტიც, მოსკოველი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები უკვე აშკარად აფიქსირებენ შუა აზიის დაკარგვის ფაქტს და ღვარძლიანად გაიძახიან, — მალე ზანგი უზბეკი, ტაჯიკი და ყირგიზი ბავშვებიც მოევლინებიან ქვეყანას იქ მყოფი ამერიკელი ჯარისკაცებისგანო... ისიც ფაქტია, რომ რუსეთს მსგავსი განცხადებების კეთების გარდა ჯერჯერობით სხვა აღარაფერი შეუძლია და მართალია ერთი ამერიკელი პოლიტოლოგიც, როცა წერს: „მაშინ როცა აშშ თავის ახალ პარტნიორებს შუა აზიასა და კავკასიაში უსაფრთხოებას და უხვ ფინანსურ დახმარებას სთავაზობს, ერთადერთი, რისი შეთავაზებაც შეუძლია მოსკოვს ყოფილი კოლონიებისთვის, არის „სამუდამო მეგობრობა“. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რას აირჩევენ რუსეთის მეზობლებიო“. ვესაუბრები გენერალური შტაბის სტრატეგიული დაგეგმვისა და შეიარაღების კონტროლის მთავარი სამმართველოს უფროსს, პოლიტოლოგ **კახა კაციტაძეს**:

— შემიძლია მოვიყვანო ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიერ ბოლო დროს გაკეთებული სულ მცირე ხუთი განცხადება, სადაც ცალსახადაა დაფიქსირებული — საქართველოს დამოუკიდებლობა არის აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების სფერო! თვისებრივად სხვა ვითარება იქმნება და არათუ დამთავრდა „ცივი ომი“, არამედ „პოსტცივი ომის“ ხანაც დასრულდა. ანუ ერთი თაობის თავზე სამმა სხვადასხვა ეპოქამ გადაიარა. ბუნებრივია, ცვლილებათა ასეთი დინამიკის პირობებში ადამიანის აზროვნება უკან რჩება პროცესს. ამიტომ, „ინტერესები“, „გავლენები“ და სხვა კატეგორიები, რითაც გამოტენილი აქვს ტვინი რუსეთის ისტებლიშმენტს, აღარ მოქმედებს. საუბედუროდ, რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში კლასიკურ გეოპოლიტიკურ დოქტრინებს დღემდე ისეთი დიდი გავლენა აქვს, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, გულწრფელად სჯერათ, რომ სახელმწიფოს მოქმედებას და ძალას განსაზღვრავს მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა და მეტი არაფერი, თუნდაც სუსტი იყოს სხვა პარამეტრით. სხვათა შორის, ეს სინდრომი ქართველებსაც გვახასიათებს და გვგონია, რომ თუკი ხელს არ გავანძრევთ, სხვა გააკეთებს საქმეს ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო... ახლა კი, თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებას, რაც ჩვენს მედიაში საერთოდ არ გაჟღერებულა და რაც, ჩემი აზრით, ხსნის აშშ-ის ქმედებას. კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა გამოიხატებოდა იმაში, რომ დაბალანსებული პოლიტიკა ხორციელდებოდა ამერიკის მოკავშირეებთან და რუსეთსაც, როგორც პარტნიორს, ალიარებდნენ. კლინტონამდეც, იმავე მალტის სამიტზე მოხდა შეთანხმება ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის, რომ აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიის ქვეყნები გადიან საბჭოთა გავლენიდან, დანარჩენი რჩება მოსკოვის გავლენის სფეროში. შემდეგ დაიშალა საბჭოთა კავშირი, აირია ბალკანეთი და იქ გახდა საჭირო ვითარების დაბალანსება. გადავიდა ბალკანეთი დასავლეთის გავლენის ქვეშ, ოღონდ კავკასია და შუა აზია კვლავ რუსეთის გავლენის სფეროში დარჩა. ანუ ბოლო 10-12 წლის მანძილზე აშშ-რუსეთის ურთიერთობა აგებული იყო, კარგი გაგებით, პოლიტიკურ ვაჭრობაზე — რაღაცას მე დავთმობ, რაღაცა შენ დათმეს — პრინციპზე. აი, ეს პოლიტიკა სრულ დისონანსშია მიმდინარე პროცესებთან. ჩამოვთვალოთ ფაქტები, რა დათმო რუსეთმა 11 სექტემბრის შემდეგ: შეუშვა ამერიკელები შუა აზიაში. ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც კი ცოტათი მაინც ერკვევა გეოპოლიტიკაში, ნათელია, რომ თუ აშშ და დასავლეთი აკონტროლებენ შუა აზიას და აკონტროლებენ ბალკანეთს, მათ უნდა გააკონტროლონ კავკასიაც, რომელიც ამ ორ რეგიონს აკავშირებს ერთმანეთთან. ცხადია, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ინდოეთის ოკეანის მხრიდან შუა აზიის კონტროლზე, მაგრამ სარეზერვო ტრანსკასპიური მისადგომი კავკასიიდან შუა აზიაზე ამერიკას ჰაერივით სჭირდება, აღარაფერს ვამბობ ნავთობსადენებსა და გაზსადენებზე და მათი უსაფრთხოების დაცვაზე. პუტინმა უკვე განაცხადა, რომ საქართველოში ამერიკელთა ყოფნა არ არის რუსეთისთვის ტრაგედია, ანუ რუსეთმა დათმო ამ საკითხშიც. ასევე დათმო რუსეთმა, როცა კუბასა და ვიეტნამში დახურა თავისი ბაზები. დათმო და თანხმობა მისცა დასავლეთს ნატოში ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა გაწევრებაზე... ამერიკა ცალმხრივად გამოვიდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ხელშეკრულებიდან და რუსეთმა აქაც დათმო. ახლა ამერიკელები უცხადებენ რუსებს — ბირთვულ ქობინებს ჩვენ შევინახავთ და თქვენც შეინახეთო, მაგრამ რუსეთს ამ ბირთვული არსენალის შენახვის ფული არა აქვს და მათი განადგურება მოუწევს.

**— საინტერესოა, რომ შარშან ტონი ბლერის ინიციატივა, ნატოს ახალ სტრუქტურაში რუსეთის მიღება გადამწყვეტი ხმის უფლებით, ამჯერად შეიცვალა და რუსეთს მხოლოდ საბჭოს წევრობას ჰპირდებიან, თანაც გადამწყვეტი ხმის უფლების გარეშე...**

— დიახ, თანაც ეს არის საკონსულტაციო საბჭო, რომლის წესდების პროექტის თანახმად, რუსეთს არათუ გადამწყვეტი ხმის უფლება არა აქვს, არამედ მას არ ექნება ხმა ნატოს სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებისას. რუსეთს უტოვებენ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებას და ვთქვათ, ნატოს სამხედრო მოქმედებას ამა თუ იმ რეგიონსა და ქვეყანაში რუსეთი ვერ შეეწინააღმდეგება. მეტიც, რუსეთს არ ექნება ნატოს გაფართოებასა და ალიანსის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება. თუ ვილაცა თავს დაესხმება რუსეთს,



მასზე ნატოს წესდების მე-5 მუხლი არ გავრცელდება, ანუ ნატოს ქვეყნები რუსეთის დასაცავად ომს არავის დაუწყებენ! სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია ჩვენს მასმედიაში არ გასულა დღემდე და ჩვენმა საზოგადოებამ არც ის იცის, რომ რუსეთი თანახმაა ნატოს ამ წინადადებებზე.

**— და აქ შეიძლება დაისვას ტრადიციული კითხვა — რის სანაცვლოდაა თანახმა რუსეთი მისთვის მართლაც დამამცირებელი პირობებით შევიდეს ნატოს საკონსულტაციო საბჭოში?**

— იმის სანაცვლოდ, რომ მიიღებენ საბჭოში ერთ-ერთ წევრად, და უკვე განსაზღვრულია ადგილი, სადაც რუსეთის წარმომადგენელი დაჯდება — პორტუგალიისა და ესპანეთის წარმომადგენლებს შორის. ამ დათმობების კასკადის სანაცვლოდ რუსეთს რამდენიმე მოთხოვნა აქვს, რაც იმდენად სასაცილოა, რომ ყველა ვარიანტში „უნდა დავუთმოთ“. რუსეთი ითხოვს კარტბლანშს ჩეჩნეთში მოქმედებისთვის: ითხოვს ჯექსონ-ვენიკის კანონის გაუქმებას, რომლის საფუძველზეც საბჭოთა კავშირს იმის გამო, რომ ებრაელებს არ უშვებდა ისრაელში, აშშ-მა დაუწესა რიგი დისკრიმინაციული ეკონომიკური სანქციები, რომლებიც დღემდე ძალაშია. ყველაფერი შეიძლება დავაბრალოთ რუსეთს, მაგრამ დღეს, როდესაც ლამის ნახევარი ისრაელი რუსულად ლაპარაკობს, აშშ მაინც არ უუქმებს ამ სანქციებს. და მესამე: რუსეთი ითხოვს მიიღონ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რომლის წევრებიც უკვე არიან საქართველო და ყირგიზეთი. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ამერიკა, არათუ ამ დათმობებზე არ მიდის, არამედ რუსეთს უწესებს ახალ სანქციებს, კერძოდ უზრდის ტარიფს აშშ-ში ფოლადის შეტანაზე, რასაც მალე მოჰყვება ასევე ტარიფის ზრდა რუსული ალუმინის შეტანაზე, რაც უმძიმეს დარტყმას მიაყენებს რუსეთის ეკონომიკას. ამის საპასუხოდ კი რუსეთი კრძალავს ამერიკული გაყინული ქათმის ბარკლების იმპორტს(!) დაბოლოს, აგერ იგორ ივანოვმა განაცხადა, რომ თუ აშშ ომს დაიწყებს ერაყის წინააღმდეგ, რუსეთი მაინც დარჩება ანტიტერორისტულ კოალიციაშიო! ამიტომ, თუკი აშშ ამ უწყინარ საკითხებში არ უთმობს რუსეთს არაფერს (ოლიმპიადაზეც რა დღეში ჩააგდეს რუსები, ცნობილია), მით უფრო არ დაუთმობს გეოსტრატეგიულ ბალანსს. რუსეთს, როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ და აქ უნდა შევეხოთ საკითხს, რომელიც ჩვენთან არასდროს არავის გაუშუქებია. დავსვათ კითხვა: რატომ ექცევა აშშ ასე დაუნდობლად რუსეთს?

> დღეს რომ მოგვიმრავლდნენ „სტრატეგები“ და „გეოპოლიტიკოსები“ ძალიან მაგონებს ჩემს სტუდენტობას, როცა ყველა ფეხბურთის სპეციალისტი იყო და ლამის მთელი საქართველო მწვრთნელების „სამჭედლო“. ასეთ „სტრატეგთა“ და „გეოპოლიტიკის ექსპერტთა“ სამჭედლოს ჰგავს დღევანდელი ჩვენი მასმედია და ისტებლიშმენტი, როცა მცოდნეც და უვიციც „სტრატეგობს“ და „რჩევებს“ იძლევა.

**— მართლაც, თუ ამ კითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი, ვფიქრობ იქვე იქნება პასუხიც ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კითხვაზე — დაუთმობს კი აშშ რუსეთს საქართველოს?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. თუ ვერ გავიგებთ რა ზოგადი მოტივაცია ამოძრავებს ამერიკას, არ გვეცოდინება ვაშინგტონის ქმედების კერძო მოტივაცია საქართველოსთან მიმართებაში. ყველაზე ადვილი ახსნა, თუ რატომ ექცევა ამერიკა რუსეთს ასე მკაცრად, უნდა ვეძებოთ ამერიკელ პოლიტიკოსთა მენტალობაში. ფაქტია, რომ ამ ადმინისტრაციის მაღალჩინოსან წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო პოლიტიკაში მოსულია რონალდ რეიგანის რვაწლიანი პრეზიდენტობის პერიოდში, რომლებმაც ჯორჯ ბუშიუფროსის ადმინისტრაციაშიც გააგრძელეს მოღვაწეობა. ესენი არიან დიკ ჩეინი, კოლინ პაუელი, კონდოლიზა რაისი, ვოლფოვიცი და სხვები. ხოლო დონალდ რამსფელდი, რომელიც პრეზიდენტ ფორდის დროსაც იყო თავდაცვის მინისტრი, გახლავთ ადამიანი, რომელმაც ამერიკის არმია გამოიყვანა ვიეტნამში დამარცხების სინდრომიდან და საფუძველი ჩაუყარა იმ არმიის შექმნას, რომელიც დღეს ჰყავს ამერიკას. ამ ადამიანებს აქვთ რუსეთისადმი ჩამოყალიბებული საკუთარი ხედვა, პრინციპები, რომლებიც გაცილებით მკაცრია, ვიდრე კლინტონის ადმინისტრაციაში იყო. მის დროს ითვლებოდა, რომ ყველაზე მკაცრი პოზიცია რუსეთის მიმართ მადლენ ოლბრაითს ჰქონდა, მაგრამ დღევანდელი ადმინისტრაციის ფონზე ოლბრაითი უწყინარი ლიბერალია... მეორე მიზეზი რუსეთისადმი აშშ-ის მკაცრი პოზიციისა დევს ამერიკის არნახულ ძლიერებაში და სამხედრო სფეროში წინსვლაში, რითაც ამერიკა უსწრებს უწინარესად ევროპის პოსტინდუსტრიულ სახელმწიფოებს. დავუმატოთ აშშ-ის ტექნოლოგიური, ფინანსური, კულტურული მიღწევები და ვნახავთ, რომ აშშ-ის უპირატესობამ არნახული სახე მიიღო, რაც ბუნებრივია, მძლავრ ზეგავლენას ახდენს აშშ-ის პოლიტიკაზე. და კიდევ: აშშ-ის დედაქალაქზე უკანასკნელი თავდასხმა 1812 წელს განხორციელდა, როცა ინგლისელებმა გადაწვეს ქალაქი. 1941 წელს ამერიკიდან მოშორებით პერლ-ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმამ ამერიკელი ერის დარაზმვის თვალსაზრისით ბევრი ვერაფერი ეფექტი მოიტანა, მხედველობაში არა მაქვს სამხედროსამობილიზაციო ფაქტორი. მაშინ ტელევიზიაც არ იყო და რუზველტმა რადიოთი ამცნო ქვეყანას ეს ამბავი. 11 სექტემბერს კი ამერიკელები უშუალო თვითმხილველნი გახდნენ თავდასხმის და აბსოლუტურად ყოველმა ამერიკელმა ეს ტერაქტები აღიქვა, საკუთარ სიცოცხლეზე სახლ-კარსა და ქონებაზე თავდასხმად. შესაბამისად, ამერიკელთა ფსიქოლოგია ძირეულად შეიცვალა და ისინი იომებენ მანამ, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ მსგავსი თავდასხმა თეორიულადაც შეუძლებელია! ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ამერიკელთა დღევანდელი ფსიქოლოგია ანალოგიურია ისრაელის მოქალაქეთა საომარი ფსიქოლოგიისა. აი, ამ სამი მომენტის ერთობლიობა ქმნის დღეს ამერიკის პოლიტიკის ქვაკუთხედს. შესაბამისად, ამერიკელები არსად არავის არავითარ შანსს არ დაუტოვებენ, რომ ვინმემ ოდესმე აშშ-ს რაღაც საფრთხე შეუქმნას, მით უმეტეს რუსეთს, რომელიც ამერიკისთვის კვლავ რჩება არასანდო ქვეყნად! ამას ადასტურებს თუნდაც ამერიკის პრესაში გაჟონილი ინფორმაცია, რომ ვაშინგტონს ბირთვული დარტყმის პოტენციურ შვიდ ქვეყანასთან ერთად ქობინები დამიზნებული აქვს რუსეთზეც! ამიტომ, სასაცილოა ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოს ხარჯზე ამერიკა და რუსეთი გარიგდნენო! თუ ამ 10 წლის მანძილზე დასავლეთმა და აშშ-მა არვის დაუთმო საქართველო, მით უფრო, არ დათმობენ დღეს.

**— ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში თვისებრივად შეცვლილი მსოფლიო უნდა მივიღოთ...**

— რა თქმა უნდა. ამერიკას მისი არსებობის მანძილზე ასეთი პოლიტიკა არ უწარმოებია. თუკი აქამდე აშშ-ის პოლიტიკის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ შეენარჩუნებინა გლობალური თუ რეგიონალური ბალანსი და აქედან თავისი ეროვნული ინტერესებისთვის დივიდენდები მიეღო, დღეს აშშ პირველად ახორციელებს პოლიტიკას, რითაც არა არსებული ბალანსის მოდიფიკაციას ახდენს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თვითონ იწყებს აქტიურ მოქმედებას მსოფლიო და რეგიონალური ბალანსის შესაქმნელად და მას სხვა დამაბალანსებელი ძალა, ქვეყანა არსად აღარ სჭირდება. ამერიკა პოლიტიკურ სუბიექტებს იმის მიხედვით კი არ გადააადგილებს „საჭადრაკო დაფაზე“, ვის რა ადგილი აქვს, არამედ აიღებს და ფიგურებს დადგამს იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნევს. ასეთი მსოფლიო წესრიგი კი ძალიან მაგონებს რომის იმპერიის ეპოქას, ანუ ამერიკა თავს დაცულად იგრძნობს მაშინ, როდესაც დე ფაქტო ბალანსს კი არ გამოეკიდება, არამედ თვითონ მიუჩენს ადგილს ყველას და ვინ რას იტყვის ამ „დალაგებისას“, ამერიკას ეს სრულიადაც არ აღელვებს. ამ წანამძღვრიდან აიხსნება, თუ რუსეთის დათმობებს აშშ-იც დათმობებით რატომ არ პასუხობს.

**— „საჭადრაკო დაფა“ და ფიგურები ახსენეთ, რაც გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ვთქვათ, საქართველო და ჩვენი რეგიონი, მაგრამ, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „პანკისის ფიგურა“ ვაშინგტონმა აფხაზეთისკენ წასწიოს?**

— აშშ-ისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არაკონტროლირებადი ტერიტორიები და არაკონტროლირებადი რეჟიმები, მით უფრო, მის მოკავშირე ქვეყნებში არ არსებობდნენ. დავუმატოთ ამას ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი, იარაღით ვაჭრობა, საერთაშორისო მაფია, რომელიც ადრე თუ გვიან შეეკვრება საერთაშორისო ტერორიზმს, თუ შეკრული არ არის დღემდე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ უკონტროლო რეჟიმებთან ბრძოლას ამერიკელები უშუალოდ თვითონ დაიწყებენ. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები, უწინარესად, ჩვენი გადასაწყვეტია სადაც დიპლომატიური, პოლიტიკური, სამხედრო-ტექნიკური თუ ფინანსური დახმარება გვექნება დასავლეთისგან, რადგან, ვიმეორებ, ამგვარი რეჟიმების ნეიტრალიზებით სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი. და კიდევ, ჩემი აზრით, ე.წ. სამკუთხედი აშშ-რუსეთი-საქართველო აღარ არსებობს. ბუშის ადმინისტრაციის კურსი ცალსახაა და ნებისმიერ ქვეყანასთან ითანამშრომლებს ისე, როგორც სურს. თუ ამჩნევთ, ნატოს ეგიდით არ ტარდება ანტიტერორისტული კამპანია მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრები მონაწილეობენ მასში. ყველა კონკრეტულ სიტუაციაში ამერიკელები ქმნიან თავიანთ სამოკავშირეო სისტემას ამა თუ იმ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე. შუა აზიაში მოახერხეს და შექმნეს კოალიცია, რომელშიც ყირგიზეთთან, ტაჯიკეთთან, უზბეკეთსა და ნატოსთან ერთად შევიდნენ ისეთი ურთიერთმტრულად განწყობილი ქვეყნები, როგორებიცაა ინდოეთი და პაკისტანი. ტაჯიკეთში რუსის ჯარი იდგა და ამერიკამ იქ ბაზა დააარსა. ასევე შექმნიან სხვა რეგიონალურ კოალიციებს და ჯორჯ ბუშმა ორჯერ დაასახელა ეს რეგიონები და ქვეყნები. ახლო აღმოსავლეთში აშშ ითანამშრომლებს იემენთან, სადაც ომანიდან გადაიყვანეს ამერიკელებმა ჯარი. ასევე იქნება საქართველოშიც, იგივე ხდება ფილიპინებზეც და ა.შ. ანუ იქმნება კოალიციათა სრულიად სხვა სისტემა, ვიდრე ნატოა, ან ადრე ვარშავის ხელშეკრულება იყო.

**— და მაინც, საქართველოს კვლავ ემუქრება პროვოკაციების საფრთხე. ყბადაღებულ კოსოვოს სცენარს თუ მართლაც განახორციელებენ, თქვენი აზრით, პირველ შესაძლო დარტყმას სად უნდა ველოდეთ?**

— მართალი გითხრათ, არ მესმის რა კონტრზომებს შეიძლება მიმართოს რუსეთმა. ჯერ ის ვთქვათ, რატომ უნდა გააკეთოს კრემლმა ეს? ეკონომიკური ინტერესები მათ აქ არა აქვთ, ჯარს რუსეთში ვერ ინახავენ და აქ რას მოუხერხებენ, ჩემთვის გაუგებარია. ქართულ ისტებლიშმენტში კვლავ გაიძახიან, რომ რუსეთი გავაბრაზეთ და ამიტომ გვსჯისო, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ბავშვური აზროვნებაა, რომელიც უფრო ქვის ხანას შეეფერება. მეორეც, რომც მოინდომოს რუსეთმა ჩვენი დასჯა, რა საშუალებით უნდა გააკეთოს ეს? იგივე კოსოვოს სცენარი გამოადგათ რუსებს რამეში ბალკანეთზე? ან პანკისში რა სტრატეგიული ობიექტია, რომელიც უნდა დაიკავონ და საერთოდ, სამი ბატალიონი სად უნდა გადასხან, ან როგორ? წავლენ რუსები იმ მსხვერპლზე, რაც ამ ბატალიონებს შეიძლება დაემუქროს?! ეს ილუზია და ბლეფია. აფხაზეთში კი რუსები უკვე დგანან და სამი ბატალიონით მეტი იქნება, თუ ნაკლები, ეს არაფერს შეცვლის. მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთის მხრიდან ჩვენზე ზეწოლა იქნება, მაგრამ არა მგონია საქმე მასშტაბურ სამხედრო ოპერაციაში გადაიზარდოს. რასაკვირველია, იმის ილუზია არა მაქვს, რომ საქართველოს პრობლემები იოლად გადაწყდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს აურზაური რუსეთის მასმედიამ და აქაურმა პრორუსულმა ძალებმა შეგნებულად ატეხეს ჩვენი საზოგადოების დასაშინებლად. საერთოდ, დღეს რომ მოგვიმრავლდნენ „სტრატეგები“ და „გეოპოლიტიკოსები“, ძალიან მაგონებს ჩემს სტუდენტობას, როცა ყველა ფეხბურთის სპეციალისტი იყო და ლამის მთელი საქართველო მწვრთნელების „სამჭედლო“. ასეთ „სტრატეგთა“ და „გეოპოლიტიკის ექსპერტთა“ სამჭედლოს ჰგავს დღევანდელი ჩვენი მასმედია და ისტებლიშმენტი, როცა მცოდნეც და უვიციც „სტრატეგობს“ და „რჩევებს“ იძლევა. ლაპარაკით, კი ბატონო, ილაპარაკონ პირად საუბრებში, მაგრამ როცა საჯაროდ ისმის სისულელეების რახარუხი, საზიანოა საზოგადოებისთვის. ვფიქრობ, საქართველოს პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ უნდა გაიაზროს, რომ ჩვენ საკმაოდ რთული ვითარება გვექნება კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე და მაშფოთებს არა რუსეთის შესაძლო აგრესია, არამედ ისეთი საფრთხეები, რომლებიც დღეს ვერ წარმოგვიდგენია. ანუ, ისეთი, როგორიც აშშ-ს დაატყდა თავს 11 სექტემბერს. ამიტომ, ჩვენი სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი, რომ მსგავს მოულოდნელობებზე შეეძლოს რეაგირება. ფაქტია, რომ გლობალურ თუ რეგიონალურ დონეზე სამხედრო ძალის როლი პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში გამუდმებით იზრდება. რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებას, უნდა გავიაზროთ, რომ ამ ანტიტერორისტულ ომში პოლიტიკა ითამაშებს ჩვეულებრივზე უფრო მეტ როლს, ვიდრე წინა მსოფლიო ომებში. ამიტომ, ამ მხრივ არის რეალური შანსი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისა. სეპარატისტებს და რუსებს მარტო საქართველოსთან აღარა აქვთ საქმე...

***ზურაბ მჭედლიშვილი***

— ***დრო არს, ძმაო, გაიღვიძო, მოგეახლა ცხოვნება, თუ ახლაც არ მოინანიე ცოდვანი შენნი, თუ ახლაც არ გაიღვიძე, მაშასადამე, აღარ ყოფილა შენთვის გაღვიძება,*** — ასე აფხიზლებდა და აფრთხილებდა თავის სამწყსოს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) დიდმარხვის დაწყებისას...

და აი, მართლმადიდებელ ქრისტიანებს დაუდგათ ჟამი სულიერი სიხარულისა — დიდმარხვა. მორწმუნე ადამიანს უჭირს გამუდმებით ხსნილში ყოფნა, ადამიანი თითქოს მოეშვება ხოლმე ხორციელად და სულიერად. მარხვაში კი თავს მეტად აკონტროლებს და სწავლობს სისუსტეების დაძლევას, რადგან თუ საკვების მიღების სურვილზე გაიმარჯვე, გაიმარჯვებ შენს ხორციელ ბუნებაზეც.

ღმერთმა სამოთხეშივე დაუდგინა მარხვა ადამიანს, როცა აუკრძალა ცნობადის ხისგან ნაყოფის მირთმევა. ეს არის პირველი მცნება და ამავე დროს დასაბამი მარხვისა. სწორედ მარხვის გატეხა იქცა მიზეზი ადამისა და ევას არა მარტო სამოთხიდან განდევნისა, არამედ მთელი შემდგომი უბედურებისა, რომელიც ეწია კაცთა მოდგმას.

მარხვით დაიწყო თავისი მოღვაწეობა უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, რომელიც „იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე“... და საკუთარი მარხვის მაგალითით გვიჩვენა გზა ვნებათა დათრგუნვისა და სულიერი აღორძინებისა. და ჩვენც, საკუთარი სურვილების მცირედი დათმობით, ერთგვარი თანამონაწილე ვხდებით მაცხოვრის ვნების.

ეკლესიის მამები გვასწავლიან, რომ მარხვა არის არა მარტო ხორცეულისა და რძის ნაწარმისაგან თავის შეკავება, არამედ საერთოდ ზომიერება, ვნებათა დათრგუნვა და თავის დაოკება. იგი განუყოფელი ნაწილია ეკლესიური ცხოვრებისა და ქრისტიანისგან მარხვის შენახვა გულისხმობს ამ ცხოვრების დანარჩენ ნაწილში მონაწილეობასაც. უნდა გვახსოვდეს, რომ მიზანი მარხვისა არის განმტკიცება რწმენაში, სულიერი და ხორციელი განწმენდა, რაც თავის მხრივ, შეუძლებელია ლოცვისა და სინანულის გარეშე. ეს კი ადამიანს ეძლევა მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მარხვა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, ხოლო ჭეშმარიტი მარხვა და თავშეკავება კი ადამიანს აუცილებლად სულიერი წყლულების — ცოდვების საკურნებლად ექცევა.

ყოველი მარხვა არის სამზადისი იმ დღესასწაულისათვის, რომელსაც წინ უძღვის იგი.

ჰე, უფალო და მეუფეო, მოგვანიჭე განცდა თვისთა ცოდვათა, მოგვმადლე ჩვენ სული სიმდაბლისა, მიტევებისა, მოთმინებისა და სიყვარულისა, რათა ჩვენს მკითხველებთან ერთად მივეახლოთ ბრწყინვალე აღდგომასა შენსა!

# სარდაფიდან — საოპერაციოში

— ფცხიკ...

— ჯანმრთელობა, — ჩავილაპარაკე ძილბურანში მყოფმა. თვალი გავახილე, საწოლიდან წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი. ო, ისევ ქარი... შინიდან გასვლა მეზარება. თუმცა, არა, მე ხომ თეატრალური სარდაფის ბილეთი მაქვს. წავალ, დღეს მსახიობები „ცხვირს“ წარმოგვიდგენენ, ნანახი არ მაქვს. ალბათ, საინტერესო იქნება.



სარდაფის გახსენებაზე ქარიც დამავიწყდა. სახლის საქმე მოვილიე და თეატრის ტელეფონის ნომერი ავკრიფე.

— უკაცრავად, სპექტაკლი ტარდება?

— გარკვეული მიზეზის გამო გადაიდო (გული დამწყდა).

...მიზეზი არ ვკითხე, ზედმეტად ცხვირი აღარ ჩავყავი — რატომ არ გადის „ცხვირი“-მეთქი. საერთოდ, კარგი იქნება, ადამიანმა ცხვირი რომ დაიმოკლოს... ცხვირის დამოკლებაზე ქირურგი წარმომიდგა თვალწინ, იცით, რომელი ქირურგი? რომელმაც ჩემს მეგობარს ისეთი ცხვირი გამოუძერწა, კლაუდია შიფერსაც რომ შეშურდება. ჩემს ამხანაგს განა მარტო ვიზუალურად, ხასიათითაც ველარ ვცნობ. კომპლექსები მოეხსნა და ძალიან აქტიური და ხალისიანი გახდა. რადგან ცხვირის თემაზე „ჩავიციკლე“, პლასტიკური ქირურგიის ცენტრს მივაშურე. შენობაში შესვლისთანავე გოგონების ჩალურჯებულმა თვალებმა შემომანათა. მათ დანახვაზე ტანში გამცრა. ისინი კი, ვითომც არაფერიაო, მშვიდად საუბრობდნენ: „არც ისეთი მტკივნეული ყოფილა ცხვირის ოპერაცია, უფრო ძლიერი ტკივილის მოლოდინში ვიყავი“. „უბრალოდ, ცუდი შეგრძნებაა, რომელსაც არ უნდა აჰყვე“... „გულით რომ გინდოდეს, ისტერიკის ატეხას ვერ შეძლებ, ბატონი გელა ოპერაციის დროს ისეთ სასიამოვნო თემებზე გესაუბრება...“

რიგგარეშე ვითხოვე ქირურგთან შესვლა. თავმდაბალი ადამიანი აღმოჩნდა. არ მოჰყვა თავის ქებას. თავისი საქმიანობის შესახებ ლამაზი სიტყვები კი არ დახარჯა, პაციენტების „დო ი პოსლე“ პორტრეტებით სავსე ალბომი მომაწოდა. სურათებს შორის ისეთი განსხვავება იყო, რომ იტყვიან — ცა და დედამიწაო.

მკითხველიც იტყვის, შენც ცა და დედამიწის განსხვავებასავით გამოგივიდა, სარდაფიდან — საოპერაციოში მოგვახვედრეო.

მე კი უბრალოდ გირჩევთ, ვისაც სურს ცხვირის დამოკლება (ორივე გაგებით), მიაკითხოს თეატრალურ სარდაფს, დაესწროს სპექტაკლს „ცხვირს“ და თუ ბიოლოგიურად გრძელი ცხვირი გაქვთ და მით უფრო, სხვის საქმეშიც გიყვართ ჩაძრომა, იფიქრეთ, ხომ არ სჯობს, დაიმოკლოთ (ესეც — ორი გაგებით)...

***დოდო ხელაშვილი***

**P.S.** ***ახლა მართლაც სულ „ცა და დედამიწასავით“ გამომივა, როცა გეტყვით, „ის ჩემი მეგობარი“ თვითონ მე ვარ და ეს მინაწერიც ფოტოზე ასე უნდა იკითხებოდეს: დოდო „დო ი პოსლე...“***

***ჩემი მეგობარი „დო ი პოსლე“***



— ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... ცოტაც და მივალ, იქნებ, მანქანითაც წამომეწიოს ვინმე.... დავიღალე. აქ, ზემოთ, ერთი წრე მაინც უნდა დავარტყა... არა უშავს, მივეჩვევი... სხვებიც ხომ ასე იწყებდნენ... სამაგიეროდ, რა ჰაერია!..

ასე ინუგეშებენ თავს „ახლები“, ანუ ისინი, ვინც მხოლოდ ახლა გადაწყვიტა დილაობით



კუს ტბაზე სიარული... „ძველები“ კი... მათთვის ერთი წრე კუს ტბის გარშემო უკვე სასაცილოა... მათ სხვა მარშრუტები, სხვა ინტერესები აქვთ, გააჩნია, როგორი ამინდია... თუ ცივა, მზის ბილიკით სიარული სჯობს, თუ არა და, ჯერ კაკლებში შევლენ, მერე წყაროსთან აღმოჩნდებიან, წინ ბულბულების ჭალა ელოდებათ, ქვემოთ კი სვანური კოშკის გავლით ბრუნდებიან... აბა, იქ არის ჰაერი, თუ არის... სტაჟიანი „კუსტბელისთვის“ გაცივება საშინელი შეურაცხყოფაა. „კუსტბელი“ გრიპით თითქმის არასდროს ავადდება...

რამდენჯერმე ვიყავი მეგობრებთან ერთად კუს ტბაზე... 9 საათზე ავედით და ადრე გვეგონა. „სტაჟიანები“ კი უკვე სახლებში ბრუნდებოდნენ, ჩვენს დანახვაზე გაეცინათ, აი, კიდევ ერთი ზარმაცების ჯგუფი მოვიდაო — თქვეს... ვიარეთ, ვიარეთ... მერე მოგვბეზრდა, ვერ ავეწყვეთ და დავიშალეთ... წესით კი, თუ კუს ტბას გემოს გაუგებ, მოგბეზრდება კი არა, მის გარეშე ერთ დღესაც ვერ გაძლებ — გინდა წვიმა იყოს, გინდა ქარი, გინდა თოვლი და გინდა გრიგალი... ასე ფიქრობს ჩემი რესპონდენტიც, რუსთაველის თეატრის მსახიობი **თამრიკო ჯოხაძე...**

— აღარც მახსოვს, პირველად როდის ავედი... ალბათ 8-9 წლის წინ... გოგონებმა გადავწყვიტეთ ერთად გვევლო... რამდენიმე დღის შემდეგ, ზოგს დაეძინა, ზოგს — არ ეცალა, ზოგს დაეზარა... ერთხელაც, არავინ რომ არ წამოვიდა, ვერიდან მარტო დავადექი გზას... შვიდის ნახევარზე გავდივარ სახლიდან ყოველდღე, ზამთარ-ზაფხულ...

— ***ზამთარში ამ დროს საშინლად ბნელა... არ გეშინია?***

— არა... ამ ხნის განმავლობაში მშვიდობიანად დავდივარ, ერთი არასასიამოვნო ინციდენტიც კი არ მომხდარა...

— ***მაწანწალა ძაღლების არ გეშინია?***

— მაწანწალა ძაღლებს ამ დროს სძინავთ.

— ***მზის ამოსვლას შეხვედრიხარ კუს ტბაზე?***

— რამდენჯერაც გინდა... იცი, რა ლამაზია?! განსაკუთრებით ზამთარში, შენს თვალწინ ამოდის მზე, ცაზე კი ამ დროს მთვარეც არის და ვარსკვლავებიც...

— ***ამ ბოლო დროს საშინელი ქარი შემოეჩვია თბილისს. ქარის დროსაც მიდიხარ ხოლმე?***

— აბა რა! სუსხია, გრიგალია, შეხვალ ტყეში და გეგონება, თბილ საბანში ხარ გახვეული. ტყეში ქარი არ იგრძნობა.

— ***ალბათ ძალიან დაახლოვდით „კუსტბელებთან“...***

— ძალიან, დაახლოებით 20-30 კაცი... ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, სხვადასხვა პროფესიის და მსოფლმხედველობის ადამიანებს საოცრად გვესმის ერთმანეთის, ყოველგვარი მაკიაჟისა და შლეიფის გარეშე ვიცნობთ ერთმანეთს. დაბადების დღეებს, და მნიშვნელოვან მოვლენებს დილით, ვარჯიშის შემდეგ ერთად აღვნიშნავთ ხოლმე... ხანდახან საღამოობითაც ვხვდებით და რესტორანში მივდივართ...

— ***პოლიტიკოსები თუ დადიან?***

— რამდენიმე. ხშირად ვხედავ ლევან გაჩეჩილაძეს, შიგადაშიგ, მიშა მაჭავარიანსაც... ზოგიც ერთი-ორჯერ მოვა და მერე გაქრება. კუს ტბა ხომ „შონზელიზედ“ იქცა... გაივლიან-გამოივლიან, წაიმარიაჟებენ და გაქრებიან... მერე ინტერვიუებში ვკითხულობ ხოლმე — ყოველ დილით კუს ტბაზე დავდივართო. იტყუებიან... ძალიან ბევრი პოლიციელი დადის. იქ საოცრად კარგები არიან — თბილები, კეთილები, ზრდილობიანები... მოკლედ, იქ ყველანი ერთნაირები ვართ...

— ***ბულბულების ჭალა, კაკლები, წყარო, სვანური კოშკი... სხვა მარშრუტი თუ გაქვთ?***

— შაბათ-კვირას დიდი მარშრუტი გვაქვს... შევდივართ ტყეში, გავდივართ კოჯრის გზაზე, წყნეთი, წავკისი, ტაბახმელა და ტყე-ტყე ისევ კუს ტბაზე ვბრუნდებით...

— ***ძალიან შეიცვალა ამ 8-9 წლის განმავლობაში კუს ტბა?***

— შეიცვალა... ადრე ერთი პატარა ჯიხური იყო. მერე რესტორანი ააშენეს. ქვემოთ პლაჟი და ბუნგალო გააკეთეს... ახლაც ამატებენ რაღაცებს...

— ***ამბობენ, ტბაში წყალი შრებაო, მართალია?***

— სამწუხაროდ, მართალია. ეს ტბა ხომ კრატერია, ბუნებრივია... უნდა ჩაედინებოდეს წყლები, მოვლა სჭირდება.... თითქმის ჩაის კოვზისხელა გახდა...

— ***ალბათ, ახლა ბევრი ყვავილი იქნება...***

— უამრავი... იები, ენძელები, ყოჩივარდები... ამოდიან, კრეფენ, მიაქვთ და ყიდიან... ტყე ეხმარება გაჭირვებულ ადამიანებს... მალე ვარდები და იასამნები შემოვა... უამრავი იასამანია... დავკრეფთ და, თუ ვაკით მოვდივარ, ჩემს გოგონებს მივუკაკუნებ ხოლმე კარზე — ჩამოვარიგებ კარგი კავალერივით.

მალე თუთაც შემოვა. ვარჯიშის შემდეგ ხეებზე მოვიკალათებთ ხოლმე.... შემოდგომაზე კუნელს და ვალერიანის ძირებს ვაგროვებთ.

— ***ცხოველები თუ არიან?***

— გინახავს, როგორ თამაშობენ ციყვები? მე მინახავს... კუები მთელი ოჯახებით გამოეფინებიან ხოლმე... უამრავი ჩიტია, ისე ჭიკჭიკებენ... ვისაც ძაღლი ჰყავს, ძაღლით ამოდის... იქაც გვყავს ერთი პატარა წითელი, დიდგულა ძაღლი — ავლანა... ერთი ციდაა და უზარმაზარ ჯიშიან ძაღლებს ექაჩება...

— ***ქვეწარმავლები თუ არიან?***

— ამბობენ, არიანო, მე არ მინახავს, მხოლოდ ხმა გამიგია მათი... ამიტომ ზაფხულში წინ ძაღლებს ვუშვებთ, მერე კაცებს, ბოლოს ქალები მივდივართ... ქვეწარმავლებიც უნდა იყვნენ, აბა რა! ორგანულად ერწყმიან ტყეს და მინდორს...

— ***ხვალ დილითაც უთენია ადგები და წახვალ?***

— აუცილებლად... კუს ტბა რომ არ იყოს, არ ვიცი, რა მეშველებოდა...

***ეკა მახარაშვილი***



# გენერალი ყურაშვილი საქართველოდან მიდის...

სულ ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც არშემდგარ ტერაქტში დადანაშაულებული გენერალი **გუჯარ ყურაშვილი** პატიმრობიდან გათავისუფლდა. მაგრამ მისი პიროვნების მიმართ ინტერესი არ ცხრება და მოვლენებიც ელვისებურად ვითარდება. უშიშროება დღემდე მიიჩნევს, რომ გენერალი ყურაშვილი საშიში პიროვნებაა და სანამ ეს ადამიანი არსებობს, პრობლემაც იარსებებს. თავად ყურაშვილი კი უახლოეს მომავალში საქართველოდან რუსეთში გადახვეწას აპირებს და მიიჩნევს, რომ დარჩენის შემთხვევაში მას ფიზიკურად გაანადგურებენ. ყურაშვილი „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ პირობასაც არ არღვევს და გალის მოვლენებზე შეძლებისდაგვარად, დეტალურად საუბრობს.

**— ბატონო გუჯარ, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსმა მალხაზ სალაყაიამ პრესის საშუალებით საკმაოდ სკანდალური განცხადება გააკეთა — მისი თქმით, თქვენზე კონტროლი გრძელდება. მაინტერესებს, თქვენ თუ შენიშნეთ ეს?**

— მიუხედავად იმისა, რომ სალაყაია არშემდგარი ტერაქტის გამოძიების საქმეს კურირებდა, მას პირადად არასოდეს შევხვედრივარ. თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართავ: შევხვდეთ და დავილაპარაკოთ. მისი თქმით, მე რომ ციხეში მომწამლეს, ეს მათ ინტერესებში თითქოს არ შედიოდა. ამ დროს თვითონვე წერს პრესაში, სანამ გუჯარ ყურაშვილი არის, პრობლემაც იქნებაო. გამოდის, საშიში რომ აღარ ვიყო, არ უნდა ვარსებობდე. როგორ დავიჯერო, რომ არ უნდოდათ ჩემი მოკვლა? თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართავ: „ბატონო მალხაზ, თუ თქვენ ჩემი სიკვდილი გინდათ, აიღეთ პისტოლეტი, მე უიარაღო ვიქნები და მომკალით! დაისვენეთ ერთხელ და სამუდამოდ!..“ რაც შეეხება თქვენს კითხვას — დარწმუნებული ვარ, ჩემი ტელეფონი ისმინება. მანამდე ისმინონ, სანამ არ მოსწყინდებათ. სადარბაზოსთან, რამდენჯერმე შევნიშნე „კუდი“. ვუთხარი კიდეც, რას დგახარ აქ-მეთქი. არა, სხვას ველოდები, ბატონო გუჯარო.

**— როდესაც ციხიდან გამოხვედით, „კვირის პალიტრას“ შეჰპირდით, რომ დაწვრილებით გვიამბობდით — რა მოხდა გალში. იქნებ შეგვისრულოთ დანაპირები?**

— თავიდან პარტიზანებსა და აფხაზებს შორის მოხდა შეტაკება. ამის შემდეგ აფხაზებმა ჩამოიყვანეს თავიანთი პოლიცია, სპეცრაზმები. მე მაშინ სარდალი ვიყავი, თელავის სადესანტო ბატალიონს ვავარჯიშებდი... თქვენ რა გგონიათ, მარტო გადმოხტომა კი არ არის დესანტის მომზადება. იმათ ხელჩართული ბრძოლა უნდა ასწავლო.... თელავიდან კრწანისში ფეხით ჩამოვიყვანე 200 ჯარისკაცი.

**— რატომ ჩამოიყვანეთ ფეხით?**

— იმიტომ, რომ დესანტს სიარული უნდა შეეძლოს. რომ იტყვიან, მგელს მუხლები აჭმევს საჭმელსო, იგივე ითქმის მედესანტეებზე. როგორც კი ჯარისკაცები ჩამოვიდნენ, თევზაძემ დამირეკა — სენაკში წაიყვანეო. მერე მითხრეს, გალში უნდა შეიყვანოო. ჩემი პირველივე შეკითხვა იყო: რა გავაკეთოთ-მეთქი. საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის წესდებაში წერია — როდესაც მეთაურს თავის შენაერთთან ერთად დავალებაზე აგზავნიან, უფროსმა უნდა მისცეს მონაცემები მოწინააღმდეგის შესახებ და კონკრეტულად უთხრას — რა უნდა გააკეთოს. არაფერი ამდაგვარი არ უთქვამთ, ისე წავიყვანე ეს ხალხი გალში. ვფიქრობ, თვითონ თევზაძემაც არ იცოდა, რა უნდა გამეკეთებინა. რომ ჩავედით, იქ დაგვხვდა დათო გულუა, რომელიც პარტიზანებს ხელმძღვანელობდა. დავიწყეთ ბრძოლა. პირველი სოფელი სიდა ავაღებინე ჩემს ბატალიონს. ჩემ გვერდით იბრძოდა ტყიბულის ბატალიონი, მარცხნივ — პარტიზანების სხვადასხვა შენაერთი, რომლებსაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ვუთხარი: მოდით, ერთი გეგმა შევიმუშაოთ და ერთად ვიბრძოლოთ-მეთქი. შინაგანი ჯარის ასმეთაური მეუბნება: მე თქვენ არ გემორჩილებითო, პარტიზანები მეუბნებიან: ჩვენ ჩვენი მეთაური გვყავსო. დავრჩი ჩემს ხალხთან. წავიწიეთ წინ, აფხაზები ხომ მესვრიან, ესენი, უკან ვინც დარჩნენ, ცალკე მესვრიან. ჯარისკაცი მეუბნება, — მგონი ალყაში ვართო. ვუპასუხე: ალყაში კი არ ვართ, წინიდან აფხაზები გვესვრიან, უკნიდან კიდევ ჩვენები-მეთქი... დავბრუნდი უკან და დათო გულუას ვუთხარი: დათო, ასე არ გამოვა, გალის რაიონში ერთი მეთაური უნდა იყოს-მეთქი. ეშინოდათ, ყურაშვილი რომ დავნიშნოთ, გალის რაიონს აიღებს და მერე მაგას მიეწერება დამსახურებაო. ამიტომ ისიც ვუთხარი, მე არ მინდა მეთაურობა, ვინც გინდა იყოს-მეთქი. ამ დროს იქ იყო ირაკლი ბათიაშვილი. ჰკითხეთ ბათიაშვილს, იყო თუ არა ასე. გულუას შევთავაზე: ზუგდიდში შენი შტაბი საჭირო არ არის, გადავიტანოთ გალის რაიონში, ხალხთან ახლოს მივიდეთ და პირადად შენ უხელმძღვანელე-მეთქი... წესდებაშიც კი წერია, რომ დივიზიის მეთაური წინახაზს დაშორებული არ უნდა იყოს კილომეტრნახევარზე მეტად. თუ კილომეტრ-რვაას მეტრს იქით დარჩება გენერალი, მას კანონის მიხედვით ციხეში ჩაჯდომა ეკუთვნის. აბა მითხარით, ზუგდიდიდან როგორ უნდა ემართა გალის ოპერაცია?! გარდა ამისა, შინაგან ჯარს და პარტიზანებს „მოტოროლები“ ჰქონდათ, მე — სამხედრო რაცია. ტალღებიც კი არ ემთხვეოდა, საერთოდ ვერ ვუკავშირდებოდი. ამ დროს პარტიზანებმა მითხრეს, გალის ამბები რომ დაიწყო, 4 პარტიზანი დაღუპულა და მათი რაციები აფხაზებს წაეღოთ. ეს იცით რას ნიშნავს? — რასაც ესენი საუბრობდნენ, აფხაზებს ყველაფერი ესმოდათ. ვუთხარი,



„მე მგონი, პრეზიდენტმა დღესაც არ იცის — რა მოხდა გალში...“

კოდი შევცვალოთ-მეთქი. კოდის შეცვლას 10 ათასი დოლარი უნდაო... ასე იყო... სოფელ თაგილონში ვიყავით, ბონდო ჯიქიაც იქ იყო. მორბის ვიღაც და ყვირის: შტაბი ალყაშია, შტაბი ალყაშიაო... ის-ის იყო, უნდა წავსულიყავი გასარკვევად, რომ ბონდო ჯიქიასთან პრეზიდენტმა დარეკა, როგორ არის საქმეო. ვუპასუხე: ბატონო პრეზიდენტო, ყველა თავის შენაერთს „კამანდრობს“-მეთქი. არავინ არაფერს გვეუბნება, რა უნდა გავაკეთოთ — ავიღოთ გალი, არ ავიღოთ, გავიდეთ არხზე, არ გავიდეთ, პატრონი არ არის-მეთქი. კარგი, გუჯარ, გავარკვევთო, მიპასუხა. ამ დროს სროლები ატყდა. მორბის ერთი ოფიცერი, მეუბნება: ბატონო გენერალო, გზაზე რთული სიტუაციაა და ჯარისკაცები თქვენ გეძახიანო. იქ მისვლა დიდი რისკი იყო. გადარბენებით, ხოხვით, გაწოლით ნახევარ საათში მივედი, თან ერთი ჯარისკაცი გავიყოლე, მაგრამ რა, გზაზე აღარავინ იყო. მიკვირს, — ეს ჩემი ხალხი სად წავიდა, ჩემი ბრძანების გარეშე ტერიტორია როგორ დატოვეს-მეთქი. საშინლად გავბრაზდი. ისეთი სროლა იყო, რომ რაღაც ბოგირი დავინახე და იმის ქვეშ შევძვერი. არ შევძვრებოდი, მაგრამ თაგილონიდან ჩვენებმაც სროლა დამიწყეს. ჯარისკაცი მეუბნება, უკნიდან ვიღაც სნაიპერი გვესვრისო. იძულებული გავხდი, ამ სნაიპერის მოსაშორებლად ჩვენი სოფლისკენ მესროლა. გამოვაღწიე. ჩემი ხალხის მოსაძებნად ენგურზე გადმოვედი — და იქ არ დგანან?! არა გრცხვენიათ-მეთქი! როგორ დატოვეთ იქაურობა და არ დამელოდეთ-მეთქი! — თქვენი ბრძანება გადმოგვცეს, ყურაშვილმა თქვა, მოიხსენით და ენგურს აქით წამოდითო... ვინ გადასცა ეს ცრუ ბრძანება, ღმერთმა იცის!

**— საბოლოოდ ვერ გაარკვიეთ, ვინ გადასცა ეს ბრძანება?**

— დღესაც ვარკვევ. ვიღაცამ მიღალატა. უფრო მეტიც, ჯარისკაცებმა იცით, რა მითხრეს? ჩვენ თქვენთვის არ დაგვიძახიაო. როცა ლეიტენანტს ვკითხე, ვინ გითხრა, რომ პოზიცია უნდა დაგეტოვებინათ-მეთქი. მიპასუხა — „ცეპოჩკით“ ჯარისკაცებმა გადმოსცესო.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შეგნებულად მოხდა?**

— აბა რა. სხვანაირად ეს გამორიცხულია. ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ შტაბში თევზაძესთან კამათიც კი მომივიდა: თუ ვომობთ, მაშინ გაერთიანებულებმა უნდა ვიომოთ. დაწერეთ ბრძანება: ვინ არის იქ უფროსი-მეთქი. ახლა დათო გულუა აღარ არის, გია შერვაშიძე დავნიშნეთო. ვიფიქრე, დამიძახებს შერვაშიძე, ამოცანას დამისვამს-მეთქი. არც დაუძახნია, არც არაფერი. მეუბნებიან, ისევ უნდა წახვიდე გალის რაიონშიო. წავიყვანე ჯარისკაცები და წავედი. არ უნდა წავსულიყავი! მოვტყუვდი! უნდა მეთქვა: რა დავალებით წავიდე! დამიწერეთ-მეთქი!.. არ მინდოდა წასვლა. გული მიგრძნობდა. ტყუილად დავაღუპვინე ის ჯარისკაცებიც, საწყლები... რომ შევედით და დავიწყეთ ბრძოლა, მეორე ბრიგადის მეთაურის მოადგილე რეზო ასმავა იყო. მას ვუთხარი, მოდი, ჰესი ავიღოთ და საქმე გაკეთებული იქნება-მეთქი. დამეთანხმა. ჰესი რომ აგვეღო, მერე აფხაზებთან ლაპარაკი უკვე ადვილი იქნებოდა. ბრძოლა რომ დაიწყო, უცნაური ის იყო, სნაიპერი ზურგიდან პირდაპირ მე მესროდა. ბიჭებმა მითხრეს — თქვენ სხვაფერი ფორმა გაცვიათ, ჩვენნაირი ჩაიცვით და შეგეშვებათო. მართლაც გამოვიცვალე და იმის მერე გაჩერდა. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მოკვლა იყო ნაბრძანები — მოკალით, მართლა არ აიღოს გალის რაიონიო. სხვათა შორის, 1998 წელს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა სტატიაც კი დაბეჭდა: ჩემი ყურით გავიგონე, დათო გულუამ როგორ გასცა ბრძანება: ყურაშვილს არ დაემორჩილოთო.

**— რატომ ვეღარ აიღეთ ჰესი?**

— ხომ გითხარით, ერთიანი ბრძანება არ იყო. შერვაშიძე კი იყო მეთაური, მაგრამ მას ხომ უნდა დაეწერა, გალის რაიონში შენაერთებს ვინ ხელმძღვანელობს. მე არანაირი პრეტენზია არ მქონია, მაგრამ ვიღაცა ხომ უნდა ყოფილიყო ხელმძღვანელი. ვერ გამეგო, რა ხდებოდა. მერე კი ბათიაშვილისგან გავიგე, — წინასწარ იყო დაგეგმილი, რომ გალის რაიონი არ უნდა აგვეღო. თურმე დიდი თანხა იყო გამოყოფილი საბრძოლო ტექნიკისთვის. გალში წასვლის წინ კი თევზაძემ დამირეკა და მითხრა, რომ პარტიზანებისთვის თავდაცვის სამინისტროდან იარაღი მიგვეცა. მივეცით ვაზნები, ტყვიამფრქვევები, ყუმბარმტყორცნები. თუ თანხა იყო ამისათვის გამოყოფილი, ჩვენ რისთვისღა ვაძლევდით საბრძოლო ტექნიკას?!. ბათიაშვილმა რომ თქვა, ეს თანხა სხვა მიზნებისთვის გაიხარჯაო, მერე კი მივხვდი, რატომ არ უნდოდათ გალის აღება და რატომ არ იყო იქ ერთიანი ხელმძღვანელობა. გალი რომ აგვეღო, ყველაფერი ეს გამჟღავნდებოდა. დაკარგვის შემდეგ კი ყველაფერი მიჩქმალეს. როგორც ვიცი, ეს ფული შსს-ში გაქრა. ჯიბეში ჩაიდეს და მორჩა.

**— როდესაც თბილისში ჩამოხვედით, არავის უამბეთ ეს ყველაფერი?**

— სულ შემეცვალა შთაბეჭდილება. მივხვდი, რომ პრეზიდენტი შეჰყავდათ დიდ შეცდომაში. მე მგონი, პრეზიდენტმა დღესაც არ იცის სიმართლე — რა მოხდა გალში. რომ ჩამოვედი, მაშინ ბადრი ბიწაძე იყო სამხედრო პროკურორი. იმასთან მივედი და ყველაფერი ვუამბე. თვითონ მითხრა: შენ ამას პრეზიდენტს მოუყვებიო? თუ შემახვედრებ, მზად ვარ-მეთქი. კი შემპირდა, მაგრამ... ნახევარი წლის შემდეგ ციხეში ჩამსვეს.

**— ბატონო გუჯარ, თქვენ დეტალურად დღემდე არ გითქვამთ, რატომ შეხვდით იგორ გიორგაძეს...**

— კარგი, გეტყვით. ჯერ ერთი, ეს იყო შემთხვევითი შეხვედრა. გავიგე, რომ ჩვენი სამხედრო ტყვეები არიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. 412 კაცი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. სავარაუდოდ, ისინი იყვნენ სოფელ ფსხუში. ხალხი გავაგზავნეთ მაგრამ ვერ მოიტანეს ინფორმაცია, ისინი სამხედრო ტყვეები იყვნენ თუ პატიმრები. ვერცხლის საბადოებზე რომ ამუშავებდნენ, ეს ვიცი. ამიტომ იმ პერიოდში მოვინდომე რუსების მხრიდან დამეზუსტებინა ეს ამბავი. იმ რუსი გენერლის სახელს არ გეტყვით, მაგრამ რომ შევხვდი, იგორ გიორგაძეც მოვიდა. სხვათა შორის, გიორგაძეც შემპირდა, დაგეხმარებითო.

**— დაგეხმარათ?**

— ეს საუბარი აპრილში შედგა და მაისში დამიჭირეს. ჩვენებაც მივეცი სასამართლო პროცესზე, მაგრამ არ გაითვალისწინეს.

**— რაც ციხიდან გამოხვედით, სამსახურიდან თუ დაგიკავშირდათ ვინმე?**

— არა. რომც დამიკავშირდნენ, მანდ მივალ? მე ისეთი მუხლებით მასამართლებდნენ, ვინ დამიძახებს.

**— რას აპირებთ?**

— უახლოეს მომავალში რუსეთში ვაპირებ წასვლას. მე ბიზნესის არაფერი მესმის, მაგრამ რამეზე მამუშავებენ ახლობლები ოფისში. ვიზას ველოდები და მივდივარ. აქ რომ დავრჩე, რამეს მომიწყობენ — ან ავარიას, ან მანქანაში ჩამცხრილავენ. ადამიანის მოკვლას რა უნდა — იარაღი არა აქვთ თუ რა!

***მარინა მამისაშვილი***

# ლოტკინელმა ბოშათა ბარონმა საკუთარი ვაჟი მოკლა



გასულ კვირას პოლიციამ შვილისა და მოსამსახურის მკვლელობისთვის დააპატიმრა ე.წ. ბოშათა ბარონი **ვასილ მარტინოვი**, რომელიც ლოტკინის ზემო დასახლებაში, ბოშათა უბანში ცხოვრობდა. იგი უბანში ავტორიტეტით სარგებლობდა და ელიტარული კასტის წარმომადგენლად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ მარტინოვი უხუცესის ფუნქციას ასრულებდა. შესაძლოა, მის „ავტორიტეტს“ შიშის ფაქტორიც განსაზღვრავდა. სამართალდამცველთა მონაცემებით, იგი ორჯერ იყო ნასამართლევი — ერთხელ რძლის მკვლელობისთვის, მეორედ — ხულიგნობისთვის. ბოლო ერთი წელი კი საყვარელთან — ილონა მარენთან და მოსამსახურესთან (ყმა) — იური ბონდარენკოსთან ერთად ცხოვრობდა.

## რატომ დაწვა ბოშათა ბარონმა იური ბონდარენკო?

იური ბონდარენკო ზუგდიდიდან ჩამოსული უთვისტომო, უპატრონო კაცი იყო. გაჭირვების გამო ის ბოშა ვასილ მარტინოვს შეეკედლა. თავდაპირველად მას გარკვეულ ანაზღაურებასაც შეჰპირდნენ და ისიც ბოშებს საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. მეზობლების თქმით, ბონდარენკო მონა უფრო იყო, ვიდრე მოსამსახურე. გასამრჯელოს არ უხდიდნენ, აბუჩად იგდებდნენ და სამადლოდ აჭმევდნენ.

როგორც ჩანს, მოსამსახურეს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო და პერიოდულად, გულმოსული, თავის „პატრონებს“ არყის ფულს მაინც სთხოვდა. ეს ფული კი რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ორმოცდაათი თეთრი იყო. იმ დღეს ბარონის საყვარელმა, ილონა მარენმა ორმოცდაათი თეთრი აღარ მისცა და შელაპარაკებაც მოუვიდათ. უთვისტომო რუსს არყის ფულის მიცემის ნაცვლად ცულის ტარი ჩაარტყეს ზურგში. ვასილ მარტინოვი ამ ფაქტში თავის საყვარელს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ცულის ტარი მან კი არა, ილონა მარენმა ჩაარტყა ბონდარენკოს, თუმცა არ უარყოფს, რომ შემდეგ მან კისრის არეში პისტოლეტი ესროლა მოსამსახურეს.

ბონდარენკო ადგილზე გარდაიცვალა. შეშინებულებმა მოსამსახურის გვამი „ბმვ“-ს საბარგულში ჩატენეს და თბილისის ზღვაზე წაიღეს. აქ, დენდროლოგიური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გვამს ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. მოკლული პოლიციამ რამდენიმე დღეში აღმოაჩინა, თუმცა მისი ვინაობის დადგენა შეუძლებელი იყო. შესაძლოა, მოკლულის პიროვნების დადგენა ვერც მომხდარიყო, ვასილ მარტინოვს ამ მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ საკუთარი შვილი — 21 წლის მიშა მარტინოვი რომ არ მოეკლა.

## ბოშამ ორი დღის შემდეგ საკუთარი ვაჟიც მოკლა

როგორც ირკვევა, მოსამსახურის მკვლელობის შემდეგ ბარონი არ გამოფხიზლებულა. მიუხედავად იმისა, რომ თავის საყვარელთან ერთად მარტინოვი მკვლელობის დაფარვას ცდილობდა, ინფორმაციამ მაინც გაჟონა. ამ ამბავმა ვასილ მარტინოვის ვაჟის, მიშა მარტინოვის ყურამდეც მიაღწია, თუმცა პირისპირ მამას ვერაფერს უბედავდა. როგორც ჩანს, შვილის უგუნებობამ შეაწუხა მამა და ჩაეძია: „იცი, თუ არა, რა მოხდა!.. იცი, თუ არა, რა მოხდა?“ გაღიზიანებულ შვილს პირდაპირ მიუხლია მამისთვის: „ყველაფერი ვიციო“ და შელაპარაკებაც აქედან დაწყებულა. გამტყვრალმა მარტინოვმა ჩხუბის შემდეგ ახლა შვილს ესროლა პისტოლეტი და გულ-მკერდის არეში სასიკვდილოდ დაჭრა. ინციდენტს შეესწრო დედაც, აზა მარტინოვა და სხვა პირებიც, რომლებიც საქმეში ჯერჯერობით არ ჩანან. დაჭრილი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, თუმცა იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ბოშები მიცვალებულს საავადმყოფოდან იტაცებენ და კვლავ დანაშაულის დაფარვას ცდილობენ, პანაშვიდზე მისულ ხალხს გარდაცვალების მიზეზად გულის შეტევას უსახელებენ.

გამოძიება ხმამაღლა არ აცხადებს, როგორ შეიტყვეს გარდაცვალების მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ ვიღაცამ სიმართლე პოლიციის ყურამდე მიიტანა. ვასილ მარტინოვის დაკავების შემდეგ დადგინდა დამწვარი გვამის ვინაობაც. როგორც გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორმა ზურაბ საძაგლიშვილმა განგვიცხადა, მარტინოვი თავდაპირველად ჩადენილ მკვლელობას არ აღიარებდა და ამბობდა, რომ მოსამსახურე მისმა ვაჟმა მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლაო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მარტინოვს მეუღლე დაუპირისპირეს, მარტინოვმა ტირილით ყველაფერი აღიარა.

ბოშათა „ბარონის“ მეუღლე, აზა მარტინოვა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში ქმარს მაინც ხელს აფარებს და ამბობს, რომ მის ქმარს პისტოლეტი შემთხვევით გაუვარდა. ინტერვიუ ბოშათა უბანში არცთუ ისე სასიამოვნო გარემოში ჩავწერეთ:

— ჩემი ქმარი ფეხებზე მკიდია, შვილი მომიკლა.

**— როგორ მოხდა მკვლელობა?**

— პისტოლეტს ათამაშებდა ხელში და შემთხვევით გაუვარდა.

**— რაზე მოუვიდათ ჩხუბი?**

— არ ჩხუბობდა ჩემი ქმარი. შემთხვევით გაუვარდა.

**— მაგრამ დაკრძალვამდე მალავდით ამას და ამბობდით, რომ თითქოს გულის შეტევით გარდაიცვალა.**

— რა ვმალავდი, რას ვმალავდი. რა შენი საქმეა? ეს ჩემი საქმეა. ჩემი გაჭირვება მაქვს, ჩემს შვილს გამიცოცხლებთ, რომ გელაპარაკოთ?

*(გაგრძელება იხ. გვ.13)*

# „უფრო სწორი იქნება, თუ მათ ბავშვების „ბარიგებს“ ვუწოდებთ“

**ყოველწლიურად უცხოეთში გაყიდული ქართველი ბავშვების რიცხვი სამნიშნა ციფრით აღინიშნება და კარგა ხანია, 400 -ს გადააჭარბა**

ის იყო, ნადმა სიმინდის მოსავლის აღება დაიწყო, რომ მოულოდნელად გლეხებს ბავშვის ტირილის ხმა შემოესმათ. მუშაობას თავი ანებეს, ხმას მიჰყვნენ და ყანის ბოლოს, სარწყავი არხის პირას ჩვრებში დაუდევრად გახვეული, თითქმის შიშველი, ტალახში ამოგანგლული და სიცივისგან აკანკალებული ჩვილი ბავშვი დაინახეს. ხელებს უმწეოდ ასავსავებდა, ჩანდა, კარგა ხანია ეგდო მიწაზე, ეტყობოდა, მაღალი სიცხეც ჰქონდა. გლეხებმა კაცი აფრინეს სოფელში ექიმის მოსაყვანად. დიდი თუ პატარა ფეხზე დადგა. ექიმებმა შეუძლებელი შეძლეს და ჩვილს სიცოცხლე შეუნარჩუნეს. პარალელურად, ადგილობრივი პოლიცია შეუდგა გამოძიებას, თუ ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ თავისი სისხლი და ხორცი, მაგრამ ერთი თვის ბავშვის პატრონი ვერსად ნახეს.

ამასობაში, თბილისში ხმა გავრცელდა, დასავლეთ საქართველოს ერთ სოფელში მიტოვებული მშვენიერი ბიჭი უპოვიათ და მის სანახავად საქართველოში საზღვარგარეთული სააგენტოების, რომლებიც ბავშვთა გაშვილებით არიან დასაქმებულნი, წარმომადგენლები სოფელს ეწვივნენ. ბავშვს ყველა თავისკენ ექაჩებოდა, რათა მისი დასაკუთრების შემდეგ უცხოეთში რამდენიმე ათას დოლარად გაეყიდათ. საქმეში განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის ინტერნატიული დაწესებულების სამმართველოს თანამშრომლები ჩაერთვნენ, რომლებმაც ნაპოვნი ბავშვის „ჩვილ ბავშვთა სახლში“ ჩაბარება გადაწყვიტეს, მაგრამ სოფელმა უპატრონო ბავშვი არავის დაანება და გზა გადაკეტეს, მისი წაყვანა რომ ვერავის მოეხერხებინა. თუმცა მხოლოდ გზის გადაკეტვა საქმეს ვერ უშველიდა, ვინმეს თავი ბავშვის მშობლად უნდა ეღიარებინა. სოფელში ოფიციალურად დაუქორწინებელი ერთი ახალგაზრდა უშვილო წყვილი ცხოვრობდა. სწორედ ამ ახალგაზრდებმა განაცხადეს, თითქოს ბავშვი მათი იყო. განათლების სამინისტრომ იცოდა, რომ ეს სიცრუე იყო, მაგრამ სხვებივით მანაც თვალები დახუჭა. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა კანონის დარღვევა, ადამიანური პოზიციიდან გამომდინარე, აუცილებელიც კი ხდება. ერთი სიტყვით, ბავშვი სოფელში დარჩა.

აფერუმ, სოფლის მოხერხებას და გულკეთილობას, მით უმეტეს, დღეს, როცა ათასგვარი ხრიკით ყოველწლიურად საქართველოდან ასობით ბავშვს საზღვარგარეთ აშვილებენ.

ეს ისტორია იმიტომ გიამბეთ, რომ ჩვენი დღევანდელი სტატია საქართველოდან საზღვარგარეთ ჩვილ ბავშვთა გაშვილების პრობლემას ეძღვნება.

ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად საქართველოდან საზღვარგარეთ ათეულობით ჩვილი ბავშვის გაშვილება ხდება. ასე, მაგალითად, 1995 წელს — 58-მა ბავშვმა, 1996 წელს — 90-მა, 1997 წელს — 95-მა, 2000 წელს — 60-მა, ხოლო შარშან 53-მა ჩვილმა იპოვა საზღვარგარეთ მშობელი. სოციოლოგიური მთავარი კვლევითი ცენტრის ექსპერტ-სოციოლოგის მალხაზ ნინიძის ვარაუდით, ყოველწლიურად უცხოეთში გაყიდული ქართველი ბავშვების რიცხვი სამნიშნა ციფრით აღინიშნება და კარგა ხანია, 400-ს გადააჭარბა. როგორც ექსპერტ-სოციოლოგთან საუბრისას გაირკვა, ამერიკის და კანადის ჩვილ ბავშვთა „შავი ბაზრები“ ძირითადად, „ნედლეულით“ პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან მარაგდებიან. თურმე ერთი ქართველი ახალშობილის საბაზრო ფასი 15-დან 20 ათას დოლარამდე მერყეობს. მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის 11 მარტს საქართველო შეუერთდა ჰააგის „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ კონვენციას, ამასთან, 1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კრძალავს ბავშვების გაშვილებას ფინანსური გარიგებით, ანუ აკრძალულია ბავშვების გაყიდვა.

ბავშვებით ვაჭრობა დღეს ერთ-ერთი სარფიანი ბიზნესია ქვეყანაში. გარიგება, ძირითადად, ბავშვის გამშვილებელსა და მყიდველს შორის ხდება.

უფრო მეტიც, საქართველოში დღეს მოქმედებს ორი — ამერიკული და კანადური სააგენტოს წარმომადგენლობა, რომელთა ოფიციალური სტატუსი შვილად აყვანა-გაშვილების პრობლემის მოგვარება გახლავთ. საქართველოს კანონმდებლობა ბავშვის უცხოეთში გაშვილებას არ კრძალავს, ამიტომაც ერთი შეხედვით, უცხოურ სააგენტოებს კანონგარეშე ვერც გამოაცხადებ. მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლი, რომელიც „ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილებას“ ეხება. იქ კი წერია: „თუ საქართველოში არ მოიძებნა მშვილებელი, ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილების საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება“. მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში 17 ათასი უშვილო ოჯახია დაფიქსირებული. განათლების სამინისტროს კი ე.წ. ცენტრალურ აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს ბავშვის შვილების მსურველი 5000 ოჯახი. როგორც ვთქვით, შარშან საქართველოდან საზღვარგარეთ ოფიციალურად 53 ბავშვი გაშვილდა. საქართველოში კი მხოლოდ 24 ოჯახს ეღირსა ის ბედნიერება, რასაც შვილის ყოლა ჰქვია. იბადება კითხვა: თუ ასე გაგრძელდა, რამდენწლიანი ლოდინი მოუწევთ ქართველ უშვილო ოჯახებს? ოფიციალური მონაცემები აშკარად ცხადყოფს სხვაობას საზღვარგარეთ გაშვილებულთა სასარგებლოდ. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ყველა უშვილო ოჯახი, რომლებიც განათლების სამინისტროში აღრიცხვაზეა, საკმარისზე მეტადაც უზრუნველყოფილია. კანონი აშკარად ირღვევა — მაშინ, როცა საქართველოში ბავშვის მშვილებელი მოსაძებნად კი არა, თავზე საყრელადაა და რისთვისღა გვჭირდება ისეთი ალტერნატივა, როგორიც ბავშვის საზღვარგარეთ გაშვილებაა. სწორედ ამის გამო შარშან განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის დაჟინებული მოთხოვნით, ლიცენზიების მოქმედება შეუწყდა ათ უცხოურ სააგენტოს ფილიალს საქართველოში, რომლებიც უცხოეთში ბავშვების გაყიდვით იყვნენ დაკავებულნი. მიუხედავად ამისა, ამ სააგენტოების წარმომადგენლებმა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში მოიძიეს მუხლი, რომლის წყალობითაც წარმატებით აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას ჩვენი ერისა და სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ. კერძოდ კი, სამოქალაქო კოდექსის 1251-ე მუხლი „მშობლების თანხმობა გაშვილებისას“ ამბობს, რომ „მშობლებს შეუძლიათ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა მისცენ კონკრეტულ პირს (პირებს), ან თანხმობა განაცხადონ გაშვილებაზე კონკრეტული პირის მიუთითებლად და მშვილებლის შერჩევა მიანდონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს“. ეს საკმარისი



აღმოჩნდა საიმისოდ, რათა უცხოური სააგენტოების საქართველოს ფილიალები გადაკეთებულიყვნენ კონკრეტულ პირებად და დაუბრკოლებლად გაეგრძელებინათ თავიანთი საქმიანობა. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის ინტერნატიული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს **თამარ ამზაშვილს**:

— ამერიკული და კანადური გაშვილების სააგენტოების საქართველოს ფილიალების წარმომადგენლები, უფრო სწორი იქნება, თუ მათ ბავშვების „ბარიგებს“ ვუწოდებთ, დღედაღამ დაძრწიან სამშობიაროებში, „ჩვილ ბავშვთა სახლებში“. მათ ძალიან კარგად იციან, რომელ მეან-გინეკოლოგს მიმართონ, ან სად და როგორ გამოიჭირონ შეცდენილი და დაფეხმძიმებული ახალგაზრდა ქალები. თუ სხვა გზა არ არის, მოიძიონ ე.წ. დონორი დედები, რომლებიც 3 ათას დოლარად მზად არიან შვან ბავშვი.

— **იქნებ უფრო დაწვრილებით გაგვაცნოთ ამ პროცესის მოქმედების მექანიზმი...**

— რიგითი მოქალაქე, მნიშვნელობა არა აქვს, კანადელი იქნება იგი თუ ამერიკელი, ოფიციალურად უკავშირდება თავისი ქვეყნის შესაბამის სააგენტოს, რათა ამ უკანასკნელმა საზღვარგარეთ მოიძიოს მისთვის ბავშვი. თავის მხრივ, სააგენტო უკავშირდება თავის წარმომადგენელს საქართველოში და ბავშვის მოძებნას ავალებს. უცხოელი მოქალაქე და სააგენტოც ქართველი წარმომადგენლის მარწუხებში ხვდებიან. წარმომადგენელი „შოულობს“ ბავშვს, სანაცვლოდ კი ითხოვს ფულს დღევანდელი ნიხრით, 20 ათას დოლარს. უცხოელი უშვილო ოჯახი ძალაუნებურად თანხმდება დანაშაულებრივ გარიგებას და სააგენტოს უხდის თანხას, სააგენტო კი ამ ფულს დავალების შემსრულებელს უგზავნის. მას შემდეგ, რაც სააგენტოების წარმომადგენლებს ლიცენზია ჩამოართვეს, ისინი მოქმედებენ როგორც ამა თუ იმ უშვილო უცხოელი მოქალაქის ნდობით აღჭურვილი პირები. მაგალითად შემიძლია ერთი ასეთი ფაქტი მოგიყვანოთ: არცთუ ისე დიდი ხნის წინ, სასამართლომ მოგვთხოვა დასკვნა, რათა ჩვილი ბავშვი გაეშვილებინათ უცხოეთში. თურმე ჭიათურის რაიონის ერთ-ერთი მთის სოფლის მრავალშვილიანი, მეტად გაჭირვებული ოჯახის დიასახლისი თბილისში, ალექსანდროვის ბაღში ასეირნებდა თავის ორიოდე თვის ნაბოლარას. სწორედ იმ დროს ბაღში ასევე სეირნობდა კანადიდან ჩამოსული უშვილო ცოლ-ქმარი. მათ ძალიან მოსწონებიათ პატარა და დედას გამოეცნაურნენ, შემდეგ კი დაახლოვდნენ. საინტერესოა, რა ენაზე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს კანადელი მეუღლეები და სოფლიდან ჩამოსული ქალი, რომელიც მოგვიანებით დაწერილ განცხადებაში წერს, რომ „იგი თანახმაა, იმის გამო, რომ მრავალშვილიანია და ძალიან უჭირს შვილების შენახვა, გააშვილოს თავისი უმცროსი შვილი მხოლოდ კანადელ ცოლ-ქმარზე, რადგან ისინი მისი ახლობლები არიან, კარგად იცნობენ ერთმანეთს და დარწმუნებულია, რომ მის შვილს კარგად აღზრდიან“. ბევრი ვუმტკიცე სასამართლოს, აქ ფინანსურ გარიგებას აქვს ადგილი, კერძოდ, ბავშვს ყიდიან. გაჭირვებული მრავალშვილიანი დედა, თუ შვილი ჯანმრთელი ჰყავდა, მოსავლის აღების დროს, სოფელს არ მიატოვებდა და თბილისში ალექსანდროვის ბაღში არ ისეირნებდა-მეთქი, მაგრამ ამაოდ. სასამართლომ გარიგების, ანუ ბავშვის გაყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი მომთხოვა, მას კი როგორ წარვადგენდი, ფულის გადაცემაზე მე არავინ დამასწრებდა. ასეთ დროს ჩვენ უძლურები ვართ. სააგენტოს რწმუნებულმა ამ ფაქტს ფინანსური გარიგება კი არა, კეთილი ნების გამოვლინება უწოდა.

არსებობს სხვა მექანიზმიც. სააგენტოს წარმომადგენელი პოულობს დონორ დედას, რომელიც თანახმაა დაფეხმძიმდეს ან უკვე ფეხმძიმედაა, შემდგომში ბავშვის გაყიდვის მიზნით. წარმომადგენელი წინასწარ უხდის ქალს გარკვეულ თანხას და მოსალოგინებლად ამგზავრებს საზღვარგარეთ, სადაც მას მოვლა-პატრონობას არ აკლებს შვილის აყვანის მსურველი უშვილო ოჯახი. ბავშვის დაბადების შემდეგ ბიოლოგიური დედა ტოვებს ბავშვს და უკან გასქელებული ჯიბით ბრუნდება.

— **სანამ ამ თემაზე მუშაობას დავიწყებდი, კოლეგებმა მირჩიეს, დაანებე თავი სააგენტოებს, არ ჯობია ბავშვი უცხოეთში უზრუნველად გაიზარდოს, ვიდრე საქართველოში მათხოვრადო. იქნებ მართლა სჯობს არაფერი დავწერო ამ სააგენტოების წარმომადგენლებზე?**

— ვერ დაგეთანხმებით... თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში ათასობით უშვილო, თანაც უზრუნველყოფილი ოჯახია, რომლებიც სიხარულით აიყვანენ გასაზრდელად ბავშვს. ამაზე აუცილებლად უნდა დაიწეროს, რადგან საქართველოს დემოგრაფიული ვითარება კრიზისულია. ვინ იცის, იქნებ რა შესაძლებლობის ბავშვს ვუკარგავთ საქართველოს, ხომ შეიძლება უცხოეთში გაშვილებულებში გალაკტიონ ტაბიძის, ნოდარ დუმბაძის, სანდრო ახმეტელის და სხვა უამრავი სასიქადულო ადამიანის საქმის გამგრძელებლები იყვნენ?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კანონით ბავშვს დაბადებისთანავე აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი, ეროვნება, აღიზარდოს ოჯახში. ჩვენ კი, როცა ბავშვს საზღვარგარეთ ვაშვილებთ, ვუცვლით სახელსაც, გვარსაც, ეროვნებასაც, მოქალაქეობასაც, სარწმუნოებასაც, ანუ ვქმნით სრულიად ახალ ადამიანს, გაყალბებული საბუთებით. ხომ არ ჩავდივართ მიუტევებელ ცოდვას და ზედმეტად ხომ არ ვიჭრებით უზენაესის კომპეტენციაში?!

— **მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოში მცხოვრები ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება შეიძლება მხოლოდ მისი დაბადებიდან ექვსი თვის შემდეგ. სამწუხაროდ, გაშვილებული ბავშვების უმრავლესობა ერთიორი თვის თუ არის...**

— გეთანხმებით, ამ მხრივაც ირღვევა კანონი. სააგენტოების წარმომადგენლებს ისეთი დახვეწილი მექანიზმები აქვთ, რომ იშვიათი შემთხვევების გარდა, თითქმის გამორიცხულია, დედისგან უარყოფილმა ჩვილმა განათლების სამინისტროს „ჩვილ ბავშვთა სახლამდე“ მიაღწიოს და გაშვილების საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე მოხვდეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვი ბანკში აღრიცხვაზე მოხვდება, ექვსი თვის შემდეგ შეგვიძლია მისი სხვა სახელმწიფოში გაშვილება. როგორც ვთქვი, დედა მანამდე წერს განცხადებას და სააგენტოს წარმომადგენლის მეშვეობით მიუთითებს მისი შვილის მშვილებლის ვინაობას.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით (რომ არაფერი ვთქვათ, ჰააგის საერთაშორისო კონვენციაზე) ბავშვების ყიდვა-გაყიდვით ხელის მოთხობა სისხლის

**სააგენტო უკავშირდება თავის წარმომადგენელს საქართველოში და ბავშვის მოძებნას ავალებს. უცხოელი მოქალაქე და სააგენტოც ქართველი წარმომადგენლის მარწუხებში ხვდებიან. წარმომადგენელი „შოულობს“ ბავშვს, სანაცვლოდ კი ითხოვს ფულს, დღევანდელი ნიხრით, 20 ათას დოლარს. უცხოელი, უშვილო ოჯახი ძალაუნებურად თანხმდება დანაშაულებრივ გარიგებას.**

სამართლის სერიოზულ დანაშაულად ითვლება და 5-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთასაც კი ითვალისწინებს, ბავშვების „ბარიგები“ ამას ყურადღებასაც არ აქცევენ და უშიშრად აგრძელებენ საქმიანობას. როგორც ჩანს, მათ ბიზნესს ხელისუფლების რომელიღაც გავლენიანი წარმომადგენელი ან წარმომადგენლები მფარველობენ. ამის თქმის უფლებას თუნდაც ის ფაქტიც გვაძლევს, რომ საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით დასჯადი იყო შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის, ანუ დონორის წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანა, ან ასეთი სახის გაშვილებისათვის ხელის შეწყობა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსში ეს ნორმა ამოღებულია და, ვფიქრობთ, დაუსაბუთებლად, რადგან ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მექანიზმი ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის გაყიდვის ხერხი გახლავთ...

ჩვენ კომენტარისთვის განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის საშუალო განათლების და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, **მერაბ სანიკიძესაც** მივმართეთ. მისი თქმით, კანონით ბავშვის მყიდველიც და გამყიდველიც ისჯება და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, რომელი იტყვის, ბავშვი ვიყიდე და ამდენი გადავუხადე მაკლერსო. არის შემთხვევები, როცა პირდაპირ ბავშვთა სახლიდან ან სამშობიაროდან იყიდება ბავშვები. ჩვენთან კი, ანუ „ჩვილ ბავშვთა სახლში“ უმეტესად ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვები ხვდებიან. მაგალითად, ცერებრალური დამბლით, ან თანდაყოლილი ასთმით დაავადებულები.

— **ჩვენი ინფორმაციით, ჯანმრთელ ბავშვებს ჯანმრთელობის ცნობებს უყალბებენ. იქ ისინი სერიოზულ ავადმყოფებად არიან დაფიქსირებულები. ასეთ შემთხვევაში მათი საზღვარგარეთ გაშვილება იოლია.**

— შესაძლებელია, მაგრამ ასეთ დროს სასურველია დამადასტურებელი საბუთი გვქონდეს. მხოლოდ ამბად მოსმენილით რაიმე ქმედითი ღონისძიების გატარება და დასკვნების გაკეთება შეუძლებელია.

— **როგორც შევიტყვეთ, „ჩვილ ბავშვთა სახლებში“ არიან 2 ან მეტი წლის ბავშვებიც. რატომ არ ხდება მათი გაშვილება საქართველოში, უშვილო ოჯახებში, რომლებიც ბავშვის შვილად აყვანას ითხოვენ?**

— საქმე ის არის, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ხელწერილი დედამ მშობიარობიდან ექვსი კვირის შემდეგ უნდა დაწეროს, რადგან მშობიარობის პირველ დღეებში დედა იმდენად სტრესულ მდგომარეობაშია, რომ ზოგიერთმა შეიძლება თავისი შვილი უარყოს. ამიტომ საჭიროა გარკვეული დროის გასვლა, რათა დედამ გადაწყვეტილება მიიღოს. ეს ცივილიზებული ფორმა კი არის, მაგრამ სამაგიეროდ, ექვსი კვირის შემდეგ დედის მოძებნა და იდენტიფიცირება ძალიან ძნელია. ზოგჯერ დედა განცხადებას არც წერს და ისე ტოვებს თავის შვილს. ასეთ შემთხვევაში კი ბავშვის გაშვილება არ შეიძლება, სანამ დედა უგზო-უკვლოდ დაკარგულად არ გამოცხადდება — ეს კი მხოლოდ დედის გაუჩინარების ორი წლის შემდეგ შეიძლება მოხდეს. ამიტომაც არიან „ჩვილ ბავშვთა სახლში“ 2 წლის ბავშვები, რომლებიც ჯერჯერობით გაშვილებას არ ექვემდებარებიან.

ჩვენ განათლების სამინისტროში იმ უცხოური სააგენტოების ქართველი წარმომადგენლების ტელეფონის ნომრებიც მოვიპოვეთ, რომლებიც ბავშვების ყიდვა-გაყიდვით არიან დაკავებულები.

დაკავშირებით მათ კი დავუკავშირდით, მაგრამ ყველამ ერთხმად უარი განაცხადა საუბარზე უცხო პირთან. ბოლოს ერთი ნაცნობი ქალბატონი დაგვეხმარა. მან ორი წლის წინ მათი დახმარებით გოგონა იშვილა, უფრო სწორად, მამასისხლად იყიდა, სწორედ მისი რეკომენდაციის შემდეგ გაიმართა ეს დიალოგი:

— იცით, საყვარელი მყავს, ახალგაზრდა გოგოა, გამოუცდელი. თურმე დაორსულებულა და იმის შიშით, არ მიმატოვოსო, არაფერი მითხრა. ახლა აბორტი დაგვიანებულია და სხვა გზა არაა, ბავშვი უნდა გააჩინოს. მაგრამ ოჯახში ვერ გაამხელს... მალულად კი ვამშობიარებ, მაგრამ ხომ იცით, ლეგალური მშობიარობა რა ღირს და არალეგალური რა დამიჯდება. თანაც ერთი-ორი კაპიკიც არ მაწყენდა. იმ გოგოსაც პატრონობა უნდა...

— *ყველაფერი გასაგებია. ერთი ეს მითხარი, ბავშვი ბიჭია თუ გოგო, ჯანმრთელია?*

— როგორ გეკადრებათ? ავადმყოფს რა გვიგავს ან მე ან იმ გოგოს? ბიჭია და კარგად განვითარებულიც.

— *როდის უნდა იმშობიაროს?*

— დაახლოებით ორ თვეში, მაგრამ მანამდე ოჯახს უნდა გავარიდო, რომ მისიანებმა რაიმეზე ეჭვი არ აიღონ. ამხელა მუცლის დამალვა გაუჭირდება.

— *შენ კი გინდა გაშვილება, მაგრამ ქალი თუ თანახმაა? ხომ იცი, ქალების ამბავი — თავიდან თანახმა იქნება, მერე გადმოვა შეტევაზე. შარში არ გამხვიო, თუ კაცი ხარ...*

— მაგის დარდი ნუ გექნებათ... ჩემს სიტყვაზე პასუხს ვაგებ...

— *კარგი, კანადაში გავუშვათ ტურისტული საგზურით. იქ ჩემი ხალხი დახვდება. იქვე იმშობიარებს და ბავშვსაც იქ დატოვებს. მგზავრობა, საგზური, მშობიარობა, საავადმყოფო, ბინა, ჭამა-სმა — ჩვენი ხარჯით იქნება. ყველაფერი თუ კარგად დამთავრდა და ჯანმრთელი ბავშვი გაჩნდა, ქალს ბავშვის მშობლები ნაწყენს არ დატოვებენ, შენც ჩემგან 3.000 დოლარს მიიღებ.*

— შენ, ძმაო, მართლა არიფი ხომ არ გგონივარ, ქუჩის მეძავის შვილს კი არ ვყიდი...

— *კარგი, 4.000 იყოს და მოვრჩეთ ბაზარს...*

— ამ საქმეს 5.000 უნდა... ერთი ესაა, კანადაში ვერ გავუშვებ. გოგოს ფრენის შიში აქვს. იქნებ აქვე ვამშობიაროთ და ბავშვი წავიყვანოთ კანადაში.

— *იცი, რამდენი ჯდება აქ დაბადებული ბავშვის საზღვარგარეთ გაშვილება? არასრულწლოვანთა კომისიას უნდა, სასამართლოს უნდა, სამინისტროს უნდა, მერე შენ რა მოგცე ან მე რა უნდა დამრჩეს?!*

— იქნებ აქ ვიპოვოთ ვინმე ხეირიანი, რომელიც ფულს გადაგვიხდის.

— *კი, არის ერთი, მაგრამ კანადელებზე ბევრად ცოტას გადაიხდის. ქართველი ახალგაზრდა ცოლ-ქმარია. ოღონდ შენი ქალი იმ უშვილო ქალის სახელით და გვარით დაწვება სამშობიაროში. თუმცა, შენ ამაზე არ დათანხმდები, რადგან შენ წილად ათას დოლარზე მეტის მომცემი არ არიან.*

— ცოტაა...

— *რა ვქნა, ძმაო, მე 500 დოლარი მრჩება, მეტი კი არა, ამასაც შენი ახლობლის ხათრით ვაკეთებ...*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

P.S. *რა ხდება, ხალხო?! სულ გადავჯიშდით? ვინ ყიდის XX საუკუნეში თავის სისხლს და ხორცს? ის სირცხვილიც ვერ მოგვინელებია, როცა სტამბოლის ბაზრები ქართული ცოცხალი საქონლით იყო სავსე, სადაც რჩეულ ქალიშვილებს და ჭაბუკებს ორიოდ გროშად ყიდდნენ? როცა ქართველი მამლუქები საქართველოსთვის დასანთხევ სისხლს სხვა სახელმწიფოს ინტერესებისათვის ღვრიდნენ. მგელი რომ მგელია, ისიც არ ანებებს თავის ლეკვს უცხოს... დავფიქრდეთ, სანამ გვიან არ არის.*

# „ანონიმკები"... „ტროიკები"... ნამდვილი განკულაკება იქნება

## რეებს ბოდავენ... მარტო დამავალონ და დედას ვუტირებ... რა პანკისი... რის პანკისი...

*უკანონო ქონების ჩამორთმევის შესახებ კანონპროექტის განხილვას გასულ კვირას კვლავ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. სააკაშვილის კანონპროექტს ამჯერად მთავრობის მიერ შემუშავებული ალტერნატიული კანონპროექტი დაუპირისპირეს. თავის დროზე რეფორმების მამამთავრის ამ ინიციატივას ჯერ მთავრობის სხდომაზე და მერე პარლამენტში დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ახლა საქმე გაცილებით რთულადაა. როგორც* ***მიხეილ სააკაშვილმა*** *„კვირის პალიტრასთან" საუბარში განაცხადა, პრეზიდენტმა ეს ახალი ვარიანტი პარლამენტში მათი კანონპროექტის ჩასაძირად შემოაგდო:*

— ეს არის „მოწამლული აზის" ტექნიკა, რომელსაც ბევრი ქვეყნის პარლამენტში წარმატებით იყენებენ. შემოაქვთ კანონის პროფანაცია, ვითომ მსგავსი, მაგრამ სინამდვილეში აბსოლუტურად განსხვავებული, უმოქმედო და ამით ცდილობენ, ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანონ. იუსტიციის სამინისტრომ პრეზიდენტ შევარდნაძის საგანგებო განკარგულებით დაწერა ეს კანონპროექტი. ახლა ამაზე დაახლოებით ერთ წელიწადს მაინც ილაპარაკებენ. ამასობაში კი ან ვირი მოკვდება, ან



ვირის პატრონი.

**— თქვენ გაეცანით ალტერნატიულ ვარიანტს?**

— დიახ, გავეცანი, და იქ ისეთი რამეები წერია, რასაც ადრე აქეთ ჩვენ გვაბრალებდნენ.

**— რას გაბრალებდნენ?**

— ჩვენს კანონპროექტზე ამბობდნენ, ახალი 37 წელი მოჰყვებაო. არადა, პირიქით, 37 წელი ამათი კანონპროექტის მიღების შემთხვევაშია მოსალოდნელი. მასში არის ყველაფერი, რაც იყო 37-ში — „ანონიმკები", „ტროიკები"... ნამდვილი განკულაკება იქნება. ეს კანონი ბიზნესმენებსაც კი შეეხებათ. ჩვენთან კი მსგავსს ვერაფერს იპოვით.

**— ამ ორი კანონპროექტის შეჯერების თაობაზეც ლაპარაკობდნენ.**

— როგორ უნდა შეაჯერონ ორი შეუჯერებელი კანონი? ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. მთავრობის ვარიანტი ქონების ჩამორთმევას არ ითვალისწინებს. თუ დაადგენენ, რომ ქონება უკანონოა, მფლობელს ჯარიმას გადაახდევინებენ და ეგ არის. ვთქვათ, რომელიმე ყოფილი მინისტრი ცუდად იქცევა, შექმნა პოლიტიკური პარტია და შევარდნაძის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაკონტროლებელი ორგანო აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, შეუფასებენ ქონებას და ეტყვიან — შენ, ძმაო, ხუთმილიონიანი სახლი რომ აიშენე, ერთი 5 მილიონი კიდევ მოპარული გექნება და მოიტანეო. თუ ამ 5 მილიონს გადაიხდის, ქონება, ფაქტობრივად, დაუკანონდება. ეს არის ლეგალიზაციის და ნაქურდლის დაკანონების ერთგვარი მექანიზმი და მეტი არაფერი. შევარდნაძეს არ „აძლევს ხელს" ჩვენი კანონპროექტის მიღება. ყოველთვის აფერხებდა და ახლაც ყველა ღონეს იხმარს, ხელი შეუშალოს.

**— მიზეზი?**

— მიზეზი მარტივია. დღეს პრეზიდენტს კორუმპირებულთა დასჯის მონოპოლია აქვს ხელთ. ყველა კორუმპირებულმა იცის, რომ ერთადერთი ადამიანი, ვინც შეიძლება „გააფუჭოს", პრეზიდენტია, ამ კანონით კი შევარდნაძე მონოპოლიას დაკარგავს.

**— თავის დროზე შევარდნაძემ მხარი დაუჭირა ამ კანონპროექტს. რა შეიცვალა შემდგომ?**

— პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ანტიკორუფციულ „შვიდკაცას" გადაწყვეტილებას, თუმცა მას არ ეგონა, ჩვენ ამ კანონპროექტს მართლა თუ დავწერდით. როდესაც ვუთხარი, ბატონო ედუარდ, კანონპროექტი მზად არის და მთავრობის სხდომაზე გავიტანოთ-მეთქი, მისი რეაქცია საკმაოდ კრიტიკული იყო.

**— რა გითხრათ?**

— ჯერ ამის დრო არ არისო. ხშირად მსმენია მისგან ეს სიტყვები.

**— ძალიან ბევრ თანამდებობის პირს თავისი ქონება საზღვარგარეთ აქვს გატანილი. იქ აქვთ საბანკო ანგარიშები, ვილები და ა.შ. მათ თუ შეეხებათ თქვენი კანონპროექტი?**

— ეს ცოტა უფრო რთული იქნება. ასეთ დროს რიგით მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მტკიცებულებები ამა თუ იმ თანამდებობის პირის საზღვარგარეთულ ანგარიშებზე. ამ მტკიცებულებების მოპოვება კი გაცილებით იოლია პროკურატურისთვის. შარშან, როდესაც შვეიცარიის იუსტიციის მინისტრს შევხვდი, შემომთავაზა, პროკურატურამ გამოგზავნოს მოთხოვნა და ანგარიშებს დაუბრკოლებლად გავხსნითო. გვარებიც კი მიმითითა, ვისი ანგარიშების გახსნასაც ისურვებდა. ცხადია, არიან ისეთებიც, რომლებიც შესაშური მოხერხებულობით იცავენ კონსპირაციას. დეკლარაციაში არაფერი უწერიათ, სინამდვილეში კი დიდძალი ქონების ბატონ-პატრონები არიან. ისე, თანამდებობის პირთა 95% ქონებას საქართველოში ინახავს. ამ მხრივ ისინი „პატრიოტები" არიან.

**— სხვათა შორის, თქვენზეც ხშირად ამბობენ, სააკაშვილს ქონება საზღვარგარეთ აქვსო.**

— მე ან რომელიმე ჩემს თანამებრძოლს ქონება საზღვარგარეთ რომ გვქონდეს, პროკურატურა დიდი ხანია, აწევდა ერთ უხერხულ ადგილს და ამ ანგარიშებს მოიპოვებდა. ფაქტი არსებობდეს და მისი დადგენა გაუჭირდებოდათ? როცა დასჭირდათ, ასლან სმირბაზე ყველაფერი გაიგეს — ისიც კი, პარიზის რომელ მაღაზიაში რამდენ დოლარად ღირებული პანტალონი იყიდა.

**— ბატონო მიშა, ჯაბა იოსელიანი თქვენს წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებს, თუკი უზენაესი სასამართლო „მხედრიონის" რეგისტრაციაში გატარების თაობაზე მის სარჩელს არ დააკმაყოფილებს.**

— აქციებით ვერ შეგვაშინებენ. როდესაც კონკრეტული ფორმირება ძალადობას ქადაგებს, არ შეიძლება, მას ოფიციალური სტატუსი მივცეთ. იგივე ადამიანები არიან, იგივე სახელები და გვარები აქვთ და თან გაიძახიან, ისინი აღარ ვართო. აბა, ვინ არიან? ტყუილად კი არ ვუწოდე „მხედრიონს" დანაშაულებრივი ორგანიზაცია. გაიხსენეთ, რას აკეთებდნენ სამეგრელოში, კახეთში... გამწარებული ჰყავდათ მოსახლეობა. რეგისტრაციაში რომ გაგვეტარებინა, იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ოფიციალურად გაფორმდებოდა შეიარაღებული, გასამხედროებული დაჯგუფება. ამის მწარე გამოცდილება ერთხელ უკვე მივიღეთ. თანაც, როგორც კი მისი ლეგალიზაცია მოხდებოდა, მაშინვე ავტომატურად დაიწყებოდა ფულის, მათ შორის, შავი ფულის მოზიდვა... ქვეყნისთვის ეს საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

**— იოსელიანი აცხადებს, რომ მაშინ როცა „მხედრიონი" რეგისტრაციაში არ გაატარეთ, პრეზიდენტის დირექტივა შეასრულეთ.**

— პირიქით, პრეზიდენტი ჩვენს გადაწყვეტილებას საკმაოდ თავშეკავებით შეხვდა და, მგონი, მაინცდამაინც არც გახარებია. გამორიცხული არ არის, გახარებოდა კიდეც „მხედრიონისთვის" ოფიციალური სტატუსის მინიჭება, ვინაიდან შემდგომ მისგან „ამუნიას" შექმნა საკმაოდ იოლი საქმე იქნებოდა.

*ჩვენ „მხედრიონის" ლიდერსაც გავესაუბრეთ...*

***ჯაბა იოსელიანი:***

— სულერთია, არ მოვეშვებით. ეგრე სად არის! ყველა დამნაშავეა „მხედრიონის" წინაშე — პრეზიდენტიც, სააკაშვილიც. ამ პატიოსან ხალხს ცილი დასწამეს და ციხეებში ჩაყარეს. ვინ დაამყარა სტაბილიზაცია? ვინ და „მხედრიონმა", სამოქალაქო ომი მოიგო და მაშინვე განიარაღდა. შევარდნაძე ჭკვიანიაო... ჭკვიანი კი არა, ვერაგია. როცა განვიარაღდით, ჩვენი დაჭერა მაშინ დაიწყო. აღარც შს სამინისტროს „აწყობდა" „მხედრიონი". მაშინ ამდენს ვერ ბაირამობდნენ, — ვერც წილში უჯდებოდნენ ვერავის და ვერც ფულს აწერდნენ. ამიტომ მოგვიცილეს.

**— დღესაც ეშინია თქვენი ხელისუფლებას?**

— ეშინია, აბა არ ეშინია? ჩვენ ისეთი პროგრამა გვაქვს, მათთვის ყველანაირად მიუღებელია. აქ სხვა რამეშია საქმე. უბრალოდ, სამართალი გვინდა ვიპოვოთ. თუ უზენაესი სასამართლოც გაგვამტყუნებს, მერე სტრასბურგში გავასაჩივრებთ. პარლამენტის წინ აქციებს მოვაწყობთ და მოვითხოვთ, რომ სააკაშვილი პარლამენტიდან გააძევონ. ვიცი, მაინც არ გააძევებენ, მაგრამ... ხალხმა სიმართლე ხომ უნდა გაიგოს!

**— ე.ი. სააკაშვილმა დაგღუპათ...**

— ჩვენ კი არა, თავისი თავი დაღუპა. ახალგაზრდა კაცია, სულ რაღაც ორი დღე იყო ძალაუფლებაში და ამდენი საშინელება ჩაიდინა. დიდი ხნით რომ დასვა, მერე რაღას იზამს.

**— როგორც ჩანს, საბოლოოდ მაინც სტრასბურგის იმედი გაქვთ.**

— რომ იცოდეთ, იქაც კარგი ბიუროკრატები სხედან, მაგრამ მაინც ვიჩივლებთ. კაცო, სამშობლოსთვის დახოცილ ხალხს მოღალატეებად და დამნაშავეებად რომ აცხადებ, ნამუსი აღარ გაქვს?

**— ბატონო ჯაბა, თქვენ და სააკაშვილს ერთმანეთთან რამე პირადი მტრობაც ხომ არ გქონდათ?**

— არა, არა, პირიქით. კიევში რომ წავიდა სასწავლებლად, თურმე მეც დავხმარებივარ, მერე გამახსენეს. ჯერ საშა ჩიკვაიძეს დავურეკე, მაშინ მინისტრი იყო და ვუთხარი, ახალგაზრდა კაცია, ნიჭიერი, სამსახურში მიიღე-მეთქი, მაგრამ არ მიიღო... თურმე „ბოტასებით" მისულა, როგორ მიიღებდა? ის კი არადა, ციხეში რომ ვიჯექი, მაგის დემაგოგიურ გამოსვლებზე წამოვეგე კიდეც. ყველამ იცოდა, რომ მხარს ვუჭერდი.

**— არ იცოდა, ასე რომ გულშემატკივრობდით?**



— არ ვიცი, მე მგონი, იცოდა. მისმა მშობლებმა ნამდვილად ვიცი, რომ იცოდნენ, მაგრამ... აქ იცით რა მოხდა? სააკაშვილმა ამით ზვიადისტებს „გაუგორა კოჭი" — აი, რა კარგი ბიჭი ვარ, ჯაბას პარტია რეგისტრაციაში არ გავატარეო. ნიჭიერი ბიჭი კი არის, მაგრამ მაინც აქვს რაღაცა — არანორმალური. ახლა რომ ამბობს, კორუფციას ვებრძვიო, თანამდებობაზე კაცს ისე არ უშვებდნენ, ქრთამი რომ არ აეღოთ. ახლა გაახსენდათ, რომ საქართველო კორუფციის ჭაობში იხრჩობა? ერთი რაღაცის თქმა მინდა კიდევ: ახლა რომ გაჰკივიან, ამერიკამ ანტიტერორისტული ჯგუფები უნდა მოგვიმზადოს, ვაშა, რა კარგიაო, კი მაგრამ, 1992 წელს „ალფა" და „ომეგა" სხვა რა იყო, თუ არა ანტიტერორისტული ჯგუფები, თანაც იმავე ამერიკის მიერ უმაღლეს დონეზე მომზადებული. დაშალეს, დედა უტირეს, ციხეებში ჩაყარეს, „მხედრიონს" რა არ გაუკეთეს... ერთი სიმღერა რომ არის „ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო, გამოთაყვანდა ერიო", — ზუსტად ასეა. გამოაშტერეს ეს ხალხი ამდენი ტყუილით. პანკისი, პანკისიო, რომ გაჰყვირიან... რა პანკისი, რის პანკისი, რეებს ბოდავენ... მარტო დამავალონ და დედას ვუტირებ... უცებ შევაგროვებ „მხედრიონს" და ერთ დღეში გავყრი ყველას იქიდან... თუმცა მერე დაგვაბრალებენ — ეგენი ნარკომანები, ასეთები და ისეთები არიანო. ახლაც ასეა. იცით, რატომ გამოაქვთ სასამართლოებს ჩვენი საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები? იმიტომ, რომ ძალაუფლება არ მაქვს. ურჩევნიათ, მე მაწყენინონ, ვიდრე სააკაშვილს. თავის დროზე კი, გამორიცხული არ არის, სააკაშვილისთვის თვითონ შევარდნაძეს ეთქვა, „მხედრიონი" რეგისტრაციაში არ გაატაროო. რა ვიცი, რას გაიგებ.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# „თუ ვინმემ არასწორად აკრიფა გადასახადი, დაისჯება..."

## როგორ სრულდება ბიუჯეტი?..

იანვარ-თებერვლის გეგმის მოულოდნელი შესრულება ის „საჩოთირო" და „რთული" საკითხი აღმოჩნდა, რაზეც საუბარი პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემაც არ ისურვა, — ეს პოლიტიზებული თემაა და არ მინდა ამაზე ლაპარაკიო.

არაოფიციალურად, ასეთ უცნაურ პროგნოზსაც მოისმენთ — 11 თვის გეგმა შესრულდება, დეკემბერში კი 300 მლნ-იანი სეკვესტრი გველისო. ამ უცნაური ინტრიგის განხორციელების მიზეზსაც ასახელებენ — შევარდნაძეს მოსწყინდა ბიუჯეტშეუსრულებელი ქვეყნის პრეზიდენტობა და ხალხის გულის მოსაგებად წლის საწყისი თვეები დაბალი პარამეტრებით დაიგეგმა, რათა ბიუჯეტის შესრულებით მთავრობის თავკაცს თავი მოეწონებინაო. ეტყობა, ასეთი კულუარული მითქმა-მოთქმა თავად **ლევან ძნელაძესაც** გვარიანად უშლის ნერვებს. ალბათ ამიტომ იყო, რომ საერთოდ მშვიდი და უწყინარი მინისტრი მდგომარეობიდან გამოვიდა და ემოციურად ალაპარაკდა — შეუძლებელია, ადამიანმა ასეთ წნეხს გაუძლოსო. ამის შემდეგ ყველას ეგონა, რომ ძნელაძე თანამდებობას დატოვებდა... მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა — პრეზიდენტთან აუდიენციის შემდეგ ძნელაძე ისევ თავის სავარძელზე დარჩა.

კვირის ბოლოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრს გასული ოთხშაბათის წყენა აღარც ახსოვდა, შაბათ საღამოს იპოდრომზე თავის დობერმან „ტობის" ასეირნებდა და ჩვენთან ინტერვიუზეც არ უთქვამს უარი.

**— ბატონო ლევან, რა „ფოკუსი" ჩაატარეთ, რომ 10 წლის მანძილზე პირველად შესრულდა ბიუჯეტის გეგმა?**

— მოდით, დავაკონკრეტოთ. 10 წლის მანძილზე პირველად შესრულდა იანვარ-თებერვლის გეგმა. გეგმა მე კი არა, სისტემამ შეასრულა და ამ საქმეში მე მხოლოდ მოკრძალებული წვლილი მაქვს.



**— ე.ი. გამოდის, რომ შესაძლებელი ყოფილა გეგმის შესრულება... და რა უშლიდათ ხელს თქვენს წინამორბედებს?**

— არ ვიცი, ვფიქრობ, ალბათ, ბევრი ობიექტური მიზეზი იყო, დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

**— ობიექტურ მიზეზებში ხელისშემშლელ ფაქტორებს გულისხმობთ და არა სუბიექტურს?**

— ორივეს. გარიგებები გადასახადების ამკრეფებსა და გადამხდელებს შორის უმთავრესი პრობლემაა. ჩვენ შევძელით მოგვეძებნა რესურსი გეგმის შესასრულებლად და ეს, ვფიქრობთ, მიღწევაა.

**— რაკი მეტად არ აკონკრეტებთ, ერთ კულუარულ ჭორს გეტყვით, ამბობენ, — გეგმის შესრულებაში ძნელაძეს ძმის გავლენა და კავშირები გამოადგაო.**

— ჩემი ძმა ეკონომისტია, მიკა (მირიან) გოგიაშვილთან მუშაობს ეროვნულ ანტიკორუფციულ საბჭოში. არავითარი მაღალი თანამდებობა და კავშირები მას არა აქვს... ისე თუ დაწერთ, რომ საშემოსავლო გეგმის შესრულებაში ჩემი ძმის წვლილია, ხალხი დაიჯერებს და ჩემი ძმაც ძალიან ბედნიერი იქნება. ამ ბიუჯეტის პარამეტრების შესრულება არ იყო ასე ძნელი და წარმოუდგენელი, მთავარია მონდომება... და კიდევ ერთს ვიტყვი, — ადამიანს შრომა უნდა დაუფასდეს...

**— ალბათ ამას იმიტომ ბრძანებთ, რომ პრეზიდენტმა გაწყენინათ, ანუ შრომა ჯეროვნად არ დაგიფასათ.**

— არავითარ შემთხვევაში... პრეზიდენტის მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობ და პროგრამა, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება, სწორედ პრეზიდენტის პროგრამაა.

**— თუ მხარდაჭერა გაქვთ პრეზიდენტისგან, რაღად დაიჩივლეთ, — დიდი წნეხის ქვეშ ვმუშაობო.**

— როცა თანადგომაზეა ლაპარაკი, ეს თანადგომა საქმითაც უნდა გამოჩნდეს. დღეს გაიგო ხალხმა, რომ ჩვენ ქვეყანაში კონტრაბანდა შემოდის? ამ პრობლემების მოგვარებას მარტო ჩემი სისტემა ვერ შეძლებს. ჩვენთანაც მუშაობს ხალხი, ვინც არ იმსახურებს ჩვენი უწყების მუნდირის ტარებას. ასეთებს გამოვავლენთ. ოღონდ მხარდაჭერა უნდა დავინახო. მე კი არა, უწყებას უნდა დაუდგნენ გვერდით.

**— ითქვა, რომ სადაგასახადო შემოსავლების გეგმა წინასწარი ჩათვლების წყალობით შესრულდაო.**

— წარმოდგენა არ მაქვს, ვინ ავრცელებს ასეთ ხმებს. ხაზინაში ნაღდი ფული შევიდა, მთავარი ხომ ეს არის? თუ ვინმემ არასწორად აკრიფა გადასახადი, დაისჯება — საგანგებო ბრძანებულება გამოვეცი, რომ ასეთი მაქინაციისთვის ყველას დავსჯიდი. ერთ ამბავს გეტყვით, ერთ-ერთ მსხვილ გადამხდელთან მისულა ორი ჩვენი თანამშრომელი, თანხები წინასწარ მოუთხოვიათ, გადამხდელს კი ბრძანება უჩვენებია, და უთქვამს, როგორც ჩანს, თქვენს სამსახურში ორი ვაკანსია გაჩნდებაო...

**— ზუგდიდის საგადასახადოს ყოფილი შეფი ამბობს — თუ ვინმემ სიცოცხლე მომისწრაფა, მკვლელი ძნელაძის გარემოცვაში ეძებეთო.**

— არ მგონია, ბატონ ბეჟანს ეს სერიოზულად ეთქვა. არავის მოკვლას არ ვაპირებ და არც გუნავას დავმუქრებივარ. მეხუთე თვეა, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ვხელმძღვანელობ, ოცდაათამდე ადამიანი მაინც მეყოლება თანამდებობიდან გაშვებული. არავინ შემიშინებია და რაღა გუნავას შევაშინებდი.

**— ითქვა, გაბრაზებული ლევან ძნელაძე სამსახურს ტოვებდა, მაგრამ პრეზიდენტმა გადააფიქრებინაო. გქონდათ აუდიენცია შევარდნაძესთან?**

— მთავრობის სხდომის შემდეგ არაერთხელ შევხვდი პრეზიდენტს, მაგრამ საკითხი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, მხოლოდ მეორეხარისხოვანი საუბრის თემა იყო.

**— ე.ი. აღარ მიდიხართ?**

— თუ თქვენ მირჩევთ, დავფიქრდები...

**— მაშინ ბოლო კულუარულ ჭორსაც გეტყვით, — ამბობენ, დეკემბერში 300-მილიონიანი სეკვესტრი ძნელაძეს მაინც გადაიყოლებსო.**

— რატომ იმას არ ვარაუდობენ, რომ შეიძლება სეკვესტრი კი არა, გეგმა გადაჭარბებით იქნას შესრულებული... საგადასახადო შემოსავლების გეგმის შესრულება არ ნიშნავს, რომ სეკვესტრი გამოირიცხება. თუმცა მე მაინც ოპტიმისტი ვარ და მჯერა, თუ უფრო მოვინდომებთ, არავითარი სეკვესტრი არ დაგვემუქრება.

***იზო რიკაძე***

# „ციებ-ცხელება“ ქართულ ჯარში

## ჯარისკაცის ულუფიდან მხოლოდ პურსა და მარილს არ იპარავენ

საქართველოს არმიას დაეხმარებიან — ამერიკელები, თურქები, ინგლისელები, გერმანელები, ჩინელები, ფრანგები და ა.შ.

ყველა კმაყოფილია — უმაღლესი მთავარსარდალი — პრეზიდენტიც, თავდაცვის მინისტრიც თუ სხვა პოლიტიკური მოღვაწეებიც. მაგრამ მთავარი პრობლემა — ქართული არმიის საჭირბოროტო საკითხები ხომ კვლავ ძირითადად მოუგვარებელი დარჩება. საზოგადოება ისევ ილაპარაკებს მუნიან თუ ტილიან, მშიერ ქართველ ჯარისკაცებზე, მათ დაბალ ბრძოლისუნარიანობაზე და ა.შ.

აქ ორი ასპექტია — საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რომელსაც არმიასთან თითქმის არანაირი ურთიერთობა არა აქვს, ხშირად ძალზე აზვიადებს ყველა იმ საყოფაცხოვრებო პრობლემას, რაც ქართულ ჯარშია, რითაც ამართლებს თავის გადაწყვეტილებას — შვილები არ გაუშვას ასეთ არმიაში.

მეორე მხრივ, არმიის ზოგიერთი ოდიოზური წარმომადგენელი პირიქით, ვარდისფრად წარმოსახავს ჯარის ცხოვრებას და მის ძირითად პრობლემებს დაფინანსების უკმარისობას მიაწერს.

ჭეშმარიტება კი სადღაც შუაშია.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო ჯეროვნად არ აფინანსებს საკუთარ არმიას, თუმცა საზოგადოების, მით უმეტეს, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ნაწილს უბრალოდ, არ სურს შვილის საჯარედ „გაწირვა“.

დღეს ქართულ სამხედრო ძალებში ძირითადად მას იწვევენ, ვისაც თავის დახსნა არ შეუძლია.

ეს კი ნიშნავს, რომ ქართველი ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი მხოლოდ დასჯის შიშით „სწირავს“ 1-1,5 წელს არმიას. ასეთი სულისკვეთებით განწყობილ ჯარს ვერც ამერიკელების, ვერც უცხოპლანეტელების გულუხვობა ვერ გახდის ბრძოლისუნარიანს.

საზოგადოების ძირითადი პრეტენზია არმიისადმი ამგვარია: ჯარისკაცი არ იღებს საჭირო რაოდენობის საკვებს, სძინავს ჭუჭყიან თეთრეულში (ან უიმისოდ), გაყინულ ყაზარმებში და მთელი ღამე ებრძვის, ოღონდ არა მოწინააღმდეგეს, არამედ ფეხმარდ ტილებს.

აქედან ცხადია, ბევრი რამ მართალია, მაგრამ ბევრიც დამოკიდებულია „ოჯახის უფროსზე“ — ანუ ნაწილის მეთაურზე.

მექანიზმი მარტივია — ჯარისკაცის კვებისთვის თვიურად გამოყოფილი 59 ლარიდან (სინამდვილეში სხვადასხვა დაქვითვის შემდეგ ეს თანხა კიდევ მცირდება) ჯარისკაცამდე ხშირად ნახევარიც არ აღწევს, რაც შეიძლება „ტყდება“ შემდეგი მიმდევრობით: სამხედრო უწყების მმართველი აპარატი — მომარაგების ცენტრალური ბაზა — სამხედრო ნაწილის საწყობი — სასადილო.

როგორ გგონიათ, ოფიცერს, რომელიც თვეში ასიოდე ლარს შეჰყურებს, არ წასძლევს სული სამხედრო ნაწილიდან მშიერ ცოლ-შვილთან ხელს



პური ქართველი ჯარისკაცის ულუფის ძირითადი პროდუქტია

გააყოლოს ორიოდ კილოგრამი კარტოფილი თუ ათიოდე გრამი კარაქი? ნუ დაგავიწყდებათ, ქართულ სამხედრო ნაწილებში ოფიცრებისა და ზემდეგების რაოდენობა მაინცდამაინც არ ჩამოუვარდება ჯარისკაცების რიცხოვნობას.

სამხედრო ნაწილებიდან პროდუქტების მოპარვა ისეთი სენია, რომელსაც მანამ არაფერი ეშველება, სანამ ჯარისკაცებს ის მეთაურები უდგანან სათავეში, რომლებსაც ოჯახის შენახვის სხვა გზა არ აქვთ.

თუმცა არის გამონაკლისიც. ძლიერი ოჯახიდან გამოსული ზოგიერთი მეთაური ჯარისკაცებისთვის საჭმლის მოპარვაზე არ არის გაფაციცებული. თავდაცვის სამინისტროში არის რამდენიმე ნაწილი, სადაც ჯარისკაცების ნორმალური კვება და საყოფაცხოვრებო პირობები ნამდვილად არ არის გასაკილი.

დანარჩენ ნაწილებში არსებული განუკითხაობის გამოსწორება კი მხოლოდ სადამსჯელო ღონისძიებებით შეუძლებელია.

თავდაცვის სამინისტროს სულ 8.500 ჯარისკაცის შენახვა უწევს (თუმცა, ზოგიერთი კომპეტენტური პირი არც იმას გამორიცხავს, რომ ჯარისკაცების რეალური რაოდენობა, შინ გაშვებულებისა თუ გაქცეულების გამოკლებით, ბევრად ნაკლები იყოს).

თითოეული ჯარისკაცის საერთო საჯარისო ულუფა დღე-ღამეში 4200 კკალ-ს აღწევს. ერთი შეხედვით, ქართველი ჯარისკაცის ულუფის ნოყიერება თითქმის არ ჩამორჩება არც რუსი მებრძოლისას (4258 კკალ) და არც ამერიკელი ჯარისკაცისას (4255 კკალ), ხოლო უსწრებს ბრიტანელისას (4025 კკალ), მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი ჯარისკაცის ყოველდღიური ულუფის კალორიულობა ძირითადად პურ-ბურღულეულის ხარჯზეა გაზრდილი (სხვათა შორის, რუსი ჯარისკაცის ყოველდღიურ ულუფაშიც პურს მომეტებული ადგილი უჭირავს).

ამაზე მეტყველებს უბრალო შედარება — თუკი ამერიკელი ჯარისკაცი დღე-ღამეში მხოლოდ 340 გ პურს იღებს, მისი ქართველი კოლეგისთვის ეს მაჩვენებელი 900 გ-ს აღწევს. ქართველ ჯარისკაცს ყოველდღიურად (ანუ საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე) ეკუთვნის 200 გ ხორცი (ან 150 გ ხორცის კონსერვი), 40 გ კარაქი (20 გ დილით, ამდენივე ვახშამზე), 100 გ თევზი (ან 130 გ თავიანი თევზი), 10 გ ცხიმი და 20 გ ზეთი, ხოლო როდესაც კარაქი არა აქვთ, გაცემული ზეთის რაოდენობა 50 გ-მდე უნდა ავიდეს. თითოეულ ჯარისკაცზე დღეში 70 გ შაქარი უნდა გაიცეს, მაგრამ ხშირად მისი უქონლობის გამო, მას „სორკოს“ ფხვნილით ცვლიან („სორკო“ — შაქრის, რძის, სოიის ფხვნილისა და ვიტამინების ნარევია. ზოგიერთ ჯარისკაცს მისი გემო არ მოსწონს. ამბობენ, „სორკოს“ ვიტამინიზებული ფხვნილის ჯარისკაცებისთვის მიცემა კვირაში მხოლოდ სამჯერ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარისკაცები ისე იგრძნობენ თავს, როგორც „ვიაგრის“ დიდი დოზით მოხმარების შემდეგ, ეს კი სამხედრო მეთაურებს „დამატებით“ პრობლემებს შეუქმნის).

ვისაც საბჭოთა არმიაში უმსახურია, ეხსომება, რომ ჯარისკაცს კვირაობით ორ-ორი ცალი მოხარშული კვერცხი ელოდებოდა სუფრაზე. ამ ბედნიერებას ქართველი სამხედროები მოკლებულნი არიან — ისინი მოხარშულ კვერცხს წელიწადში მხოლოდ ერთხელ და ისიც აღდგომას უსინჯავენ გემოს. რუსეთის ჯარში კვირაში 4 კვერცხს იღებენ, ამერიკელი და ინგლისელი ჯარისკაცები კი ყოველდღიურად თითოს.

ქართველი ჯარისკაცის ყოველდღიურ მენიუში 15 გ მარილი და 2 გ ჩაი არის გათვალისწინებული. საბედნიეროდ, ამით მაინც ვჯობნით რუსებს, რომლებიც თავიანთი ჯარისკაცისთვის მხოლოდ 1,2 გ ჩაის იმეტებენ, თუმცა ბრიტანელებმა ორჯერ გადაგვაჭარბეს (რას ვიზამთ, ჩაი ინგლისელების საყვარელი სასმელია), სამაგიეროდ, პენტაგონმა ყველას „გადაუჯოკრა“ — იგი ჯარისკაცს ყოველდღიურად 3 გ ყავას, 3 გ კაკაოს და 2 გ ჩაის აძლევს.

უცხოელ ჯარისკაცებს პილპილსა და მდოგვს მილიგრამობით უთვლიან, ქართველები კი სამშობლოს დამცველებისთვის ყოველდღიურად 4-5 გ ეროვნულ აჯიკას იმეტებენ!

ბურღულეულის — ბარდის, წიწიბურის, ლობიოს, ხორბლის და ქერის ყოველდღიური ნორმა თითოეულ ჯარისკაცზე 100 გ-ს აღწევს. ეს მაჩვენებელი ამერიკელი და ინგლისელი ჯარისკაცებისთვის მინიმალურია, რადგან ისინი ძირითად აქცენტს ხორცზე აკეთებენ. მაგალითად, ჩვეულებრივი ამერიკელი ჯარისკაცი (სპეცრაზმელი, წყალქვეშა მეზღვაური, მფრინავი და ზოგიერთი სხვა სპეციალობის სამხედრო დამატებით ულუფას იღებს როგორც ამერიკაში, ისე რუსეთში და თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც), ყოველდღიურად 300 გ ხორცს, 60 გ ბეკონსა და 30 გ ძეხვეულს იღებს. თუმცა ამ სტატიის ავტორს ჰქონია „ბედნიერება“, რამდენჯერმე დანაყრებულიყო საზღვარგარეთ, ამერიკულ სამხედრო სასადილოში, მათ შორის საბრძოლო გემებზე, სადაც თვითმომსახურების პრინციპი მოქმედებს — იღებ იმდენს, რამდენიც გსურს.

საზღვარგარეთის არმიებისგან განსხვავებით, ქართულში შილაფლავის კონცენტრატიც არსებობს (მას ქუთაისის ბაზაში აწარმოებენ), რომელსაც ადუღებულ ქვაბში ჩაუძახებენ და რამდენიმე წუთში სადილიც მზადაა. მას ხშირად წვნიანის კონცენტრატი ან ხორციანი მაკარონი ცვლის.

ქართველ ჯარისკაცს, ნორმების თანახმად, დღეში 20 ღერი სიგარეტი და თვეში სამი ასანთის კოლოფიც ეკუთვნის.

ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, რას იღებს ჯარისკაცი იქიდან, რაც მას კანონით ეკუთვნის. ხშირად ნახევარსაც ვერა. ამის მიზეზი, როგორც გითხარით, არის პროდუქტების ქურდობა ყველა ეტაპზე, სანამ ის ჯარისკაცამდე მიაღწევს (ნურც იმ ნიუანსს დავივიწყებთ, რასაც უფრო „ბლატიანი“ ჯარისკაცების მიერ თანამებრძოლებისთვის პირიდან გამოცლილი ლუკმა ჰქვია)!

ამ ცოტა ხნის წინ (არ არის გამორიცხული, დღესაც) თავდაცვის სამინისტროში ფულის „მოტეხვის“ საინტერესო მექანიზმი მუშაობდა — სამხედროები ხელშეკრულებას დებდნენ კერძო ფირმასთან ჯარისთვის კვების პროდუქტების მიწოდებაზე, ოღონდ ქრონიკული დაუფინანსებლობის გამო, მისი ღირებულების საფასური პროდუქტის მიწოდების შემდეგ უნდა გადაეხადათ. გადიოდა დრო, თავდაცვის სამინისტრო დაუფინანსებლობის გამო, ბუნებრივია, ვერ იხდიდა ვალს. კერძო ფირმა ჩიოდა სასამართლოში და იგებდა კიდეც საქმეს. შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ჩამოეჭრებოდა ფინანსების გარკვეული ნაწილი და ჩათვლის სახით „ერიცხებოდა“ კერძო ფირმას, ოღონდ მიწოდებული პროდუქციის ღირებულება 1,5-2-ჯერ აღემატებოდა (პლუს ჯარიმის თანხა) საბაზრო თანხებს. გარკვეული ფინანსური მაქინაციების შემდეგ მოგებული რჩებოდა არა მარტო კერძო ფირმა, არამედ ის რამდენიმე მაღალჩინოსანი სამხედროც, რომლებსაც კერძო ფირმის ხელმძღვანელობასთან გარიგებით ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ გაანგარიშებული.

(გაგრძელება იხ. გვ. 9)

# კოსოვოს ოინების გამეორება აღარ სცადოთო, თუმცა რუსეთი მაინც რუსეთია...

გასული კვირა ხიფათის მოლოდინით იყო გაჟღენთილი. ერთმანეთის მიყოლებით, ჯერ თავდაცვის მინისტრმა გამოთქვა ეჭვი, მეორე დღეს კი ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა საგანგებოდ მოწვეულ კონფერენციაზე გააღრმავა აზრი — რუსეთი აღარ დაუცდის, თუ როდის დაიწყებს ქართული მხარე (მარტო ან ამერიკელებთან ერთად) ანტიტერორისტულ ოპერაციას პანკისის ხეობაში და იქ თავის დესანტს გადასხამს, როგორც ეს კოსოვოში პრიშტინას აეროდრომზე გააკეთაო.

ისე, მოსკოვისგან ყველაფერს რომ შეიძლება ელოდეს საქართველო, ეს ახალი ამბავი ნამდვილად არ არის. საკითხავი სხვა რამეა — თუ რუსეთმა თავისი შეიარაღებული ძალების დანაყოფები გადმოსხა პანკისში, ამას ხომ ჩვეულებრივ აგრესიად შეაფასებს მსოფლიო?!

მაგრამ, მეორე მხრივ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. დღევანდელ მსოფლიოში მთავარია, სპეცოპერაცია რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში შესრულო, რისი საუკეთესო მაგალითი თავის დროზე მოსკოვმა პრიშტინაშიც აჩვენა.

სიმართლე რომ ითქვას, კრემლის მაშინდელ აქციას უფრო მეტად პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, ვიდრე ოპერატიული.

მაშინ, სამი წლის წინ, 1999 წლის ივნისის დასაწყისში, NATO ყოფილ იუგოსლავიას და მით უმეტეს, სერბების პოზიციებს კოსოვოში ინტენსიურად ბომბავდა. დადგა დრო, რომ საჰაერო ოპერაციის შემდეგ კოსოვოში NATO-ს „ცისფერჩაფხუტიანები“ ჩამდგარიყვნენ და ამ მომენტში კრემლმა საიდუმლოდ განახორციელა ოპერაცია — საბრძოლო დანაყოფი გადაისროლა კოსოვოს ტერიტორიაზე.

ამ დრამატული მოვლენების ეპიცენტრიდან სტატიის ავტორი შედარებით ახლოს — ბულგარეთში სამხედრო წვრთნებზე იმყოფებოდა და თავად იხილა ის პოლიტიკური ზეწოლა, რასაც მოსკოვი სოფიაზე ახორციელებდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბულგარეთის ხელისუფლებამ ნება არ მისცა რუსეთს სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით კოსოვოში გადაესროლა საჰაერო-სადესანტო ჯარების დანაყოფები.

კრემლს ერთი გზაღა დარჩა — კოსოვოში დაუყოვნებლივ გაეგზავნა ის სამხედრო დანაყოფები, რომლებიც ყველაზე ახლოს იდგნენ კოსოვოდან. ასეთი კი იყო ბოსნიაში, ქ. უგლევიკში დისლოცირებული, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების — IFOR-ის შემადგენლობაში მყოფი რუსული საპარაშუტო-სადესანტო ბრიგადა.

საიდუმლო ბრძანება მოსკოვიდან უგლევიკში 1999 წლის 9 ივნისს მიიღეს. მომზადებას თითქმის ორი დღე დასჭირდა. რუსი სამხედროები სულაც არ გამორიცხავდნენ, რომ კოსოვოში მათ ადგილობრივ ალბანელებთან ან სულაც ამერიკელებთან შეიარაღებული დაპირისპირება მოელოდათ. ამიტომაც ასეულების მეთაურებმა ჯარისკაცებს უბრძანეს „სასიკვდილო ჩანაწერები“, ანუ დაღუპვის შემთხვევაში ოჯახებში გასაგზავნი უკანასკნელი წერილები დაეწერათ.

რამდენიმე ასეულ კილომეტრზე გადასროლისთვის რუსმა მედესანტეებმა მხოლოდ ბორბლებიანი საბრძოლო მანქანები (ძირითადად БТР-80 ჯავშანტრანსპორტიორები) შეარჩიეს და უარი თქვეს მუხლუხიანების წაყვანაზე — ამით გადაადგილების სიჩქარე საკმაოდ იზრდებოდა.

მარშ-გადასროლა 11 ივნისს, დილის 5 სთ-ზე დაიწყო ბოსნიის ბიელინიდან, სადაც თავი მოიყარა რამდენიმე რუსულმა დანაყოფმა. მოძრაობის მარშრუტი ნოვი სადზე, ბელგრადსა და ნიშზე გადიოდა. უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტი სერბებისა იყო და რუს მედესანტეებსაც მოძრაობისას დიდი დაბრკოლება არ შეჰქმნიათ. ჯავშანკოლონას გზას სერბული პოლიცია „უსუფთავებდა“. მოსახლეობაც ერთმორწმუნე რუსებს ყვავილებით ხვდებოდა, ერთი-ორი ნასროლი ცარიელი ბოთლი კი უფრო იმის მაჩვენებელი იყო, რომ სერბები ნაწყენნი იყვნენ რუსებზე — რატომ არ დაგვეხმარეთ, როდესაც ამერიკელები გვბომბავდნენო.

რუსი მედესანტეების ჯავშანკოლონა დანიშნულების ადგილზე ზუსტად ერთი დღე-ღამის შემდეგ — 12 ივნისს, დილის 5-6 საათზე ჩავიდა. თავდაპირველად ისინი ქ. სლატინის სამხედრო აეროდრომზე დაბანაკდნენ. დილის 11 სთ-ზე აეროდრომის თავზე ამერიკული სადაზვერვო შვეულმფრენები გამოჩნდნენ, ცოტა ხანში მათ დესანტის გადმოსხმა სცადეს, მაგრამ რუსულმა ჯავშანტრანსპორტიორებმა დაჯდომის ადგილს დიდი სისწრაფით მიაშურეს — შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რუსული БТР-80 გაჩერებას არ აპირებდა და UH-60 შვეულმფრენის ტარანზე მიდიოდა. ამერიკელი პილოტები იძულებულნი გახდნენ, აფრენილიყვნენ.

ეს მარშ-გადასროლა მოსკოვმა თავის დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად ჩათვალა, მოსკოვის მერმა ამ ოპერაციაში მონაწილე მედესანტეებს საგანგებო სატრანსპორტო თვითმფრინავით შოკოლადი და ხილის წვენები გაუგზავნა, ხოლო თითოეული მედესანტე მაჯის საათით დააჯილდოვა; თუმცა სიმართლე რომ ითქვას, იმ თვითმფრინავით მედესანტეები შემცვლელების ჩასვლას უფრო ელოდნენ, ვიდრე შოკოლადის ყუთებს.

ეს სამი წლის წინანდელი ამბავი დაწვრილებით იმიტომ მოვყევით, რომ პარალელი გავავლოთ ჩვენს რეალობასთან პანკისის პრობლემებთან დაკავშირებით.

დავუშვათ, რომ რუსეთმა მართლაც ყველას დაასწროს დაგეგმვა და პანკისში გადაისროლოს თავისი სამხედრო დანაყოფები. სად და როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს ოპერაცია?

ყოფილი იუგოსლავიისა არ იყოს, საქართველოს ტერიტორიის ორ ნაწილში ისედაც იმყოფება რუსული „სამშვიდობო ძალების“ ნაწილები — ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. ამის გარდა, საქართველოშივე ფუნქციონირებს ორი ძირითადი რუსული სამხედრო ბაზა — ბათუმსა და ახალქალაქში (გუდაუთის ბაზის საბოლოო ბედი საერთაშორისო მონიტორინგის გარეშე ჯერ გაურკვეველია).

**დავუშვათ, რომ რუსეთმა მართლაც ყველას დაასწროს დაგეგმვა და პანკისში გადაისროლოს თავისი სამხედრო დანაყოფები. სად და როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს ოპერაცია?**

მარშ-გადასროლა დასავლეთ საქართველოდან მის აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენი საავტომობილო გზების გამოყენებით (სარკინიგზო მიმოსვლას იმედია, ოფიციალური თბილისი უკეთ აკონტროლებს), რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ რუსებს დაეკარგებათ მოულოდნელობის ეფექტი. ამიტომაც ბათუმის ბაზიდან და აფხაზეთში რუსი „ცისფერჩაფხუტიანებისგან“ მოსალოდნელი გადმოადგილება ნაკლებად სავარაუდოა. უფრო მეტი შანსი არც ახალქალაქის სამხედრო ბაზასა თუ ცხინვალში მდგარ რუსულ „სამშვიდობო ძალებს“ გააჩნიათ — მათ თბილისი უნდა გამოიარონ, ხოლო თუ ხელისუფლებამ ხელი არ გაანძრია, არა მგონია, ქართველები სერბებივით ყვავილებით შეხვდნენ რუსულ ჯავშანკოლონას.

პანკისის ხეობასთან ყველაზე ახლოს მყოფი რუსული სამხედრო შენაერთი ვაზიანში იყო დისლოცირებული, მაგრამ საბედნიეროდ, მალე ერთი წელი გახდება, რაც ის დაიშალა. ამჟამად პანკისთან ყველაზე ახლოს ის რუსული საინჟინრო ბაზაა, რომელიც ჯერ კიდევ საგარეჯოშია განთავსებული. თუმცა, ამ ბაზაში ძირითადად სამხედრო-საინჟინრო საწყობებია და იქ საბრძოლო ნაწილები არ იმყოფებიან. ამიტომაც ძნელი წარმოსადგენია, იქიდან პანკისში ვინმე გადაისროლონ (თუმცა სიფრთხილეს თავი არ სტკივა — ქართულ კომპეტენტურ უწყებებს უნდა გააჩნდეთ მუდმივი ინფორმაცია, თუ ვინ და რამდენი კაცი შედის ან გამოდის რუსების ამ საინჟინრო ბაზაში).

ყველაზე რეალურად მოჩანს შემდეგი სურათი: მოსკოვი მოულოდნელად იწყებს აერომობილურ ოპერაციას პანკისის ხეობაში უშუალოდ თავისი ტერიტორიიდან (ბოლომდე არც სომხეთში, გიუმრის 137-ე რუსული სამხედრო ბაზის ამ ოპერაციაში მონაწილეობის შესაძლებლობაა გამოსარიცხი), ანუ დაახლოებით იმავე სცენარით, როგორც ორი წლის წინ რუსი მესაზღვრეები და მედესანტეები საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე გადასხდნენ.

მოზდოკიდან და ბუინაკსკიდან აფრენილი Ми-8МТ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები გამთენიისას გადმოლახავენ სახელმწიფო საზღვარს ინგუშეთისა და ჩეჩნეთის საჰაერო სივრცეებიდან, მათ საჰაერო დაცვაში გამოჰყვებიან Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენები, ხოლო ჰაერში უფრო მაღალ სიმაღლეზე იდარაჯებენ გამანადგურებელი თვითმფრინავები. საჰაერო დესანტი გადაისხმება წინასწარ ამორჩეულ ადგილებში როგორც ხეობის ჩრდილოეთით, ისე მის შუაგულში. ამ ოპერაციის დამგეგმავებს თავდაპირველად ექნებათ მოულოდნელობისა და დაბნეულობის ეფექტის იმედი — ქართული ლოკატორები ვერ აღმოაჩენენ ხეობების თავზე მფრენ რუსულ შვეულმფრენებს, ხოლო პანკისში მყოფი ჩეჩნები თავდაპირველად ვერ გაარკვევენ მათ კუთვნილებას და ქართულად მიიჩნევენ (ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა კი ჩეჩნების ინტერესებში არ შედის). საქართველოს შინაგანი ჯარების ის ოთხიოდე საგუშაგო, რომელიც ხეობის მისადგომებთანაა განთავსებული, რუსებისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს და მათ ალბათ მხედველობაშიც არ მიიღებენ.

მოულოდნელობის ეფექტის მიუხედავად, რუსი სამხედროები თავის მთავარ მიზანს — ყველა მებრძოლი ჩეჩენის ფიზიკურ განადგურებას — რა თქმა უნდა, ვერ მიაღწევენ, მაგრამ, სამაგიეროდ, შეძლებენ პანკისის ხეობაში თავიანთი თუნდ დროებითი ფორპოსტის შექმნას. ეს მოსკოვის პროგრამა-მინიმუმია.

ჩვენ ვეცადეთ, მკითხველისთვის გვეჩვენებინა მოვლენების შესაძლო ვარიანტი, თუკი პანკისში „კოსოვური ვარიანტი“ გათამაშდა.

თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც. კრემლი არ წავა „ვა-ბანკზე“ და არ დაარღვევს მეზობელი ქვეყნის სუვერენიტეტს. მაგრამ მაშინ რად დასჭირდა ცნობილ ქართველ პოლიტიკოსებსა თუ სახელმწიფო მოღვაწეებს ამ შიშის ტალღის აგორება?

იქნებ იმ ამერიკელმა მეგობრებმა, რომელთა გავლენა ოფიციალურ თბილისზე (რომ აღარაფერი ვთქვათ არასამთავრობო სტრუქტურებზე) სწრაფი ტემპებით იზრდება, უბრალოდ თავი დაიზღვიეს — მათ კარგად ახსოვთ „სლატინის აეროდრომის“ მწარე გაკვეთილი და ქართველების პირით მოსკოვი გააფრთხილეს — „კოსოვოს ოინების“ გამეორება აღარ სცადოთო!

# „ციებ-ცხელება“ ქართულ ჯარში

## ჯარისკაცის ულუფიდან მხოლოდ პურსა და მარილს არ იპარავენ

*(დასაწყისი იხ. გვ. 8)*

დღეისათვის არის კიდევ რამდენიმე პრობლემა, რომელთა გადაჭრა ძირითადად ორი, სამხედრო ბიუჯეტის დაცული მუხლიდან — კვებისა და ხელფასების ფონდიდან — ხორციელდება.

მაღალჩინოსან სამხედროებს უწევთ საზღვარგარეთ მივლინება მართლაც სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებზე (თუმცა ზოგიერთი მათგანი არც სხვა, ბევრად უფრო ნაკლებმნიშვნელოვან ან საერთოდ უსარგებლო საზღვარგარეთულ „ვოიაჟებს“ აცდენს). თუ მოულოდნელმა გრიგალმა ყაზარმას სახურავი გადახადა, ან ყაზარმების ტუალეტები მწყობრიდან გამოვიდა (ასეთებიც ხდება და ხშირადაც) და, ბოლოს და ბოლოს, სადღაც სიტუაცია გამწვავდა და არმიის დანაყოფები გადასასროლი — მაშინ სამხედრო ფინანსისტები და ლოგისტიკის (ძველებური ზურგის) წარმომადგენლები იძულებულნი ხდებიან, თანხები სამხედრო ბიუჯეტის ამ დაცული მუხლებიდან აიღონ.

გარდა კვების პრობლემებისა, ჯარისკაცებს მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებიც აწუხებთ — ზამთარში გაყინული ყაზარმები, ყოველკვირეულ აბანოზე ოცნება, ჭუჭყიანი თეთრეული ან მისი არარსებობა, თბილი სამხედრო ტანსაცმლის („ბუშლატებისა“ და „შინელების“) მუდმივი ნაკლებობა და ა.შ.

სხვათა შორის, შარშანდელი წლის ბოლოსთვის თავდაცვის სამინისტროს თეთრეულისა და სასადილოს ინვენტარის პრობლემა წესით უნდა მოეგვარებინა. მაშინ, როდესაც ამერიკული თუ თურქული სამხედრო დელეგაციები იმას ითვლიდნენ, რა სახის ფორმა, რადიოსადგურები თუ ავტომანქანები მიეწოდებინათ ქართული არმიისთვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ატაშემ მოინახულა რამდენიმე ნაწილი და ცოტა ხანში ჩინელებმა თავისი გემით ფოთში ჩამოიტანეს 10 ათასი ლანგარი სამხედრო სასადილოებისთვის, ამდენივე ბალიშისპირი და ზეწარი. თითოეული ჯარისკაცისთვის საჭიროა ორი ზეწარი და ერთი ბალიშისპირი. (5 ათასი ბალიშისპირი დარჩა მარაგში). თუმცა რად გინდათ, დღეს ეს 100%-იანი ბამბის ჩინური თეთრეული სამხედრო ნაწილებში სანთლით უნდა ეძებოთ, იგი ისევე გაზიდეს საწყობებიდან შინ თუ ბაზრობებზე, როგორც ყოველდღიურად კარტოფილს იპარავენ.

10 ათასი ჩინური ლანგარი, რომელიც უჟანგავი ლითონისგანაა დამზადებული, ჯერჯერობით, საბედნიეროდ, ჯართში არ ჩაუბარებიათ, თუმცა ისინი ამჟამად მხოლოდ გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სასადილოში გამოიყენება. სხვა ნაწილებმა საწყობებში დააბრუნეს უბრალო მიზეზის გამო — ჩინურ ლანგარს ოთხი განყოფილება აქვს და სხვადასხვა საკვების დასაწყობადაა განსაზღვრული. ქართული სამხედრო მენიუ კი ძირითადად „აქცენტს“ წყალწყალა წვნიანზე აკეთებს, არადა ჩინელებს, რომლებიც ამ ლანგრებს საკუთარ არმიაშიც იყენებენ, აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ საარმიო ულუფაში მთავარი ნახევარი ლიტრი წვნიანი იქნებოდა. ქართველ სამხედროებს იმედი აქვთ, როდესაც დამთავრდება მე-11 ბრიგადის სასადილოს კაპიტალური რემონტი (თურქი სამხედრო ინჟინრები ქართველ დაქირავებულ მუშებს დღეში ათიოდე ლარს უხდიან ამ 500-კაციანი სასადილოს გარემონტებაში), იქ ჯარისკაცები თვითმომსახურებისას გამოიყენებენ ამ ჭურჭელს.

ამ სტატიის ავტორს არანაკლებ ათი საზღვარგარეთული არმიის სასადილო უნახავს, გაუსინჯავს მათი ულუფა, დაუთვალიერებია მათი ყაზარმები. რომ არაფერი ვთქვათ დასავლეთზე, სამწუხაროდ, ქართული არმიის საყოფაცხოვრებო პირობები ხშირად ჩამორჩება იმავე უკრაინულსა თუ სომხურს. მართებული არ იქნება ყველაფრის იმით გამართლება, რომ რუსმა სამხედროებმა ჩვენი ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ყველა ყაზარმა ააოხრეს — მათ არც ჩვენ (ხშირად სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებლებმაც) დავაკელით ხელი.

სახელმწიფო, რომელიც სამხედრო სამსახურში იწვევს თავის მოქალაქეს, ვალდებულია, მას შეუქმნას ცხოვრების, კვებისა და საბრძოლო მომზადების ელემენტარული პირობები.

არ შეიძლება, ეროვნულმა არმიამ მუდმივად უცხო ქვეყნების დახმარებებით იცხოვროს, რადგან ჭკვიან ხალხს უთქვამს — ვინც კვებავს, ჯარიც იმას ემსახურებაო.

# საქართველო უცხოელი სამხედროების გარეშე ვერ ძლებს

## ამერიკული სამხედრო ბაზების პლუს-მინუსები



ეტყობა, ასე დაებედა საქართველოს — უცხო ტომის იარაღიანი კაცის გარეშე თავის სახელმწიფოს ვერ ინარჩუნებს.

თვით დავით აღმაშენებელმაც, რომლის დროის საქართველოს ძლიერებას დღესაც მივტირით, 40 ათასამდე ყივჩაღი შემოიყვანა თავისი არმიის გასაძლიერებლად.

ერეკლე მეორეც პრაგმატული მეფე აღმოჩნდა — XV საუკუნის ბოლოს დადებულმა გიორგიევსკის ტრაქტატმა საქართველო ბევრი უბედურებისგან იხსნა, თუმცა ერთი დიდი პრობლემაც გაუჩინა — რასაც მეზობელი რუსეთის იმპერიული ინტერესები ჰქვია.

დღეს, XX საუკუნის დასაწყისში, კიდევ ერთხელ დგება დრო, ახალი პრაგმატული გადაწყვეტილების მიღებისა — საქართველო დასავლეთთან ინტეგრაციისკენ გადამწყვეტ ნაბიჯს დგამს, რასაც ბევრი სიკეთე უნდა მოჰყვეს, თუმცა, მთლად არც ნეგატიურობისგან ვიქნებით დაზღვეულნი.

ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი უკვე თამამად აცხადებს, რომ დადგა დრო საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებისა.

სტატიის ავტორის აზრით, უცხო ქვეყნის (თუნდაც მეგობრული) სამხედროების მუდმივი ყოფნა შენს სამშობლოში დიდად აღსაფრთოვანებელი სულაც არ უნდა იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც რეალობაა გასათვალისწინებელი — სანამ მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, საქართველო იძულებული იქნება, თავი იმ „ნავსაყუდელს“ შეაფაროს, რომელიც „ჩაძირვისგან“ ანუ დანაწევრებისგან დაიცავს მას.

ასეთი კი დღესდღეობით, გვინდა თუ არა, მსოფლიოში ჯერჯერობით ეულად დარჩენილი ზესახელმწიფო — აშშ-ია.

თეთრი სახლი აღარც მალავს თავის გლობალურ ინტერესებს. მათ გასატარებლად კი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქმედებებთან ერთად, წმინდა სამხედრო ძალის დემონსტრირებაც აუცილებელია. ამის საჩვენებლად კი პენტაგონს ზებგერითი ბომბდამშენების, უზარმაზარი ავიამზიდებისა თუ ატომური წყალქვეშა ნავების გარდა, მთელი პლანეტის მასშტაბით, სამხედრო ბაზებიც სჭირდება, სადაც ეს მრისხანე ტექნიკა და ცოცხალი ძალა იქნება განთავსებული.

ამ მხრივ სამხრეთ კავკასიის რეგიონი საკმაოდ პერსპექტიულად მოჩანს თეთრი სახლიდან. თუმცა გასარკვევია, უფრო რომელი მიმართულება იქნება მნიშვნელოვანი პენტაგონისთვის, თუკი ის სამხედრო ბაზებს მაინც დაამკვიდრებს საქართველოში?

ვფიქრობთ, ალბათ ეს ჩრდილოეთი მიმართულება იქნება.

თითქოს დღეს რუსეთიც და აშშ-იც სტრატეგიულ პარტნიორებად გვევლინებიან, მაგრამ მათ შორის დროთა განმავლობაში მაინც დაიძაბება ურთიერთობა, რაც პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იქნება რუსეთის სამხედრო ძლიერების შემდგომ დასუსტებასთან.

რაც უფრო დასუსტდება რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა, შესაბამისად შემცირდება მისი სარაკეტობირთვული პოტენციალი — გაურემონტებელი ატომური წყალქვეშა ნავები ვეღარ გავლენ ოკეანეში საპატრულოდ, ხოლო ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტები მოძველების გამო უტილიზაციაზე მოხვდებიან.

ამის პარალელურად, მდიდარი აშშ შეძლებს შექმნას მეტ-ნაკლებად ეფექტიანი ანტისარაკეტო სისტემა მთელი თავისი ტერიტორიის დასაცავად. ამის შემდეგ თეთრი სახლი ალბათ უფრო მკაცრ და ხისტ პოლიტიკას გაატარებს მთელ მსოფლიოში, პირველ რიგში კი რუსეთის მიმართ.

მანამდე კი ამერიკა თავის პოზიციებს, როგორც პოლიტიკურს და ეკონომიკურს, ისე ბოლო დროს უკვე სამხედროსაც, ამაგრებს რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან — სამხრეთ კავკასიაში და რაც არანაკლებ მთავარია, შავი ზღვის აკვატორიაში.

NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოება, ისევე როგორც პენტაგონის ძლიერების მთელ მსოფლიოში გავრცელება, ჯერჯერობით უწყვეტი პროცესია.

რუსეთი, რომელიც ავადმყოფურად აღიქვამდა ჯერ აღმოსავლეთ ევროპაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ნელ-ნელა გაფართოების რამდენიმეწლიან პროექტს, მოულოდნელად მწარე რეალობის წინაშე აღმოჩნდა — ორიოდე თვეში ამერიკელი სამხედროები ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთსა და ყაზახეთში დაფუძნდნენ. ცოტა ხანში იგივე შეიძლება საქართველოშიც მოხდეს. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრების მიმართულებებზე, განსაკუთრებით კი მათი საჰაერო სივრცის კონტროლზე (თანამედროვე ომები სწორედ მოულოდნელი საჰაერო თავდასხმებით იწყება) მოსკოვმა უზარმაზარი თანხები უნდა დახარჯოს, რაც მას არ გააჩნია. რუსეთის სამხედრო ბიუჯეტის ლომის წილს ჩეჩნეთის ომი „ჭამს“.

ამერიკული სამხედრო ბაზების საქართველოში გამოჩენა, იმედია, ბოლოს მოუღებს რუსეთის დაუსჯელ საჰაერო თავდასხმებსა და დაბომბვებს კოდორისა თუ პანკისის ხეობებში.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — ქართულ მიწაზე გამოჩენილი ამერიკული ბაზები გახდებიან რუსული სამხედრო მანქანის მთავარი სამიზნეები, რომლებსაც გამანადგურებელი დარტყმა შეიძლება ბირთვული იარაღით მიადგეს. ანუ მოხდება ერთგვარი როქირება — თუკი ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოში დისლოცირებული საბჭოთა სამხედრო ობიექტები ამერიკულ ბირთვულ რაკეტებს ჰყავდათ მიზანში ამოღებული, ამჯერად როლები შეიცვლება.

თუკი ორივე შემთხვევაში ბირთვული თავდასხმის სამიზნეს წარმოადგენ, შესაკრებთა გადანაცვლება არა გვგონია, (საქართველოსთვის) სანუგეშო იყოს.

მაგრამ რას ვიზამთ — ასეთი ყოფილა ჩვენნაირი პატარა ქვეყნების ბედი...

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

არსენალი

# ანტისნაიპერები — ტერორისტების ქილერები

მაშინ, როდესაც ქვეყნის პირველი პირები ხშირად „დემოკრატობას“ თამაშობენ და ქუჩაში შეჯავშნული ლიმუზინებიდან გადმოდიან ხალხთან მისასალმებლად, მათი მცველებისთვის ყველაზე ნერვიული და საპასუხისმგებლო მომენტი იწყება: ქვეყნის პირველი პირის დაცვის გარანტიები საფრთხის წინაშე დგება, რადგან ქალაქის პირობებში კარგად შენიღბულმა სნაიპერმა შეიძლება საბედისწერო გასროლა მოასწროს.

ასეთ დროს დაცვის სამსახურები მთავარ იმედს ამყარებენ თავისივე სნაიპერებზე, რომლებიც რამდენიმე ხნით ადრე განლაგდებიან ხოლმე შენობების სახურავებზე და აკონტროლებენ ყველა იმ სექტორს, საიდანაც ტერორისტმა შეიძლება ისროლოს.

მოწინააღმდეგეს მისივე იარაღით და ტაქტიკით უნდა დაუპირისპირდე — სწორედ ესაა ანტისნაიპერების მთავარი მოძღვრება. სნაიპერებს შორის დუელი შეიძლება დაცვის სამსახურებისთვის იყოს შედარებით ახალი ხილი (არა უმეტეს ნახევარი საუკუნე), თორემ საბრძოლო სიტუაციებში ისინი ერთმანეთზე ოდითგანვე ნადირობენ.

ზუსტად ერთი საუკუნის წინ, როდესაც სამხრეთ აფრიკაში ინგლისელები ბურებს ეომებოდნენ, მათ შეიარაღებაში გამოჩნდა გრძელლულიანი შაშხანა „ლი-ენფილდი“, რომელიც სროლის დიდი სიზუსტით გამოირჩეოდა. ცოტა ხანში ბურებმა — საუკეთესო მონადირეებმა — ეს ინგლისური შაშხანები ალაფის სახით ხელთ იგდეს და სამხედრო სპეციალისტები გააოცეს — ისინი „ლი-ენფილდით“ თითქმის 1,8 კმ-ში არტყამდნენ მცირე სამიზნეს.

პირველ და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს სნაიპერული დუელები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. გამარჯვებულს მარტო უკეთესი შაშხანა როდი ავლენდა — არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ თავად მსროლელის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემები. სნაიპერს მოკლე გადარბენების შემდეგ უწევდა გასროლა — აჩქარებული სუნთქვისას კი სამიზნის „დაჭერა“ არც ისე ადვილია.

სნაიპერის გამარჯვებაზე ანუ ცოცხლად გადარჩენაზე მისი შარდის ბუშტის სიდიდეც მეტყველებდა — რაც უფრო დიდხანს იქნებოდა სამალავში სნაიპერი გაუნძრევლად (ხანდახან შეიძლება ეს მთელი დღეც გაგრძელდეს და მხოლოდ დაბინდებისას შეიცვალოს ადგილმდებარეობა) და თავს შეიკავებდა ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისგან, მით უკეთ მოახერხებდა თავის გადარჩენას.

მოწინააღმდეგეების სნაიპერები მუდმივად „კატათაგვობანას“ თამაშობენ და ათასნაირ „სიურპრიზს“ იგონებენ ერთმანეთის მოსატყუებლად. თუმცა ჯოხზე წამოცმული ჩაჩქნისა თუ ადამიანის ფიტულის სანგრიდან წამომართვა პროფესიონალ სნაიპერს ვერ შეაცდენს. ის კი არა, ზოგიერთები საგანგებოდ არ ისვრიან რამდენიმე საათის განმავლობაში, რათა საპირისპირო მხარე დარწმუნდეს, რომ ის ადგილი უხიფათოა. როგორც კი სამიზნეში შედარებით მნიშვნელოვანი ფიგურა (შტაბის ოფიცერი ან გენერალი) გამოჩნდება, გაისმის ერთი ზუსტი გასროლა, რის შემდეგაც სნაიპერი აუცილებლად ტოვებს სამალავს.




ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების რაიონში ანტისნაიპერების წინასწარ გადასხმას და მათ განთავსებას ამაღლებულ ადგილზე, საიდანაც კარგი ხედვის არეალი იშლება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა სახის იარაღითაა აღჭურვილი ანტისნაიპერი. თუკი არსებობს სადაზვერვო ინფორმაცია, რომ ტერორისტები უმთავრესად, მაგალითად, რუსული „კალაშნიკოვებით“, ტანკსაწინააღმდეგო РПГ-7-ით და СВД სნაიპერული შაშხანებით არიან შეიარაღებულნი, მაშინ აჯობებდა ანტისნაიპერების მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანებით აღჭურვა.

აქ მთავარი იდეა ასეთია — ანტისნაიპერმა რიცხობრიობით ნამდვილად ვერა, მაგრამ მანძილით უსათუოდ უნდა მოუგოს ტერორისტებს. ზემოთ ჩამოთვლილი საბჭოთა იარაღიდან დამიზნებითი ეფექტიანი სროლა მხოლოდ 500-600 მ-ის დისტანციაზე შეიძლება. СВД-ს ტყვია 1,5 კმ-ზე შორს მიდის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მის მსროლელს 1 კმ-შიც შეუძლია პატარა და მით უმეტეს, მოძრავი სამიზნის დაზიანება.

თუკი ანტისნაიპერს ხელთ აქვს 12,7 მმ მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა, იგი 7,62 მ კალიბრიანი შაშხანის მფლობელ ტერორისტს არანაკლებ 500-1000 მ-ს უგებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსხვილკალიბრიან ტყვიას დღეს არსებული ნებისმიერი ჯავშანჟილეტი და მუზარადი გამჭოლად გააქვს.

მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანები ბოლო 10-15 წელია, რაც პოპულარული გახდა. თუმცა მათ წინამორბედებს ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ. მაშინ გერმანელებიც და საბჭოთა ჯარისკაცებიც ერთმანეთს ტანკებს 12,7 და 14,5 მმ კალიბრის ჯავშანგამტანი ტყვიებით უწვავდნენ. მოგვიანებით, ტანკების ჯავშნის გაძლიერების შემდეგ, ეს ტანკსაწინააღმდეგო შაშხანები ერთხანს უფუნქციოდ დარჩა, მაგრამ მალე დაიწყეს მათი მტრის ცოცხალი ძალის წინააღმდეგ გამოყენება.

დღეისათვის მსხვილკალიბრიან სნაიპერულ შაშხანებს მსოფლიოს ათამდე ქვეყანა აწარმოებს. მათ შორისაა ამერიკული 12,7 მმ კალიბრის M87 და M93 ტიპის სნაიპერული შაშხანები, აგრეთვე იმავე კალიბრის უნგრული „Gepard“-ი და 14,5 მმ-იანი „Elefant“-ი. ჩეხური „ფალკონი“ (მის შესახებ „კვირის პალიტრა“ თავის დროზე წერდა), რუსული OCB-96, KCBK და სხვ.

ამ მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანების მონაცემები ერთმანეთისგან მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდება, თუმცა გამოირჩევიან კონსტრუქციული თავისებურებებით — ჩეხური „ფალკონი“ და რუსული KCBK „ბულპაპის“ პრინციპითაა შექმნილი, ანუ სავაზნე კოლოფი სასხლეტის უკან, კონდახისკენაა გადატანილი.

შედარებითი სურათის შესაქმნელად რუსულ OCB-96-ის რამდენიმე ძირითად ტაქტიკურ-ტექნიკურ მონაცემს მოვიტანთ — იგი ДШК ტყვიამფრქვევის 12,7 მმ კალიბრის ტყვიებს ისვრის, თუმცა, რა თქმა უნდა, უმჯობესია სპეციალური, სნაიპერული ვაზნების გამოყენება, რომლებიც უკეთესი ტექნოლოგიითაა დამზადებული და მიზანში მოხვედრისას დამაკმაყოფილებელი სიბურჯღლე გააჩნიათ. შაშხანით დამიზნებითი სროლა 1.800 მ-ის დისტანციაზე შეიძლება. ოპტიკური სამიზნისა და ვაზნების გარეშე (მჭიდში 5 ვაზნა ჩადის) 12,65 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე შთამბეჭდავია — 1,7 მ, თუმცა გადატანისას შუაზე იკეცება.

როდესაც შაშხანა სნაიპერს საშუალებას აძლევს, თითქმის 2 კმ-ის მანძილზე დააზიანოს მოწინააღმდეგე, მაშინ ბუნებრივია, თანამედროვე სამიზნე მოწყობილობაც იქნება საჭირო. კომბინირებული ელექტროოპტიკური დასამიზნებელი ხელსაწყოები ანტისნაიპერებს საშუალებას აძლევენ, დღისით სროლის მთელ დისტანციაზე, ხოლო ღამით — 600-800 მ-ის მანძილზე სრულ სიბნელეში მოარტყან მიზანს.

ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ რეინჯერებს სავარაუდოდ შეასწავლიან ანტისნაიპერული ბრძოლის მეთოდებს (განსაკუთრებით მთაგორიან და ქალაქის პირობებში) და არც რამდენიმე ათეული ამ ტიპის შაშხანის გადმოცემას დაინანებენ.

დიდი ძებნის შემდეგ თბილისელი — არარატ გევორქიანის კვალმა მეზობელ სომხეთში, ლენინაკანის რაიონის რომელიღაც სოფელში მიგვიყვანა და იქაური მილიციის დახმარებით მძინარეს ისე დავადექით თავზე, არც გაუგია. არადა, ჩუბინი მსროლელი იყო მამაძაღლი. ვაზნებით გაძეძგილი პარაბელუმი ედო თავთან, მაგრამ, როცა გავაღვიძეთ, რაკი იარაღი ადგილზე აღარ დახვდა, წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია. იცოდა, უიარაღოდ სამ კაცს ვერაფერს დაგვაკლებდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. ოჯახმა, სადაც ძებნილი დავაკავეთ, თავი მოიკლა და უვახშმოდ არ გამოგვიშვა, — თქვენი საქმე ხომ გააკეთეთ, ახლა ჩვენი საქმე ჩვენ ვიცითო და სახელდახელოდ ისეთი სუფრა გაშალეს, ავ თვალს არ ენახვებოდა. ზრდილობის გულისთვის ჩავიმუხლეთ, მასპინძელი დავლოცეთ, არცთუ სასურველი სტუმრობისათვის ბოდიში მოვუხადეთ და ღამის თორმეტის ნახევარზე უკვე ლენინაკანში ვიყავით. მართალია, დაღლილები გახლდით, მაგრამ თბილისში აუცილებლად წამოვიდოდით, წმინდა საკანცელარიო ფორმალობა რომ არ გვქონოდა შესასრულებელი, რასაც იმ გვიან ღამით ვერაფრით მოვახერხებდით. ამიტომ პატიმარი მილიციის განყოფილებაში ჩავაბარეთ და სასტუმროში წავედით. ის იყო, ხელ-პირი დავიბანეთ და ლოგინებში ჩავგორდით, რომ სახეშეცვლილი მილიციის მორიგე დაგვადგა თავზე. შენობიდან ხუთი წუთის გამოსულიც არ იქნებოდით, პატიმარი რომ გაგვექცა, ვეცადეთ, ჩვენი ძალებით დაგვეკავებინა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. თუ დაგვიჯერებთ, ეგ კაცი ქალაქში არ გაჩერდებოდა. მაგას მეორე მამიდაშვილი ზემოთ, მთებში ჰყავს და უეჭველად იქაურობას მიაშურებდა, მაგრამ ხეობაში, სადაც სამანქანო გზა გადის, იმდენი სამალავია, გათენებამდე გამორიცხულია მისი ნახვა. თუმცა, ის ალბათ არ დაისვენებს და რიჟრაჟამდე მაინც ავა სოფელში, იქ კი ცოტა სხვარიგად მოაზროვნე ხალხი ცხოვრობს და ვეჭვობ, აყვანა მოვახერხოთ. პატიმრის გაქცევიდან ორმოცი წუთია გასული. მთელი განყოფილება ფეხზე დგას. მილიციის უფროსი და მისი მოადგილეები უთქვენოდ ვერაფერს წყვეტენ. ჩვენ რომ უნდა დავისაჯოთ, ეს ფაქტია, მაგრამ ახლა ძებნილის დაკავებაა მთავარი. გელოდებით!

— სიჩას ესტ და სიჩას ნეტუ, — თავისთვის ჩაილაპარაკა თამაზმა და ისეთი უმწეო თვალებით შემომხედა, შემეცოდა ეს ორმეტრიანი ყაზახი. — გაექცათ თუ გაუშვეს, იმტვრიე თავი ახლა შენ.

— რა შეგვიძლია გავაკეთოთ, — ვფიქრობ ჩემთვის, — თუ გაუშვეს, ამათ ნდობას აზრი აღარ აქვს. თუ გაექცათ, ისევ მაგათი რჩევებით უნდა ვიმოქმედოთ. აბა, აქ რას გავხდებით, გზა ჩვენ არ ვიცით და კვალი, მით უმეტეს, ღამეა, ხეობა, მთები, მივარდნილი სოფელი, სადაც ერთმანეთისგან სამ-ოთხ კილომეტრზე დაშორებული სულ ორი-სამი სახლია და თან იმ ენაზე ლაპარაკობენ, რომლისაც არაფერი გამეგება.

— თამაზ, ახლა მკითხაობის დრო არაა, — მივუბრუნდი ჩემს კოლეგას, — ის მომენტია, როცა პარტნიორს ვერ აარჩევ, ბრმად უნდა ვენდოთ ამ ხალხს. თუ მართლა გაექცათ, თავს მოიკლავენ და ყველაფერს გააკეთებენ. თუ

[redacted]



გაუშვეს, მაგასაც ვნახავთ. წავედით...

— მარწმუნებენ, რომ ძებნილს ჩვენთან მხოლოდ ორ მისამართზე მიესვლება. ერთი თქვენ უკვე იცით. ის იქ მიმბრუნებელი აღარაა. ყოველ შემთხვევაში, იქ უკვე გავგზავნეთ ჩვენი ხალხი. მისი მეორე ნათესავი კი ზემოთ, მთებში ცხოვრობს, აქედან ასე ორმოცი-ორმოცდახუთი კილომეტრი იქნება. თუ იქით წავიდა, ეცდება, გათენებამდე ავიდეს ხეობაში. მას ვერ დავაფიქსირებთ, ახლა ათი კილომეტრი მაინც ექნება გავლილი, ასე რომ, ფეხით ველარ დავეწევით, მანქანის ხმაზე კი გზიდან გადავა და ბუჩქებს შეაფარებს თავს. მაშასადამე, დილამდე არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს, — გვითხრა იქაურმა მილიციის უფროსმა.

[redacted]

— კი მაგრამ, ის ხომ მაინც შეგვიძლია, მთაში ასვლა დავასწროთ და იქ დავხვდეთ, — თავი ველარ შეიკავა თამაზმა.

— გეთანხმებით, მაგრამ ამ ხეობაში ღამით საერთოდ არაა მოძრაობა. ჩვენ ხომ მანქანით უნდა წავიდეთ. ისიც ადგება და ნათესავთან კი არა, მწყემსებთან მივა. რამდენ ხანს დაელოდებით მწყემსების ოჯახში, ანდა მოვა კი, ჩვენ თუ იქ დაგვიგულა? მე შეგნებული მაქვს ჩვენი პასუხისმგებლობა ამ გაქცევასთან დაკავშირებით. ამიტომ ყველაფრისათვის მზად ვარ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. მიმსახურეთ!

აშოტი ერქვა მილიციის უფროსს, ჩემი ტოლა ბიჭი იქნებოდა. ისე ალალად ლაპარაკობდა, მისგან ღალატი გამორიცხული იყო, თუმცა მის თანამშრომლებში შეიძლებოდა ყოფილიყო მოღალატე, რომელმაც პატიმარი გააქცია, მაგრამ ახლა მართლა არ ღირდა ამაზე

[redacted]

ლაპარაკი.

— კარგი, აშოტ! ასე თუ ისე, აქ უქმად ჯდომას, სჯობს ხეობას გავუყვეთ, თუმცა ბევრი ხალხი არ გვჭირდება. ორი ჩვენა ვართ, ორიც — თქვენი კაცი გაგვაყოლეთ, ოღონდ მილიციის „ვილისით“ უნდა წავიდეთ, — ვუთხარი და წამოვდექი.

— რას ნიშნავს ორი კაცი გაგაყოლოთ, ერთ კაცად მე თვითონ წამოვალ, ერთსაც, აგერ, ჩვენს „სპორტსმენს“ წამოვიყვან და წავედით.

მანქანის საჭეს „სპორტსმენი“ მიუჯდა, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა იყო, მეტსახელი ზუსტად შეერჩიათ მისთვის. ამ დროისათვის ვიცოდი, რაც უნდა გაგვეკეთებინა. ძებნილის ხეობაში დაკავების ორი ვარიანტი მქონდა მოფიქრებული, მაგრამ პირველი, რომელიც გზადაგზა ხალხის ჩამოსხმას გულისხმობდა, იმთავითვე უარვყავი. არ ვენდობოდი იქაურებს და იმიტომ. საბაბიც საკმარისი მქონდა. ერთ ღამეს ვერ შეინახეს მკვლელობისათვის ძებნილი გარეწარი. მეორეს კი ჯერ არ ვახმოვანებდი და ეს იყო მიზეზი, თამაზი რომ წარამარა მებუზღუნებოდა, — ხომ ვიცი, რაღაც გაქვს უკვე მოფიქრებული, თორემ შენ აქ ტყუილად არ წამოხვიდოდიო.

— სიგარეტი თუ ჰქონდა ნეტავ, — ჩემთვის ჩავილაპარაკე და სიბნელეს გავხედე.

— სიგარეტის კოლოფი იქვე დარჩენია, პიჯაკთან ერთად, — შემომაშველა სიტყვა „სპორტსმენმა“ და შევატყვე, კმაყოფილი დარჩა თავისი პასუხით, რაკი რაღაცაში მაინც გამოიჩინა თავი.

— ჩვენ თუ გვაქვს სიგარეტი? — ვიკითხე და ჯიბისაკენ წავიღე ხელი. ვითომ არ ვიცოდი, რომ უკვე წელიწადზე მეტი იყო, ჩემს ჯიბეებს სიგარეტი არ ენახათ, რის ვაი-ვაგლახით დავანებე თავი.

— პაჟალუსტა, „კენტ“ ხატიტე? — მთელი კოლოფი გამომიწოდა აშოტმა. ჩამეცინა და მკრტიჩიანი გამახსენდა ფილმ „მიმინოდან“ — Когда ему будет хорошо и мне будет хорошо.

— რას აპირებ, აღარ იტყვი, კაცო, — თავი ველარ შეიკავა თამაზმა. ჩემს კოლეგას სიტყვა ბანზე ავუგდე და მილიციის უფროსს იმაზე გავუბი საუბარი, ამ ხნის მანძილზე, რაც ჩვენ ხეობაში შემოვედით, გადავუსწრებდით თუ არა ჩვენს ძებნილს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისიც ამ გზით მიდის-მეთქი. აშოტმა სპიდომეტრს დახედა და დარწმუნებით მითხრა, — ჩვენ მას, მინიმუმ ხუთი კილომეტრით გადავასწარით.

— ჰოდა, თუ ასეა, გააჩერეთ მანქანა, ამხანაგო „სპორტსმენო“, მე და შენი უფროსი აქ ჩავდივართ, შენ და თამაზი კი დაბლა დაეშვით და რაც შეიძლება სწრაფად. გათენებისას კი უკანვე ამოგვაკითხეთ, გასაგებია?

— გასაგებიაო, — მომიგო „სპორტსმენმა“, თუმცა ვგრძნობდი არც მას, არც თამაზს არაფერი გაუგიათ გარდა იმისა, რომ უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ რატომ, ვერ გაარკვიეს. ყოველ შემთხვევაში, ასე უცებ ვერ გააცნობიერეს და არა მარტო მათ, — აშოტიც შეცბა და სასწრაფოდ მომიგო:

— Пока рано: еще ехать километров десять-пятнадцать...

— ჰო, მაგრამ ჩვენ აქ უნდა ჩავიდეთ, ჩემო ძმაო, აშოტ, და თუ უარს არ მეტყვი, მადლობელი დაგრჩები-მეთქი, ვუთხარი. შევატყვე, აშოტს ნელ-ნელა გადაეწმინდა გონება, ჩუმად ჩაიცინა და ყველაფერს მიხვდა.

— Ладно, пошли пешком.

დაახლოებით ოცი თუ ოცდახუთი წუთი ვიარეთ მე და აშოტმა ფეხით, უბრად მივდიოდით, ოღონდ ეგ იყო, ზედიზედ ვუკიდებდით სიგარეტს და ცოტა სიმთვრალის იმიტაციასაც ვცდილობდით. ორივენი სპორტულ ფორმებში ვიყავით. ცნობით ჩვენი ძებნილი ალბათ დღისითაც ვერ გვიცნობდა. მართალია, მე რამდენიმე საათის წინ მნახა, მაგრამ მაშინ სულ სხვაგვარად მეცვა, ახლა კი...

აშოტი საერთოდ არ ენახა თვალით. ან თუნდაც ენახა, ისეთი უკუნი იდგა, გზასაც ძლივს ვარჩევდით და კაცს ვინ გაარჩევდა ამ ყიამეთში. უცებ რაღაც გაურკვეველი, სომხური სიტყვები მომესმა სიბნელიდან. კარგად დავაკვირდი და კაცის სილუეტი გავარჩიე. აშოტი უმალ გაეხმაურა მისივე ენაზე და სიგარეტზე გაიკრა ხელი, მეც იგივე მოძრაობა გავიმეორე, ოღონდ სიგარეტის კოლოფის ნაცვლად, ხელბორკილი ამოვიღე ჯიბიდან, — ცალი საკეტი მარცხენა ხელზე შევიბი და ის იყო, აშოტმა სიგარეტი მიაწოდა შემხვედრს და ახლა ასანთიც უნდა გაეკრა, რომ ერთბაშად უცნობის მარჯვენას გადავაცვი მარყუჟი. ძებნილმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ აშოტმა ისეთი თავური აჯახა, გულახდილად ვუთხარი, სპორტსმენი შენი ინსპექტორი კი არა, შენ ყოფილხარ-მეთქი.

გათენებას აღარაფერი აკლდა...

## ნარკოტიკების გადასაზიდი კონტეინერი

თავის დროზე ამ ადამიანების, უფრო სწორად, ამ მამა-შვილის არც გვარ-სახელი დაგვიმალავს და მეტიც, მსხვილი პლანითაც არაერთგზის ვაჩვენეთ ორმოცდახუთწუთიან სატელევიზიო გადაცემაში სახელწოდებით „ნიღაბი“, რომელიც ამ წერილის ავტორმა მოამზადა. მაგრამ ახლა იძულებული ვარ, მათი ვინაობა დავმალო და არა იმიტომ, რომ ისინი ამას იმსახურებენ. უბრალოდ, მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა. მაშინდელი მათი შვილიშვილები თვითონ იქცნენ ბაბუებად და არ მინდა ვინმეს დაუმსახურებელი ტკივილი მივაყენო ულირსი წინაპრის გამო. სწორედ მათი ხათრით ამ მონათხრობში მამა-შვილის მხოლოდ გვარ-სახელებს არ მოვიხსენიებ, დანარჩენი ზუსტად ისევე დარჩება, როგორც სინამდვილეში იყო.



[redacted]

იმხანად თბილისის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში ვმუშაობდი აგიტაცია-პროპაგანდის ხაზით და, ბუნებრივია, საკმაოდ ინფორმირებულიც გახლდით ამ სამსახურის ავკარგის შესახებ.

მაშინ ქალაქის ავტოინსპექცია ერთიანი სამსახური იყო და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ერთ შენობაში, სამოქალაქოს პირველ ნომერში წყდებოდა. იყო გაუთავებელი რიგები ჩამორთმეული მართვის უფლებების დასაბრუნებლად. ეზოში განუწყვეტლივ ტრიალებდნენ მაკლერები, რომლებიც გარკვეული გასამრჯელოს ფასად ავტოინსპექციის ჩინოვნიკებსა და მძღოლებს შორის შუამავლობდნენ.

[redacted]

ერთხანს ჩვენთან სიარულს მოუხშირა პოლკოვნიკისსამხრეებიანმა სამხედრომ, რომელიც როგორც გაირკვა, ახალგასული იყო პენსიაში და აქ ავტოინსპექციაში თავის ერთ მაღალჩინოსან მოგვარესთან მოდიოდა ერთი და იმავე თხოვნით — მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლისათვის, რომელიც, მისივე სიტყვებით, ხან მისი მეზობელი იყო, ხან დეიდაშვილი და ხანაც ბიძაშვილი, დაებრუნებინათ მოწმობა, არ აეკრძალათ მისთვის მართვის უფლება გარკვეული ვადით, რაც იმხანად არსებული წესის თანახმად, ჩვენი სამსახურის ყოველდღიური პრაქტიკა გახლდათ.

მერე და მერე ამ კაცს მოძრაობის წესების დამრღვევი იმდენი „ახლობელი“ დაუგროვდა, ავტოინსპექციის თანამშრომლებსაც იმდენად ხშირად გვაწუხებდა, რომ დავეჭვდით მის გულწრფელობაში, დავუდარაჯდით და აღმოვაჩინეთ, რომ პოლკოვნიკს მაკლერის ფუნქციები შეეთავსებინა და ისიც იმავე ეზოში, სხვებივით პოულობდა კლიენტებს, განსაზღვრულ ფასად ურიგდებოდა და...

— მეცით, ბიჭებო, პატივი, ჩემი მეზობელია, გუშინწინ მეუღლე გავაყოლე ბაზარში, რაღაც დაურღვევია და მართვის უფლება ჩამოურთმევიათ. ნუ შემარცხვენთ პოლკოვნიკ კაცს. ამას გარდა თქვენი შეფის ბიძაშვილი ვარ, მაგრამ დღეს ველარ მივალ მასთან. ამ დილით ერთ ახლობელზე ვთხოვე და...

რაღა ბევრი გავაგრძელო, დიდხანს გვატყუა, მერე კი დავითხოვეთ, მაგრამ რამდენიმე თვე, როგორც იტყვიან, კარგად იპარპაშა.

გავიდა ხანი. მე, უკვე როგორც სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელი, მლეთაში, ნარკოტიკების შემომტანთა გამოსავლენ რეიდში ვმონაწილეობ. ავტოინსპექციის საგუშაგოზე ყველა მანქანას ვაჩერებთ. ვიზუალურ დათვალიერებასთან ერთად, საგანგებოდ გაწვრთნილი სპანიელიც გვყავს. ტრასაზე მანქანების მოძრაობა საკმაოდ ინტენსიურია და რეიდის მონაწილეები პატარ-პატარა ჯგუფებად დავნაწილდით. უცებ ჩემს მეზობლად გაჩერებული „ჟიგულის“ სალონიდან ჯერ ძაღლის წკავწკავი, შემდეგ კი ნაცნობი ხმა და რამდენიმე კაცის ხარხარი მომესმა: — აჭამეთ, ბიძიკოებო, რაიმე ამ ძაღლს, ცოდოა, კაცო, სულიერია ესეც, — გავიხედე და... ჩვენი ნაქები სპანიელი ისე ჩაჰფრენია საქონლის მოზრდილ ბეჭს, რომელიც იმ დროს თბილისში ხორცის დეფიციტის გამო ჩრდილო კავკასიაში უყიდიათ „ჟიგულის“ მგზავრებს, რომ ცოცხალი თავით დანებებას არ აპირებს. ამ მგზავრებიდან ერთი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი პოლკოვნიკი, რომელმაც უეჭველია, მე უფრო ადრე შემნიშნა, პირდაპირ ჩემკენ გამოემართა საჩივრით — ვაჟა, ბიძიკო, ასე არ ვარგა. ხომ იცი, აქ ხშირად მიწევს სიარული. რა ვქნა, კაცო, სამი ოჯახი მყავს შესანახი. ერთი ჩემი, ორიც — ბიჭების, თბილისში კი არაფერი იშოვება. ძირითადად, ხორცს ვყიდულობ და შვილიშვილებთან მიმაქვს. ესენი კი სულ მიბღვერენ პოლკოვნიკ კაცს — და ხელი სერჟანტისჩინიანი ავტოინსპექტორებისაკენ გაიშვირა.

— დამკალით, ბატონო, და ეგ პოლკოვნიკი აქ საკაიკაცოდ არ დადის. ყოველ შაბათ-კვირას, ზოგჯერ კვირაში ორჯერაც, შვილსა და ერთ რუსის ქალთან ერთად დაძრწის ამ გზაზე. თავს დავდებ, თუ ეგ ნარკოტიკებით არ ვაჭრობდეს, მაგრამ მე, სერჟანტმა, რომ პოლკოვნიკი გავჩხრიკო და ვერაფერი ვუპოვო, თქვენვე დამიჭერთ და კი ვარ გაჩერებულიო, — მითხრა ერთ-ერთმა ავტოინსპექტორმა.

პოლკოვნიკი რომ ბევრი რამის მკისრებელი იყო, კი ვიცოდი, მაგრამ ნარკოტიკებით მისი გატაცება მეტისმეტად მომეჩვენა და როცა „დამშეული“ ძაღლის საქციელის გამო ირგვლივ მყოფთა ხარხარი ჩაცხრა, რომელთაც არ დაგიმალავთ და მეც ვიზიარებდი (აბა, რა ნარკოტიკებს აღმოაჩენს ძაღლი, რომელიც ისეა დამშეული, რომ მგზავრების ბარგში საჭმელს ეძებს-მეთქი, ვფიქრობდი), საყვედურით ვუთხარი — ჯერ მაგ ძაღლს აჭამეთ და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. სხვათა შორის, სამინისტროს ცენტრალური აპარატის კიდევ რამდენიმე ოფიცერიც დამეთანხმა და მათაც ამრეზით გადახედეს სერჟანტებს, მაგრამ ისინი ხომ არ იცნობდნენ პოლკოვნიკს. მე კი... დღემდე სანანებლად დამრჩა, რომ თავი გავაცურებინე ამ გაიძვერა კაცს.

ერთი კვირის შემდეგ შეურაცხყოფილმა სერჟანტმა საგუშაგოდან მოშორებით, მდინარისპირა ხევში ჩაიყვანა და იქ, ასე ვთქვათ, თვითნებურად გაჩხრიკა პოლკოვნიკი.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

*გასული კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი სახელმწიფო უნივერსიტეტში აგორებული სკანდალი გახლდათ. როგორც ამბობენ, „ვიღაც პოლიტიკოსების“ მიერ წაქეზებულმა სტუდენტებმა კორუმპირებული და არაკომპეტენტური ლექტორების მხილება და საჯაროდ გაკიცხვა განიზრახეს. საგანგებოდ მოწვეულ სტუდენტთა შეკრებაზე სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, კორუმპირებულობაში „გამარჯვებული“ ფაკულტეტი და რამდენიმე „შერისხული“ ლექტორის გვარიც დასახელდა... მაგრამ მოვლენების ბოლო*



*აკორდი ეს ფაქტი არ ყოფილა, რაკი ოსტატ-შეგირდთა პაექრობამ მტყუან-მართალი ვერ გაარჩია, „ჰეფი ენდი“ ერთ-ერთი ლექტორის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი გახდა. როგორც ამბობენ, კორუმპირებულად მონათლული ერთ-ერთი პედაგოგი სტუდენტისაგან საკომპენსაციოდ 1 მლნ ლარს ითხოვს. პარალელურად, სტუდენტებმა თანადგომა „თავისიანს“ გამოუცხადეს და შიმშილობითა და ქუჩების გადაკეტვით იმუქრებიან.*

*უნივერსიტეტში დაწყებულ აურზაურს გაგრძელება მოჰყვა. თამაზ წივწივაძემ რეზო მიშველაძის მხილების სიმძიმე იტვირთა და კოლეგას კორუმპირებული მწერალი უწოდა... შედეგი კი ლამის ფატალური იყო — გულშეღონებული მწერალი პარლამენტის დარბაზიდან სკამზე მისვენებული გაიყვანეს.*

**რევაზ მიშველაძე:** 1937 წელს ხელისუფლება ათვალწუნებულ საზოგადო მოღვაწეებს და მეცნიერებს სტუდენტ-კომკავშირელთა მახვილით უსწორდებოდა. სტუდენტ-კომკავშირელთა მხილების მსხვერპლნი გახდნენ: ივანე ჯავახიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე. ახალგაზრდებს გააგდებინეს და შემდეგ კი ციხეში ჩაასმევინეს ეს ღვაწლმოსილი ადამიანები... არ გეგონოთ ამ პიროვნებებს ვედრებოდე, უბრალოდ, ის მინდა ვთქვა, რომ არ შეიძლება სტუდენტს მასწავლებლების სია შეადგენინო. სტუდენტს, მოწაფეს ბევრ მოვლენასთან თავისი დამოკიდებულება ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული. რა იცის სტუდენტმა კორუმპირებულია თუ არა ლექტორი. ზოგიერთი ლექტორი სტუდენტური გაგებით მათ „აწვალებს“ (მეცნიერული გაგებით კი სწორად იქცევა, სანამ საგანს არ ასწავლის, ნიშანს არ უწერს), ზოგი კი უცებ უშვებს ყველას (ანუ ერთი სული აქვს ჩქარა მოიშოროს სტუდენტები).

როცა პოლიტიკური ძალა კურსს სტუდენტობისკენ იღებს, კიდევ ერთი შეცდომა შეიძლება იყოს დაშვებული — პოლიტიკურად მიუღებელი ლექტორის ფაშისტად ან ნაციონალისტად მონათვლა.

— **კორუმპირებულ ლექტორთა შორის თქვენმა გვარმაც გაიჟღერა...**

— მას შემდეგ, რაც მწერალთა კავშირში სამხედრო საბჭოს მიერ გამოგზავნილ თამაზ

# „შეიძლება მე აწი ცოდნაც გამომელიოს და სტუდენტს უნდა ჰკითხო, ვვარგივარ თუ არა?..“

წივწივაძეს დავუპირისპირდი, ძალიან ავიწეწე ცხოვრება. რაკი მწერალთა კავშირი კომუნისტური გადმონაშთია, შევქმენი ახალი შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს მწერალთა დარბაზი“, რომელშიც „მწერალთა კავშირის“ წევრებიც შემოვიდნენ. თამაზ წივწივაძემ ჩათვალა, — რეზო მიშველაძე „მწერალთა კავშირს“ მიშლისო და ყველანაირი მეთოდით გამიმართა ბრძოლა. მას გვერდით მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორული ჯგუფი დაუდგა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სტუდენტობაზე. „რეფორმატორები“ მათთვის არასასურველი პიროვნებების სახელებს სტუდენტებს ათქმევინებენ ხოლმე. სტუდენტების ნათქვამ სისულელეს ჩვენი მასმედია ბაჯაღლო ოქროდ აცხადებს. არ ვარ ისეთი სუსტი კაცი, რომ ასეთი ხმების მეშინოდეს, მაგრამ გულს მტკენს ასეთი ნათქვამი.

# „თუ მიშველაძე იმ გაზეთს მომიტანს, არა მარტო მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობას, საქართველოსაც დავტოვებ...“

— **„რეფორმატორები“ რატომღა დაგიპირისპირდნენ?**

— ორი კვირის წინ „მწერალთა დარბაზის“ გაზეთში დავბეჭდე წერილი — „... მოქალაქეთა კავშირის სამარცხვინო მმართველობის ეპოქა დამთავრდა... კიდევ ერთხელ გაიყრილობეს შევარდნაძესთან შესაძრომის საპოვნელად მოქკავშირის რეფორმატორებმა, ეს რომ არ გამოუვიდათ, ნაციონალისტები დაირქვეს, მაგრამ ხალხმა არ მიიღო იმათი ნაციონალისტობა, ვინც ეროვნება გაუუქმა... სასოწარკვეთილებმა ოკეანისგაღმელ პატრონებს მიაკითხეს, მაგრამ იქაც ცივად შეხვდნენ, — სად არის თქვენი დანაპირები... აკი შევარდნაძის თავს ჩამოგიტანთო?! ამისთვის გზარდეთ და გეფერეთ, ამისთვის გაძლიეთ გრანტები და ტრანშები? — ჰკითხეს ჩვენს ყოჩაღ ბიჭებს და ზრდილობიანად კარი მიუხურეს“... ამ წერილის და კიდევ პარლამენტში ჩემი გამოსვლების გამო დამიპირისპირდა რეფორმატორთა ერთი ნაწილი. ლექტორების წინააღმდეგ სტუდენტების წაქეზებას ყოველთვის აღშფოთებით შევხვდები... ჯერ იმ წამქეზებლებს უნდა მოჰკიდონ ყურში ხელი, მერე კი სტუდენტებს უნდა უთხრან, — აგერ არის საგამოძიებო ორგანოები, თუ იცი ფაქტი, გამომძიებელს მოახსენეო. აბა რას ჰქვია, სტუდენტს ჰკითხო, — რომელი ლექტორი სჯობსო. ჩვენი კომპეტენცია სამეცნიერო საბჭოზე მოწმდება. შეიძლება მე აწი ცოდნაც გამომელიოს და მეხსიერებაც დამიქვეითდეს, მაგრამ სტუდენტს როგორ უნდა ჰკითხო, ვვარგივარ თუ არა მასწავლებლად.

წიცწივაძეზე რა უნდა ვილაპარაკო გაზეთის ყოველ ნომერში წერს — პრეზიდენტი ჩემი მეგობარია, უჩემოდ ჩაის არ სვამს, მე და პრეზიდენტმა ხელები გავისვერეთ მეგობრობის ნიშნადო. ორჯერ მქონდა საშუალება პრეზიდენტთან მესაუბრა. ხელი მაჩვენა — მეტყობა სადმე გაჭრილიო. ორივეს გაგვეცინა.

*როგორც ჩანს, ლექტორ-სტუდენტთა ჭიდილს უნივერსიტეტში არაერთგვაროვნად უყურებენ. უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან უფრო აპოლიტიკური ახალგაზრდობა ვნახეთ, რომელთაც დიდად არც სტუდენტთა თვითმმართველობა აღელვებდა და არც სტუდკავშირი. უფრო პოლიტიზირებული და აქტიური მეორე კორპუსი აღმოჩნდა.*

**ლევანი**, იურიდიული ფაკულტეტი, V კურსი:

— კორუმპირებულობა მარტო ის ხომ არ არის, რომ სტუდენტისგან ფული აიღო. ხშირად ხდება, რომ ლექტორი გვაიძულებს მისი წიგნი შევიძინოთ — ისე, ჩათვლას და ნიშანს არ გვიწერს. ყველას ხომ არ აქვს საშუალება, რომ 17-ლარიანი წიგნი იყიდოს? ერთმანეთსაც ვერ ვეხმარებით. წიგნზე ხელს გვიწერენ, რომ სხვას არ ვათხოვოთ.

— **ამბობენ, სტუდენტებს პოლიტიკური ძალები მართავენო...**

— ამას კანცელარიის ვირთხები ამბობენ, რომლებისაც არ მჯერა. მართულები თვითონ არიან, შევარდნაძის გარეშე ხმას რომ ვერ იღებენ. დამერწმუნეთ, დასახელებული ლექტორები სააკაშვილს კი არა, სტუდენტებს არ მოგვწონს.

**ნატო გაგნიძე** — ყველამ იცის, რაც ხდება იურიდიულ ფაკულტეტზე. ვის რა ნიშანი უნდა, იმის მიხედვით იღებენ ფულს. როგორც ვიცი, ფილოლოგიის ფაკულტეტის გამოკითხვის შედეგები ჯერ არ შეჯამებულა, მაგრამ ვფიქრობ, იქაც იგივე პრობლემებია...

**ირაკლი მელაძე,** სტუდენტური თვითმმართველობა — იურიდიულ ფაკულტეტზე გარდა წიგნის ყიდვისა, სტუდენტებს საჩუქრის მიტანასაც აიძულებენ ლექტორები. რაიმე კონკრეტული ფაქტის მოყვანა არ შემიძლია, მაგრამ ვიცი, ნიშანი 50 ან 100 დოლარი ღირს. ნიხრი საგნის სირთულეზეა დამოკიდებული.

— **ხომ შეიძლება ზოგ სტუდენტს სიმკაცრის გამო არ მოსწონდეს ლექტორი და ამიტომაც ჩაწერეს იგი „არასასურველ“ სიაში.**

— ეს მომენტი გავითვალისწინეთ და ამიტომაც გამოკითხვა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებთან ჩავატარეთ. როცა სტუდენტების 95% ამბობს ლექტორზე, — კორუმპირებულიაო, ალბათ, დასაჯერებელია. ვიცით, რომ კორუფცია არ არის მხოლოდ ლექტორების დონეზე. მათ ხელფასები არ ეძლევათ და ამის მიზეზი უნივერსიტეტის ადმინისტრაციაა. ადმინისტრაცია იმასაც კარგად ხედავდა, რომ სწავლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება იყო და მიუხედავად ამისა, არ უცდიათ სტუდენტები ლექციებზე შეეყვანათ. ბუნებრივია, დავაყენებთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხსაც.

*რევაზ მიშველაძესთან საუბრის შემდეგ მწერალთა კავშირის თავმჯდომარესაც ვთხოვეთ კომენტარი.*

**თამაზ წივწივაძე:**

— ჩემსა და რევაზ მიშველაძეს შორის დაპირისპირებას სხვა მიზეზი აქვს. მიშველაძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ იყრიდა კენჭს. მე რომ ობიექტური ვყოფილიყავი და იმის გამოც, რომ ვიცოდი მიშველაძის ეჭვიანი ბუნების შესახებ, ხმის დამთვლელ კომისიაში მისი ახლობლები შევიყვანე, თავმჯდომარედ კი მისივე დის ქმარი ლადო მრელაშვილი ავირჩიეთ. მაგრამ მიშველაძემ ვერ გაიმარჯვა. გურამ ბენაშვილმა გაცილებით მეტი ხმა დააგროვა. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი მტრობა, თორემ მანამდე მიშველაძეს საქართველოში და უცხოეთშიც ჩემზე დიდი მწერალი არავინ ეგულებოდა, ილია ჭავჭავაძეს მადარებდა. ამის შემდეგ უნდოდა შური ეძია ჩემზე და პარლამენტის ტრიბუნიდან თუ უნივერსიტეტის აუდიტორიებიდან თავის გამოსვლებს მწერალთა კავშირის კრიტიკით იწყებდა და ჩემი განქიქებით ამთავრებდა. ბოლოს ისიც თქვა, წივწივაძესთან მწერალთა კავშირში 17 კაცი დარჩა, ჩემთან კი — მწერალთა დარბაზში 400 კაციაო. ისიც ფაქ-



ტია, რომ მწერალთა კავშირის გახლეჩის მცდელობის გამო მიშველაძე ჩვენი რიგებიდან გავრიცხეთ და შემიძლია მისი გარიცხვის დოკუმენტიც გამოვაქვეყნო.

რაც შეეხება მის ნათქვამს, მე და პრეზიდენტმა წივწივაძეზე გავიცინეთო, ეს ისეთივე აფერაა, როგორიც მისი გულის წასვლის სცენა პარლამენტში.

მიშველაძემ ისიც თქვა, წივწივაძემ ჩემზე თავის ბინძურ გაზეთში დაბეჭდა, შვილის სიკვდილიც არ წყენიაო. თუ მიშველაძე იმ გაზეთს მომიტანს, არა მარტო მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობას, საქართველოსაც დავტოვებ...

***იზო რიკაძე***

# ხალილოვი გაათავისუფლეს...

## „დარწმუნდნენ, რომ ობოლი ვიყავი და გამომიშვეს...“

15 მარტს გამთენიისას ხუთთვიანი ტყვეობიდან განთავისუფლდა გარდაბნის რ-ნის სოფ. ბირლიკის მკვიდრი აბდულ ხალილოვი. ყველაფერი კი 4 ოქტომბერს დაიწყო მისი შვილის, 21 წლის ფარიზის გატაცებით. ამ დღეს, დილის საათებში ფარიზი დედასთან — გულზადთან ერთად მიდიოდა ლილოს ბაზრობაზე თავისი მანქანით. მას წინ გადაუდგა თეთრი ფერის, უნომრო „2107“ მარკის ჟიგული და ოთხმა პირმა იარაღის მუქარით თავიანთ მანქანაში უბრძანა გადასვლა. გატაცების შემდეგ მათ პოლიციასთან რამდენჯერმე მოუხდათ შეტაკება. შუამთის ტერიტორიაზე სროლის დროს ზურგის არეში (თირკმლის ახლოს) დაიჭრა ფარიზი. მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო 5 ოქტომბერს ახმეტის ბლოკპოსტთან მოხდა ჩანაცვლება — ფარიზის ნაცვლად, გამტაცებლებმა მისი მამა — აბდულა წაიყვანეს. ფარიზი ყოველგვარ კომენტარს თავს არიდებდა და არ საუბრობდა გამოსასყიდ თანხაზეც, თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საუბარი იყო 500.000 აშშ დოლარზე. სანდო წყაროს ინფორმაციით, ნათესავებმა 60.000 აშშ დოლარი ჩაუტანეს გამტაცებლებს. თუმცა ხალილოვი თანხის გადაცემას უარყოფს. აღსანიშნავია, რომ გარდაბანში, რაიონული ცენტრის განაპირას მდებარეობს აბდულა ხალილოვისა და მისი ძმის ბენზინგასამართი სადგური „ხალილოვი და კომპ.“ და ინფორმაციას, თითქოს ხალილოვები თავიანთმა თანასოფლელებმა ან მეზობლებმა (სოფ. ყარაჯალიდან) „ჩაუშვეს“, — ბევრი ფული აქვთო — არც აბდულა უარყოფს:

**ა.ხ.** — ვიღაცამ აქედან დამასმინა, თითქოს მილიარდერი ვიყავი, იმიტომ წაიყვანეს ფარიზი და მერე მე ჩავენაცვლე, რადგან ძალზე მძიმედ იყო. არ ვიცი, რატომ ეგონათ, რომ ბევრი ფული მქონდა, მე ხომ მანქანების მტვირთავად ვმუშაობ (აბდულა რუსულ-აზერბაიჯანულად საუბრობს და „загрузка“ აშკარად აერია „заправка“-ში — მ.ლ.) როცა დარწმუნდნენ, არაფერი მქონდა, შევეცოდე და 15 მარტს, დილით, 7 საათზე ჩამომიყვანეს ახმეტაში — მოგვბეზრდიო.



— **ბ-ნო აბდულა, როგორ გეპყრობოდნენ გამტაცებლები?**

— კარგად მკვებავდნენ, დღეში სამჯერ. ნათესავები ცდილობდნენ ფულის მოგროვებას, მაგრამ ვერ მოახერხეს(?), ისინი დარწმუნდნენ, რომ ნათესავები არ მყავს, ობოლი ვარ და გამომიშვეს.

— **რა ეროვნების იყვნენ გამტაცებლები, ჩეჩნები, ქისტები თუ ქართველები?**

— ჩეჩნები და ქისტები აშკარად არ იყვნენ — ქართველები იყვნენ, იმით მივხვდი, რომ დაახლოებით, 50 სულამდე ღორი ჰყავდათ, ჩეჩნები და ქისტები კი ღორის ხორცს არ ჭამენ. თანაც, არ ლოცულობდნენ, მუსლიმანები კი დღეში 5-ჯერ ლოცულობენ. საუბარიც ქართული მესმოდა...

— **სახეზე იცნობთ გამტაცებლებს? რა ერქვათ სახელად?**

— სახელებით კი მიმართავდნენ ერთმანეთს (აბდულა ასახელებს ყველა ქართულ სახელს, რაც ოდესმე გაუგონია — მ.ლ), მაგრამ ასე როგორ გავიგებ? სახეზე კი ნიღბები ჰქონდათ ჩამოფარებული, ეს მაშინ, როცა მათთან ერთად ვიყავით, სხვა დროს კი 13-მეტრიან ჭაში ვიჯექი.

— **ამბობენ, რომ თქვენმა ნათესავებმა 60.000 დოლარი გადაიხადეს...**

— არა, გიმეორებთ, არავითარი გამოსასყიდი არ გადაგვიხდია!

— **ეი. თქვენი გათავისუფლება პოლიციის დამსახურება იყო?**

— რა პოლიცია, რის პოლიცია! როცა თვითონ გადმომიყვანეს ახმეტაში, მაშინღა მოვიდა პოლიცია. პოლიციას თავი არაფერზე შეუწუხებია. ეს ტანისამოსიც, ახლა რომ მაცვია *(მშვენიერი შავი სვიტერი და „დუბლიონკის“ „ჟილეტი“ ეცვა — მ.ლ.)*, მათ, ჩემმა გამტაცებლებმა ჩამაცვეს. მართალია, 5 თვე მაწვალეს, ოჯახს მომწყვიტეს, მაგრამ მაინც მადლიერი ვარ მათი.

ინფორმაციის გადასამოწმებლად გავესაუბრე აბდულას დას, გულდარანს, რადგან „საყოველთაოსაზეიმო“ მდგომარეობის გამო (იკვლებოდა ცხვარ-ძროხა) სხვა ახლომახლო ვერავინ ვნახეთ.

**გ.ხ.** — ამ ხუთი თვის განმავლობაში გამტაცებლები რამდენჯერმე დაგვიკავშირდნენ, ჩვენთანაც იყვნენ მოსულები, თანხას ითხოვდნენ, მაგრამ, რომ დარწმუნდნენ არაფერი გვქონდა, გამოუშვეს.

ძალიან ძნელია ირწმუნო შეშინებული ადამიანების სიტყვები. ვფიქრობთ, მათ შიშთა შორის უძლიერესი — სიკვდილის შიში არ აძლევთ უფლებას, პირდაპირ და დაუფარავად თქვან სრული სიმართლე...

***მანოლი ლილუაშვილი***





# „ჩემთან ერთი საღამო 50 ლარი ღირს!..“

(„სასიკვდილო მუქარის შიშითაც კი...“)

*როგორც არ უნდა მოინდომოთ, ჩემს რესპონდენტს ადვილად ვერ მიაგნებთ (ვერც მის ორ მეგობარს), მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და უჩვეულო „ბიზნესით“ ისეთ თანხებს ატრიალებენ, სულაც ვერ გრძნობენ დუხჭირი ყოფის სისასტიკეს...*

ჩვენი სტუმარია მაია მ. — 31 წლის. უმაღლესი ფილოლოგიური განათლების მიღების შემდეგ მას ფსიქოლოგიის ღრმად შესწავლის სურვილი გაუჩნდა და ამ მიზნით მოსკოვს გაემგზავრა. გასაუბრებით ჩარიცხეს ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. მან ვიწრო სპეციალობად ფსიქიატრიასთან მიახლოებული დარგი აირჩია. სწავლის დასრულების შემდეგ მაია ერთ-ერთ ინსტიტუტში მუშაობდა თავისი სპეციალობით, მაგრამ დაბალი ანაზღაურების გამო იძულებული გახდა, თავი დაენებებინა სამსახურისთვის — პენსიონერი მშობლები ხომ დღემდე მის კმაყოფაზე არიან. ამჟამად ერთ-ერთ პრესტიჟულ კაფე-ბარში ინკოგნიტო ფსიქოლოგად მუშაობს და ადამიანებს დარღვეული სულიერი წონასწორობის აღდგენაში ეხმარება...

## მონოლოგი

„ადამიანს, რომელსაც ფსიქოლოგის კონსულტაცია სჭირდება, სულიერი წონასწორობა ყოველთვის დარღვეული აქვს და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის ავადმყოფია!..“ არასწორია მსჯელობა — „ფსიქიატრი გიჟების ექიმია!“ — და უფრო მეტიც, ალბათ, ძალიან ხშირად ჩვენი ყოველდღიური ქცევა სიგიჟეს უახლოვდება.

საქართველოში იმდენი რამ აკლია ადამიანს, რომ ფსიქოლოგის მონახულებას არავინ ფიქრობს, თორემ საზღვარგარეთ ფსიქოლოგის გარეშე ისევე ვერ წარმოუდგენიათ არსებობა, როგორც ქირურგის, გინეკოლოგის, თერაპევტის თუ სხვა ექიმის გარეშე. ერთი სიტყვით, ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ სულს ისევე უნდა მკურნალობა, როგორც სხეულს და უფრო მეტადაც კი, რადგან მეცნიერებმა კარგა ხანია დაადგინეს — სხეულის დაავადებათა 90% სწორედ მაშინ იჩენს თავს, როცა სულია ავადმყოფურ მდგომარეობაში — ნერვული სტრესები, დანაკარგები, განშორებები, შიში მომავლის წინაშე, უიმედობა...

ბოლოს და ბოლოს, სულიერ ტკივილს მიჰყავს ადამიანი თვითმკვლელობამდე და არა, სხეულისას...

ფსიქოლოგიის ნიჭი ისეთივე თანდაყოლილია, როგორც ხატვის, მუსიკის... ადამიანის სულს ვერ მოარგებ გასაღებს მხოლოდ ნასწავლი და დაზეპირებული ცოდნით!..

## დიალოგი

— **ნუთუ არ გბეზრდებათ ამდენი ადამიანის პრობლემის მოსმენა, გაანალიზება და ა.შ.?!**

— ზოგჯერ ისე ვიღლები, მკვდარივით მეძინება შინ მისულს და საგანგებოდ მომართული მაღვიძარას ზარიც ვერ მაღვიძებს დილით. ყველაზე მძიმე ფიზიკური შრომა ვერ წაართმევს ალბათ ადამიანს იმდენ ენერგიას, რასაც ჩემი საქმიანობა ითხოვს, მაგრამ იმდენად დიდი სიხარულია, როცა ხედავ შენ თვალწინ გარდაქმნილ ადამიანს — გაცოცხლებულს, ამ სიტყვის ყველაზე პირდაპირი და ლამაზი გაგებით, აზარტი გიპყრობს, რომ რაც შეიძლება მეტს დაალევინო „სასიცოცხლო ელექსირი“...

— **„სასიცოცხლო ელექსირი“, ალბათ, ძალიან ძვირია... მაინც რა ღირს თქვენთან მოხვედრა?**

— ოფიციალურად ერთი საღამო 50 ლარი ღირს, თუმცა ბევრად მეტი უჯდებათ, რადგან შეხვედრა ექიმის კაბინეტში კი არა, საკმაოდ კომფორტულ და ძვირად ღირებული კაფეს კუპეში ხდება, სადაც პაციენტები ყავას მაინც უკვეთავენ ხოლმე.

— **50 ლარიდან კაფეს მეპატრონესაც ხომ მიაქვს წილი?!..**

— და კიდევ სხვასაც, მაგრამ... ერთი სიტყვით, ეს ფირმის საიდუმლოა და არ ვაპირებ მის გამჟღავნებას, უფლებაც არ მაქვს, მით უმეტეს, არც საჩივლელად მაქვს საქმე — ჩემი თვიური შემოსავალი 500-დან 700 ლარს შორის მერყეობს, უფრო მეტიც შეიძლებოდა, რადგან „პაციენტები“ საათში 100 დოლარს მთავაზობენ, თუ მათთვის სასურველ ადგილას გავყვები...

უარს ვამბობ, რადგან არ მინდა რეპუტაცია შევილახო ან თავი საფრთხეში ჩავიგდო. არაა დასამალი, რომ მამაკაცებს ხშირად სექსუალური პრობლემებიც აწუხებთ და თუ ფსიქოლოგი ამავდროულად ლამაზი ქალიცაა, დაახლოებით ისეთი სცენარია მოსალოდნელი, როგორიც ამერიკულ თრილერში...

... კაფეში დაცვაც გვყავს, საკმარისია, რაიმე შეურაცხმყოფელი ქმედება, და „პაციენტი გაძევებული იქნება, რისი შემთხვევაც, საბედნიეროდ, ჯერჯერობით არ გვქონია!...

— **ბოდიშს ვიხდი კადნიერებისათვის, მაგრამ ასეთ საქმეზე მომუშავე ქალს, რეპუტაცია მაინც შელახული ექნება თავისებურად — ყოველ საღამოს სხვადასხვა მამაკაცთან ერთად განცალკევებულ ოთახში...**

— არ ვიცი, ვინ როგორ აღიქვამს ამას, მაგრამ საკუთარ სინდისთან სუფთა ვარ... ჩემთან ერთად ორი გოგონა მუშაობს (ისინი ჩემი მოსწავლეები არიან და სამომავლოდ დიდი პერსპექტივაც აქვთ) — 24 წლის ქეთი და 26 წლის მაკა. არ მახსოვს, ვინმეს ცუდი ეთქვას მათზე. პირიქით, თვეში ერთ წინადადებას მაინც იღებენ გათხოვების პერსპექტივით. ვერც წარმოიდგენთ, როგორ ენატრებათ მამაკაცებს ჭკვიანი ქალები...

— **და მაინც, სამივენი ისევ გასათხოვრები ხართ...**

— შეგიძლიათ არ დაიჯეროთ, მაგრამ ეს არც მამაკაცების ბრალია და არც ბედის თუ უბედობის. თავად ვერ ვთმობთ ჩვენს უსაზღვრო თავისუფლებას, თუმცა ესეც სიგიჟეა ალბათ და პათოლოგია (იცინის).

— **ვისი იდეა იყო თქვენი სამსახურის შექმნა?**

— იდეა ჩემი იყო, თუმცა ორიგინალურობით ვერ დავიკვეხნი, რადგან მსგავსი პრაქტიკა ჯერ კიდევ 10 წლის წინ, მოსკოვში სწავლისას ვნახე. კაფე, სადაც ამჟამად ვმუშაობთ, ქეთის ბიძაშვილის საკუთრებაა, მოველაპარაკეთ და „გავრისკეთ“... გაგვიმართლა...

— **ასე მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში კლიენტები როგორ გაგნებენ?**

— „შიდა არხებია“ დახვეწილი და ესეც წარმატების გარანტიაა. ჩვენ მუდმივი კლიენტურაც გვყავს. მათ შორის ისეთი თანამდებობის პირებიც, რომელთაც ვერ დავასახელებ, რადგან წარმომიდგენია, რა დღეს დააყრიან მათ „ზოგიერთები“ მერიის სხდომათა დარბაზში თათბირებისას (იცინის ისევ!)! თან მეორე საშიშროებაცაა — ჩვენი სახელმწიფოს ჩინოვნიკების „გენიოსობის“ ამბავი რომ ვიცი, „საშემოსავლოს“ მოგვთხოვენ... ყელზე არ დაადგეთ!... ისედაც კაფეს შემოსავლის ნახევარი მიაქვთ უნამუსოდ და ჩვენი ფსიქოლოგიური სამსახური რომ არ გვქონოდა, შესაძლოა დახურულიყო კიდეც!..

— **ჩვენი ინტერვიუ გაზეთში რომ გავა, ხომ შეიძლება „ნადირობა“ დაიწყონ თქვენზე და აღმოგაჩინონ კიდეც?**

— თქვენ სასიკვდილო მუქარის შიშითაც კი ვერ გაგვამხელთ, ეს საკმაოდ ძვირი დაგიჯდებათ (მუქარა სავსებით სერიოზულია, ყოველგვარი ღიმილის გარეშე)! ისე კი ჩვენი აღმოჩენა ნამდვილად ძნელია, მაშინ ფსიქოლოგები არ ვიქნებოდით!.. რომელ კაფეშიც არ უნდა შეხვიდეთ, ყველგან იხილავთ ლამაზ ქალს და მამაკაცს, თუნდაც, განმარტოებულ კუპეში, გაბედეთ და მიიტანეთ რომელიმეზე ეჭვი!.. ფსიქიატრის ჩარევა იქნებ ამის შემდეგ უფრო გახდეს საჭირო!..

— **ჩვენი ინტერვიუს შემდეგ რომ მოინდომოს ვინმემ თქვენთან შეხვედრა და საუბარი, რა თქმა უნდა სათანადო ანაზღაურებით, როგორ უნდა დაგიკავშირდნენ?**

— „ღალატი ისე გახშირდა ახლა“... რეკლამა არ გვჭირდება და არც ეს ინტერვიუ გაკეთებულა ამ მიზნით, ხომ იცით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საერთო მეგობრის ხათრით დაგთანხმდით!.. როგორმე მოგვძებნის დაინტერესებული... სხვები ხომ გვპოულობენ?!.

მაია შვებულებაში ზაფხულობით გადის და რადგან „ზღვა სიცოცხლესავით უყვარს“ (მისი სიტყვებია), წელს ვენესუელაში დაისვენებს, თანაც სულაც არ აპირებს მარტო გამგზავრებას: „ჩემი კავალერი იმდენად ეჭვიანია, რომ“... — დასძინა ეშმაკური ღიმილით.

## ეპილოგი

*საბოლოოდ კი, ალბათ, ის უნდა ითქვას, რომ „ეს ამბავი“ ერთ-ერთ ქართულ ქალაქში ხდება, ჩვენ გვერდით და არა ცხრა მთას იქით...*

**ინგა ჯაყელი**


# დავაღწიეთ თუ არა თავი გრიპოზულ სეზონს?!

*თ. ყანდაშვილი*
*ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხარისხისა და კონტროლის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი*
*ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის დოცენტი.*

წლევანდელი ზამთარი თბილი აღმოჩნდა. ალბათ ამიტომაც, 2001-2002 წლების სეზონზე გრიპის ეპიდემიის დიდი ტალღა არ დაფიქსირებულა. გაზაფხული კარზე მოგვადგა და შვებით ამოვისუნთქეთ. მაგრამ გრიპოზულ სეზონს თავი როდი დავაღწიეთ. გაზაფხულის ცვალებადი ამინდი ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია მრავალი დაავადების განვითარებისათვის.

ადამიანის ორგანიზმს ამინდის ცვლილებაზე საპასუხო რეაქცია გააჩნია. იგი მოქმედებს არა მარტო ჩვენს განწყობილებაზე, არამედ ჯანმრთელობაზე. განსაკუთრებული აწეული მგრძნობელობა მეტეოროლოგიური ცვლილებების მიმართ ახასიათებს ბავშვებს და ხანდაზმულებს. ამიტომაც გაზაფული საუკეთესო პერიოდია ვირუსული ინფექციის ახალი აფეთქებისათვის; ანგინის, ფილტვების ანთების, გაციების, ქრონიკული დაავადებების გამწვავებისათვის.

გრიპოზული სიმპტომების არსებობისას ექიმს ხშირად მიმართავენ შეკითხვებით:

## *გაციების საწინააღმდეგო პრეპარატების ფართო არჩევანიდან, რომელ მარკას ანიჭებთ უპირატესობას?*

– გაციების და ტკივილის საწინააღმდეგო პრეპარატების შერჩევისას მთავარია პრეპარატის ხარისხი და ეფექტურობა. საქართველოში უკვე კარგად ცნობილ ასეთ მარკას წარმოადგენს ფრანგული ფარმაცევტული კომპანია "უფსა", რომელსაც სიცხისდამწევი და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების ფართო სპექტრი გააჩნია.

## *რამ განაპირობა "უფსას" პრეპარატების პოპულარულობა?*

– "უფსას" პრეპარატების პოპულარულობა განპირობებულია არა მხოლოდ ხარისხითა და ეფექტურობის მაღალი მაჩვენებლებით, არამედ წამლის მიღების კომფორტულობითაც. ყოველწლიურად მომხმარებელს გაუმჯობესებულ და მოსახერხებელ წამლის ფორმებს სთავაზობენ. ამ თვალსაზრისით "უფსას" ფაქტობრივად ბადალი არა ჰყავს.

"ფერვექსის ჩაი" განსაკუთრებულად მოსახერხებელი წამლის ფორმაა. გაციებულ ადამიანს განსაკუთრებით სიამოვნებს ცხელი სასიამოვნო გემოს მქონე სასმელი, რომელიც სწრაფად მოქმედებს ერთდროულად დაავადების რამდენიმე ნიშანზე. "ფერვექსის" რამდენიმე ფორმიდან (შაქრიანი, უშაქრო და საბავშვო) უშაქრო ფორმა მისაღებია შაქრიანი დიაბეტის მქონე ავადმყოფებისთვისაც.

## *რას გვეტყოდით "უფსას" საბავშვო პრეპარატების შესახებ?*

– "უფსას" უკვე კარგად ცნობილი ფორმაა საბავშვო "ეფერალგანის სიროფი", რომელსაც სასიამოვნო გემო აქვს და ადვილად მისაღებია ბავშვებისათვის. სიროფის თანმხლები საზომი კოვზი აადვილებს და ზუსტს ხდის დოზირებას.

ბავშვებისათვის მაღალი სიცხის დროს მეტად მოსახერხებელია "ეფერალგანის სანთლები", რომლის რამდენიმე დოზის (80მგ, 150მგ, 300მგ და 600მგ) არსებობა საშუალებას იძლევა ერთი თვის ასაკიდან მოხდეს დოზის შერჩევა. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ძუძუთა ბავშვებისათვის, მათთვის ხომ წამლის გადაყლაპვა არასასიამოვნო და სერიოზული პრობლემაა.

## *რამდენად ეფექტურია "უფსარინ–უფსას" ხსნადი ფორმა?*

– ცალკე თემაა, ალბათ, "უფსარინ-უფსას" ხსნადი ფორმა, რომელიც პირველად სწორედ "უფსას" კომპანიის მიერ იქნა წარმოებული 1935 წელს. სამმაგი მოქმედების (ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი) აცეტილსალიცილის მჟავას ხსნადი ფორმის შექმნამ ხელი შეუწყო, პრეპარატი გამხდარიყო უფრო სწრაფმოქმედი და ეფექტური. "უფსარინის" სახით აცეტილსალიცილის მჟავა კუჭში უკვე გახსნილ მდგომარეობაში ხვდება, ბუფერობის წყალობით უფრო სწრაფად შეიწოვება და მოქმედებისას არ აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს. ხსნადი ფორმა ასევე ამცირებს პრეპარატის დოზის გადაჭარბების რისკს: მასში შემავალი ვიტამინი "C" ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს და ეხმარება მას დაავადებასთან ბრძოლაში. ვიტამინი "C"–ს შეიცავს "ეფერალგან–უფსაც", სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი, რომელიც უსწრაფეს დროში აქრობს გაციების ნიშნებს.

ყველაფერი ეს ხელმისაწვდომი ფასების გათვალისწინებით უზრუნველყოფს "უფსას" პროდუქციის ერთ-ერთ წამყვან ადგილს გაციებისა და ტკივილის საწინააღმდეგო პრეპარატებს შორის, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოს აფთიაქებში

**"უფსას" ლოგოტიპი მომხმარებლისთვის უკვე იქცა ხარისხისა და საიმედოობის სიმბოლოდ.**

R




# რას გვეტყვი, მამაო?

— **ვცდილობ აღვზარდო ჩემში ქრისტიანული სიმდაბლე და მოთმინება, მაგრამ ვერაფრით ვერ ვურიგდები ცილისწამებას, ძალიან მიჭირს თავის დაოკება შურისძიებისაგან, უსამართლოდ ჩემი განმკითხველის მიმართ.**

— მოციქული გვაფრთხილებს: როდესაც გვესმის ცილისწამება ჩვენს მიმართ, ამაზე არ უნდა გვქონდეს მწვავე რეაქცია. შესაძლოა, ეს უფლის დაშვებით ხდებოდეს, სწორედ იმისათვის, რათა გამოიცადოს ჩვენი მოთმინება. დაიწყეთ ლოცვა თქვენზე ცილის დამწამებელი ადამიანისათვის, რომ ღმერთმა მისცეს მას მადლი, გული გაუთბეს და თქვენზე მართალი სიტყვა ათქმევინოს.

— **თქვენი რუბრიკის ერთ-ერთ წინა გამოშვებაში აღნიშნული იყო, რომ მართლმადიდებელ ტაძარში წირვაზე შეიძლება როგორც დგომა, ისე მჯდომარე მდგომარეობაში ყოფნაც — უძლურთათვის და მაინც, წირვის დროს, როდის უნდა წამოდგეს ფეხზე მლოცველი?**

— წმინდა ლიტურგიის დროს აუცილებლად უნდა წამოდგეს ფეხზე თვით უძლურიცა და ავადმყოფიც: ა) კმევის დროს; ბ) მცირე გამოსვლის დროს; გ) სახარების კითხვის დროს; დ) დიდი გამოსვლის დროს; ე) რწმენის სიმბოლოს — მრწამსის კითხვისას და გალობის: „შენ გიგალობთ“ დამთავრებამდე; ვ) „მამაო ჩვენოს“ დროს; ზ) „შიშითა ღმრთისათა და სარწმუნოებით მოვედით“ წარმოთქმისას — ლიტურგიის ბოლომდე.

— **სახარებაში წერია, „ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“ (მათ. 5,28). რატომ არის თანაბარფასეული ზრახვა და ქმედება?**

— ღმერთი კრძალავს არა მარტო ბოროტ საქმეებს, არამედ სურვილებსა და ზრახვებს; თუ სურვილები და ზრახვები ცოდვიანია, ისინი აუწმინდურებენ სულს. გარდა ამისა, ბოროტი სურვილებისა და ზრახვებისაგან იშვება ბოროტი ქმედებანი. რომ არ ყოფილიყო ბოროტი სურვილები და ზრახვები, არ იქნებოდა არც ბოროტი საქმეები. მოქმედება არის სურვილების გამოვლინება. ამიტომაც არის აუცილებელი საკუთარ თავში ცოდვისაკენ მიდრეკილი ზრახვებისა და სურვილების დათრგუნვა და მათი სიკეთეზე დაფუძნება.

— **როგორ უნდა გავცეთ მოწყალება?**

— მოწყალება უნდა გასცეთ ისე, რომ მარცხენა ხელმა არ იცოდეს, რას აკეთებს მარჯვენა.

— **თუ ღმერთმა უწყის ჩვენ მიერ ჩადენილი ყოველი ცოდვა, როგორ ითმენს ამდენ ცოდვიან ადამიანს?**

— ღმერთის მოთმინება დამყარებულია ცოდვილთაგან მონანიების მოლოდინზე. პეტრე მოციქული ამბობს: „უფალი სულგრძელია თქვენდამი და არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ რომ ყველა მოვიდეს მოსანანიებლად“ ( პეტრე, 3,9).

— **ადამიანებს, როგორც წესი, ეადვილებათ სხვისი გაკილვა და განკითხვა, რატომ არის, რომ ასევე იოლად არ განსჯიან საკუთარ თავს?**

— როდესაც მსგავსი კითხვით მიმართავდნენ სულიერ ცხოვრებაში გამოცდილ ღირს მამებს, ისინი შემდეგი სახის პასუხს იძლეოდნენ: „სხვათა განკითხვის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არა გვყავს შეცნობილი საკუთარი თავი. ვისაც თუნდ მხოლოდ ერთხელ მიუპყრია სათანადო მზერა საკუთარი თავისათვის, იგი არასოდეს არ მიაქცევს ყურადღებას თანამოძმეთა მანკიერებებს“.

— **ზოგჯერ უგულისყუროდ ვლოცულობ, მეტანიასაც მექანიკურად ვაკეთებ. შეიწირავს უფალი ასეთ ლოცვას?**

— გახსოვდეთ, რომ მთავარი მეტანია და ლოცვა კი არ არის, არამედ უფლის წინაშე გონებისა და გულის ამაღლება. შესაძლებელია, ყველაფერი ის, რაც დაწერილია, ჩააბულბულო და დანიშნული მეტანიაც შეასრულო, ხოლო უფალი სულაც არ გახსოვდეს, ან არადა, ჰაიჰარად, დაფანტული აზრითა და გონებით აღასრულო ყოველივე. შესაბამისად, ულოცველად შეასრულო ლოცვის კანონი. გამოვა ლოცვა — ცოდვა უფლის წინაშე.

— **როგორ უნდა გავიგოთ მეხუთე მცნების სიტყვები: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“ — პირდაპირი მნიშვნელობით, თუ სიმბოლური ქვეტექსტით?**

— უნდა გავიგოთ ისე, როგორც ათი მცნება გვასწავლის: შვილებს, რომლებიც პატივს სცემენ თავიანთ მშობლებს, უფალი მიჰმადლებს ოჯახურ ბედნიერებასა და დიდი ხნის სიცოცხლეს.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***

## პოლიციის (და არა მხოლოდ) საყურადღებოდ!

# ფრთხილად! ქალაქში ავტომობილების ძარცვის ახალი ხერხი „ინერგება“...



ბოლო დროს ჩემი მეგობარი მძღოლებისაგან მსმენია, ქალაქში ავტომანქანების ძარცვის ახალი „მეთოდი“ დამკვიდრდაო. სიმართლე გითხრათ, დიდად არ დავინტერესებულვარ, ავტომობილი არ მყავს, ფეხით მოსიარულეს კი მანქანების ძარცვის ახალი ხერხი „ნაკლებად“ შეეხება. ამიტომ ეს „სიახლე“ გადამავიწყდა კიდეც. მაგრამ, როცა გასული კვირის ერთ საღამოს რედაქციაში მივდიოდი, ჩემი თვალით ვიხილე ავტომობილების ძარცვის ეს ახალი ხერხი.

შუქნიშანთან რამდენიმე ავტომობილი გაჩერდა — მათ შორის, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ვერცხლისფრად მბზინავი „მერსედეში“, რომლის საჭესთან ახალგაზრდა კაცი იჯდა. მოულოდნელად, ავტომობილს წინიდან ორი, დაახლოებით 15-16 წლის ყმაწვილი მიუახლოვდა. ერთმა ჯიბიდან, მძღოლის თვალწინ, დანა იშიშვლა და მარცხენა საბურავს მთელი ძალით დაჰკრა. დაჰკრა და ორივე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. „მერსედესის“ მძღოლი გაქცეულებს გამოუდგა. იმწამსვე თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, გაქცეულის თანატოლმა ოთხმა ყმაწვილმა მანქანის კარი გამოაღო და სალონში თუკი რამ ღირებული და ვარგისი იყო, — მაგნიტოფონი, ტყავის ქურთუკი, მობილური ტელეფონი და სხვა კიდევ რამდენიმე ნივთი, თვალის დახამხამებაში მოკრიფა და გაიქცა.

ყოველივე ეს გამვლელთა თვალწინ, მაგრამ წამებში მოხდა, იმდენად სწრაფად, რომ გონს მოსვლა ვერც მოვასწარით. აშკარა იყო „ნორჩ მძარცველებს“ „ოპერაციის“ ყველა დეტალი, ყველა მოქმედება წინასწარ გულდასმით ჰქონდათ დამუშავებული. ეტყობოდათ, პრაქტიკაც აქვთ უკვე გავლილი, რადგან შესაშური ოპერატიულობით მოქმედებდნენ.

როგორც ტაქსის მძღოლებმა მითხრეს, ძარცვის ეს „ქმედითი“ მეთოდი, ორიოდე კვირაა, რაც პრაქტიკაში დაინერგა. მძარცველები შუქნიშანთან მორიგეობენ და როგორც კი საჭესთან მარტოხელა მძღოლს (ან მანდილოსანს) შეამჩნევენ, საქმეს შეუდგებიან.

ყოფილა მანქანის გატაცების შემთხვევებიც (ნერვებმოშლილი მძღოლი გასაღების გამოღებაზე აღარ ფიქრობს და ხშირად ძრავასაც არ აქრობს, რომ რაც შეიძლება მალე შეიპყროს დამნაშავენი, დაქოქილი მანქანის წაყვანა კი, დამეთანხმებით, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს).

ერთი სიტყვით, ძვირფასო ავტომანქანის მფლობელებო, თუ ვინმემ თქვენს ავტომობილის საბურავს დანა დაარტყა, ან მანქანის კორპუსი დაუნდობლად დაკაწრა, ნუ გამოედევნებით, არ მიატოვოთ ავტომობილი, თორემ, გვერწმუნეთ, მხოლოდ დასერილ საბურავს არ დაგჯერდებიან.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# ლოტკინელმა ბოშათა ბარონმა საკუთარი ვაჟი მოკლა

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— სანამ თქვენს ვაჟს მოკლავდა, მანამდე მოსამსახურე რატომ მოკლა?**

— ჩემი ქმარი ჩემს სახლში არ ცხოვრობდა. გვერდით ცხოვრობდა თავის საყვარელთან. მე იმ მომენტში იქ არ ვიყავი. ახლა ლაპარაკობენ, რომ 50 თეთრი სთხოვაო, პირველად მიუცია, მერე აღარ. უთქვამს, თავი დამანებე აღარ მაქვსო. ჯერ იმ გოგოს დაურტყია ნაჯახის ტარი, ჩემს მეუღლეს კიდევ პისტოლეტი უსვრია. არ ვიცი, ესე ლაპარაკობენ.

**— როგორც ვიცი, თქვენი შვილი ედავებოდა, რატომ მოკალი იური ბონდარენკოო...**

— ...

**— საყვარელი იმალება ხომ?**

— ჰო, იმალება. მე რომ ვნახო, დავიჭერ, თვალებს ამოვთხრი და ისე ჩავაბარებ „მილიციაში“. არც ვიცი, სად არის. ჩემი შვილი მაგათ გამო მიწაში წევს.

**— რითი ცხოვრობთ, რით არსებობთ?**

— ვმათხოვრობ მე, გენაცვალე.

**— თქვენი მეუღლე?**

— რა ვიცი, რალაცებს აკეთებდა, ვაჭრობდა. ხან ჩემთან მოდიოდა, ფულს მართმევდა.

**— თქვენ რამდენს შოულობთ დღეში?**

— ხან თხუთმეტი, ხან ათი, ხან რვა. საჭმელს ვყიდულობ და ამით ვირჩენთ თავს.

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— სამი ბიჭი და [illegible] გოგო. კიდევ ორი შვილიშვილი.

**— ისინიც მათხოვრობენ?**

— არა. მარტო მე და ჩემი პატარა გოგო. რვა წლის გოგო მყავს.

**— საიდან გაიცნო თქვენმა მეუღლემ საყვარელი?**

— ეს საყვარელი არის ჩემი ძმისშვილი. ჩვენთან ნათესავი არ შეიძლება, მაგრამ ის იყო ქუჩის გოგო, სულ ქუჩაში იყო, სადგურში. შემეცოდა ქუჩა-ქუჩა რომ დადიოდა. ჩემი ძმა ცხრა წელია არ მინახავს, რუსეთში ცხოვრობს, ამიტომ მოვიყვანე ჩემს ოჯახში. ჯერ მალულად ჰქონდათ კონტაქტი და ბოლო ერთი წელია, რაც გაიგე. მაშინ 12-13 წლის იყო.

**— ცოლად მოიყვანა?**

— ცოლია, საყვარელია, რა მნიშვნელობა აქვს, მასთან ცხოვრობდა. ფეხმძიმედ არისო, მეუბნებიან.

**— თქვენი ოჯახური ფოტო შეგიძლიათ მაჩვენოთ?**

— შვილი რომ მომიკლა, ყველა ფოტო დავწვი.

**— ადრეც მკვლელობისთვის იყო ნასამართლევი თქვენი მეუღლე?**

— თავისი საყვარლის დედა მოკლა 6 წლის წინ.

**— რატომ?**

— მთვრალი იყო, ეზოში უმისამართოდ ისროდა ავტომატს, შემთხვევით მოკლა.

**— სიმთვრალეში ეკარგებოდა ჭკუა თუ რა ხდება?**

— ავადმყოფია სულით. მაშინ რომ გაასამართლეს, მერე ფსიქიატრიულშიც კი იწვა, მაგრამ ბოლოს ნორმალურად იყო.

ამჟამად, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში მარტინოვის მიმართ განზრახ მკვლელობის მუხლით არის საქმე აღძრული. პოლიციამ ბარონის სახლიდან მაკაროვის სისტემის უნომრო პისტოლეტი ამოიღო. გამოძიება მიშა მარტინოვის გვამის ექსჰუმაციას და გამოკვლევას აპირებს, რისი საშუალებაც სამართალდამცავებს თავის დროზე ბოშა-ნათესავებმა არ მისცეს. ძებნილად არის გამოცხადებული ილონა მარენიც, რომელსაც შესაძლოა მკვლელობაში თანამონაწილეობის ბრალდება წაუყენონ. თავად ბოშათა ბარონს კი სავარაუდოდ, უვადო პატიმრობა ემუქრება.

*მარინა მამისაშვილი*






# გაიძვერა პოლკოვნიკი მახეში გაება...

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

ეს კი ინსტრუქციის დარღვევა იყო და ამის შესახებ სხვაზე უკეთ თვითონ პოლკოვნიკმა იცოდა, მაგრამ დიდი ქადილის მიუხედავად — გიჩივლებთ, ამას გიზამთ, იმას გიზამთო, არ უჩივლია, რამაც კიდევ უფრო დააეჭვა სერჟანტები და ერთხელაც, როცა საფუძვლიანად დანაყრებული მათი სპანიელი პოლკოვნიკის ჩანთაში ხარის ბეჭს მიეტანა, სერჟანტებმა ხორცის დანაწევრება გადაწყვიტეს, მაგრამ პოლკოვნიკმა კატეგორიულად განაცხადა — იცოდეთ, ერთხელ დაგინდეთ, თუ ახლაც ვერაფერს მიპოვით (რაშიც მე დარწმუნებული ვარ), დღესვე შინაგან საქმეთა მინისტრთან გიჩივლებთო და სერჟანტებიც შეშინდნენ. თუმცა თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პოლკოვნიკი სწორედ საქონლის ხორცში მალავდა ნარკოტიკების შეკვრას. მომდევნო კვირადღეს ძაღლს ხორცისკენ არც გაუხედავს, ერთი მაგრად დაჰყეფა და ისე მიახტა პოლკოვნიკს, დროზე რომ საბლით არ დაეჭირათ, ალბათ საძილე არტერიას გადაუღრღნიდა. პოლკოვნიკმა ულტიმატუმი წამოაყენა — ან ამ ძაღლს მოაშორებთ აქაურობას, ან მე ხვალვე მინისტრთან გიჩივლებთო, — მაგრამ... სერჟანტებმა ერთმანეთს გადახედეს და წინასწარ მოლაპარაკებულებივით თითქმის ერთდროულად უპასუხეს, — ძაღლი აქ დარჩება, მაგრამ დღეიდან ან თქვენ მოშორდებით აქაურობას, ან ჩვენო და ეპოლეტებში ჩაავლეს ხელი. ეს ახლა მომრავლდა ჩვენში გენერლები და პოლკოვნიკები, თორემ იმ დროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სულ სამი-ოთხი გენერალი და ოცი-ოცდახუთი პოლკოვნიკი ირიცხებოდა. მგონი ისტორიაში პირველად მოხდა, რომ არასაომარ პირობებში, მშვიდობიან დროს, სერჟანტებმა პოლკოვნიკს „პაგონები“ აჰყარეს და... გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, პოლკოვნიკის ეპოლეტებიდან ნარკოტიკების შეკვრები დასცვივდა სერჟანტის ფეხებთან.

## ნიღბის მიღმა

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს ჩვენი პოლკოვნიკი რუსის ჯარში გაიწვიეს, მაგრამ ისე ჩამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, ვაზიანს არ გაშორებია. მთელი ცხოვრება, უფრო სწორად, ზევადური (Сверхсрочный) სამსახური ისე გალია, განუწყვეტლივ სამხედრო სწავლების საწყობებში დასუნსულებდა — ხან თეთრეული ებარა, ხან საწოლები, ზოგჯერ კი ჯარისკაცების ფეხსაცმელები ან ცოცხები და ვედროები. მის პირად საქმეში, რომელიც მაშინ ოცდაექვსი კომისრის რაიონის სამხედრო კომისარიატში მოვიძიე, წოდებიდან წოდებამდე მხოლოდ ლანძღვა-გინების კორიანტელია. მაგრამ მოატანს თუ არა მორიგი წოდების მიღების ვადა, უცებ ჩნდება სამადლობელი ჩანაწერი და ლეიტენანტია. ორი წლის შემდეგ — უფროსი ლეიტენანტი, კიდევ ორი წლის შემდეგ კაპიტანი და ასე შემდეგ. ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე მეორდება: თაღლითი, ლოთი, უპასუხისმგებლო, მიმთვისებელი, — აგერ-აგერ უნდა დაიჭირონ და უეცრად ისეთი დადებითი დახასიათება გაჩნდება, რომ ერთიანად გადასწონის ორი-სამი წლის ნაგინებს. ასე მიაღწია პოლკოვნიკობამდე. არც ქურდობა ეშლებოდა და არც ხელმძღვანელობის მოთაფვლა. სასუსნავს მიჩვეულს, იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი პოლკოვნიკის პენსია დღევანდელი შვიდი აკადემიკოსის ხელფასს უდრიდა, ფულის კეთების გარეშე ყოფნა არ შეეძლო და ყველაფერს კადრულობდა. შოფრებთან მაკლერობაში რომ გაიშიფრა, აკრძალული იარაღით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ეს საქმე ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში ჰქონდა ათვისებული. დუშეთისა და ყაზბეგის მაღალმთიან სოფლებში გაფუჭებულ შაშხანებს კაპიკებად ყიდულობდა, შემდეგ იარაღს ერთმანეთზე გადააწყობდა და მამასისხლად ასაღებდა... მათივე პატრონებში. ჩემს მტერს, ამგვარი იარაღი იმ დროს ვინმესთვის რომ ენახათ, მაგრამ პოლკოვნიკს, აბა, რას აკადრებდნენ. მერე და მერე, ესეც აღარ იკმარა და ნარკოდილერობა წამოიწყო. ამ საქმეში თავისი უფროსი ვაჟიც ჩართო და მგზავრობა რომ გაეიაფებინათ, ისეთ რამეებს იგონებდნენ, ნორმალურ ადამიანს აზრადაც რომ არ მოუვა. გაგიგიათ? თაეიანთი სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ორ კაცს, ვიმეორებ: მამას და შვილს, ერთი თბილისელი მეძავი დაჰყავდათ და ერთ მანეთსაც არ აძლევდნენ, გზიდან არ გაგვექცეს ჩვენი სიძუნწის გამოო.

საგამოძიებო განყოფილების უფროსი გოგა ნადარეიშვილი გაცოფებული დამიხვდა: — ვინაა ეს შობელძაღლი, სამი ბინა აქვს, ოთხი მანქანა და სამხედრო ფორმის გარდა, ერთი პიჟამაც არ აღმოაჩნდა. პოლკოვნიკის ფორმით ხომ ვერ გავაჩერებდი საკანში, ჩემი ტანსაცმელი მოვიტანე სახლიდან და ის ჩავაცვიო.

ჩემი დანახვა ისე გაუხარდა, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი სწვეოდეს. პირველი, რაც მომახალა, ის იყო — მიშველე, თუ კაცი ხარ, ჩემი სამხედრო ფორმის შარვლის ჯიბეში სამი მანეთი მედო, გამომძიებელს სთხოვე, დამიბრუნოსო.

გამეღიმა და მივუგე: შენ ახლა ბინებსაც გაგიყიდიან თავისი ბროლის ჭაღებითა და იმპორტული ავეჯით (სამივე ბინა თავის სახელზე ჰქონდა გაფორმებული, ოჯახის წევრებსაც არ ენდობოდა). მანქანებსაც ზედ მიაყოლებენ და სხვა სიმდიდრესაც. რა სამი მანეთი აგიტყდა-მეთქი.

— მართალი ხარ, მაგრამ ეს ოხერი ფული ისე მიყვარს, არ მინდა ის ჩემი სამი მანეთი სხვამ მიისაკუთროსო...

*ვაჟა გავაშელი*

## პატარა გენიოსები !

# ქეთი და გია

## ჯანანაშვილები

გამოფენა "ძველ გალერეაში"



გია და ქეთი ჯანანაშვილები არაჩვეულებრივი ბავშვები არიან. ყველა ბავშვი საერთოდ, არაჩვეულებრივი, ლამაზი, ნიჭიერი და რაღაც „სხვანაირია“, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მახასიათებლები კიდევ უფრო უჩვეულოა.

1996 წლის ივნისში მოეწყო ქეთის და გიას პირველი პერსონალური გამოფენა. საერთოდ, ისინი ხატავენ მას შემდეგ, რაც ფანქარი პირველად დაიჭირეს ხელში. ნამუშევრები იმდენად საინტერესო იყო, რომ მნახველი ვერ განსაზღვრავდა ავტორების ასაკს და დღესაც ბავშვების ნიჭი, რომელსაც თან ერთვის დიდი შრომისმოყვარეობა, გასაოცარ შედეგს იძლევა.

2002 წლის 15 მარტს მეორე პერსონალური გამოფენა მოეწყო „ძველ გალერეაში“, 70-მდე ნამუშევარი წარმოადგინეს ქეთიმ და გიამ. მნახველი აღაფრთოვანა „პატარა გენიოსების“ ნამუშევრებმა.

ქეთის და გიას ნიჭიერება მხოლოდ ხატვით გატაცებაში არ გამოიხატება, ქეთი მოთხრობებს წერს. ორივეს უყვარს კროსვორდების შევსება, გია თვითონაც ადგენს კროსვორდებს. სხვა მხრივ, ისინი ჩვეულებრივი ბავშვები არიან, უყვართ ფეხბურთი, აგროვებენ ინფორმაციებს საყვარელი ფეხბურთელების შესახებ, წარჩინებით სწავლობენ თბილისის ვოლდორფის სკოლაში. „პატარა გენიოსები“ პრეზიდენტის სტიპენდიანტები არიან.

საოცარია, როდესაც ნიჭს თან ერთვის შრომისმოყვარეობა და მონდომება. გამოფენა, რომელიც „ძველ გალერეაში“ მოეწყო, ზემოთქმულის დამადასტურებელია, ჩვენ „პატარა გენიოსების“ საოცრება ვიხილეთ.

*წარმატებას ვუსურვებთ ქეთის და გიას.*

# ამიერკავკასიის ჭადრაკის დაფაზე ახალი ფიგურები ჩნდება




**ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გავლენა შაგრენის ტყავივით მცირდება: რუსებმა უკვე დატოვეს აეროდრომი ვაზიანში, გუდაუთის ბაზა. ჯერი დადგა ბათუმისა და ახალქალაქის ობიექტებზე. მათ ნაცვლად ნატო იმაგრებს პოზიციებს საქართველოს სამხრეთით და ჩრდილოეთით.**

ვაშინგტონმა ამიერკავკასიაზე კონტროლის პასუხისმგებლობა, როგორც ეტყობა, თავის რეგიონალურ მოკავშირეს — ანკარას გაუნაწილა. სწორედ ამასთან დაკავშირებით, თურქეთის გენერალმა თუნჯან ჩაკაიმ ამას წინათ თბილისში ყოფნისას განაცხადა, რომ მისი ქვეყანა „მხარს დაუჭერს პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის შესაძლო ჩატარებას", რაც ნიშნავს, საქართველოში თურქეთის სამხედრო მრჩევლების და, გამორიცხული არ არის, სპეციალური დანიშნულების ძალთა გამოჩენას.

არსებული ინფორმაციით, ახალი „გეოპოლიტიკური მოვალეობების განაწილება" გამოწვეულია მოსკოვის ზოგიერთი პოლიტიკური წრის დასამშვიდებლად, რომელსაც აშინებს რეგიონში ამერიკული ზეგავლენის გაძლიერება — ა, ბატონო, თურქეთი ხომ ამერიკა არ არის, დაწყნარდითო. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ასეთი პერსპექტივა ძალიან დააეჭვებს სომხეთს — რუსეთის ერთადერთ სამხედრო-სტრატეგიულ მეკავშირეს. დასამალი არ არის, რომ ერევანი ისედაც მწვავედ რეაგირებს ყველა ინფორმაციაზე, რაც ქართულ-თურქულ სამხედრო კავშირს და საქართველოში უმნიშვნელო რაოდენობითაც კი, თურქეთის ჯარის განლაგებას ეხება. ამ მოვლენას ისინი ნაციონალური უშიშროების პოტენციურ საშიშროებად მიიჩნევენ. ასეთი რეაქციის გასანეიტრალებლად ამერიკულმა დიპლომატიამ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა ანგარიში, რომელშიც ლაპარაკია ნარკოტიკების გავრცელებასთან დაკავშირებული ბრძოლის შესახებ. მასში ნათქვამია, რომ დიდ საშიშროებას წარმოადგენს ე.წ. „კავკასიური მარშრუტი", რომელიც ვითომდა ირანის, მთიანი ყარაბაღის, სომხეთისა და რუსეთის გავლით ევროპისკენ მიემართება. ამასთან, თითქოს ყველა ივიწყებს, რომ სომხეთში და მთიან ყარაბაღში ოფიციალური ცნობებით, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ხოლო ირანში ნარკოტიკების გამყიდველებს ხელებს აჭრიან. ასე რომ, ამ „აღმოჩენას" კრიმინალური კი არა, გეოპოლიტიკური საფუძველი აქვს. ამასობაში თურქები მარნეულში აეროდრომის მოდერნიზებას განაგრძობენ (იგი 20 კმ-ით არის დაშორებული სომხეთის საზღვარს) და ცხადია, სამუშაოების დამთავრებისთანავე, ყოფილი საბჭოთა ავიაბაზა ნატოს მორიგ ბაზად გადაიქცევა, უფრო სწორად, თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზად. ლოგიკის თანახმად, ეს ნიშნავს, რომ სომხეთის საზღვრის გასწვრივ, სადაც მთელი სომხეთის მკვებავი ერთადერთი გაზსადენი გადის, განლაგდება დაცვა და შესაბამისი პერსონალი. აქედან გამომდინარე, სომხეთის დასავლეთ საზღვრებს, რომლებიც უკვე ათი წელია თურქეთისა და აზერბაიჯანის ბლოკადაშია მოქცეული, ჩრდილო საზღვარიც დაემატება, რასაკვირველია, ამჯერად უკვე ნარკოტრაფიკთან ბრძოლის ლოზუნგით.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. მოსკოვი აღარ ეწინააღმდეგება ამიერკავკასიაში ნატოს შემოსვლას და შედეგად — რეგიონალურ სივრცეში ახალი მოთამაშეები ჩნდებიან, რომელთა იქ არსებობა უახლოეს წარსულში წარმოუდგენელი იყო.

***ნეზავისიმაია გაზეტა №46***

# ამერიკა საქართველოს ახალი პრეზიდენტის არჩევაში დაეხმარება



აშშ საქართველოს საპრეზიდენტო დემოკრატიული არჩევნების მომზადებაში დაეხმარება, — განაცხადა ამერიკის ახალმა ელჩმა საქართველოში **რიჩარდ მაილზმა**. მისი აზრით, საქართველო ახლა „პოლიტიკური ცხოვრების კრიტიკულ პერიოდშია". ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფო მეთაურის თანამდებობას 2005 წელს დატოვებს და არჩევნებამდე დარჩენილ სამ წელიწადში აშშ-ის პოლიტიკის მიზანია, დაეხმაროს საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებსა და საზოგადოებას, მშვიდობიანად და დემოკრატიულად განახორციელონ ხელისუფლების გადაცემა. ამერიკელმა დიპლომატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში რეფორმებს ხელს უშლის კორუფცია, ეროვნებათაშორისი კონფლიქტების მოუწესრიგებლობა და პანკისის ხეობაში ტერორისტთა თარეში. რიჩარდ მაილზმა დაადასტურა, რომ აშშ-ის ხელისუფლება მზადაა უზრუნველყოს საქართველოს საზღვრების უსაფრთხოება და დაეხმაროს ტერორიზმთან ბრძოლაში. რაც შეეხება ტერორისტებთან ბრძოლას — აშშ-ის სამხედრო ექსპერტების ჯგუფი 15-20 კაცის შემადგენლობით, საქართველოში 20 მარტამდე ჩამოვა. თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ცნობით, ამერიკელ სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც ქართველი სამხედროების მომზადებაში მიიღებენ მონაწილეობას, 150-ზე მეტი იქნება. მათი მიზანია, ისე მოამზადონ საქართველოს შეიარაღებული ძალები, რომ შემდგომში მათ დამოუკიდებლად შეძლონ ტერორიზმთან გამკლავება. გარდა ამისა, ამერიკელი ექსპერტები საქართველოს დაეხმარებიან კრიზისული სიტუაციების მართვის ცენტრის შექმნაში.

***გაზეთა სნგ რუ***



# ოპერაცია ქირურგიული სიზუსტით უნდა ჩატარდეს

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველოში გადაწყვეტილებებს ამერიკელები იღებენ. პანკისის ხეობაში მოსალოდნელი ანტიტერორისტული ოპერაციის მომზადების დროს გასათვალისწინებელია იქ მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების ბედი — ომიდან გაქცეულები კვლავ სამხედრო მოქმედებების ეპიცენტრში მოხვდებიან.

ჩეჩენი ლტოლვილების ევაკუაციას რუსეთის უწყებათაშორისი ჯგუფი ამზადებს, რომლის ხელმძღვანელმა, რფ-ის საგანგებო სიტუაციების მინისტრის მოადგილემ იური ბრაჟნიკოვმა საქართველოდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა: — ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩეჩენ ლტოლვილებს არაფერი დაუშავდეთ. ანტიტერორისტული ოპერაცია ქირურგიული სიზუსტით უნდა ჩატარდეს — მხოლოდ „თალიბანის" წარმომადგენელთა წინააღმდეგ. დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ეს არ შეეხოს რუსეთის მოქალაქეებს.

ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ ქართულ-რუსული სამუშაო ჯგუფი და შევიმუშავეთ მოქმედების ერთობლივი გეგმა. პირველ ეტაპზე უნდა გამოვლინდნენ ის ლტოლვილები, რომელთაც ნებაყოფლობით სურთ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება. ამისათვის უკვე ამ თვეში ქართული მხარე ჩაატარებს მოსახლეობის აღწერას ახმეტის რაიონში. დაბრუნების მსურველებს შეუძლიათ განცხადებების დაწერა. აპრილში უკვე გვეცოდინება, რამდენი ლტოლვილია იქ და რამდენს სურს დაბრუნება. ამას პიროვნებების შემოწმება, მერე კი გამგზავრებაც მოჰყვება. მაგრამ ლტოლვილები თავს იკავებენ, ეშინიათ, რადგან არ იციან, რა ხდება დღეს ჩეჩნეთში. მათ ბოევიკები აშინებენ, არასწორ ცნობებს აწვდიან. თანაც ლტოლვილები მხოლოდ ქართულ სატელევიზიო არხს „რუსთავი-2"-ს უყურებენ. მე სწორედ ამ არხის მეშვეობით მივმართე მათ და ვუთხარი, რომ ჩეჩნეთში შეიძლება ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ იქ თქვენი სამშობლოა, თქვენი ისტორიული პერსპექტივაა და მომავალი ცხოვრების პირობებიც თქვენზეა დამოკიდებული-მეთქი. ვნახოთ, რას იზამენ...

***ნეზავისიმაია გაზეტა №45***

# საქართველოდან ჯავახეთის მოწყვეტის გეგმა

(ელექტრონული ფოსტით მიღებული ცნობა)

**პატივცემულო „გაზეტა СНГ"-ს რედაქციავ, ვიმედოვნებთ, რომ გამოაქვეყნებთ მასალას, რომელმაც ჩვენი ღრმა რწმენით, შეიძლება დიდი ტრაგედია ააცდინოს კავკასიას — სისხლიანი დაპირისპირების პროვოცირება ერთი მხრივ, რუსებსა და ქართველებს, მეორე მხრივ, ქართველებსა და სომხებს შორის. ალბათ მიგვიხვდებით, რატომ ვერ ვასახელებთ ინფორმაციის წყაროს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ღრმად ვართ დარწმუნებული მის სისწორეში. პირველწყარო — თურქეთის რესპუბლიკის სპეცსამსახურებია, და სწორედ მათი შედგენილია საქართველოდან ჯავახეთის მოწყვეტის გეგმა.**

***რუსეთის სპეციალისტთა ჯგუფი***

## საქართველოს რეგიონ სამცხე-ჯავახეთში თურქული სუვერენიტეტის დამყარების გეგმა

**1.** სამხედრო სფეროში საქართველო-თურქეთის თანამშრომლობის გააქტიურება და თურქეთისაკენ მიმავალი კასპიის ენერგოარტერიების მთავარ რეგიონში — სამცხე-ჯავახეთში ერთობლივი სამხედრო სწავლების ჩატარება;

**2.** რეგიონის სომხური მოსახლეობის, სომხეთის რესპუბლიკის და რუსეთის გენერალიტეტის აქტიური ნაწილის, სოციალური და პოლიტიკური უკმაყოფილების ესკალაციის უზრუნველყოფა;

**3.** საქართველოსა და საერთაშორისო არენაზე აქტიური პროპაგანდის გაჩაღება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთისა და სომხეთის მიერ სეპარატისტული ამბოხების ახალი კერის შექმნის შესაძლებლობის შესახებ;

**4.** საქართველოს ხელმძღვანელობის დარწმუნება იმაში, რომ თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მზადაა აღმოუჩინოს სამხედრო-პოლიტიკური თანადგომა;

**5.** სამცხე-ჯავახეთში პოლიტიკური და შეიარაღებული ჯანყის პროვოცირება ისე, რომ იგი დაბრალდეს სომხურ ან რუსულ მხარეს;

**6.** რეგიონში მუდმივი საომარი კონფლიქტის საშიშროების სიტუაციის შექმნა და იქიდან სომხების მასობრივი ემიგრაციის მიღწევა;

**7.** მე-6 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო პროვოკაციების რაოდენობის გაზრდა და იმის მიღწევა, რომ თბილისმა ჯავახეთში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს;

**8.** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და უსაფრთხოების გარანტად დადგომა, რეგიონში თურქეთის ჯარების შეყვანის გადაწყვეტილების მიღება;

**9.** სამცხე-ჯავახეთის რეგიონის თურქულ პროტექტორატში მყოფ ქართულ ტერიტორიად გამოცხადება;

**10.** რეგიონის სომხური მოსახლეობის ნეიტრალიზება და ჯავახეთში თურქი მესხების დაბრუნება.

***გაზეტა რუ***

## რედაქციის კომენტარი

რა შეიძლება ითქვას ზემოთქმულთან დაკავშირებით: აშკარაა, რომ საქართველოდან ჯავახეთის მოწყვეტის ამ ე.წ. გეგმას რუსეთის სპეცსამსახურების ხელი ეტყობა და აქ მრავლისმთქმელია შემდეგი გარემოება: როგორც ჩანს, რუსეთს საქართველოზე ზეწოლის სხვა ბერკეტი აღარ აქვს და უკანასკნელ „კოზირს", ანუ ჯავახეთის კარტს ათამაშებს, რაც საფუძველშივე დასამარცხებლად არის განწირული. თუ ჯავახელ სომხებს დღემდე აშკარა აგრესია არ გამოუმჟღავნებიათ საქართველოს მიმართ, ამას მით უფრო ვეღარ გააკეთებენ და არც გააკეთებენ დღეს და მომავალშიც, საქართველოში ამერიკელ სამხედროთა შემოსვლის ფონზე.

და მაინც ვფიქრობთ, ღირს ამ ინფორმაციაზე ყურადღების შეჩერება. პირველი კომენტარი თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა თურქეთის იუსტიციის მინისტრმა **ჰიქმეთ სამი თურქმა** გააკეთა: „როგორც ჩემი სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელს, სრული უფლება მაქვს, განვაცხადო, რომ თურქეთის სპეცსამსახურში არც ერთი უცხო ქვეყნის, მით უმეტეს საქართველოს ტერიტორიაზე, არანაირი პროვოკაციული და სხვა ღონისძიებები არ იგეგმება. ასე რომ, მასმედიით გავრცელებული ეს ინფორმაცია სიცრუეა".

კომენტარი ვთხოვეთ ასევე კავკასიის საკითხთა ექსპერტს **მამუკა არეშიძეს**:

— რა თქმა უნდა, ამ დეზინფორმაციის ავტორები უფრო ჩრდილოეთში უნდა ვეძებოთ, ვიდრე სამხრეთში. უკვე რამდენი ხანია ძალისხმევას არ იშურებენ და ლაპარაკობენ კიდეც, საქართველოში არასტაბილურობის რამდენიმე კერის შესაქმნელად. საინფორმაციო ომის დონეზე ერთი არასტაბილური და ფეთქებადსაშიში კერა უკვე შექმნეს პანკისის ხეობის სახით. სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების თვალსაზრისით ასევე შექმნილი აქვთ ორი კერა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახით. დღეს კი, მეოთხე ასეთი კერის გაჩაღება სურთ ჯავახეთში. რეზერვში, დარწმუნებული ვარ, აჭარაც აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდება ჯავახეთში და აჭარაში.

ზემოთ მოყვანილი დეზინფორმაცია კი, როგორც ჩანს, ორ მიზანს ისახავს. პირველი: მძლავრი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინონ ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაზე, ოფიციალურ ერევანზე და სომხეთის საზოგადოებრიობაზე. შესაბამისად, უბიძგონ სომხურ მოსახლეობას გამოსვლებისა და არეულობისაკენ, რომ ამ პროცესებს ოფიციალური ერევნის მძაფრი რეაქცია მოჰყვეს, დაიძაბოს ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთს შორის და ა.შ. მეორე მიზანი კი გახლავთ ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს შეექმნას არასტაბილური ქვეყნის სახელი, სახელი იმ ქვეყნისა, რომელშიც რამდენიმე „ცხელი წერტილია". შესაბამისად, საქართველო არასაიმედო პარტნიორი ქვეყანაა. ამიტომ, შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, როცა რუსეთის ტელეკომპანიები საქართველოს რუკის ჩვენებისას პატარა მოგიზგიზე ცეცხლის ალით მიუთითებენ აქ არსებულ „ცხელ წერტილებზე", სადაც აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და პანკისის ხეობასთან ერთად ეს „ცეცხლი" გიზგიზებს ჯავახეთსა და აჭარაშიც(!). მოკლედ, მსგავსი დეზინფორმაციები ნავარაუდევია ობივატელისთვის და ამას მომავალშიც უნდა ველოდოთ. რაც შეეხება ჯავახეთიდან სომხების გაყრას და იქ თურქი მესხების ჩამოსახლებას, თურქეთის ჯარის შემოსვლას და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე თურქეთის პროტექტორატის გამოცხადებას, ეს ისეთი ბლეფია, რომ მისი კომენტირება უაზრობად მიმაჩნია.

მიკვირს, ასეთი უაზრობა როგორ გაეპარათ „იქ" ამ ე.წ. ინფორმაციის შემქმნელებს, რადგან თურქეთის შემოსვლა საქართველოში ავტომატურად ნიშნავს ნატო-ს შემოსვლას და უკვე აშკარა დაპირისპირებასა და კონფრონტაციას რუსეთთან, რაც, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია!



CMYK

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიმოხობენ

**3 წლის ტყუპ ლუკასა და იოანეს** ბაბუამ უყიდა წაბლი. მეზობელი ეკითხება ბავშვებს:

— წაბლი მოხარშული იყო?

ბიჭებმა ერთხმად მიუგეს:

— არა, უხარშული.

***

**4 წლის გივიკო ბუსკივაძეს** მამა უხსნის:

— თუთიყუში ისეთი ფრინველია, რაც ხშირად ესმის, იმას იმეორებს.

გივიკო უმალვე პასუხობს:

— მამა, ჩვენს სახლში თუთიყუში იცი, რას იტყვის?

„ნინიკო, წაიკითხე! ნინიკო წაიკითხე!“ (ნინიკო გივიკოს მეორეკლასელი დაიკოა).

***

**პატარა ნიკუშა ქორიძეს** მამა ეფერება: გულშეწუხებული ბიჭი მამას ეუბნება:

— მა, გაიპარსე „ლავაშები“ (ულვაშები), მჩხვლეტს.

***

**6 წლის ანი ჯილაურის** მამა გზიდან მობრუნდა:

— ვერ წავედი, მეწყერი იყო ჩამოწოლილი.

— დედა, ეს რამხელა მწყერი ყოფილა, რომ მამამ მანქანით ვერ გაიარა? — გაოცდა ანი.

***

**4 წლის ნინო კობახიძეს** მამა ავსებინებს საბავშვო კროსვორდს:

— ნინო, აბა, რა ჰქვია მას, ვინც ქუჩაში დგას, ხელი აქვს გაწვდილი და ფულს ითხოვს?

— პოლიციელი, — ყოჩაღად მიუგო გოგონამ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ ზოლში მიიღებთ ყვავილთა მეფის სახელს.

II



## იპოვე 14 განსხვავება



თხუნელას სახლში მოძებნე ზედმეტი საგნები და დაეხმარე გოგონას ზემოთ ამოსვლაში





მოძებნე ქვემოთ მოცემული დეტალები ნახატში



რომელი გასაღები მოერგება ზარდახშას?



დააკავშირე ფიგურები ხაზებით შესაბამის ჭრილებთან

III



რა საერთო აქვთ ამ საგნებს?



გამორიცხე „ზედმეტი“ საგანი

## I რებუსი





## ჭიაყელა

| შეტროსადგურ „გოცირიძის“ ძველი სახელი | კარგი... მათრახს არ დაირტყამსო (ანდ.) | ყელის ანთება | მეფე რუსულად | ... შეიქმს სიყვარულსა | ფიცრული სახლი |
|---|---|---|---|---|---|

| ინდოეთის დედაქალაქი | სიცივის ანტონიმი | ცრუ ცრემლებით მტირალი ქვეწარმავალი | სად უვარდება კოვზი იმედგაცრუებულ ადამიანს | ... მღვიმელი | დედმამიშვილი |
|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## მონადირე ბაბუა



ჩემი შვილი ზვიადი, რომელიც დღეს იურისტია და კარგ სპეციალისტადაც თვლიან კოლეგები, წინა საუკუნის 80-იან წლებში ერთი ჩვეულებრივი მოსწავლე იყო და თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში სწავლობდა.

ერთხელ, მე-3 კლასშია ზვიადი და დამრიგებელი, გვარად ღუდუშაური, ჩემს მეუღლეს მიმართავს მეტად უჩვეულო თხოვნით — უსახსოვროს სკოლის ზოოლოგიურ კაბინეტს დათვის ტყავი(!). შინ მისულს მეუღლე კატეგორიული ტონით მთხოვს, საჩქაროდ ვიშოვნო დათვის ტყავი, ხოლო მამაჩემი გადავაჩვიო ტრაბახსა და ტყუილებს(!).

ყველაფერი კი ასე დაწყებულა: მასწავლებელს უკითხავს ბავშვებისთვის, თუ ვინ იყო მონადირის ოჯახიდან, ვინაიდან სკოლას სჭირდებოდა გარეული ცხოველების ტყავი და ფრინველთა ფიტულები. ჩემს ბიჭს უთქვამს, ბაბუა მყავს მონადირე და სოფელში ერთი კი არა, სამი დათვის ტყავი გვაქვსო. ერთ ცალს ამ ზაფხულს მატანდა ბაბუა თბილისში, მაგრამ დედაჩემმა არ წამომაღებინაო. სოფელში მართლაც გვქონდა ხბოს და ძროხის რამდენიმე ტყავი, რომელიც ბაბუამ შვილიშვილს დათვის ტყავად „გააცნო“ და თავისი მონადირული თავგადასავლებიც მოუყვა, თუ როგორ დახოცა სამი დათვი სამ სხვადასხვა ადგილას დიდი მამაცობისა და მოხერხების წყალობით...

10 წლის ბიჭმაც ადვილად დაიჯერა ბაბუას უწყინარი ტყუილი...

***ავთო ჭილაია, თბილისი***

## თარჯიმანი



იმერეთის ერთ დიდ სოფელში (სახელწოდებას შეგნებულად არ ვასახელებ) დიდი და ცნობილი მეცნიერის სახელობის სკოლაში ასეთი უცნაური რამ მოხდა.

მე-6 კლასში რუსულის გაკვეთილზე, მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს: — აბა ბავშვებო, როგორ იქნება რუსულად — მე ვსვამ წყალს, აბა ვინ მეტყვის, — მიეძალა მასწავლებელი მოსწავლეებს. „იმერულ ესკიზებში“ რომ არის, ისე. წამოდგა ერთი გოგონა, მართლა მთელი წელიწადი რომ არ უსწავლია და პასუხობს, თანაც დამარცვლით, თავის თავში დაჯერებული, რომ სწორად თარგმნა რუსულად:

— მე ვსვამ ცხალს!

***გიო, ქუთაისი***

## ვარსკვლავებისთვის მოგვაცდინეთ?!



ჩემი მეზობელი არსენა (ღმერთმა ნათელი დააყენოს) ერთი უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ ნამეტანი ენაკვიმატი. გასული საუკუნის 60-იან წლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა ჩვენს 50-კომლიან სოფელში. ერთ დღეს, გაგანია თოხნის დროს ადიგენიდან „მაცნე“ მოვიდა — დღის 2 საათზე რაიკომის დარბაზში აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე ლექციას ატარებს და სასწრაფოდ ხალხი ჩამოიყვანეთო. ყანაში სადილობაც ვერ მოვასწარით, ისე შეგვყარეს კოლმეურნეობის „გაზიკის“ ძარაზე და რაიონში გვიკრეს თავი. თითქმის სავსე დარბაზში, როგორც იქნა, მოვნახეთ ადგილები. შხვედრა რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გრძელიშვილმა გახსნა და სიტყვა ღვაწლმოსილ მეცნიერს მისცა. ბატონმა ევგენიმ, რომელსაც გვერდით სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი ედგა (ჭურაძე თუ ქვევრაძე აღარ მახსოვს), ღრმად და საფუძვლიანად მიმოიხილა თავისი სამყარო (ე.ი. კოსმოსი) და საზეიმოდ გვაუწყა, რომ ამ ახალგაზრდამ გალაქტიკის სადღაც შუაგულში ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინა, რომელსაც თავისი სახელი დაარქვაო (დარბაზი ტაშით შეხვდა ამ ამბავს).

აკადემიკოსმა საზეიმო სიტყვა დაასრულა და დარბაზს მიმართა, შეკითხვა ხომ არავის გაქვთო. სიცხით გათანგული დარბაზი გაისუსა, ყველას ერთი სული ჰქონდა, როდის გამოვიდოდა გარეთ. დარბაზის შუაგულში მჯდომი არსენა ფეხზე წამოდგა და მეცნიერს მიმართა — თუ შეიძლება, მე მაქვს ერთი შეკითხვაო.

— ბრძანეთ! — ნება დართო აკადემიკოსმა.

— ის ვარსკვლავი, მაგ ახალგაზრდამ რომ აღმოაჩინა, ძალიან შორს არის?

— უჰ, ძალიან შორს, გალაქტიკის ამა და ამ ადგილას (კვლავ თავის სამყაროს დაუბრუნდა მეცნიერი).

— იმის იქით თუ არის კიდევ ვარსკვლავები?

— არის, ძალიან ბევრი და ჩვენ ვცდილობთ...

— კიდევ იმის იქით? — არ ეშვებოდა არსენა და დარბაზი გრძნობდა, რომ სულ მალე აქ სიცილის ბომბი იფეთქებდა.

— კიდევ და კიდევ უსასრულობამდეა ეს ყველაფერი... — მშვიდად და საქმიანად პასუხობდა მეცნიერი და აიმედებდა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კიდევ არაერთი ახალ ვარსკვლავი აღმოვაჩინოთო...

დაძაბულობა კულმინაციას აღწევდა...

— თქვე დალოცვილებო, — ჩვეული ჟესტი მოიშველია არსენამ, — იქით და იქით კი არა, აქეთ და აქეთ რომ არის და ყოველ ღამე რომ დაგვჩახჩახებს თავზე, ამას რაში იყენებთ, რომ იქით და იქით ეძებთ... ამისთვის როგორ მომაცდენინეთ ეს ხალხი, ორ ჰექტარ სიმინდს მაინც გავთოხნიდით დღეს!..

გასკდა ბომბი და დარბაზი ერთიანმა სიცილმა მოიცვა. იცინოდა თვით ღვაწლმოსილი მეცნიერიც. მხოლოდ ერთს, რაიკომის მდივანს არ გაუცინია...

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს არსენას თავმჯდომარეობა ბრიგადირობაზე გაუცვალეს...

***ზურაბ სხირტლაძე, ადიგენი, სოფელი ზემო ენთელი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ჭიჭიკია მამალს კლავდა.

— რას ერჩი, ბიჭო, ამ ვერძივით მამალს! — ჰკითხა მეზობელმა.

— ნამეტანი გაბაბნიკდა, — უპასუხა ჭიჭიკიამ, — აღარ დატოვა აღარც ქათამი, აღარც ინდაური, აღარც იხვი და ბატი, რომ არ დაეპეპლა!

— მერე მაგიზა რავა კლავ, ბიჭო, — გაუშვი იგრიალოს! — შეეცოდა მეზობელს „ბაბნიკი“ მამალი.

— არა, ძმაო, მაცალე თუ კაცი ხარ, რაცხა ამ ბოლო დროს ჩემს სიდედრს დოუწყო გვერდზე ყურება და მეშინია, თავი არ მომჭრას!..

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***



კახეთში საახალწლო მასკარადია. მარო მიხოსთან მივიდა და ჩასჩურჩულა:

— მიხო, აგე ის კაცი, ოტელოს „მასკაში“ რომაა, მოსვენებას არ მაძლევს. როგორ მოვიშორო?

— ...ნიღაბი მაიხსენი!..

***ნინო, თბილისი***



ოსი ვალოდა და მიხო თევზაობენ. გაუთავდათ ჭიაყელები. მიხო წავიდა და ბევრი ჭიაყელა მოიტანა.

— როგორ მოიტანე ამდენი? — გაუკვირდა ვალოდას.

— მიწაში დენი ჩავუშვი, 12 ვოლტი, ამოვიდნენ ჭიაყელები, შევაგროვე და წამოვიღე.

ისევ გაუთავდათ ჭიაყელები. ახლა ვალოდა წავიდა. ცოტა ხანში უკან ნაცემი მობრუნდა.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა მიხო.

— იქით, მიწაში, 220 ვოლტი ჩავუშვი. ჯერ ჭიაყელები ამოვიდნენ, მერე მეშახტეები და გამხეთქეს ცემით, სენი წირიმე!..

***შალვა პაპაშვილი, კასპი***

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.**

**მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

## „სკორი“ უნდა გერქვასო!..



ქარელელი ლერი და ნელი შეხმატკბილებული ცოლ-ქმარი კი იყვნენ, მაგრამ ერთი განმასხვავებელი თვისება ჰქონდათ: კაცი მეტისმეტად დინჯი იყო, ქალი კი მარდი და ხელსწრაფი...

ერთადერთი ქალიშვილი მოსკოვში გაუთხოვდათ და დღენიადაგ ტელეფონზე ეკიდნენ, რადგან შვილიშვილს ელოდნენ. მშობიარობის დრო რომ მოახლოვდა, ლერი გაემგზავრა მატარებლით მოსკოვს. მისი წასვლა იყო და დედას სასწრაფოდ აცნობეს, რომ ქალიშვილს ნაადრევი მშობიარობა დაეწყო... დაკრა ფეხი ნელიმ და იმავე საღამოს გადაფრინდა მოსკოვში — მე შენ გეტყვი, მაშინ ვიზა შეუშლიდა ხელს ან თვითმფრინავის ბილეთის სიძვირე...

მესამე დღეს მატარებლით ჩახრიგინებულ ლერის შვილის მოსკოვური სახლის კარი ქარელში დატოვებულმა ნელიმ რომ გაუღო და ბიჭიანობაც ახარა, გაკვირვებულმა და გახარებულმა კაცმა ამის თქმაღა მოახერხა: — ვინც შენ ნელი დაგარქვა, მე იმისი რა ვთქვი, „სკორი“ უნდა გერქვასო!..

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## „კვირის პალიტრის“ ლექსიკოგრაფების დუელი გადამწყვეტ ფაზაში შედის!..



**ჯანო ონიანს**

ყველა მიწვდომა — თუნდაც წელამდე
გახსოვდეს, ჯანო, პირობითია,
ლექსებში მაინც ნუ მეჯიბრები
თუმც რომ გაჯობებ, ვითომ მითია?

***მახარე წიკლაური***

**პასუხი მახარე წიკლაურს ექსპრომტად**

პური აცხოს მეპურემ,
ამბობს სნოც და ბახმაროც,
ჩემს თარგმანთა შემყურემ
თითიც უნდა მახაროთ!..

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***



**ლექსპრომტი ჯანოს**

ვინ ვის აჯობებს დუელში,
ამას გვიჩვენებს „ვრემია“,
ვინ იცის, ვისკენ გაფრინდეს
„კვირის პალიტრის“ პრემია...

***ლადო კაკაბელი, სიღნაღი***

P.S. **დუელანტებს**

თამაშს ჩხუბში ნუ აურევთ,
მივმართავ ჯანოს, მახარეს...
იხარეთ, იმხიარულეთ,
მკითხველიც აახარხარეთ...

***რევაზ ნიჟარაძე (იმერი), თბილისი***

C M Y K

DURA LEX SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი №7 21.01.2002

## საქმე №

მერაბ ბასილაია

პრეცედენტი, როცა არასამთავრობო ორგანიზაცია — სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ინიცირებული სასამართლო პროცესი ლილოს მოსახლეთა სასარგებლოდ დასრულდა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში შედგა: მოსამართლე ნოზაძის გადაწყვეტილებით, მერიას ლილოს ნაგავსაყრელის გაუქმება, საკრებულოს კი 2002 წლის ბიუჯეტში საკონსერვაციო ხარჯების გათვალისწინება დაევალა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მოსარჩელე მხარე (ადვოკატი ლევან ალაფიშვილი) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იმ ორჰუსის კონვენციას დაეყრდნო, რომელიც გარემოსდაცვითი უფლებების თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო პრაქტიკის დანერგვის საშუალებას იძლევა:

თუ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად ზიანი მიადგა ადამიანთა საცხოვრებელ გარემოს ან ჯანმრთელობას, კონვენცია სასამართლოში საკუთარი უფლების დაცვის საშუალებას იძლევა. თუმცა, ეს კონვენციური უფლება მხოლოდ დაზარალებულ მოქალაქეებზე არ ვრცელდება და არასამთავრობო ორგანიზაციებს მაშინაც აძლევს სარჩელის შეტანის უფლებას, როცა ამგვარი დარღვევა უშუალოდ მათ არ აყენებს ზიანს.

კონვენცია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართვასაც ითვალისწინებს, რაც სამწუხაროდ, ჩვენში აპრობირებული პრაქტიკა ნამდვილად არ არის. თუმცა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს ვერდიქტში მოქალაქეთა და არასამთავრობოთა ჩართულობის მომენტი აისახა. კერძოდ, სასამართლომ დაავალა მერიას ნაგავსაყრელის ლიკვიდაციისთვის საჭირო თანხების დამდგენ და შემდეგ ამ თანხების განმკონტროლებელ კომისიებში მოქალაქეები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ჩართონ.

> **„ორჰუსის კონვენცია“ არის უმნიშვნელოვანესი მიღწევა არა მარტო გარემოს დაცვის თვალსაზრისით, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისითაც. კონვენცია ეხება ადამიანის ძირითად უფლებას დაიცვას თავისი შვილებისა და საკუთარი კეთილდღეობა“.**
>
> **მერი რობინსონი**
> **გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი**

# ორჰუსი ლილოს გადასარჩენად

ლანა უგრეხელიძე

**საჯარო პირებისა თუ სახელმწიფო მოხელეების ურთიერთობა მედიასთან განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს და სასიხარულოა, რომ ეს ურთიერთობები, სამართლებრივ სივრცეში, სასამართლო დარბაზებში ირკვევა. ხშირად ასეთი სასამართლო პროცესები, იურიდიული და თუნდაც მორალური თვალსაზრისით, უაღრესად რთულია და მოსამართლისაგან პროფესიონალიზმის გარდა, მკაფიო მოქალაქეობრივ პოზიციას საჭიროებს. თუ როგორ ჩამოყალიბდება მომავალში სასამართლო პრეცედენტების პრაქტიკა ჩვენს სახელმწიფოში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოები და როგორი იქნება ამ გადაწყვეტილებებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება. სწორედ ამიტომ „სასამართლო ქრონიკის“ რედაქცია რეგულარულად დაუთმობს ჩანართის გვერდებს ასეთ სასამართლო პროცესებს.**

# „ლანჩხუთი PLUS“ პარლამენტი „მინუს“



1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისას წარმოიშვა სასამართლო დავა რეგიონალურ გაზეთ „ლანჩხუთი Plus“-სა და წინა მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატ, იმხანად კი დეპუტატობის კანდიდატ რომან კვაჭაძეს შორის.

კვაჭაძის უკმაყოფილება დამოუკიდებელ გაზეთ „ლანჩხუთი Plus“-ში გამოქვეყნებულმა იმ ინფორმაციამ გამოიწვია, რომელშიც „დაცული ტერიტორიების შესახებ“ კანონპროექტში, გაზეთის აზრით, ლანჩხუთელებისთვის არასასურველი ცვლილებების შეტანის მცდელობაზე იყო საუბარი. მართალია, ინფორმაციაში ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი მოხსენიებული არ ყოფილა და მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ მიხეილ სააკაშვილის გარდა, ცვლილებების შეტანისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია, მაგრამ ამ ინფორმაციის გამოქვეყნებით თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა რომან კვაჭაძემ, რომელმაც „ლანჩხუთის მოამბეში“ გამოაქვეყნა ღია წერილი „ლანჩხუთი Plus“-ის რედაქტორის ქეთევან ნაკაშიძის სახელზე. ამ პუბლიკაციას საპასუხო წერილით — „ეჰ, რომან, რომან“ — გამოეხმაურა თავად „ლანჩხუთ Plus“-ი, რაც სასამართლო დავის საფუძველი გახდა.

რომან კვაჭაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ლანჩხუთის რაიონის სასამართლოს „ლანჩხუთი Plus“-ის რედაქტორისა და დამფუძნებლის — ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების წინააღმდეგ. კვაჭაძემ შეურაცხმყოფელად ჩათვალა ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა:

„კაცი, რომელმაც თავისი თავი დაკარგა;“

„ვინ ხარ შენ და როგორ მოხვდი იმ გაუგებრობაში, რასაც პარლამენტის წევრობა ჰქვია სახელად;“

„დავიჯერო სამივე მოსმენის დროს გეძინა?“;

„ლანჩხუთში ფეხებს გვჭრის და პარლამენტში თავსო;“

„ისე ნელა მწიფდები, ვაი, რომ ლანჩხუთს ამდენი დრო არა აქვს, რომ ამ უიმედო პროცესის დასასრულს დაელოდოს;“

„მატყლის საჩეჩად გაგიშვა ლანჩხუთმა პარლამენტში?“

„კანონის წაკითხვაც ვერ გისწავლია ერთი რიგითი მოქალაქის დონეზე, გაზეთის წაკითხვა არ გცოდნია კიდევ;“

„ამგვარი გამოხტომებისათვის თავში წაუთაქებენ ხოლმე, ჩემო რომან, მაგრამ ვაი, რომ მარტო ეს არ უშველის შენს გაჭირვებას;“

„ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა.“

რომან კვაჭაძემ პატივის და ღირსების შელახვისათვის, ასევე მიუღებელი შემოსავლისათვის (მისი აზრით, ის 1999 წელს პარლამენტის მიღმა, სწორედ ამ სტატიის გამო დარჩა) მოპასუხისათვის 25 ათასი ლარის დაკისრება, ამასთანავე გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა მოითხოვა.

ლანჩხუთის რაიონის მოსამართლემ რომან კვაჭაძესთან ახლო ურთიერთობის გამო, საქმეს აცილება მისცა და ამდენად პროცესი ჩოხატაურის რაიონულ სასამართლოში შედგა. ჩოხატაურის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კვაჭაძის სარჩელი და მოპასუხეებს 15 ათასი ლარის გადახდასთან ერთად გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და პრესის მეშვეობით კვაჭაძისათვის ბოდიშის მოხდა დააკისრა.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ 2000 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ზაზა და ქეთევან ნაკაშიძეების საჩივარი და ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა. კვაჭაძის სარჩელს კი უარი ეთქვა უსაფუძვლობის და მოთხოვნის დაუსაბუთებლობის გამო.

საოლქოს ეს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც გაიზიარა.

## სასამართლო დარბაზში

# „ბელა“ და „მუზა-97“ შსს-ს წინააღმდეგ

თეა ხოფერია

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარ სამმართველოს ერთ მშვენიერ დღეს კერძო საწარმოში შესვლის მუზა ეწვია და ნებართვისათვის ისანი-სამგორის სასამართლოს მიაკითხა. რაიონულმა სასამართლომ შსს-ს სამმართველოს შპს „მუზა-97“-ისა და მისი ფილიალი შპს „ბელასაკენ“ გაუხსნა გზა.**

**პოლიციამ შემოწმების საბაბად ოპერატიული ინფორმაცია, უფრო კონკრეტულად კი მოქალაქე ი. ქველიძის მიმართვა დაასახელა, რომელსაც „ბელასა“ და „მუზა-97“-ის პარტნიორის გველესიანის წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი საბუთები ჰქონდა. ქველიძე ფირმებს ბიუჯეტისთვის თანხების დამალვაში ადანაშაულებდა.**

**„მუზა-97“-ისა და „ბელას“ მესვეურებმა რაიონულის გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში უშედეგოდ გაასაჩივრეს. თუმცა, საოლქოს უზენაესი სასამართლო მოჰყვა, რომელმაც კანონის (ცნობისათვის: მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობას მოსამართლე ერთპიროვნულად, დახურულ სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობის გარეშე იხილავს) დარღვევით მიღებული ქვემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებები გააუქმა და საქმე „მუზა-97“-ისა და „ბელას“ სასარგებლოდ გადაწყვიტა.**

# ინსპექცია ვერ შეწვდა საავადმყოფოსაო

ანდრო გიგაური

**თბილისის ბავშვთა №1 საავადმყოფოში შესვლა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების სახელმწიფო ზედამხედველობის ინსპექციამ ვერც კანონის გვერდის ავლით მოახერხა და ვერც კანონის ძალით.**

**ინსპექციამ თავდაპირველად მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, — აქაოდა, საავადმყოფოს ქირურგიულ, თერაპიულ და დღის სტაციონარულ პალატებს, ასევე ვიწრო სპეციალობისა და რენტგენის კაბინეტებს სანიტარული პასპორტი არ აქვთ და არც სამედიცინო პერსონალს გაუვლია სამედიცინო შემოწმებაო. ინსპექცია იმის ვარაუდსაც გამოთქვამდა, რომ საავადმყოფოში სანიტარული კვანძებიც არ იქნებოდა წესრიგში.**

**თავის მხრივ, ბავშვთა საავადმყოფოს წარმომადგენლებმაც წარუდგინეს სასამართლოს მტკიცებულებები იმის დასასაბუთებლად, რომ საავადმყოფოში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სტანდარტებს შეესაბამებოდა.**

**სასამართლომ თავის ვერდიქტში გაითვალისწინა, რომ შემოწმების საფუძველი ინსპექციის ვარაუდები ვერ გახდებოდა და მაკონტროლებელს ბავშვთა №1 საავადმყოფოსკენ გზა გადაუკეტა.**

**თუმცა, მაკონტროლებელმა რაიონული სასამართლოს დონეზე პოზიციების დათმობას პროცესის გაგრძელება არჩია და გადაწყვეტილება საოლქოში გაასაჩივრა. საოლქო სასამართლომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და ბავშვთა საავადმყოფოს ერთი მაკონტროლებელი ააცილა.**

სასამართლო დარბაზებში

## ვიზირებული შარი

სოფო ბუკია

აშშ-ში გამგზავრების სურვილმა გიორგი გელაშვილი საგანმანათლებლო-საკონსულტაციო ცენტრ INTERJOB-ის ოფისამდე მიიყვანა.

გაფორმდა ხელშეკრულება INTERJOB-თან, რაც გაცვლით პროგრამა WAND TAA-ში მონაწილეობას ითვალისწინებდა.

ხელშეკრულების თანახმად, გელაშვილმა ცენტრს სარეგისტრაციო თანხა — 50 აშშ დოლარი და 60 ლარი გადაუხადა, ასევე დეპოზიტური თანხა — 300 დოლარი. ხელშეკრულების მიხედვით, თუ INTERJOB-ი გელაშვილს ვიზას ვერ „გაუკეთებდა“, 300 დოლარი უკან უნდა დაებრუნებინა, სარეგისტრაციო თანხა კი ცენტრს დარჩებოდა.

ამერიკის საკონსულომ გელაშვილს ოკეანის გაღმა გაშვებაზე უარი უთხრა. ამის შემდეგ გელაშვილმა INTERJOB-ს, უფრო სწორად, თავის 300 დოლარს მიაკითხა. ცენტრის ხელმძღანელობას თანხის დაბრუნებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ „ამერიკელ პარტნიორებთან“ კონსულტაცია მოიმიზეზა. მას შემდეგ გელაშვილი ცენტრის ხშირი სტუმარი გახდა. ბოლოს, როცა ცენტრის ხელმძღვანელობა ზედმეტად შეაწუხა, 100 დოლარი მისცეს, დანარჩენ თანხაზე კი უთხრეს — ამერიკულმა მხარემ დაქვითაო. გელაშვილმა კუთვნილი თანხა მხოლოდ სასამართლოს ძალით დაიბრუნა და ოკეანეს გაღმა გამგზავრების უფრო დასაბუთებული გზების ძიებას შეუდგა.

## მსოფლიო ბანკის სარეაბილიტაციო პროექტი

სასამართლო სისტემის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოში მსოფლიო ბანკის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მიმდინარე წელს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები გადამწყვეტ ფაზაში შედის.

ტენდერის საშუალებით გამოვლინდნენ ის ქართული სამშენებლო კომპანიები, რომლებიც საერთო სასამართლოების რეკონსტრუქციას განახორციელებენ. ზოგიერთ შემთხვევაში სამუშაოები უკვე 100 პროცენტით შესრულებულია. ამის მაგალითია რუსთავის სასამართლოს სამოდელო შენობის ექსპლუატაციაში გადაცემა.

მიმდინარეობს გორის, თელავის, ზუგდიდისა და ახალციხის რაიონული სასამართლოების რეკონსტრუქცია.

სასამართლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კონკრეტული ვადების განსაზღვრა იყო ბათუმსა და ფოთში საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივნის, ზურაბ აბაშიძისა და საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარის, მერაბ ახობაძის სტუმრობის მთავარი მიზანი.

როგორც საქართველოს იუსტიციის საბჭოს პრესსამსახურიდან გვაცნობეს, ბათუმის მერთან გამართულ შეხვედრაზე საბოლოოდ დაზუსტდა ბათუმის სასამართლოს რეაბილიტაციური სამუშაოების დასრულების ვადა. გადაწყდა, რომ ტენდერის გზით განისაზღვრება სამუშაოების შემსრულებელი სამშენებლო კომპანიაც. რაც შეეხება ფოთს, აქ სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

საკუთარი ინფორმაცია

ადვოკატი გვირჩევს

— „ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური ზედამხედველობის წესები“ დადგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 18 აპრილის ბრძანება №142-ით. აღნიშნული წესები „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა“ და „პოლიციის შესახებ“ კანონების შესაბამისადაა შემუშავებული. აღნიშნული წესების 3.1. მუხლი ამბობს: „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა და მათი მისაბმელების სავალდებულო, პერიოდული სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერების ჩატარების წესი, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობაში მონაწილე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერების ჩატარების განმსაზღვრელ ერთიან ნორმატიულ აქტს წარმოადგენს და შემუშავებულია საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ შესაბამისად.

საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და დადგენილი წესით, საგზაო პოლიციაში რეგისტრირებული ყველა ავტომოტოსატრანსპორტო საშუალება, ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, ყოველწლიურად გადის სავალდებულო, პერიოდულ, სახელმწიფო ტექნიკურ დათვალიერებას. რაც შეეხება ტექდათვალიერების განხორციელების ადგილს, მუხლი 3.11. ადგენს, რომ: „ავტომფლობელი უფლებამოსილია წარადგინოს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რეგიონში არსებულ ნებისმიერ ლიცენზირებულ დიაგნოსტიკურ ცენტრში შესამოწმებლად, ხოლო ტექნიკური დათვალიერების საბოლოო შედეგების გასაფორმებლად ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენა უნდა მოხდეს საგზაო პოლიციაში მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. **განსაკუთრებულ შემთხვევაში, ავტომფლობელთა ინტერესების გათვალისწინებით, გამონაკლისის დაშვება შეიძლება მხოლოდ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მითითების საფუძველზე.“**

მოქალაქე ლევან კახელის შემთხვევაში შესაძლებელია სწორედ ამ მუხლით განსაზღვრული შესაძლებლობის გამოყენება, თუ ის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსს წერილობით მიმართავს.

ისე კი, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პრაქტიკა ჩვენში, ჩვენებურად გაგებული ხელისუფლების და ფულის განაწილების პრინციპის აბსოლუტური შესაბამისია.



**რედაქციას შეკითხვით მომართა მოქალაქე ლევან კახელმა, რომელსაც საგზაო პოლიციაში უარს ეუბნებიან ავტომანქანის ტექდათვალიერების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ ავტომანქანა, რომელსაც ის გენერალური მინდობილობით მართავს, ბათუმშია აღრიცხვაზე და პოლიციელთა განცხადებით, ტექდათვალიერებაც იქ უნდა ჩაუტარდეს. საკითხის განმარტებისათვის სამართლებრივი განათლების ასოციაციის იურისტს ზურაბ გუნცაძეს** მივმართეთ:

## მასშტაბური ტექდათვალიერება



**რედაქციას ხშირად მოგვმართავენ მოქალაქეები, რომელთაც საკუთრებითი დავები, მეტწილად ბინების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.**

**ჩვენ დავუკავშირდით ადვოკატ ნუგზარ გუმბერიძეს და ვთხოვეთ კონსულტაცია იმ შეკითხვებთან დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქეები ყველაზე ხშირად მოგვმართავენ:**

— **რა იურიდიული სტატუსი აქვს ბინაში ჩაწერას?**

— საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ თუ ადამიანი ჩაწერილია ბინაში, ეს არის მთავარი. არადა სულაც არ არის ასე.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადობის დადასტურებისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“. ამ კანონის გარდამავალ დებულებებში პირდაპირ წერია, რომ რეგისტრაცია, ანუ იგივე ჩაწერა არ წარმოშობს საკუთრების უფლებას. საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ნასყიდობის ხელშეკრულება. ვისაც ეს დოკუმენტი აქვს, ის არის სახლის მესაკუთრე. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩაწერა-ამოწერას, რეგისტრაციას.

მაგალითად, თქვენ იყიდეთ სახლი და ძველი ტერმინი რომ ვიხმაროთ, იქიდან არ ეწერებიან, ანუ რეგისტრაციიდან არ ეწერებინ ის პირები ან მისი ოჯახის წევრები, ვისგანაც თქვენ სახლი იყიდეთ. ამ შემთხვევაში, მყიდველისთვის არანაირი პრობლემა არ არსებობს, ვინაიდან ზემოთხსენებულ კანონში რეგისტრაციის შესახებ პირდაპირ წერია, რომ თუ პირი საცხოვრებლად სამ თვეზე მეტი ვადით სადმე გადადის, ამ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, რეგისტრაცია გაიაროს იქ, სადაც საცხოვრებლად გადავიდა, ან ძველი ადგილიდან რეგისტრაციიდან მოიხსნას. აქვე არის მეორე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ მესაკუთრის თანხმობის გარეშე არავის არ აქვს უფლება რეგისტრაცია გაიაროს ამა თუ იმ საცხოვრებელ მისამართზე. ეს არის ყველაზე მთავარი. აქედან გამომდინარე, მე თუ ეს სახლი ვიყიდე და მისი მესაკუთრე გავხდი, ვისაც მინდა გავატარებ რეგისტრაციაში. რეგისტაცია ტარდება პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში, ეგრეთწოდებულ „საპასპორტოში“.

იმ შემთხვევაში, თუ პირი არ გადის ბინიდან, უნდა მიმართოთ სასამართლოს, რომელიც არათუ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას, რომ პირმა ან პირთა ჯგუფმა დაცალონ ბინა, არამედ თქვენ ასევე შეგიძლიათ ზიანის ანაზღაურება მოითხოვოთ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბინის ყიდვისას მყიდველმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ხელშეკრულებას, რომლითაც გამყიდველს აქვს ეს ბინა და თუ რითი დასტურდება გამყიდველის საკუთრების მოწმობა ამ კონკრეტულ ბინაზე. ნებისმიერმა ხელშეკრულებამ რეგისტრაცია აუცილებლად უნდა გაიაროს საჯარო რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში უძრავ ქონებაზე გასხვისების გარიგება ძალაში არ შევა.

ასი კაცი რომ იყოს ბინაში ჩაწერილი, მთავარია თქვენ ხელშეკრულება ყიდვის შესახებ გააფორმოთ ბინის მესაკუთრესთან, ხოლო თუ ბინის მესაკუთრე არის რამდენიმე პირი, მაშინ ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა იყოს ყველა მათგანის თანხმობა.

— **როგორ წყდება საბინაო დავები განქორწინების დროს?**

— განქორწინების დროს ძირითადი დავები არის მეუღლეთა შორის. ამ დროსაც მოქმედებს მესაკუთრის უფლება. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი ამბობს, რომ თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ბინა ცოლ-ქმრის ერთობლივ საკუთრებად ითვლება.

— **ბინების ყიდვა-გაყიდვისას არსებობს ორ პროცენტიანი გადასახადი. რა გადასახადია ეს და ეხება თუ არა ის „გირაოს“?**

— ეს არის საგადასახადო კოდექსით დადგენილი უძრავი ქონების გადაცემისთვის დაწესებული გადასახადი. მას ქონების მიმღები იხდის იმ თანხიდან, რა ფასადაც არის შეფასებული ეს ქონება.

რაც შეეხება გირაოს, გირავნობა ახალი სამოქალაქო კოდექსით დაიშვება მოძრავ ნივთებზე. უძრავ ნივთებზე გირავნობას ჰქვია იპოთეკა. გადასახადი აქაც საგადასახადო წესით არის დადგენილი (ორი პროცენტი).

ამ გადასახადის ადმინისტრირება ხდება საჯარო რეესტრის სამსახურში, ანუ მიიტანთ გადახდილ ქვითარს და ამის შემდეგ ხდებით მესაკუთრე. თუმცა, ჩემი აზრით ეს არასწორია, რადგან საჯარო რეესტრის სამსახურს არ ევალება გადასახადების ამოღება. ეს არის საგადასახადო სამსახურის საქმე. საბოლოოდ ქონების მიმღებმა მაინც უნდა გადაიხადოს ეს ორი პროცენტი.

ბინის ყიდვისას თქვენ აგრეთვე უნდა მოითხოვოთ დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ამ ბინაზე სხვა პირს არანაირი პრეტენზია არა აქვს. ეს ფიქსირდება ხელშეკრულებაში და ამის გარანტიას იძლევა გამყიდველი. თუ შედგომში მაინც გამოჩნდა სხვა პირი და აქვს ისეთი პრეტენზია, რომელიც მყიდველისთვის უცნობი იყო, ამ შემთხვევაში, მყიდველი გამოდის კეთილსინდისიერი შემძენი და მას უნდა აუნაზღაურდეს მთელი ის ხარჯი, რომელიც მან ბინის ყიდვისას გაიღო.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა. ხელშეკრულების დადებისას აფიქსირებენ გაცილებით დაბალ თანხას, რათა ორ პროცენტიანი გადასახადი ნაკლები გამოვიდეს. მოგვიანებით, თუ გამოჩნდა სხვა პირი, რომელსაც აქვს ამ ბინაზე დასაბუთებული პრეტენზია და ხელშეკრულება საერთოდ გაუქმდა, მყიდველს დაუბრუნდება ის თანხა, რომელიც ხელშეკრულებაში არის მითითებული. სწორედ აქ ხდება თაღლითობა. ამიტომ ყველა მოქალაქეს ვურჩევ ხელშეკრულებაში ჩაწეროს რეალურად გადახდილი თანხა და 200-300 ლარით მეტი გადაიხადოს, ვიდრე მომავალში გაცილებით უარესი პრობლემა შეექმნას.

კიდევ ერთხელ შევახსენებ მკითხველს, რომ ბინის ყიდვისას არ მოტყუვდეს. მან უნდა მოითხოვოს ცნობა ყადაღის თაობაზე, რომელიც ადასტურებს, რომ მესამე პირს არანაირი იურიდიული მოთხოვნა ამ სახლზე არა აქვს და დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მესაკუთრე ნამდვილად არის ამ ბინის და ფართის მესაკუთრე. ნებისმიერი სხვა ზეპირი გარიგება, რომელიც ნოტარიალურად არ არის დამოწმებული, არის დარღვევა და არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია.

## შეწყალება

ალექსანდრე სულავა

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით (თავმჯდომარე — მერაბ ტურავა) ნინო ბაბუაძე პატიმრობიდან გათავისუფლდა.

„ასეთი რამ რეფორმამდე არ მოხდებოდა. ძველი მოსამართლეები იმდენად მიჩვეული იყვნენ დაკვეთილი და დაშტამპული გადაწყვეტილებების მიღებას, რომ მათი მხრიდან გამორიცხული იყო მსგავსი განაჩენის გამოტანა.

არის ასეთი გამოთქმა: კანონს ზემოთ არსებობს ადამიანური სამართალი. სწორედ ადამიანურმა სამართალმა იხსნა სრულიად გაუბედურებული ორი მცირეწლოვანი შვილის დედა, რომელიც უცოდინარობის და სხვა ადამიანების მოტყუების მსხვერპლი აღმოჩნდა და ამიტომაც ამოყო თავი ციხეში,“ — თვლის არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი ნანა კაკაბაძე.

ნინო ბაბუაძეს ბრალი რამდენიმე პირთან ერთად ყალბი დოლარების გასაღებაში ედებოდა. ისინი დაუკავშირდნენ გალის რაიონიდან იძულებით ადგილნაცვალ ო. ზუხბაიას და მისი მეშვეობით 4000 ყალბი დოლარით 25 ყუთი სიგარეტი „ვაისროი“ შეიძინეს. მომხდარი ფაქტის შესახებ ო. ზუხბაიამ პოლიციაში ხუთი თვის შემდეგ, 2001 წლის 22 მარტს განაცხადა.

ნინო ბაბუძე თავის ბინაში ქ. ზესტაფონში დააკავეს, ხოლო დანარჩენი პირები მიიმალნენ.

პალატის სხდომაზე პროკურორმა ა. სიკიაშვილმა განაჩენის (3 წელი) უცვლელად დატოვება ითხოვა.

პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბაბუაძე ორი არასრულწლოვანი ვაჟის მარტოხელა დედა იყო, რომელმაც პირველ დაკითხვაზე აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. თავისი ჩვენებებით ის გარკვეულწილად დაეხმარა გამოძიებას და სასამართლოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში. ასევე გაითვალისწინა ისიც, რომ ის არ არის დანაშაულის ინიციატორი და ცხრა თვეზე მეტია სასჯელს იხდის პატიმრობაში, კმაყოფაზე ჰყავს ინვალიდი დედა და უმუშევარი მამა.

ამ გარემოებების გამო ნინო ბაბუაძე პატიმრობიდან გათავისუფლდა და ხუთი წლით გამოსაცდელი ვადა დაუწესდა, ხოლო მის ყოფაქცევაზე კონტროლს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო ბიურო განახორციელებს.

## მეზობლის ქერს ხელს ნუ ახლებ!

თეა ხოფერია

კოტე ტუხაშვილის მიწის ნაკვეთში დაუპატიჟებელი სტუმრები — დაქირავებული მწყემსები და საქონელი — მისი მეზობლის ჭაბაშვილების ნაკვეთიდან გადავიდნენ. სტუმრობა არც ისე სახარბიელო აღმოჩნდა: ტუხაშვილების „ნაგერალა“ ქერი ჭაბაშვილების საქონელმა გაანადგურა, დაქირავებულმა მწყემსებმა კი ჩხუბის დროს მიწის ნაკვეთის მეპატრონეს სცემეს.

დაზარალებულმა ტუხაშვილმა სამართლის ძიება სიღნაღის რაიონულ სასამართლოდან დაიწყო, შემდეგ საოლქოში განაგრძო და ბოლოს უზენაესში სარჩელის დაკმაყოფილებასაც მიაღწია.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით, მოპასუხეს ტუხაშვილის სასარგებლოდ იმ 3300 ლარის გადახდა დაეკისრა, რომელიც მას საქონლისა და მწყემსების სტუმრობის შედეგად ზარალის სახით დააწვა.

# რეპეტიცია სასამართლოში

ეკატერინე ჯავახიშვილი 1993 წლიდან საქართველოს ევ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში მსახიობად მუშაობს, არფაზე უკრავს.

მარტოხელა დედა ორკესტრში მიღებული მწირი ხელფასით 9 წლის ვაჟს და პენსიონერ დედასაც არჩენს.

2001 წლის 1 თებერვლიდან ორკესტრის ხელმძღვანელობამ, ქალბატონ ეკატერინესთან შეუთანხმებლად, იგი შტატების შემცირების მიზეზით, მოწვეულ მსახიობად გადაიყვანა, რაც ფაქტობრივად სამსახურიდან გათავისუფლებას ნიშნავდა.

ეკატერინე ჯავახიშვილმა საკუთარი უფლებების დაცვა კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს ანდო. სარჩელში იგი ძველ სამუშაო ადგილზე აღდგენას და განაცდურ ხელფასს, 100 ლარს ითხოვდა.

მოსამართლე პაატა ნოზაძემ ჩათვალა, რომ ეკატერინე ჯავახიშვილის მიმართ დაირღვა შრომის კანონთა კოდექსის რამდენიმე მუხლი. კერძოდ, ის სხვა სამუშაო ადგილზე გაუფრთხილებლად გადაიყვანეს. მისი, როგორც მარტოხელა დედის გათავისუფლების უფლებაც არ ჰქონდათ.

ორკესტრის ხელმძღვანელობამ სარჩელი არ ცნო. მათი თქმით, მოსარჩლის შტატი შემცირდა საბიუჯეტო დაფინანსების შემცირების გამო, თუმცა მოსამართლემ ორკესტრის ხელმძღვანელობის კი არა, ქალბატონ ეკატერინეს ინტერესები გაითვალისწინა, რომელიც ორკესტრს დაუბრუნა, თავად ქალბატონ ეკატერინეს კი — განაცდური 100 ლარი.

# როცა ცივილიზებული სამყარო „გეჯახება“

ერთ ჩვეულებრივ დღეს დავით ი.-ლი საკუთარ „მერსედეს-ბენც 300“-ს შავი ზღვის ქუჩაზე მიაქროლებდა. იქვე ინსპექტორებს ერთი „ჩვეულებრივი“ რეიდი მოეწყოთ. დ.ი-ც გააჩერეს და ვიდრე „ცნობისმოყვარე“ ინსპექტორი მის საბუთებს უკირკიტებდა, მის ავტომანქანას ამერიკის საელჩოს კუთვნილი სატვირთო „დოჯი“ დაეჯახა. „მერსედესის“ უკანა ნაწილი მთლიანად დაზიანდა. დავით ი.-მ და მასთან ერთად მანქანაში მჯდომმა ცისანა ე-მ სხეულის დაზიანება მიიღეს. შ.პ.ს „აკამ“ ზარალი 20.507.50 ლარად შეაფასა.

ბატონ დავითს თანხა ეცოტავა და კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს შესჩივლა — ჩემი მანქანის გარემონტებას 40 ათასი დოლარი უნდა, 10 ათასი დოლარიც მკურნალობის ხარჯებიო.

მოსამართლე ჯალიაშვილმა ი.-ის მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამერიკის საელჩოს ერთი „დაჯახება“ 50 ათასი დოლარი დაუჯდა. 1.250 ლარი — სახელმწიფო ბაჟიც ამერიკის საელჩოს ბიუჯეტს დააკლდა.



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

გარიგება



# 11-ლარიანი მორიგება მამაშვილობისთვის

ხათუნა ჯანგირაშვილი

ბიუჯეტიდან 11 ლარი შვილმა მამასთან შერიგების გამო მიიღო. მამაშვილის მორიგება საოლქო სასამართლოში შედგა, ახალამოშენებული აივნიანი ოთახისა და საერთო ტუალეტისათვის დავა კი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში დაიწყო.

სოფელ ჭანდრაში მდებარე მამაპაპისეული სახლი სადაო მას შემდეგ გახდა, რაც შვილმა ვალერი ქ.-მ გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა, რათა ბათილად ეცნოთ სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილება მისივე მშობლების — გიორგი ქ-სა და მარიამ ი-ს ცალკე კომლად გამოყოფის თაობაზე. რაიონულ სასამართლოში უარის მიღების შემდეგ ვალერი ქ-ი გურჯაანიდან თბილისის გზას დაადგა და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქოში გაასაჩივრა.

მხარეებად ქცეულმა მამა-შვილმა პროცესზე უკონფლიქტო წარსული გაიხსენა, აპელაცია დაივიწყა და მორიგების მზადყოფნა გამოთქვა.

მორიგება შედგა:

მამამ შვილის სასარგებლოდ უარი თქვა სახლის მეორე სართულზე მდებარე ახალამოშენებულ, აივნიან ოთახზე იმ პირობით, თუ შვილი მეორე სართულზე გზას იზოლირებული კიბით გაიკვლევდა და კიბეს ერთ თვეში მიაშენებდა;

გიორგი დათანხმდა დაეცალა ის ბინაც, რომელშიც იმჟამად ცხოვრობდა და სანაცვლოდ შვილისგან 300 ლარი მიეღო;

სადაო აღარ გაუხდიათ ეზოში მდებარე ტუალეტიც, რომელიც მორიგების შედეგად, საერთო სარგებლობაში დარჩა.

მორიგების შედეგად სახელმწიფო ბაჟიც განახევრდა და სასამართლომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 11 ლარის დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

ექსპერტი

**გამოძიება და მისი სტრუქტურა — ეს ის საკითხია, რომლის სწორ ორგანიზაციაზე, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული როგორც მოქალაქეების უსაფრთხოება, ასევე სახელმწიფოში დემოკრატიის რეალური ხარისხი.**

**საქართველოში სასამართლო რეფორმის შემდგომი ეტაპი პროკურატურის მიმართულებით განვითარდება. ამაზე მკაფიოდ მიუთითებენ მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები, რადგან პროკურატურა საგამოძიებო სისტემის საკვანძო სტრუქტურაა და რედაქცია სისტემატურად დაუთმობს ჩანართის ფურცლებს ამ თემას.**

**ჩვენი კოლეგა ნინო მღებრიშვილი წლების მანძილზე სწორედ სამართლებრივ თემატიკაზე მუშაობს და ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ რას ფიქრობენ სწორედ ჟურნალისტები პროკურატურის პერსპექტივასა და მის ადგილზე სახელმწიფოში:**



# პროკურატურა

## ძველი პრივილეგია თუ ახალი პრესტიჟი?

— გამოძიების რეფორმაზე მუშაობა ორიოდე თვეა მიმდინარეობს. პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილ კომისიას 15 აპრილს უკვე ის კონცეფცია უნდა ჰქონდეს შემუშავებული, რომლის მიხედვითაც გამოძიების მუშაობის სტილი ძირეულად უნდა შეიცვალოს. სამართლებრივი რეფორმების ამ მხრივ გაგრძელება საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, ამ კონცეფციის შემუშავებისა და შემდეგ უკვე გამოძიების რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას უამრავი საკანონდებლო ცვლილება მოჰყვება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ხელახლა დაწერაზე უკვე საუბრობენ, თუმცა, შესაძლოა ამ რეფორმას საკონსტიტუციო ცვლილებებიც მოჰყვეს. სამართალდამცველ ორგანოთა სტრუქტურული რეფორმა და წინასწარი გამოძიების მუშაობის სტილის შეცვლა ერთია, მაგრამ, გამორიცხული არ არის, რეფორმატორებმა იმაზეც იფიქრონ, დარჩეს თუ არა პროკურატურა სასამართლო ხელისუფლებაში.

საქართველოს კონსტიტუციით, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებაა. აქედან გამომდინარე, თეორიულად სავარაუდოა, რომ პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოექცეს და მისგან მართვადი გახდეს. ამ ვარაუდს არც თეორეტიკოსი იურისტები გამორიცხავენ. თუმცა, ამაზე საუბარი დღესდღეობით ნაადრევია, ვინაიდან ჯერ კიდევ ინერციით ძლიერი სტრუქტურის „დაჯაბნა“ და გავლენის ქვეშ მოქცევა არც ისე იოლია.

პროკურატურა უახლოესი ისტორიის მანძილზე ყველაზე პრივილეგირებული, ძლიერი და გავლენიანი სტრუქტურა იყო. პროკურატურის საერთო ზედამხედველობის ფუნქცია თვით სასამართლო სისტემაზეც ვრცელდებოდა. ამ ფუნქციის გაუქმებამ პროკურატურას ფრთები შეუკვეცა. მეტიც, პროკურატურის შესახებ ორგანული კანონის სტრუქტურა ისეა აგებული, რომ პროკურატურა პრივილეგიებს კარგავს და სასამართლო სისტემასთან რეალურად გათანაბრებული ხდება.

მეორე მიზეზი, რის გამოც კანონმდებლებმა პროკურატურას სწორედ მესამე ხელისუფლებაში მიუჩინეს ადგილი, არც ისე ხელწამოსაკრავია. კანონმდებელთა აზრით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაბარგების შემთხვევაში პროკურატურა მისი ზეგავლენის ქვეშ მოექცეოდა. არადა, პროკურატურა, შესაძლოა, დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგეს ხელისუფლების ნებისმიერ შტოში „გაწევრებისას“. ასე რომ, დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე ხელისუფლების ნებისმიერ შტოში (საკანონმდებლო იქნება ეს, აღმასრულებელი თუ სასამართლო) ინტეგრაციისას პროკურატურას ყოველთვის აქვს. მთავარია, დამოუკიდებლობის დაცვის ისეთი მექანიზმი შეიქმნას, რომელიც პროკურატურას ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს „ინტერვენციისგან“ დაიცავს. მეორე და მთავარი საკითხი, რომელიც, კვლავ და კვლავ პროკურატურის დამოუკიდებლობას და მისი ხელისუფლების ამა თუ იმ შტოსთან მიკუთვნებასთან არის დაკავშირებული, პროკურატურის პოლიტიკური ზეგავლენისგან გათავისუფლებაა..

დღეს, რომ პროკურატურა პრაქტიკულად პოლიტიზებულია, ამას არავინ მალავს. შეიძლება ითქვას, რომ არ გამართლდა კანონმდებელთა ვარაუდი, რომ სასამართლო ხელისულებაში ადგილის მიჩენით, იგი აპოლიტიკური გახდებოდა. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: პროკურატურა სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ორგანოა. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელს შეუძლია განსასჯელის გამართლება მოითხოვოს, იგი მაინც სახელმწიფოს სახელით გამოდის, სახელმწიფოსავე სახელით ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას და ზედამხედველობს კანონიერების დაცვას. ასე რომ, მისი ძირითადი ფუნქციების განხორციელება სახელმწიფოს სახელით წარმოებს. ამას პროკურატურა გვერდს ვერ აუქცევს ვერც ერთ შემთხვევაში, ხელისუფლების რომელ შტოშიც არ უნდა იყოს. პოლიტიკისგან პროკურატურა მთლიანად ვერასდროს დაიცლება, თუმცა, არავინ დაობს, რომ პროკურატურამ დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხით უნდა იმუშაოს.

(დასასრული მე-20 გვერდზე)

CMYK

მატიანე

# ქუთაისელმა ქურდმა პოლიცმაისტერი გაქურდა



ერთი სახელგანთქმული ქურდი მთელს ქუთაისში ხალხს აწუხებს; შუა დღისით თავისუფლად შედის სახლში, თუ ვინმემ მიასწრო — ეკითხება: ესა და ეს კაცი სადა სდგასო; — თუ არავინ შეხვდა, მაშინ კი დაავლებს ხელს, რაც შეხვდება მოსაპარავი და გაუდგება გზას. ამ რიგად მოიქცა ეს კაცი აქაური პოლიცმაისტერის სახლშიც: შევიდა ეზოში, დახვდა მოსამსახურე, იკითხა ვიღაც ექიმი. იმ მოსამსახურემ არ იცოდა ამ ექიმის ასავალ-დასავალი და სახლში შევიდა გასაგებად. გამოვიდა და რას ხედავს, არც ეგ კაცი დახვდა ბალკონზე და აღარც პოლიცმაისტერისეული ვერცხლის ჩაის კოვზები და სასანთლეები. ამგვარად გაქურდა სახელგანთქმულმა ქურდმა პოლიცმაისტერის სახლი.

ერთხელაც ასეთი უმსგავსო საქციელის ჩადენაზე, როდესაც ოქრო-ვერცხლი მოიპარა ერთი სახლიდან, დაიჭირეს. მაგრამ ვიღაც ნათლიის წყალობით გაათავისუფლეს. ერთხელაც 30 თუმნის თავდები მოიყვანე და გაგიშვებთო, უთხრეს. თავდები და მოწმე ჩვენში ვის გაუჭირდება, ათასი მშიერი „აპუკანტები“ მზად არიან სასამართლოს კარებში ქურდების გასაშვებად, — სწუხს ერთი ქუთაისელი, ვინც ეს წერილი „დროებას“ გამოუგზავნა.

# პორუჩიკ ზოლოტარევის გაკიმბირებამდელი "ქვითქვითი"

პორუჩიკ ზოლოტარევს ოსის ჩამომავლობის ქალი ჰყოლია ცოლად. ლამაზი და მოსამსახურედ ნამყოფი პელაგია მაინცდამაინც არ იწუხებდა თავს მეუღლებრივი ერთგულებით, არ უთმობდა ქმარს არც ერთი საყვედურის სიტყვას, და ბოლო ხანებში ხშირად სცემდა ზოლოტარევს, თუმცა თვითონაც არა ერთხელ გალახულა მისგან. ერთხელაც მორიგი წაკინკლავებისას ზოლოტარევმა მოკლა თავის ცოლი.

საქმის გარჩევამ სამხედრო ოლქის სასამართლოში გამოარკვია შემდეგი საინტერესო ფაქტები: მკვლელობის წინა დღეებში ზოლოტარევს რუსულად სმა და ლოთობა დაუწყია. ერთ დღეს ჩხუბი მოსვლიათ. კაცმა სცემა ქალს, ნაცემი ქალი მეზობელთან შესულა და სამი დღე იქ უცხოვრია. ქმარი რამდენჯერმე მიუვარდა ცოლს და ბოლოს ძლივს დაითანხმა სახლში დაბრუნებულიყო. სახლში დაბრუნების რამდენიმე წამის შემდეგ ზოლოტარევი სადღაც წავიდა, მოვიდა უკვე მთვრალი და სადილი მოითხოვა. სადილზე ცოლს აუხირდა, შეათრია მეორე ოთახში და იქ მოჰკლა რევოლვერით. რევოლვერის ხმაზე მეზობლებმა მოირბინეს, რომელთაც შემდეგი სცენა ნახეს: ოთახში, იატაკზე უსულოდ ეგდო ცოლი, ზედ დაქვითქვითებ-



და ქმარი, რომელმაც სისწრაფით გვერდით ამოუდო რევოლვერი მიცვალებულს და ოხვრა-ვაებით არწმუნებდა მაყურებელს, ჩემმა ცოლმა თავი მოიკლაო. უბედურს რვა წლის ვაჟი დარჩენია.

სამხედრო ოლქის სასამართლომ ბევრი საქმის გარჩევისა და მოწმეთა დაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ზოლოტარევს ჩამოერთვას ყოველივე უფლება და საქონებელი და გაიგზავნოს ციმბირის არა მეტად შორს გუბერნიაში დასასახლებლად.

„დროება“ №13, 1885 წ.

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ერთხელ ამერიკაში



**ადვოკატი:** იცით თუ არა, რამდენი თვის ფეხმძიმე ხართ?
**მოწმე:** 8 ნოემბერს სამი თვის გავხდები.
**ადვოკატი:** როგორც ჩანს, ჩასახვა 8 აგვისტოს უნდა მომხდარიყო?
**მოწმე:** მე მგონი, სწორედ ასეა!
**ადვოკატი:** მაშინ ასე დავსვამ შეკითხვას: რას აკეთებდით თქვენ და თქვენი ქმარი 8 აგვისტოს?



**ადვოკატი:** მის ჯონსონ, როგორ დასრულდა თქვენი ქორწინება?
**მოწმე:** სიკვდილით!
**ადვოკატი:** და ვისი სიკვდილით?

# კურიოზები

## ამონარიდები აშშ სასამართლო ოქმებიდან



**ადვოკატი:** მისის სმიტ, თქვენ ფიქრობთ, რომ ემოციურად არასტაბილური ბრძანდებით?
**მოწმე:** მე მგონი, ასე უნდა იყოს!
**ადვოკატი:** მისის სმიტ, რამდენჯერ ჩაიდინეთ თვითმკვლელობა?
**მოწმე:** ოთხჯერ!



**ადვოკატი:** დაბოლოს, ბატონო ოფიცერო, რით დაგემუქრათ იგი?
**ოფიცერი:** ის დამემუქრა, რომ მომკლავდა!
**ადვოკატი:** მერე მოგკლათ?

მოამზადა ანდრო გიგაურმა

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

# პროკურატურა

## ძველი პრივილეგია თუ ახალი პრესტიჟი?

(დასასრული. დასაწყისი მე-19 გვერდზე)

ამ ხარისხის მიღწევა თეორიულად აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ანუ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშიც შეიძლება, მით უმეტეს, თუ პროკურატურა ამ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ერთიანი საგამოძიებო სამსახურის ყველაზე მსხვილი და ძლიერი ბირთვი იქნება. იუსტიციის სამინისტროსთვის პროკურატურის დაქვემდებარება (მისი საქმიანობის დამოუკიდებლობის შენარჩუნებით) საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟზე დადებითად იმოქმედებს. სამართლებრივი ქვეყნების უმრავლესობაში (იგულისხმება კონტინენტური სამართლის ქვეყნები, რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკულ მოდელზე, სადაც გენერალური ატორნეი თავად იუსტიციის მინისტრია) იუსტიციის სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და თუ შეიძლება ითქვას, პრესტიჟული სამინისტროა. მეტიც, რაც უფრო ძლიერია იუსტიციის სამინისტრო, მით უფრო მაღალია ამ ქვეყნის სამართლებრივი პრესტიჟიც.

პროკურატურის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შემთხვევაში, როგორი იქნება იუსტიციის მინისტრისა და გენერალური პროკურორის დამოკიდებულება? აქ საკითხი საკმაოდ მარტივად დგას: როგორია დღეს გენერალური პროკურორისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (როგორც სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი პირის) ურთიერთობა? — კანონის მიხედვით, აბსოლუტურად ურთიერთდამოუკიდებელი. რეალურად კი სასამართლოსა და პროკურატურის ურთიერთობა უფრო შორსაც წავიდა. უმეტესწილად სასამართლო და პროკურატურის ურთიერთობა დღესდღეობით კატათაგვობანას თამაშს უფრო ჰგავს. ცხადია, პროკურატურა, რომელსაც რეფორმამდელი სასამართლო თავის გავლენის ქვეშ ჰყავდა მოქცეული, დღეს ვერ ეგუება, რომ სასამართლო უხარისხოდ გამოძიებულ საქმეებს უკან აგზავნის და მათ მიერ გამოძიებულ საქმეებზე გამამართლებელი განაჩენები გამოაქვს.

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მოდელი მოქმედებს. ქვეყნების ერთ ჯგუფში პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, მეორე ჯგუფში უფრო მიზანშეწონილად პროკურატურის სასამართლო ხელისუფლებასთან ინტეგრირება მიაჩნიათ. მესამე ჯგუფი კი უპირატესობას პროკურატურის საკანონმდებლო ხელისუფლებასთან მიერთებას ანიჭებს. თითოეულ ქვეყანას, ცხადია, ის მოდელი აქვს შემუშავებული, რომელიც თავად ამ ქვეყნის რეალობას წაადგება. ამ მხრივ, არც საქართველო უნდა იყოს გამონაკლისი.

კანონმდებლობაში ისეთი რეალურად განხორციელებადი მექანიზმი უნდა ჩაიდოს, რომელიც პროკურატურის, როგორც ერთიანი სტრუქტურის, დამოუკიდებელ მუშაობას უზრუნველყოფს. ეს გარანტია კი პროკურატურას აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

ALPE
ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: alpeonline@gol.ge

CMYK R

*ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგითხროთ, ჩვენი მკითხველისთვის უჩვეულო არ არის, რადგან ეკონომიკურად შეჭირვებული ბევრი წასულა უცხოეთში ბედის საძიებლად. რა მოხდა მერე? ოჯახს გაუჭირდა და წელში გასამართავად წავიდა დედა ან მამა, დეიდა ან მამიდა. ის კი არა, ხშირად ბებია და ბაბუაც მიდიან ამ რისკზე. რისკი რაღა სახსენებელიაო? ახლა ესეც გაგიკვირდებათ. მაგრამ ამგვარი კითხვა ებადება მას, ვისაც არ გამოუცდია უცხო ქვეყნის სუსხი, ან არ მოუსმენია იქიდან ჩამოსული ადამიანის თავგადასავალი.*



*ბევრისთვის იმედიანი საწყისი უბედურებით დამთავრებულა და მოუშუშებელ ტრაგედიად დარჩენილა მთელი ცხოვრება. ერთმა ქალბატონმა გულახდილად გვიამბო თავის გაჭირვებაზე. გულს ის უკლავს, რომ ახლობლებს უმწიკვლოდ მიაჩნიათ, მან კი ოჯახს, ქმარს უღალატა. ქ.ა. თავისი ოჯახის უბედურების საწყისად მიიჩნევს ქმრის გადაწყვეტილებას, რომელმაც არავის რჩევა ყურად არ იღო და ამერიკაში წასვლა გადაწყვიტა.*

**— თითქმის მთელი საქართველო დაიცალა, უცხოეთში გადაიკარგა ორი კაპიკის საშოვნელად, თუკი თქვენი მეუღლეც ამ მიზნით წავიდა, რატომ ამბობთ, ოჯახი დატოვაო?**

— მეუღლეს სიყვარულით გავყევი. იმდენად მიყვარდა, რომ საყვედურის მსგავსიც კი არასოდეს მითქვამს მისთვის. ოჯახს რომ მატერიალურად გაუჭირდა, სხვა ქალებივით ქოქოლა არ დამიყრია ქმრისთვის, პირიქით, ვანუგეშებდი, — არა უშავს, საბანი როგორც გადაგვწვდება, ისე დავიფაროთ-მეთქი.

თავად ის იყო მოუსვენარი პიროვნება. ვერ აიტანა უსაქმოდ ყოფნა და აიჩემა, ამერიკაში უნდა წავიდეო. ამის გაგონებას მეხი დამცემოდა, მერჩივნა, მაგრამ აზრი ვერ შევაცვლევინე. როცა გავისტუმრე, საშინელ დღეში ჩავვარდი, ვტიროდი და სიკვდილსაც კი ვნატრობდი, არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ ჩემი ქმარი ამდენი ხნის განმავლობაში უქალოდ არ გაჩერდებოდა. გულს მიკლავდა იმის წარმოდგენაც კი, რომ მის მკლავებში უცხო ქალი აღმოჩნდებოდა...

**— რამდენი ხნის შემდეგ შემოგეხმიანათ? არ დაგაიმედათ?**

— როგორ არა! დამირეკა კიდეც და ფულიც მალე გამომიგზავნა, მაგრამ მე ხომ ქაღალდები არ მჭირდებოდა, მე მის გვერდით ყოფნა მწყუროდა, მისი ხმის გაგონება მინდოდა. ვერ ვიტანდი ვერც მზიან დღეს, ვერც დღესასწაულებს, რადგან მეუღლე გვერდით არ მყავდა. თითქოს გავბოროტდი, აღარაფერი მახარებდა.

**— რახან ასე განიცდიდით უმისობას, თქვენც გეცადათ, ბავშვებიანად გამგზავრებულიყავით, განა ცოტა ცხოვრობს ოჯახით ამერიკაში?**

— სამწუხაროდ, დღეს არც ისე იოლია ბავშვებიანად გამგზავრება, მით უფრო — ამერიკაში. ათასი ბარიერია გადასალახი, მაგრამ ეს ყველაფერი იქით იყოს, ჩემს მეუღლეს ერთხელაც არ წამოსცდენია, მომენატრეთო. ამან უფრო გამაგიჟა. თვეები ასეთ ნერვიულობაში გავიდა.

**— როგორც მივხვდი, გადადგით ნაბიჯი, რომელსაც ახლა მწარედ ნანობთ. მაინც რა მოხდა? „ღალატის“ წილ ღალატი მოინდომეთ?**

— ერთ წელიწადში ოჯახი წელში გაიმართა, მაგრამ მე საშინლად დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. მარტოობამ ლამის გამაგიჟა. შემთხვევით გავიცანი ერთი პიროვნება, რომელმაც ჩემ მიმართ დიდი სითბო და ყურადღება გამოიჩინა. გაუცნობიერებლად გადავდგი ის ნაბიჯი: მერე კი, როცა „გამოვფხიზლდი“, მივხვდი, რომ საშინელება ჩავიდინე. თუმცა ჩვენი ურთიერთობა დღემდე გრძელდება.

**— ამის მერე როგორ წარმოგიდგენიათ მეუღლესთან ურთიერთობა?**

— სამომავლო ურთიერთობაზე ჯერ არ დავფიქრებულვარ... საყვარლისგან ორსულად ვარ. არავინ არაფერი იცის ამის შესახებ. როგორ მოვიქცე, ერთ ცოდვას მეორე დავუმატო და აბორტი გავიკეთო? თავი მოვიკლა? არც ერთი შემიძლია და არც მეორე. მირჩიეთ რამე! თქვენთან ხომ მრავალი გაჭირვებული მოსულა და გული გადაუშლია... რა ვქნა, რა გზას დავადგე?

**— ალბათ, აჯობებდა ამ საბედისწერო ნაბიჯზე, გადადგმის მერე კი არა, მანამდე გეფიქრათ, მაგრამ რაც უკვე მოხდა, იმის შეცვლა არავის შეუძლია. იქნებ უკეთესი იყოს, მეუღლეს ყველაფერი უამბოთ.**

— ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ჩემი ქმარი ახლა უფრო მიყვარს, ვიდრე ოდესმე. როგორ უნდა ვუთხრა, გიღალატემეთქი... ეს ამბავი ტელეფონით რომ გავაგებინო, მისი ხასიათი რომ ვიცი, შეიძლება აღარც ჩამოვიდეს. არადა მენატრება სიგიჟემდე.

**— ის უფრო დიდი თავზარი არ იქნება კაცისთვის, ჩამოვიდეს და მესამე ბავშვით დახვდეთ?**

— ჰოდა, ამიტომ გთხოვთ რჩევას. ყველა მიცნობს, როგორც უღალატო და პატიოსან ქალს. ეჭვი არავის ეპარება ჩემს ერთგულებაში...

**— საყვარელი რას გეუბნებათ? გირჩევთ ბავშვის გაჩენას? იქნებ წრფელი გრძნობა აკავშირებს და თქვენთან ერთად ოჯახის შექმნა სურს?**

— ვერ გეტყვით, ის რას ფიქრობს ჩვენს ურთიერთობაზე. ჯერ არ იცის, რომ ორსულად ვარ. თუნდაც სერიოზული გრძნობა გააჩნდეს ჩემ მიმართ, მე არ მინდა მასთან ოჯახის შექმნა. ქმარი მიყვარს და მას ველოდები!

**— ელოდებით სხვის ბავშვთან ერთად?**

— აბა, რა ვქნა, აბორტი გავიკეთო? ვიცი, ბევრი ქალია, რომელსაც ქმარი საზღვარგარეთ ჰყავს. მინდა მათ ვკითხო, როგორ იქცევიან ისინი, ხროცა მიტოვებულად და მარტოსულად გრძნობენ თავს... კაცს მონატრებულებს ნუთუ არ ტანჯავთ სიზმრები ან როგორ ეგუებიან იმაზე ფიქრს, რომ ქმარი სხვას ეფერება!

**— ერთგულ ცოლებს ჰკითხეთ, როგორ ახერხებენ, ელოდონ შორს წასულ ქმრებს. სხვაგვარად საქართველო მოღალატე ცოლებითა და უკანონო ბავშვებით გაივსებოდა. თუმცა ისიც ვიცით, ბავშვი ღვთის საჩუქარია... ალბათ სჯობს სიმართლის თქმა.. ჩემი განსასჯელი არ არის თქვენი საქციელი, მაგრამ ერთი ჩვეულებრივი ქალის პოზიციიდან ასე გირჩევდით... ღალატი სწორედ მაშინ იწყება, როცა პირველი ტყუილი ითქმება. ერთ ტყუილს მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე და ბოლოს ყველა ერთად დამანგრევლად აზვირთდება.**

— იქნებ ვინმე გამომეხმაუროს.... ახლა მე ძალიან მჭირდება ვინმეს თანადგომა. ერთი კი ვიცი, მძულს ამერიკა და ვერ ვიმეტებ საქართველოს სიძულვილისთვის, არადა, რა დააშავა ამერიკამ, ჩემი უბედურების მიზეზი ხომ მაინც საქართველოში არსებული სიტუაციაა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

● ახალი ტანსაცმლის ან საცვლების ყიდვისას ალბათ შეგიმჩნევიათ უკუღმა მხრიდან გვერდით ნაკერში ჩაკერებული ეტიკეტი, რომელიც ლურსმულ დამწერლობას მოგვაგონებს. ეს პიქტოგრამები მიგანიშნებთ, თუ როგორ უნდა მოუაროთ შენაძენს ან რა გელით, თუ მას იყიდით. გაერკვევით იმაში, შინ უნდა გარეცხოთ თუ ქიმწმენდაში ჩააბაროთ. სამოსს თუ ამგვარი ეტიკეტი არ ახლავს, ე.ი. კუსტარულ წარმოებასთან გვაქვს საქმე.

ახლა კი გავშიფროთ ყველაზე გავრცელებული ნიშნები:

— ჯვარედინად გადახაზული წყლით სავსე ტაშტი — გარეცხვა არ შეიძლება.

— წყლით სავსე ტაშტში ჩაყოფილი ხელი — გარეცხვა შეიძლება მხოლოდ ხელით.

— ხელის მაგივრად შეიძლება აღნიშნული იყოს რეცხვის დროს წყლის ტემპერატურა 30-40°C-ს — ე.ი. ამ ნივთის გარეცხვა შეიძლება სარეცხის მანქანაში და ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნულს.

— თუ 95°C აწერია, ე.ი. ნივთის გამოხარშვა შეიძლება.

— ტაშტის გამოსახულების ქვემოთ პატარა ხაზი ნიშნავს, რომ სარეცხი მანქანა ფაქიზი რეცხვის რეჟიმზე უნდა დააყენოთ.

— ჯვარედინად გადახაზული წრე — ქიმწმენდა აკრძალულია.

— წრეში ჩასმული ასოები „F“, „A“ ან „P“, — ქიმიური წმენდა მხოლოდ უაიტ-სპირიტში, პერქლორეთილენში და სხვ. შეიძლება. ამაში ქიმწმენდის მუშაკები გაერკვევიან.

— სამკუთხედში ჩაწერილი „CL“ — შეიძლება გამათეთრებლების ხმარება (ქლოროლინი, პერსოლი).

— სამკუთხედი გადახაზული „CL“-თი — არ შეიძლება გამათეთრებლის ხმარება.

— კვადრატში ჩახატული წრე — ცენტრიფუგით გაწურვა შეიძლება.

— კვადრატში ჩახატული წრის ცენტრში წერტილი — შეიძლება ცენტრიფუგის ხმარება შენელებული მოქმედებით.

— კვადრატში ჩახატული წრე გადახაზული ჯვარედინად — გაწურვა ცენტროფუგით არ შეიძლება.



●

— ხაოიანი პირსახოცები, ხალათები ფაფუკი და რბილი გახდება, თუ ბოლო გავლების დროს ცოტაოდენ მარილს დაუმატებთ.

— თეთრი წინდები, გოლფები უკეთ გაირეცხება, თუ წინასწარ, 1-2 საათით ბორის მჟავაში ჩაალბობთ (1-2 ს/კ X 5 ლ წყალზე).

— მანქანის ზეთით დასვრილი ჯინსები, ოდნავ წყლით დაასველეთ, ლაქებზე კი მშრალი საპონი წაუსვით. ერთი დღე-ღამის შემდეგ ჯინსები ჩაალბეთ ასეთ ნაჯერში: 1 ს/კ სკიპიდარი 3 ლ წყალზე, მერე ჩადეთ სარეცხ მანქანაში და დააყენეთ ინტენსიურ რეცხვისა და მაქსიმალური გაწურვის ნიშნულზე.



თურმე ევროპაში მაღალი ქუსლები გავრცელდა XV ს-ში, როცა სამეფო კარის ულამაზეს ქალად აღიარებულმა ტანმორჩილმა მანდილოსანმა ჩაიცვა სიმაღლის მოსამატებლად. თუმცა მაღალი ქუსლები სულაც არ არის ამის ერთადერთი საშუალება.

## სწორი პროპორციები

ჩაცმის ხელოვნებაში არის ძალიან ბევრი წვრილმანი, რომელსაც შეუძლია ტანადი და მაღალი გამოგაჩინოთ.

...ტანმომცრო ქალის სამოსი არ უნდა იყოს ფართო, განიერი, განსაკუთრებით მხრებში. ფუჩქალებიანი ზედატანი ფიგურას თითქოს მიწისკენ ექაჩება. ამავე მიზეზით არ შეიძლება ატაროს პატარა ტანის ქალმა ძალიან მაღალი ვარცხნილობა და დიდი ქუდი. პატარა ქუდი ან ბერეტი, ტანზე მომდგარი ჟაკეტი — სიმაღლეს მოგიმატებთ.

— მოკლე ჟაკეტს შეუხამეთ ვიწრო მიდი, ქვედატანი; გრძელი ჟაკეტი უხდება მოკლე ქვედატანს ან მოკლე კაბას.

...უპირატესობა მიანიჭეთ ვიწრო, სწორ შარვლებს.

— უნდა ჩაიცვათ ტანზე მომდგარი კოსტიუმები, დიდი საყელოების, ჯიბეების, მანჟეტებისა და დიდი ღილების გარეშე.

— უნდა იხმაროთ პატარა სამშვენისები. მოდური შალები და პალანტინები უფრო ტანმორჩილს გამოგაჩენთ.

## ფერი და ორნამენტი

ვიზუალურად ასამაღლებლად ატარეთ ერთი ტონალობის ტანსაცმელი. შეეცადეთ, არ ჩაიცვათ კონტრასტული ფერის (მაგალითად, თეთრი ქვედატანი შავ ჟაკეტთან უფრო დაგადაბლებთ).

— შეიძლება გამოიყენოთ კონტრასტული აქცენტები (კანტები), მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჟაკეტის, ქვედატანის ან შარვლის ბოლოში.

— ძალიან მოდურია ერთი ტონალობის მოკლე პალტო და ჯემპერი.

## მამაკაცებო!

# სიგარები

მოამზადეთ ფენოვანი ცომი.

ზეთში მოშუშეთ სოკო ხახვთან ერთად, შეანელეთ შავი პილპილით, მარილით, დაკეპილი ქინძითა და კამით.



გააბრტყელეთ ცომი, დაჭერით 15X10 სმ ზოლებად. დადეთ თითოეულ ნაჭერზე თითო კოვზი სოკოს ფარში, ერთი ბოლო შეუკეცეთ, დაახვიეთ სიგარისებურად, ჩაკეცეთ, დაალაგეთ ტაფაზე, ორ-სამგან ჩაჩხვლიტეთ ჩანგლით და შედგით ღუმელში. დაბრაწვისთანავე გამოიღეთ.

შეგიძლიათ ეს სიგარები მოამზადოთ ქათმის ფარშით. ოღონდ მწვანილის ნაცვლად დაუმატეთ კოჭა.

# სილამაზე ცქერით ტოლი გაცვდება...

ლუბა ჯავახიშვილი
1891-1981



„ლუბას, ლიუბოვს — საყვარელას“ — ასეთი მიძღვნა შეხვდება მკითხველს დიდი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებზე. ეს არის მართლაც დიდი სიყვარულის გამხელა...

მშვენიერმა და სათნო ლუბა ივანეს ასულმა ჯაჭვაძემ მიხეილ ჯავახიშვილი ვლადიკავკავში გაიცნო.

მათ 1912 წლის 1 აპრილს დაიწერეს ჯვარი.

თავად ქალბატონი ლუბა ასე იგონებდა ადრეულ წლებს: „1912 წლის 13 იანვარი მნიშვნელოვანი თარიღია ჩემთვის, რადგან აქედან დაიწყო გარდატეხა ჩემს ცხოვრებაში.

1911 წლის ივნისს დავამთავრე ვლადიკავკავის ოლღას სახელობის გიმნაზია და მინდოდა მოსკოვში წავსულიყავი სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ არ მოხერხდა, რადგან ჩემი ცხოვრება სულ სხვა გზით წარიმართა. ახალი წლის ღამეს მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ გვემკითხავა, გაგვეგო, რა გველოდა.

მე ჭიქაში ჩავასხი წყალი და შიგ ბეჭედი ჩავდე. დიდხანს ვუყურებდი და მერე თანდათან მკაფიოდ გამოჩნდა ჯერ შუშაბანდი, კარები, მერე კაცი პროფილში, შავი წვერი ჰქონდა და სადღაც შორს იყურებოდა. ეს იყო და ეს. იმ ღამით ბევრი ვიცინეთ“.

მაგრამ სულ მალე მართლაც გაიცნო წვეროსანი მამაკაცი, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილი აღმოჩნდა. ისინი სიყვარულით შეუღლდნენ. თავდაპირველად შეჭირვებულად ცხოვრობდნენ, შემდეგ თბილისში, ელბაქიძის დაღმართზე ოთხოთახიანი ბინა იქირავეს. სწორედ ამ ბინის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა ბერია, მათი აივნები ერთმანეთს გასცქეროდა.

ბევრჯერ მომხდარა ისე, რომ მიხეილს დარაბები დაუხურავს, როცა ბერიასთვის მოუკრავს თვალი.

ბერიას მეუღლე ნინა გეგეჭკორი ხშირად სთხოვდა თურმე მწერალს მათთან სტუმრად მისვლას და მეგობრულ ურთიერთობას სთავაზობდა.

ქალბატონ ლუბას არაერთხელ უთქვამს მიხეილისათვის: წადი, ესტუმრე, ხომ ხედავ გულით გეპატიჟება, ნუ გაანაწყენებ ბერიასო. მწერალს მშვიდი, მაგრამ მტკიცე პასუხი გაუცია, — მე მას გუნდრუკს ვერ ვუკმევო.

გუნდრუკიც რომ ეკმია, დიდი მწერალი მაინც ვერ ასცდებოდა ბედისწერას...

მეუღლის დაპატიმრების შემდეგ შინ ჩაიკეტა ლუბა ჯავახიშვილი. მიხეილთან მას ბედნიერი, ნათელი და სიხარულით აღსავსე დღეები ახსოვდა. სამაგიეროდ, მრავალი გაჭირვება, შიში და ციხის კარზე გატარებული დღეებიც დაამახსოვრდა.

მიხეილ ჯავახიშვილი 1937 წლამდეც ხომ იყო დაპატიმრებული და მაშინ საზოგადოების რჩეულ ნაწილს სერგო ორჯონიკიძისთვის უთხოვია მისი გათავისუფლება. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ 1924 წელს ორჯონიკიძის ნებით გათავისუფლდა მიხეილ ჯავახიშვილი, თუმცა 14 წლის მერე მისი დაცვა ველარავინ შეძლო...

იმ უმძიმეს წლებში ლუბა ჯავახიშვილმა კერვას მიჰყო ხელი და ასე არჩენდა ოჯახს. კერვა მისთვის არავის უსწავლებია, ყველაფერს ალღოთი აკეთებდა. გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, შვილებს და შვილიშვილს არ აგრძნობინებდა უზომო გულისტკივილს. ახლობლები მის დაპატიმრებასაც ელოდნენ, მაგრამ გადაურჩა გადასახლებას, სამაგიეროდ, ოთხ კედელს შორის ჩაიკეტა და გარეთ აღარ გამოდიოდა. თავისი ცხოვრება ციხეში გატარებულ დღეებს დაამსგავსა. ის მართლაც წამებული ქალი იყო. ქმრის დაკარგვამ მის სულს წარუშლელი დაღი დაასვა.

მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი ზეიმით რომ აღინიშნა (იმ დღეს ველარ მოესწრო ლუბა ჯავახიშვილი), ქალბატონ ლუბაზე ითქვა: „ცხოვრობდა ამქვეყნად, როგორც ხალხის მტრის ცოლი, ამ სოფლიდან კი წავიდა, როგორც დიდი ერისკაცის და მწერლის მეუღლე“.

**P.S. ფოტო მოგვაწოდა ქალბატონმა დამანა მდივნიშვილმა**

*ცნობილი ჰიტის „ვაგონი მიქრის“ კლიპში მონაწილეობის შემდეგ ბიზნესმენმა პარლამენტარმა ლევან გაჩეჩილაძემ კიდევ ერთი ექსტრავაგანტური ნაბიჯი გადადგა და უმცროს ძმასთან, შოუმენ „უცნობთან“ ერთად სიმღერაც ჩაწერა. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ფოტოზეც უფროსი „გრეჩიხა“ ძმას „ეცილება“ პროფესიაში. შარშან, ქუთაისში ჩატარებულ კონცერტზე, პოლიტიკოსს ხელოვანი ძმისთვის მიკროფონი „ჩამოურთმევია“ და მრავალრიცხოვანი მსმენელის წინაშე სიმღერით თავი მოუწონებია. აღფრთოვანებული ქუთათური თინეიჯერები კი თურმე ავტოგრაფებს სთხოვდნენ და „ბალისკიდიდან“ არ უშვებდნენ ამღერებულ პარლამენტარს. ამჯერად მასთან ინტერვიუს გთავაზობთ, სადაც* ***ლევან გაჩეჩილაძე*** *სიამოვნებით იხსენებს სიჭაბუკის დროინდელ თავგადასავლებსაც.*

— **ლევან, ხომ არ იქმნება „საშიშროება“, რომ მიკროფონს შეჩვეულს პარლამენტშიც მოგინდეთ სიმღერა?**

— მიკროფონს რესტორნებში ლხინის დროს შევეჩვიე. როცა ძმაკაცებთან ერთად ვილხენ, სიმღერაც მაშინ მინდება, თორემ რომელი პროფესიონალი მომღერალი მე ვარ, სახალხოდ ავმღერდე. რაც შეეხება პარლამენტს, ჩემთვის ეს იმდენად სოლიდური და სერიოზული ადგილია, რომ სიმღერის სურვილი არ მიჩნდება, თანაც ასეთი მძიმე სოციალური და პოლიტიკური ფონი ამის საბაბს არც იძლევა.

— **რესტორნებში სიმღერის დროს თურმე ისეთი აღფრთოვანებული მსმენელი გყოლიათ, რომ ერთხელ საქმე „შაბაშამდეც“ კი მისულა.**

— „კრწანისში“ „ახლები“ ახალ წელს ვზეიმობდით. რამდენიმე ჭიქის და გიას სიმღერის შემდეგ სადღეგრძელო ამეშალა და სიმღერა დავიწყე. ქეიფი გახურდა, მეც, ერთს მეორე სიმღერა მივაყოლე, მეორეს — მესამე და...

— **მერე რა მოხდა, რომელი სიმღერის განმეორება გთხოვეს?**

— „მეფაიტონეს“ ვმღეროდი, მეზობელ სუფრასთან დაბადების დღეს იხდიდნენ თუ ქორწილი იყო, აღარ მახსოვს. მასპინძელი თურმე ამერიკაში სწავლობს, სახეზე ვერ მიცნო. მოვიდა, ფული გამომიწოდა და მთხოვა, გაიმეორეო. გავბრაზდი. მაშინვე გამოვფხიზლდი და პატარა „ლაით-ჩხუბიც“ აიწია. მერე ყველაფერი გაირკვა. ეგ იყო და ეგ.

— **ამას წინათ ერთი თქვენი თაყვანისმცემელი მოდელიერი-დიზაინერი ვიწრო წრეში ამბობდა, სიამოვნებით ვიმუშავებ ლევან გაჩეჩილაძისთვისო. სიჭაბუკეში ხშირად უცხოეთში დადიოდით, იქ რომ ვინმე ცნობილ მოდელიერს დაედგა თვალი, პოდიუმზე გახვიდოდით?**

— კატეგორიულ უარს ვიტყოდი. ჯერ ერთი, ჩემი აზრით, პოდიუმი ქართველი კაცების საქმე არ არის. მერე კიდევ, იმდენად თავისუფალი და დამოუკიდებელი ადამიანი ვარ, რომ დაქირავებულ თანამშრომლად თავი ვერ წარმომიდგენია.

— **გიამ როგორ ჩაგითრიათ „მუსიკალურ გაუგებრობაში“, სიმღერის ჩაწერაზე როგორ დაგითანხმათ?**

— ახალი წლის დღეებში გამომიარა და მითხრა — წამო, ერთი წავიქეიფოთო. წავყევი, მაგასთან ერთად ლხინს არაფერი სჯობს, ბევრს „ღადაობს“, მღერის და მართლა ილხენს. რომ შევჭიკჭიკდით, მითხრა — ახლა სიმღერას მოგასმენინებ და თუ მოგეწონება, ოჯახური შეხვედრების დროს სიურპრიზის მოსაწყობად ერთად ჩავწეროთო. მოკლედ, დამიყოლია და ასე აღმოვჩნდი სტუდიაში. ჩაწერის პროცესი ძალიან რთული საქმე ყოფილა, მაგრამ ცოტას წავიტრაბახებ, ორ საათში მოვრჩი ყველაფერს, თან კმაყოფილი დავრჩი იმით, რომ ახლობლებს სიურპრიზი მოვუმზადეთ ძმებმა.

— **ალბათ საკუთარ თავს უფრო მოუმზადეთ სიურპრიზი.**

— ასე გამოდის. რას წარმოვიდგენდი, რომ ბაზრობაზე შესული ჩემს ხმას გავიგონებდი უზარმაზარი დინამიკებიდან. ძალიან შევწუხდი. კასეტების გამყიდველთან მივედი და ვთხოვე, მაჩვენე ერთი, რას უკრავ-მეთქი. კასეტაზე ჩაწერილი ჩემი სიმღერა რომ მაჩვენა, კინაღამ დავმუნჯდი, თან დავფიქრდი, — ვა, ჩემს ძმას აქედან შემოსავალიც აქვს-მეთქი.

— **წილი ხომ არ მოსთხოვეთ?**

— რას ამბობთ, გიას რა უნდა მოვთხოვო? კარგია, რომ მისი შემოსავლის გაზრდაში მეც მივიღე მონაწილეობა. მაშინვე დავურეკე და ვკითხე, რად გინდოდა ამის გაკეთება-მეთქი? მე ხომ მომღერალი არა ვარ, ამას ნიჭი, ცოდნა, ვარჯიში და ყოველდღიური შრომა სჭირდება. მე კი ამის არც დრო მაქვს და არც სურვილი.



— **გავიგე, „ვაგონი მიქრის“ კლიპის რუსულ ვარიანტშიც გამოჩნდებით. როგორ მიდის საქმე, გადაღება დაიწყო?**

— კვლავ ფინანსური პრობლემის გამო ფერხდება, მაგრამ გია მუშაობას აგრძელებს და ვფიქრობ, საქმეც გამოვა.

— **თქვენს ოჯახში სხვები თუ არიან სიმღერის ნიჭით დაჯილდოებულები?**

— ყველა მღერის, მამაჩემი, მამიდა, ბებია, ბაბუა. მე არც მამღერებენ. „უცნობი“ ძლივს შეძვრა მათთან. ჩემი უმცროსი ვაჟი, კოტოც მღერის.

— **ლევან, გიამ მითხრა — ინტერვიუს დროს ჰკითხე, შაბიამნის ხსნარი როდის და რატომ დალიაო?**

— *(იცინის)* ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგარი მთვრალი მივედი შინ. ტუალეტში შესულმა დავინახე, რომ სათლში მამას შაბიამანი გაეხსნა ვაზის შესაწამლად. ფერმა მომხიბლა, როგორც ჩანს, ეს სათლი ავიღე და ხსნარი მოვსვი. ორი დღე მირეცხავდნენ კუჭს, კინაღამ მოვკვდი...

— **ფათერაკებიანი ცხოვრება გაგივლიათ. სხვას არაფერს გაიხსენებდით?**

— უცხოეთში კალათბურთის სათამაშოდ მივდიოდით მთელი გუნდი. იმ დროს უკვე მე და ჩემს მეგობარს, კახა ნუცუბიძეს ჩვენი ბიზნესი და, რა თქმა უნდა, ფულიც გვქონდა. ამიტომაც გუნდთან ერთად არ წავედით, მოგვიანებით შევუერთდით მათ. მე კი კახასთან შეხვედრამდე მოსკოვში სუვენირი „დოლარების“ 100-იანი და 50-იანი კუპიურების შეკვრა ვიყიდე 15 მანეთად და ჯიბეში ჩავიდე. თვითმფრინავში დავინახეთ, როგორი გაცოფებული შემოვარდა რუსი მებაჟეებისგან შეშლილი ერთი უცხოელი და კახას ვუთხარი, აი, ამ კაცს ჩემოდანი დოლარებით აქვს სავსე, საბაჟოზე გადმოუვარდა რაღაც, მე არც დამიხედავს, ისე ჩავიდე ჯიბეში-მეთქი. კახა მთელი საათი მეხვეწა, მაჩვენე, ჯიბეში რა გიდევსო. ნელა ამოვწიე 50-დოლარიანების შეკვრა. თვალები გაუბრწყინდა. გადათვალა გონებაში და კინაღამ იყვირა — 5000 დოლარი გვაქვსო. ნახევარი საათის შემდეგ 100-იანებიც ვაჩვენე, სულ გაგიჟდა. 15000 დოლარი გვაქვს — რად გვინდა კალათბურთი, ოფლის ღვრა, ტანჯვა, წამო, ერთი კაი მანქანა ვიყიდოთ, თურქეთის აბანოებში დრო ვატაროთ და თბილისში სიმღერ-სიმღერით ჩავიდეთო.

— **რატომ არ შეაწყვეტინეთ ოცნება, არ შეგეცოდათ?**

— მთავარი დამავიწყდა, კახას ჯიბეში ედო 1200 რუსული მანეთი, რომლითაც მოსკოვში ვაპირებდით გართობას. ბულგარეთში ავტობუსით რომ მივქროდით, ამოუვიდა ყელში ხვეწნა და თქვა — რა გჭირს, ლევან, ფული გენანება, ძმაო, ხელის ჭუჭყიო. ამოიღო 1200 მანეთი და ფანჯარაში გაუშვა ჩემს ჯიბეში „გარანტირებული“ 15000 დოლარის იმედად. დავმუნჯდი, სანამ ბოლომდე არ ჩავედით, ხმა ვერ ამოვიღე.

— **და დარჩით ცარიელ-ტარიელი?**

— კი ვიწვალეთ, მაგრამ იმ დოლარებმა მარტო კახას როდი აურია ტვინი. სასტუმროში ჩემს ნომერში საწოლზე დავყარე სუვენირები. ვარჯიშიდან დაბრუნებულს კი უცნაური სცენა დამხვდა, ოთახი ნახევრად დაულაგებელი იყო. იქვე ეყარა ცოცხი და აქანდაზი. ადმინისტრაციას ვკითხე, დამლაგებელი სად არის-მეთქი? ორი საათის წინ განცხადება დაწერა და სამსახურიდან დაგვეთხოვაო. ვერაფერი გავიგე, ნომერში დავბრუნდი, ყალბი დოლარები აღარსად იყო. ეტყობა, იმ საცოდავმა დამლაგებელმა იფიქრა, გავკეთდიო, დაავლო ხელი ნადავლს და... სამსახური კი დაკარგა.

— **უცხოეთში რომ დამნაშავესავით ერთი საზღვრიდან მეორემდე პოლიცია დაგაცილებდათ, ის როგორღა იყო?**

— გერმანიიდან თბილისში მოვდიოდი მანქანით. ბენზინგასამართ სადგურზე ავზის ასავსებად გადასულს მანქანიდან პატარა ჩანთა მომპარეს, რომელშიც ფული, პასპორტი და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები მქონდა. ახლა კი მეცინება, მაგრამ მაშინ შავ დღეში ჩავვარდი. თურმე პასპორტი ყოფილა კაცი!.. მივედი პოლიციაში, როგორც დაზარალებული და ჩემი გასაჭირი განვაცხადე. დამაკავეს დამნაშავესავით. მანქანა დამატოვებინეს და ენით აუწერელი ტანჯვა-წამებით ჩამოვაღწიე საქართველომდე, თურქებმა საერთოდ არ შემიშვეს. წვერმოშვებული, გაბურძგნილი და ტანსაცმელშემოხეული დავბრუნდი შინ.

— **ეს ამბები თითქმის ათი წლის წინ გადაგხდათ. ბოლოდროინდელ კურიოზსაც ხომ ვერ გაიხსენებთ?**

— გვიანდელი კურიოზია, რომ მე პოლიტიკაში აღმოვჩნდი. სჯობდა, ისევ გარეთ მეფიქრა პოლიტიკაზე და არ მეგრძნო ის ისეთი სახით, როგორიც დღეს არსებობს საქართველოში.

— **ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკას დატოვებთ?**

— რა თქმა უნდა!

***ეკა ლომიძე***



*ნამდვილად არ გამკვირვებია, როცა გავიგე, რომ ჟურნალისტი* ***თამარ დეკანოსიძე*** *ვახტანგ გორგასლის ხარისხის ორდენით დააჯილდოეს აფხაზეთის ომში გადაღებული მასალებისთვის... ყველამ იცოდა — თუ სადმე ექსტრემალური სიტუაცია შეიქმნებოდა: პირველი თამრიკო გარბოდა თავქუდმოგლეჯილი თავისი კამერით... აფხაზეთამდე იყო სამაჩაბლო, თბილისის ომი, ზუგდიდი, სენაკი... იმ დროს, როცა „მხედრიონის“ ხსენებაზეც კი ციხეში ამოგაყოფინებდნენ თავს, მან გააკეთა გადაცემა „საქართველოს მხედრიონი — ჭორი და სიმართლე“... თამრიკო დღემდე არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა და არც აქვს სურვილი, პარტიული ცხოვრებით იცხოვროს. თავისუფალი ჟურნალისტი ყოველთვის მეტის გაკეთებას შეძლებს...*

— ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყისი თავიდანვე საინტერესო პერიოდს დაემთხვა. მაშინ რადიოში, „პიკის საათში“ ვმუშაობდი. მერე „პიკის საათის“ ბაზაზე შეიქმნა სატელევიზიო გაერთიანება „სალამო მშვიდობისა“ და სწორედ იქიდან აღმოვჩნდი სამაჩაბლოს მოვლენების ცენტრში... ამას მოჰყვა აფხაზეთი, დასავლეთ საქართველო, გროზნო და ასე შემდეგ...

— **შიშის ფაქტორი არ არსებობდა?**

— მართალი გითხრა, შიში ახლა უფრო მაქვს, ვიდრე მაშინ.

— **ვისი იმედი გქონდა განსაცდელზე ფიქრისას?**

— ვის გვერდითაც ვიყავი — გია ჭანტურიას და გია ყარყარაშვილის... ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, ვის გვერდით მუშაობ. მე და გოგა ჭყონია მუდამ ერთად ვმუშაობდით. მახსოვს, ხშირად გამოგვსვლია გარიგება რუს სამხედროებთან, ჩაგვსვამდნენ „ბეტეერში“ და შევყავდით ცხინვალში იმ დროს, როცა იქ არავის უშვებდნენ...

— **საფრთხე ბევრჯერ დაგემუქრა?**

— ბევრჯერ... ცხინვალში ორსაათიან ტყვეობაში ვიყავით... შემდეგ ზუგდიდშიც ტყვედ აგვიყვანეს მე და სოსო ტყებუჩავა. მაშინ გია ყარყარაშვილი ჰყავდათ დატყვევებული. ჩვენ ჩავედით ლოთი ქობალიასთან მოლაპარაკებაზე. უცებ ატყდა პანიკა, თითქოს მხედრიონი მოადგა სამეგრელოს საზღვრებს. ამიტომ ჩვენი მძევლად აყვანა გადაწყვიტეს. როცა გაირკვა, რომ არანაირი მხედრიონი არ იყო, გამოგვიშვეს... 22 დეკემბერსაც სასწაულმა გადამარჩინა. ერთი ტყვია ბოტასში მომხვდა. მაშინ გალერეასთან აპარატით ვიდექით მე, სოსო ტყებუჩავა, მაკა რაზმაძე და რამდენიმე გვარდიელი... ბრძოლის დროს დაბნეულობისგან უამრავი კურიოზი ხდება ხოლმე. მაშინაც, გალერეასთან, გვარდიელებს ვეხვეწებოდი, კარი შეამტვრიეთ, იქნებ შიგნით შევიდეთ, ხომ ხედავთ, თავის აწევის საშუალებაც კი არა გვაქვს-მეთქი. ასე მიპასუხეს — სიგნალიზაცია ჩაირთვება, პოლიცია მოვა და ყველას დაგვიჭერსო...

— **თუ გახსოვს, პირველად როდის წახვედი გადაღებაზე მარტო?**

— ლიხნის მოვლენები რომ იყო, მაშინ... მამუკა არეშიძემ გამიშვა და მითხრა — ისეთი მასალა უნდა ჩამომიტანო, შენი სიკვდილის სცენაც კი უნდა გადაიღოო. ორი დღე, ვიდრე იქ ვიყავი, სულ მეშინოდა, რომ მართლა ჩემი სიკვდილის სცენა არ გადამეღო...

— **თუ არ ვცდები, ის კადრებიც შენი გადაღებულია, პრეზიდენტი პირველად რომ ჩავიდა სოხუმში...**

— ეს ძალიან საინტერესო მომენტი იყო. ჟურნალისტები რაღაც სენსაციური მასალის გადასაღებად მიდიოდნენ გუდაუთაში. ერთი ბიჭი მომიახლოვდა და მითხრა, გუდაუთაში თუ არ წახვალ, აქ უკეთეს მასალას გადაგაღებინებო. რა თქმა უნდა, დავრჩი. წამიყვანეს აეროპორტში, დავხვდი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და პირველი ინტერვიუ მასთან მე ავიღე, აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს.

— **პრეზიდენტთან ერთად ხშირად ყოფილხარ ცხელ წერტილებში?**

— ომის პერიოდში საკმაოდ ხშირად.

— **მერე აღარ?**

— ომში მანდობდნენ პრეზიდენტს, მერე — აღარ...

— **თამრიკო, რაღაცნაირად, ფატალური ქალის შთაბეჭდილებას ტოვებ... ბოლოს შენთან ერთად ვნახე საშკა იოსელიანი, ერთ-ერთი შენ იყავი, ვინც გიორგი სანაია უკანასკნელად ნახა... უამრავი მებრძოლიც უკანასკნელად შენ გააცილე...**

— მე და საშკა ჭადრაკის სასახლიდან სამტრედიაში წავედით. ჯაბა იოსელიანი მიდიოდა სოხუმში და არჩევანი უნდა გაეკეთებინა — მე უნდა წავეყვანე თუ საშკა... გამგეობის შენობაში ვიყავით, როცა ინფორმაცია მოვიდა, ბატონი ჯაბა სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო სოხუმში. უცებ ჩავწერეთ მასთან ინტერვიუ. მან საშკა აირჩია... მე გავაცილე... ორ დღეში მოვიდა მისი დაღუპვის ცნობა... უკანასკნელად მე ვნახე ლევან აბაშიძე და სუხია (სულხან სულხანიშვილი), ძალიან მთხოვეს, არ გადამეღო მათთვის, რადგან გამოპარულები იყვნენ ომში...

— **შენიანები როგორ ეგუებოდნენ შენს საბრძოლო ვოიაჟებს?**

— დედაჩემი ვერაფრით შეეგუა... აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, ტელევიზიიდან გვიან დავბრუნდი შინ. დედა ქალაქგარეთ უნდა წასულიყო. მაგიდაზე დამხვდა წერილი: „თამრიკო, ნამცხვარი კარადაშია, სადილი — მაცივარში. ომში არ წახვიდე, დედა!“. ზუსტად მეორე დღეს წავედი აფხაზეთში. ცხინვალშიც რომ მგზავნიდნენ — დილით ჩავდიოდი, საღამოს ჩამოვდიოდი. მას ეგონა, რომ ტელევიზიაში ვიყავი მთელი დღის განმავლობაში. სიუჟეტი რომ გავიდოდა ეთერში და ნახავდა, საიდან მიმყავდა რეპორტაჟი, გიჟდებოდა... ერთხელ დასავლეთში რომ წავედი, სახლიდან თხილამურებით გამოვედი, ვუთხარი — გუდაურში მივდივარ-მეთქი. თხილამურები იქვე, მეზობელთან დავტოვე... რომ ჩამოვედი, გაუკვირდა, ვერ მიხვდა, „ზაგარი“ რატომ არ მქონდა... ერთადერთხელ გამიშვა თავისი ნებით, როცა გოჩა ყარყარაშვილმა წამიყვანა, მაშინ მშვიდად იყო. ფიქრობდა — გოჩა და გია იქ არიან, თამრიკოს არაფერი მოუვაო.

— **თამრიკო, რა ხდება გიორგი სანაიას საქმესთან დაკავშირებით?**

— ჩემთვის გაუგებარი რაღაცები... ამაზე არ მინდა საუბარი. ერთს გეტყვი — ზუსტად ვიცი — გიორგის ძალიან გაეხარდებოდა ჩემი ორდენი...

— **ოჯახში როგორ შეხვდნენ შენს ჯილდოს?**

— დედაჩემი ამაყია ამის გამო. ჩემი ძმა, რომელიც ყველაფერს იუმორით უყურებს, ბევრს მაშაყირებს, ასეთი ფუნქცია მომანიჭა — 26 მაისს უნდა გავიკეთო ჩემი ორდენი და ძმისშვილები გავასეირნო ვაკის პარკში.

— **არსებობს სხვა ქალიც, ვისაც ვახტანგ გორგასლის ორდენი მიანიჭეს თუ შენ პირველი ხარ?**

— მართალი გითხრა, არ ვიცი... მაინტერესებს, მაგრამ მერიდება და ვერ ვკითხულობ...

***ეკა მახარაშვილი***



# განვედ, უძილობავ!



დაძაბული დღის შემდეგ სრულყოფილ დასვენებაზე ვოცნებობთ. ბოლოს, საწოლში მყოფთ ძილი არ გვეკარება. შეიძლება მთელი ღამე ვიწვალოთ, ვიტრიალოთ, ბოლოს ჩაგვეძინოს და დილით კი, ნაცემივით გაგვეღვიძოს... და ყველაფერი თავიდან იწყება...

ძილთან დაკავშირებული პრობლემები ნებისმიერ ადამიანს დროდადრო უჩნდება. ძილისთვის წინასწარ უნდა შეემზადოთ. მანამ ლოგინს მიაშურებთ, მიიღეთ 15-წუთიანი აბაზანა, რომელშიც გახსნით ვალერიანის ძირების ნაყენს ან დადექით თბილი შხაპის ქვეშ. ნელა დაივარცხნეთ თმა. თავის მასაჟი ხსნის კუნთების სპაზმებს და აუმჯობესებს სისხლის მიწოდებას, რაც მოდუნებას უწყობს ხელს.

ლოგინი უნდა იყოს მკვრივი, მაგრამ არა — მაგარი, ბალიში საშუალო ზომის და მოსახერხებელი. როცა მოეწყობით, დახუჭეთ თვალები და ეცადეთ, არაფერზე იფიქროთ ან იოცნებეთ აუცილებლად კარგზე და სასიამოვნოზე. გახსოვდეთ, არ მიიღოთ წამლები, ამან შეჩვევა იცის, რაც შემდგომში ცუდად აისახება თქვენს ნერვულ სისტემაზე.

**ოტდოხნი! №9**

# თუ გინდა ჯანმრთელი იყო...



ჯერ კიდევ ძველი ბერძნები გვმოძღვრავდნენ: „თუ გინდა იყო ძლიერი, ლამაზი, ჭკვიანი — ირბინე“.

ახალგაზრდები სირბილის წყალობით აღნაგობას ხვეწენ, ხოლო ასაკოვანნი — სიმხნევეს ინარჩუნებენ. ერთი საათის განმავლობაში სირბილის დროს 700 კალორია იხარჯება, აქტიური ხდება ორგანიზმის ყველა სისტემა, სისხლძარღვები, ფილტვები, იხსნება კანის ფორები, გამოიყოფა წიდები და მავნე ნივთიერებები. სირბილი სასარგებლოა დილითაც და საღამოსაც. დილით, სჯობს გაღვიძებისთანავე ირბინოთ. საღამოს ვახშმობიდან 2-3 საათის შემდეგ, 1,5-2 საათით ადრე, ძილის წინ. ეცადეთ, შეარჩიოთ ეკოლოგიურად სუფთა მარშრუტი, ვინაიდან სირბილის დროს ჰაერი მთელი თავისი შემადგენლობით რამდენჯერმე უფრო აქტიურად მიეწოდება სისხლს ფილტვებიდან...

**ჯენტი**

# ლიმონი — კოჟრის წინააღმდეგ



კოჟრები ფეხებზე პირდაპირ ღვთის სასჯელია, რომელიც წარმოიქმნება ზედმეტად ვიწრო და მოუხერხებელი ფეხსაცმლისგან. არსებობს ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება მათ მოსაცილებლად: ძილის წინ ფეხები ცხელ წყალში გააჩერეთ ნახევარი საათი, შემდეგ კარგად შეიმშრალეთ, დაიდეთ ლიმონის ნაჭერი რბილობით და შეიხვიეთ. ეს პროცედურა გაიმეორეთ 4-5 დღის მანძილზე (შესაძლოა 2-3 დღე საკმარისი გახდეს). მეხუთე დღეს თბილი აბაზანის შემდეგ, რომელსაც სოდას დაუმატებთ, აკურატულად ამოაგდეთ დარბილებული კოჟრები. ფეხები კარგად გაიმშრალეთ და დაზიანებულ ადგილებში საბავშვო კრემი შეიზილეთ.

**გარდიანი**

# გაიხსენეთ ყველაფერი!



ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვეთა გადმოცემით, თურმე ის თავისი არმიის ყველა ჯარისკაცს სახელით იცნობდა. ცნობილმა რუსმა ფიზიკოსმა, აკადემიკოსმა ლანდაუმ ზეპირად იცოდა ლოგარითმების ცხრილი; ანტიკურ საბერძნეთში, დამწერლობის შექმნამდე, ხალხმა ზეპირად იცოდა ჰომეროსის „ილიადა“. ადამიანის მეხსიერება ჭეშმარიტად ამოუწურავია, მაგრამ ზოგჯერ მეხსიერებით სარგებლობას ხელს უშლის საკუთარ თავში ჩაკეტილობა, წუხილი, შფოთვა, მოუსვენრობა, მოუხერხებლობა, წარუმატებლობის შიში. ამასთან, როცა თავს ვირწმუნებთ, ცუდი მეხსიერება მაქვსო, ამ უკიდურეს დიაგნოზს არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენი ტვინის რეზერვებთან. ეს სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიური „ჩაკეტილობა“, — ასკვნიან ფსიქოლოგები და გვირჩევენ, რომ მისგან თავის დაღწევაში დაგვეხმარება აუტოთრენინგი. უმჯობესია, ვარჯიშები ჩატარდეს დილით.

1. მოხერხებულად დაწექით გულაღმა საწოლზე, მოდუნდით, დახუჭეთ თვალები.

2. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ცარიელი ჭურჭელი — დაიწყეთ თითებიდან, შემდეგ გადადით მტევნებზე, მხრებსა და თავზე, შემდეგ კი მთელ სხეულში ზევიდან ქვევით — ფეხის თითებამდე. გაიმეორეთ ეს ვარჯიში 3-ჯერ.

გონებაში წარმოიდგინეთ, რომ თბილი სიო გელამუნებათ, რომელიც მსუბუქად დასრიალებს თქვენს კანზე — მიჰყევით ზემოთ აღნიშნულ თანმიმდევრობას. ვარჯიში გაიმეორეთ 5-ჯერ.

ბოლოს, გაიკეთეთ მასაჟი სახეზე — პირის კუთხეებიდან ყურის ბიბილოებისაკენ და გაიღიმეთ.

დღის დასრულებაც მნიშვნელოვანი მომენტია მეხსიერების განსამტკიცებლად. როდესაც დაწვებით, დაძინებამდე, ზუსტად აღიდგინეთ განვლილი დღის ყოველი საათი, მაგრამ არ შეჰყოვნდეთ ერთ რომელიმე ამბავზე, რათა ხელახლა არ განიცადოთ. ფსიქოფიზიოლოგები ამტკიცებენ, რომ ვარჯიში ჩვევად გვექცევა 2 კვირის შემდეგ და 2 თვის მერე კი შევიგრძნობთ მეხსიერების გაუმჯობესებას.

**ლიზა-გოროსკოპი №3**

# როგორ მივხედოთ ფეხის სიცივეს



ხშირად ადამიანს თბილ ამინდშიც კი, თბილი წინდები აცვია, მაგრამ ფეხები მაინც ეყინება. ამის მიზეზია ფეხების წვრილ სისხლძარღვთა სისტემაში სისხლის მიმოქცევის დარღვევა. ეს პროცესი უფრო ქალებს ახასიათებს, მაგრამ არ შეგეშინდეთ, ამას ადვილად დაძლევთ, თუ, როგორც კი თავისუფალ წუთს მოიხელთებთ, ფეხის წვერებზე ერთ ადგილას იხტუნებთ. ეს ვარჯიში სისხლის მიმოქცევის გააქტიურებას იწვევს.

ყოველდღიურად გაიკეთეთ ფეხის კონტრასტული აბაზანები. 5-10 წუთით, რიგრიგობით ჩაყავით ფეხი ხან ცივ, ხან ცხელ წყალში, შემდეგ კი შალის წინდა ჩაიცვით.

**მედიცინა №4**

# რატომ ვამთქნარებთ?

გეძინებათ? უპირველეს ყოვლისა, ეს გამოწვეულია იმით, რომ ტვინის უჯრედები განიცდის ჟანგბადის უკმარისობას და დაუყოვნებლივ აგზავნის ორგანიზმში სიგნალებს — „დასაძინებლად!“ ადამიანი იწყებს მთქნარებას, ფილტვებში შედის მეტი ჰაერი, ვიდრე ჩვეულებრივი სუნთქვის დროს და შესაბამისად, სისხლშიც მეტი ჟანგბადი ხვდება.

# არ მიაყოლოთ საკვებს წყალი!

თითქმის ყველა ექიმი-დიეტოლოგი დაჟინებით მოითხოვს ლუკმა დავღეჭოთ 80-ჯერ და თუ არა 30-ჯერ მაინც. ნათელია, რომ ჭამის დროს ამის დათვლა მოსაბეზრებელია და დამღლელიც. ამიტომ ჩაყლაპვის სიგნალად უნდა იქცეს ის მომენტი, როდესაც საკვები მიაღწევს თხევად კონსისტენციას. სწრაფად რომ მიაღწიოს ამ შედეგს, ბევრი საკვებს აყოლებს წყალს, რაც ძალიან მავნეა ჯანმრთელობისთვის და უარყოფითად მოქმედებს საკვების მონელებაზე. ნერწყვის ფერმენტები ხლეჩენ სახამებელსა და ზოგიერთ ცილას, მუცინები (ყბისა და ენისქვეშა სანერწყვე ჯირკვლების სეკრეტი) კი ხელს უწყობს საკვების დაგუნდავებას და საყლაპავ მილში გატარებას, ეკვრის კუჭისა და ნაწლავების კედლებს, იცავს მათ კუჭისა და ნაწლავთა წვენების ფერმენტების ზემოქმედებისაგან. ყველა საკვები ნივთიერება ნამცეცდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში და იღებს თხევად სახეს.

როგორც წესი, დიდი ლუკმები ცუდად მუშავდება, კუჭში ხდება ლპობადი დუღილის მიზეზი, შედეგად ქვეითდება ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებების ათვისების ხარისხი. ორგანიზმი მიღებული საკვებიდან ითვისებს მხოლოდ იმ რაოდენობას, რაც მას სჭირდება.

გარდა ამისა, დიეტოლოგები გვირჩევენ, ჩაყლაპვის წინ „დავღეჭოთ“ თხევადი საკვებიც — რძე, მაწონი, ჩაი, წვენი და წყალიც კი. რათა შეუერთდეს ნერწყვის გარკვეულ რაოდენობას.

**ვოკრუგ სვეტა №2**

# [illegible]



თუ ზურგის არეში პერიოდული ტკივილები გაწუხებთ, ეს იქნება ხანგრძლივი, მოუხერხებელ პოზაში ჯდომის მიზეზი. ეს მარტივი ვარჯიშები საშუალებას მოგცემთ თავი უკეთ იგრძნოთ, გაგიმაგრებთ ფეხებისა და ზურგის სუსტ კუნთებს.

დადექით მარცხენა ფეხზე, მარჯვენა ასწიეთ, მოხარეთ მუხლში. მსუბუქი მოძრაობით შეცვალეთ საყრდენი ფეხი. ვარჯიში გაიმეორეთ 10-15-ჯერ. ისუნთქეთ ღრმად. ახლა დადექით მარჯვენა ფეხზე, ოდნავ მოხარეთ მუხლში. მარცხენა თავისუფლად აქანავეთ, თითქოს წრეებს ხატავთ. შემდეგ ეს ვარჯიში გაიმეორეთ მეორე ფეხზე.

არ დაგავიწყდეთ სხეულის მასაჟი!

**ოტდოხნი! №11**

# სათვალე _ სამყაროს შესაცნობად...



ყველამ იცის, რომ მზის მკვეთრი და კაშკაშა სხივები მავნეა თვალებისათვის. მაგრამ მცდარია ფიქრი, რომ მუქი სათვალე, რომელიც ამ სხივებისგან გვიცავს, მხოლოდ ზაფხულში გვჭირდება. ზამთრის დასასრულსა და ადრეულ გაზაფხულზე უფრო ნაკლებად ვართ დაცული ულტრაიისფერი სხივებისგან, ამიტომ, გირჩევთ, ნუ დაელოდებით ზაფხულსა და დროულად შეიძინეთ მზის სათვალე:

პოპულარული სათვალე **„ქამელეონი“**, რომელიც არა მარტო სინათლის მომატებასთან ერთად მუქდება, არამედ დაბალი ტემპერატურის დროსაც, გამოგვადგება წელიწადის ყოველ დროს;

**მუქნაცრისფერი** და **მუქმწვანე** მინებიანი სათვალე ფილტრავს ინფრაწითელ და ულტრაიისფერ სხივებს;

**ყვითელი მინები** — ზრდის საგნების კონტრასტულობას, ამიტომ, მას ძირითადად სპორტსმენები ხმარობენ;

**იისფერი მინები** — ძირითადად დეკორატიული ფუნქციის მატარებელია, რადგან ვერ იცავს თვალს ულტრაიისფერი სხივებისგან.

***რას მიანიშნებს სიმბოლოები სათვალის მინაზე?***

**CE** — მინები ევროპულ სტანდარტებს პასუხობს;

**UV 400** — დაცვას სიგრძით 400 ნანომეტრის სხივებისაგან, რომელშიც ულტრაიისფერი სხივები შედის;

**UV 95%** — მინები შთანთქავს ულტრაიისფერი სხივების 95 %-ს;

**CR 39** — ორგანული მინაა. სპეციალური საფარის მეშვეობით არ ატარებს ულტრაიისფერ სხივებს.

**ლიზა №9**

# შეკითხვა ექიმს



***ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.***

**ვარ 76 წლის, ზურგზე წელთან ახლოს მაქვს პატარა მუწუკი, რომელიც არ მექავება, არც მტკივა, მაგრამ მაწუხებს იმით, რომ როცა გახმება, მძვრება და გამოდის სისხლი. როგორ მოვიქცე?**

***მკითხველი***

კანზე გაჩენილი ყოველგვარი ახალი წარმონაქმნი, რომელიც თვეების განმავლობაში არ განიცდის უკუგანვითარებას და არ დანაწიბურდება, მოითხოვს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან კანი ადამიანის ორგანიზმის ის ნაწილია, სადაც ყველაზე სწრაფი ტემპებით მიდის უჯრედთა თვითგანახლების, გამრავლების პროცესი — ჩამოიფცქვნება გარქოვანებული ეპითელიუმის ზედა შრე და მის ნაცვლად წარმოიქმნება ახალი უჯრედები. ეს მუდმივი თვითგანახლება ქმნის კარგ ნიადაგს უჯრედთა პათოლოგიური გამრავლებისათვის, რაც შესაძლოა საბოლოოდ სიმსივნური გადაგვარების საფუძველი გახდეს. ასეთი პათოლოგიური გადაგვარების საფრთხე კიდევ უფრო იზრდება ასაკოვან ადამიანებში, რადგან ასაკთან ერთად მატულობს ონკოგენურ დაავადებათა განვითარების ალბათობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკითხველს ვურჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოს კანის სპეციალისტს (დერმატოლოგს).

**მართალია თუ არა, რომ წამლის მიღების დღეებში უარი უნდა ვთქვათ სპირტიან სასმელზე და რასთანაა ეს დაკავშირებული?**

***გურამ ჯ., თბილისი***

დიახ, ეს სიმართლე გახლავთ, რადგან ალკოჰოლის და სამკურნალო პრეპარატების ერთდროული მიღებისას ერთმანეთის უარყოფით ზემოქმედებას აძლიერებენ. ეს იმით აიხსნება, რომ ღვიძლში არის ფერმენტული სისტემა, რომელიც წამლების დაშლას (მეტაბოლიზმს) უზრუნველყოფს. ალკოჰოლიც სწორედ ამ სისტემას გადის და ღვიძლში იშლება. ალკოჰოლისა და წამლის ერთდროული მიღებისას იტვირთება ის რგოლი, რომელმაც უნდა მოახდინოს ორგანიზმის დაცვა, როგორც წამლის, ასევე ალკოჰოლის ტოქსიკური ზემოქმედებისგან. შედეგად კი იზრდება ორგანიზმის მოშხამვის რისკი.

გარდა ამისა, ადამიანები ალკოჰოლის ჭარბად მიღების დროს, როგორც წესი, სრულფასოვანი საკვებით არ იკვებებიან, რის გამოც ღვიძლში მცირდება მეტად მნიშვნელოვანი ნაერთის — გლუტათიონის შემცველობა. ეს ნაერთი კი აუცილებელია წამლების გადასამუშავებლად და მისი ნაკლებობა წამლისმიერი მოშხამვის რისკს ზრდის.

ალკოჰოლის ზემოქმედებით არტერიული წნევის დამწევი ზოგიერთი საშუალებით (რაუნატინი, ანაპრილინი, პრაზოზინი და სხვა) ეფექტი ხშირად ძლიერდება, რამაც შესაძლოა, არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა და ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვა გამოიწვიოს. იგივე შეიძლება ითქვას ანტიარითმიულ საშუალებებზეც.

თუ ადამიანი იღებს სისხლში შაქრის დამწევ პრეპარატებს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ალკოჰოლს (რომელსაც აქვს შაქარდამწევი მოქმედება) შეუძლია გააძლიეროს ამ პრეპარატთა ზემოქმედება და საქმე მძიმე ჰიპოგლიკემიურ (შაქრის დაწევა ნორმაზე ქვევით) მდგომარეობამდეც კი მივიდეს. საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები (ბარბიტურატები, ბრომიდები) ალკოჰოლთან ერთად ასევე ახდენენ ნერვულ სისტემაზე ძლიერ დამთრგუნველ ზემოქმედებას.

***თამარ მამაცაშვილი***

# მთელი წელი – გამჩაფხული



თუ გსურთ წელიწადის ნებისმიერ დროს, ყოველნაირ ამინდსა და სიტუაციაში თავს კარგად გრძნობდეთ და ბრწყინვალე ფორმაში იყოთ, გთავაზობთ რამდენიმე რჩევას.

...დროა იფიქროთ ორგანიზმის ვიტამინებით გამდიდრებაზე.

ნუ დაინანებთ ფულს ხილსა და ბოსტნეულზე, სარგებელი, რომელსაც ისინი მოგიტანენ, ჭეშმარიტად ფასდაუდებელია. გახსოვდეთ, ყველაზე მეტად გჭირდებათ ვიტამინები და მიკროელემენტები, რომლებსაც შეიცავს მზისფერი, ხასხასა, ღია ფერის ხილი და ბოსტნეული. მათ შორის C ვიტამინის შემცველობით ყველაზე მდიდარია **ტკბილი წიწაკა** (100 გ შეიცავს 4 მგ C-ს), სტაფილოში ყველაზე ბევრია ბეტა-კაროტინი (A-30 მგ 100 გ-ზე), ციტრუსების მარგებლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

...ნათქვამია „გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“ — უძველეს დროში ჩინეთში შეიქმნა განსაკუთრებული მეცნიერება სიტყვების შესახებ, რომლებიც ჩვენს შინაგან ორგანოებში იწვევენ რეზონანსს და მათზე სასიკეთოდ ზემოქმედებენ.

„ფუ“ (ამოსუნთქვისას) — დაგეხმარებათ სწრაფად გათავისუფლდეთ ნეგატიური ენერგიისგან.

„ი-ი-ი-ი-ი“ (სუნთქვის შეკავებისას) — ასუფთავებს ორგანიზმს.

„ჰო-ო-ო-ჰო-ო-ო“ (ამოსუნთქვისას) — ძილის შემდეგ აფხიზლებს და ამხნევებს ორგანიზმს.

ყოველი ბგერა გაიმეორეთ არანაკლებ 3-4-ჯერ...

მაშინაც კი, როდესაც ქუჩაში ცივა, ნუ დაგეზარებათ საცურაო აუზში წასვლა. ცურვა სპორტიცაა, დასვენებაც და მკურნალობაც. წყალი ხსნის დაღლილობას, გარდა ამისა, ასწორებს ხერხემალს, ათავისუფლებს ჩაჭედილი ნერვების დაბოლოებებს. ჩვენი ორგანოების სიჯანსაღე ხომ მნიშვნელოვანწილად ხერხემლის მდგომარეობაზეა დამოკიდებული! მიცურდით აუზის კიდესთან და გაიკეთეთ წყლის მასაჟი: ხელებით ძლიერად მიმართეთ წყლის ჭავლი მუცლისა და თეძოებისკენ.

...თუ გსურთ მთელი სიცოცხლე შეინარჩუნოთ ლამაზი ფეხები და მოხდენილი სიარული, გამონახეთ დრო, რათა დღეში 1-2-ჯერ მაინც გააკეთოთ მარტივი ვარჯიშები: აიწიეთ ფეხის წვერებზე და მთელი სიმძიმით დაეშვით ქუსლებზე; სამსახურში, სამუშაო მაგიდასთან ჯდომისას ასწიეთ და დასწიეთ ფეხები ისე, თითქოს საკერავ მანქანას ამუშავებთ. ყოველდღე იარეთ ფეხშიშველა — ხალიჩაზე მაინც. შიშველი ფეხისგულებით აგორავეთ კენჭები.

...მიიღეთ სათანადო რაოდენობის სითხე! ამ რჩევას იძლეოდნენ ჯერ კიდევ ტიბეტელი ექიმები. წყლის უკმარისობა არღვევს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, ნაწლავებში გროვდება წიდები, რომლებიც წამლავს ორგანიზმს და ხელს უშლის საკვების ათვისებას.

***ლიზა №10***




**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

სერტიფიცირებულია **კომპლექტი 95ლ**

შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.

შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**

**მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08

Frenkiel Diagnostics

**ისრაელ-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“**

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე**


# ათეროსკლეროზი

გულის იშემიური დაავადება (გიდ) ძალზე გავრცელებულია. მისთვის დამახასიათებელია: სტენოკარდია, გულის უკმარისობა, მიოკარდიუმის ინფარქტი. ნებისმიერი ეს პათოლოგია განპირობებულია გულის კუნთის სისხლმომარაგების დარღვევით, რაც იქ არსებულ ჟანგბადის ნაკლებობასთან იგივდება.

გულის კუნთის სისხლმომარაგების დეფიციტი ვითარდება გულის მკვებავ-გვირგვინოვან სისხლძარღვებში ათეროსკლეროზული პროცესების არსებობით. ათეროსკლეროზული პროცესები კი, სისხლში ქოლესტერინის მაღალი შემცველობის შედეგია. ეს ცხიმოვანი ნივთიერება სისხლძარღვთა შიგა შრეზე — ენდოთელიუმზე ილექება და ფოლაქებს წარმოქმნის. ფოლაქების ზრდას თან ახლავს სისხლძარღვის სანათურის შევიწროება და შედეგად ქსოვილის სისხლმომარაგების შეზღუდვა. ზოგჯერ ათეროსკლეროზული ფოლაქი იშლება, ამ ადგილისაკენ კი მიიჩქარიან თრომბოციტები, წარმოქმნიან თრომბს, რომელიც მთლიანად ახშობს სისხლძარღვს, ამის საფუძველზე ვითარდება გულის კუნთში ჟანგბადის მწვავე დეფიციტი და ინფარქტი!

არანაკლებად საშიშია თავის ტვინის სისხლძარღვებში განვითარებული ათეროსკლეროზული პროცესები. აქაც სისხლძარღვთა დახშობა სერიოზული პათოლოგიის — ინსულტის (თავის ტვინში სისხლჩაქცევა) მიზეზი ხდება.

როგორ ავიცილოთ თავიდან ათეროსკლეროზი?

მამაკაცებს უფრო ხშირად ემართებათ ათეროსკლეროზი, ვიდრე ქალებს.

ათეროსკლეროზის განვითარების რისკ-ფაქტორები შეიძლება 2 ჯგუფად დაიყოს: ფაქტორები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების წესსა და მის გარკვეულ ჩვეულებებზეა დამოკიდებული; ფაქტორები, რომლებიც არ არის ადამიანზე დამოკიდებული — ასაკი, სქესი, მემკვიდრეობა და სხვ.

ნაკლებად მოძრავი ცხოვრება, არასწორი კვება — ცხიმების (განსაკუთრებით ცხოველური) ჭარბად მოხმარება, ჭარბი წონა, თამბაქოს მოწევა ხელს უწყობს პათოლოგიური პროცესის განვითარებას. ათეროსკლეროზის პროცესებს აჩქარებს არტერიული ჰიპერტონია, ჰიპოთირეოზი (ფარისებრი ჯირკვლის დაქვეითებული ფუნქციონირება) და სხვ.

რაც უფრო მეტია ერთად არსებული რისკ-ფაქტორების რიცხვი, მით მეტია ათეროსკლეროზის განვითარების ალბათობა.

ათეროსკლეროზის განვითარებას მნიშვნელოვნად აჩქარებს ხშირი სტრესი. სტრესული სიტუაციებისას ორგანიზმი დიდი რაოდენობით გამოიმუშავებს ნორადრენალინსა და ადრენალინს. ეს ნივთიერებები ზრდის გულის შეკუმშვათა ძალასა და სიხშირეს, რის გამოც გულის კუნთში ჟანგბადის მოთხოვნილება იზრდება, ამასთან ერთად ხდება სისხლძარღვების სპაზმი (შევიწროება).

ათეროსკლეროზი ხანგრძლივად მიმდინარე, ძალზე რთული პროცესია. როგორც აღვნიშნეთ აქ წამყვანი როლი ცხიმოვანი ცვლის დარღვევას ენიჭება, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ცილოვანი და ნახშირწყლოვანი ცვლის მოშლაც.

ათეროსკლეროზის განვითარებასა და პროგრესირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცხიმების ისეთი ფრაქციები, როგორიცაა ტრიგლიცერიდები, ძალიან დაბალმოლეკულური და დაბალმოლეკულური ლიპოპროტეინების დონის მომატება სისხლში. რაც შეეხება მაღალმოლეკულურ ლიპოპროტეინებს, მათი დონის მატება სისხლში, ათეროსკლეროზის განვითარებას უშლის ხელს.

ათეროსკლეროზისა და გიდ-ის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მივყვეთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

ძალიან კარგია ფეხით სიარული, ცურვა, ცხენით ჯირითი. მაგრამ გახსოვდეთ, ფიზიკური დატვირთვა ნორმირებული უნდა იყოს. არ შეიძლება გადატვირთვა და გადაღლა. ვარჯიშის ან სეირნობის დროს არ უნდა განგივითარდეთ ქოშინი, ძლიერი დაღლილობის შეგრძნება, ასევე ტკივილი მკერდის მარცხენა არეში. ნებისმიერი ფიზიკური სამუშაოს შესრულებისას პულსი ხშირდება, მაგრამ მატება არ უნდა აჭარბებდეს 15 ერთეულს წუთში, ხოლო 3-4 წუთი შესვენების შემდეგ პულსი საწყის მდგომარეობას ანუ სიხშირეს უნდა დაუბრუნდეს.

ალკოჰოლის დიდი რაოდენობა მთელ ორგანიზმს ვნებს, მაგრამ დღეში 2-3 ჭიქა სუფთა ღვინის მიღება, პირიქით, კარგია და ათეროსკლეროზის განვითარებას აფერხებს.

სასურველი პროდუქტებია (რომლებიც ნაკლები რაოდენობით შეიცავს ქოლესტერინს) — მზესუმზირისა და სიმინდის ზეთი, ქათამი, ინდაური, ხბო, კურდღელი, კვერცხის ცილა, ცხიმმოხდილი რძე, მაწონი, ხაჭო, უცხიმო ყველი, თეთრი თევზი, ხილი, პარკოსნები (ლობიო, ბარდა), მოხარშული კარტოფილი, რუხი პური, მწვანილი...

ზომიერად დასაშვები პროდუქტებია: კარაქი, მარგარინი, ძროხის, ღორისა და ცხვრის უცხიმო ხორცი, საშუალოდ ცხიმიანი ყველი, ზეთში შემწვარი თევზი, თეთრი ფქვილი, შემწვარი კარტოფილი, ნუში, ტკბილეული, ტორტი, უცხიმო შოკოლადი...



არასასურველია — ზეითუნის ზეთი, ქონი, ცხიმიანი ხორცი, ძეხვი, იხვის, ბატის ხორცი, ქათმისა და ინდაურის კანი, ცხიმიანი რძე, არაჟანი, ცხიმიანი ყველი, ცხოველურ ცხიმში შემწვარი კარტოფილი, ფუნთუშები, მაგარი ყავა, ცხიმიანი სასმელები...

ზემოთ ჩამოთვლილი რჩევის გათვალისწინების გარდა, რეკომენდებულია მკურნალობა პრეპარატებით, რომელიც ექიმის მიერ უნდა შეირჩეს. მკურნალობა ხანგრძლივია.

გაითვალისწინეთ! 40 წელს გადაცილებულმა ყველა ადამიანმა წელიწადში ერთხელ უნდა ჩაიტაროს პროფილაქტიკური გამოკვლევები, რაც გულისხმობს სისხლში შაქრის, ლიპიდების შემცველობის განსაზღვრას, ეკგ-ს გადაღებას, ექოდოპლეროკარდიოსკოპიას.

***მაია მუხიგული***

# ყოვლისშემძლე რძე და თაფლი



კანი დაჭიმული, მშრალი და ქერცლიანია... გასაკვირი არაფერია! ჩვენ ხომ ცივი ზამთარი გამოვიარეთ, რომელმაც თავისი კვალი დააჩნია ჩვენს კანს. ნუ დაღონდებით, არსებობს საშუალებები, რომელიც თქვენს კანს ძველებურ სინაზეს და ელასტიკურობას დაუბრუნებს. ეს საშუალებები ყველასათვის კარგად ცნობილი რძე და თაფლია.

**თაფლი** შეიცავს ბევრ ორგანულ მჟავას: ვაშლის, რძის, ლიმონის მჟავას. გარდა ამისა, მასში მრავლადაა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და მიკროელემენტები, ვიტამინები და ბაქტეროციდული ნივთიერებები. ამიტომ, თაფლი არა მარტო სასარგებლო საკვებია, არამედ ანთებითი პროცესების დროს კანის უებარი მკურნალიც.

**რძე** შეიცავს ცილებს, რომლებიც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას. რძის მჟავა უნარჩუნებს კანს სინოტივეს, რაც კანის სიგლუვისა და ელასტიკურობის ერთ-ერთი პირობაა. რძის ცხიმის, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების ზემოქმედებით გაუხეშებული კანი ისევ ნაზი და გლუვი ხდება.

გთავაზობთ რეცეპტს: **1. რძის ნიღაბი** — თანაბარი რაოდენობის რძის, თაფლის და ხაჭოს ნიღაბი სრულყოფილად კვებავს სახის კანს. **2. რძიანი თაფლი** — შეურიეთ ერთმანეთს 150 გ რძე, 1 ჩ/კ თაფლი და 1 ჩ/კ ნუშის ზეთი. ნიღაბი არბილებს, გლუვსა და ხავერდოვანს ხდის კანს.

**ბალზამი ტუჩებისათვის** — გამშრალ და დახეთქილ ტუჩებზე წაისვით თაფლი და შედეგიც არ დააგვიანებს.

***ჟენსკიე დელა №7***


MEDI

მედი



უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია

კონტურული მაკიაჟი

თვალებზე, ცუჩებზე, წარბებზე

სახის კანის გაახალგაზრდავება, ნაოჭების გასწორება

ოქროს ძაფებით, ბოცოქსის ინექციებით

ალ. ყაზბეგის გამზ №1 25-02-02 93 89 75

# XXI საუკუნის კოლონიები

***ალბათ, ბევრს ჰგონია, რომ კოლონიზატორი ქვეყნები წარსულს ჩაბარდა და აღარც კოლონია ჰქვია რომელიმეს... ერთიც არსებობს და მეორეც. ეგ არის, ოღონდ, სხვაგვარი ურთიერთობა და ადრინდელი „ბიძია თომას ქოხის“ მსგავსად ცრემლი აღარ გვექნება საღვრელი. მაინც, ვინ ვის ფლობს XXI საუკუნეში?***

## საფრანგეთი

### სენ-პიერი და მიკელონი

ატლანტის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 9 პატარა კუნძულია. მათი ფართობი 242 კვ.კმ-ია, მოსახლეობა — 6 ათასი ადამიანი

### გვადელუპა

9 კუნძული კარიბის ზღვაში, პუერტო-რიკოდან სამხრეთ-დასავლეთით. ფართობი — 1780 კვ.კმ, მოსახლეობა — 431 ათასი ადამიანი, მათი 90% აფრიკული წარმოშობისაა. 1635 წლიდან კუნძულები საფრანგეთს ეკუთვნის. ამჟამად საფრანგეთის პარლამენტში აქვს „ზღვისიქითა დეპარტამენტის“ სტატუსი და წარმოდგენილია 4 დეპუტატითა და ორი სენატორით.

### საფრანგეთის გვიანა

მდებარეობს ატლანტის ოკეანეში, სამხრეთ ამერიკის სანაპიროზე, ბრაზილიასა და სურინამს შორის. ფართობი — 91 ათასი კვ.კმ, მოსახლეობა 177,5 ათასი ადამიანი. საფრანგეთის გვიანის ტერიტორიაზე განლაგებულია ევროპის კოსმოსური სააგენტოს კოსმოდრომი კურუ.

### უოლისი და ფუტუნა

კუნძულები წყნარ ოკეანეში. ფართობი — 274 კვ.კმ. მოსახლეობა — 15 ათასი. საფრანგეთის „ზღვისიქითა ტერიტორია“. საფრანგეთის პარლამენტში ჰყავს ერთი დეპუტატი.


გვადელუპა

### საფრანგეთის პოლინეზია

რამდენიმე არქიპელაგი წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში. ფართობი 4 ათასი კვ.კმ, მოსახლეობა — 219,5 ათასი ადამიანი. 1946 წლიდან საფრანგეთის „ზღვისიქითა ტერიტორიაა.“

### ახალი კალედონია

კუნძულების ჯგუფი წყნარ ოკეანეში. ფართობი — 19 ათასი კვ.კმ., მოსახლეობა — 200 ათასი ადამიანი, აღმოაჩინა 1774 წელს ჯეიმს კუკმა.

### მაიოტა

შედის კომორის კუნძულების არქიპელაგში, ინდოეთის ოკეანეში. ფართობი — 374 ათასი კვ.კმ., მოსახლეობა 163 ათასი ადამიანი. თავიდან ეს კუნძულები პორტუგალიის კოლონია იყო, მე-19 საუკუნის დამლევს საფრანგეთის ხელში გადავიდა. 1975 წელს სამმა დიდმა კუნძულმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაიოტამ კი საფრანგეთის გამგებლობაში დარჩენა ისურვა. კომორის კუნძულების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლება ითხოვს საფრანგეთის ჯარის გაყვანას და კუნძულის დაბრუნებას. მას მხარს უჭერს გაერო.

### რეიუნიონი

კუნძული ინდოეთის ოკეანეში, მადაგასკარის აღმოსავლეთით. ფართობი — 2,5 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა 675 ათასი ადამიანი. მე-17 ს.-დან საფრანგეთის კუთვნილებაა. საფრანგეთის პარლამენტში 5 დეპუტატითა და 3 სენატორითაა წარმოდგენილი.

### მარტინიკა

კუნძული კარიბის ზღვაში. ფართობი 1.100 კვ.კმ. მოსახლეობა — 371 ათასი ადამიანი. 1635 წლიდან მართავს საფრანგეთი.

## დიდი ბრიტანეთი

### გიბრალტარი

ტერიტორია პირენეის ნახევარკუნძულზე. ფართობი — 6,5 კვ.კმ., მოსახლეობა — 32 ათასი. დიდმა ბრიტანეთმა გიბრალტარი ესპანელებს წაართვა 1704 წელს, ესპანეთი იბრძვის მის დასაბრუნებლად. აქ არის დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალების ბაზა.

### ფოლკლენდის კუნძულები

ეს კუნძულები არგენტინის სანაპიროდან აღმოსავლეთით, ატლანტის ოკეანეში მდებარეობს, ფართობი — 12 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა — 2 ათასი (უმეტესობა ინგლისელები არიან). ერთი ვერსიით, იგი 1501 წელს აღმოაჩინა ამერიგო ვესპუჩიმ. XV ს.-დან გადადიოდა ფრანგების, ინგლისელების და ესპანელების ხელში. ესპანეთმა ფოლკლენდის კუნძულები დაპყრობის შემდეგ თავის კოლონიას — არგენტინას შეუერთა. 1832 წელს ბრიტანელებმა ფოლკლენდი ესპანელებს წაართვეს. გაერო ფოლკლენდის კუნძულებს სადავო ტერიტორიად მიიჩნევს.

### კუნძულები ტერქსი და კაიკოსი

კუნძულების ორი ჯგუფი ბაჰამის კუნძულების სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ფართობი 430 კვ.კმ., მოსახლეობა — 13 ათასი. მართავს დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ დანიშნული გუბერნატორი. ეკონომიკა ემყარება — ტურიზმს.

### კაიმანის კუნძულები

კუნძულების ჯგუფი კარიბის ზღვაში, კუბასა და ჰონდურასს შორის. ფართობი — 259 კვ.კმ.; მოსახლეობა — 35,5 ათასი ადამიანი. აქვს „ზღვისიქითა ტერიტორიის“ სტატუსი, არა აქვს საკუთარი სასმელი წყალი და დამოკიდებულია წვიმასა და ბრიტანეთის დახმარებაზე. ოფშორული ზონაა. აქ 40 ათასზე მეტი კომპანიაა განლაგებული.

### ანგილია

ანგილიისა და სომბრეროს კუნძულები ვესტ-ინდოეთში. ფართობი — 96 კვ.კმ. მოსახლეობა — 10,3 ათასი ადამიანი. 1625 წლიდან დიდი ბრიტანეთის კოლონიაა. 1969 წელს ანგილია შეეცადა დამოუკიდებელი გამხდარიყო, მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა ჯარი შეიყვანა და თავისი მმართველობა აღადგინა.

### წმინდა ელენეს კუნძული

იგი ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. 1502 წელს პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს. ფართობი — 122 კვ.კმ. მოსახლეობა 6,4 ათასი ადამიანი. 1673 წელს ინგლისელებმა დაიპყრეს. დღეს მას ბრიტანეთის კოლონიის სტატუსი აქვს.

### პიტკერნი

კუნძული წყნარ ოკეანეში. ფართობი — 4,5 კვ.კმ., მოსახლეობა — 70 ადამიანი. იგი აღმოაჩინეს 1767 წელს. 1790 წელს კუნძულზე დასახლდნენ ამბოხებული ინგლისური გემის „ბაუნტის“ მეზღვაურები ტაიტიდან ჩამოყვანილ პოლინეზიელებთან ერთად.

### მონტსერატი

კუნძული კარიბის ზღვაში. ფართობი 102 კვ.კმ., მოსახლეობა 12,7 ათასი კაცი, მართავს დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ დანიშნული გუბერნატორი.

### ვირჯინიის კუნძულები

40 კუნძული ვესტ-ინდოეთში, კარიბის ზღვის აუზში. აქედან 16 — დასახლებულია, ფართობი 153 კვ.კმ.-ია, მოსახლეობა — 17,8 ათასი. მართავს დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ დანიშნული გუბერნატორი, ოფშორული ზონაა.

## აშშ

### ვირჯინიის კუნძულები

შედის მცირე ანტილის კუნძულების არქიპელაგში, კარიბის ზღვის აუზში. ფართობი — 352 კვ.კმ., მოსახლეობა — 122 ათასი ადამიანი. XV ს.-ში არქიპელაგი ბრიტანეთმა და დანიამ გაიყვეს, ამ კუნძულებს აქვთ აშშ-თან მიერთებული ტერიტორიის სტატუსი. ადგილობრივი მოსახლეობა აშშ-ის მოქალაქედ ითვლება, მაგრამ ეროვნულ არჩევნებში ხმის უფლება არა აქვს.

### აღმოსავლეთ სამოა

7 კუნძული არქიპელაგ სამოაში. ფართობი — 195 კვ.კმ., მოსახლეობა — 56 ათასი ადამიანი. აქვს საკუთარი კონსტიტუცია, სენატი, ჰყავს გუბერნატორი.

### პუერტო-რიკო

კუნძული კარიბის ზღვაში. მისი ფართობია 9 ათასი კვ.კმ., მოსახლეობა — 3.937 ათასი ადამიანი. კუნძული XV ს.-ში დაიპყრეს ესპანელებმა. 1898 წელს ესპანეთ-ამერიკის ომის შედეგად აშშ-ს დარჩა. 1950 წელს ანტიამერიკული ამბოხის შემდეგ თავისუფლად ასოცირებული სახელმწიფოს სტატუსი აქვს. მოსახლეობა ითვლება ამერიკის მოქალაქედ, მაგრამ ხმის უფლება არ გააჩნია. პუერტო-რიკოს აშშ-ის კონგრესში ერთი წარმომადგენელი ჰყავს.

### გუამი

მარიანას კუნძულების ჯგუფი წყნარ ოკეანეში. ფართობი — 549 კვ.კმ. მოსახლეობა — 149 ათასი, ისინი აშშ-ის მოქალაქეები არიან. გუამს აშშ-ის კონგრესში ერთი დელეგატი ჰყავს. აქ არის განლაგებული აშშ-ის სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალების ბაზა.

### ჩრდილოეთ მარიანას კუნძულების თანამეგობრობა

კუნძულები წყნარ ოკეანეში. ფართობი — 457 კვ.კმ. მოსახლეობა — 58,8 ათასი ადამიანი.

### უეიკი

ატოლი წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. ფართობი — 8 კვ.კმ., მოსახლეობა — 2 ათასი ადამიანი. აქ არის აშშ-ის სამხედრო ბაზა.

### მიდუეი

ატოლი წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. ფართობი 5 კვ.კმ., მოსახლეობა 2,5 ათასი. აქ განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზა.


ფოლკლენდის კუნძულები

## ნიდერლანდები

### არუბა

კუნძული კარიბის ზღვაში. ვენესუელის სანაპიროდან 40 კმ-ის დაშორებით, ფართობია 193 კვ.კმ., მოსახლეობა — 88 ათასი ადამიანი. 1986 წლიდან აქვს შიდა მმართველობის მქონე ტერიტორიის სტატუსი.

### ანტილის კუნძულები

ხუთი კუნძული კარიბის ზღვაში. მდებარეობს ვენესუელის ჩრდილოეთით. ფართობი — 800 კვ.კმ. მოსახლეობა — 207 ათასი. შედის ნიდერლანდთა სამეფოში. აქვს ავტონომია შინაურ საქმეებში.

## დანია

### გრენლანდია

მსოფლიოს ყველაზე დიდი კუნძული. იგი ატლანტისა და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს შორის მდებარეობს. ფართობი — 2.175 ათასი კვ.კმ (84% ყინულითაა დაფარული), მოსახლეობა 56 ათასი (88% ინუიტია, 12% — დანიელი), 1978 წლიდან მიიღო თვითმმართველობა, მაგრამ დანიამ დაიტოვა გრენლანდიის საგარეო პოლიტიკის კონტროლის უფლება. გრენლანდია ეკონომიკურად დანიაზეა დამოკიდებული.

### ფარერის კუნძულები

კუნძულთა ჯგუფი ნორვეგიის ზღვასა და ატლანტის ოკეანეს შორის. ფართობი 1.400 კვ.კმ. მოსახლეობა — 45 ათასი. მართავს ადგილობრივი პარლამენტი.

## ესპანეთი

### სეუტა და მელილია

ორი ქალაქი მაროკოში. ფართობი — 33 კვ.კმ. მოსახლეობა — 160 ათასი (80% ესპანელია, დანარჩენი არაბი და ბერბერი). 1580 წლიდან ეკუთვნის ესპანეთს. 1956 წელს ესპანეთმა მაროკოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა ქალაქი, გარდა სეუტისა და მელილიისა, მაროკოსვე დაუბრუნა. მაროკო კი მათ დაბრუნებასაც ითხოვს, ქალაქების ესპანური მოსახლეობა ამის წინააღმდეგია.

## ავსტრალია

### ნორფოლკი

კუნძული წყნარ ოკეანეში. ფართობი — 34 კვ.კმ. მოსახლეობა — 1,8 ათასი ადამიანი. 1913 წლიდან ავსტრალიის მფლობელობაშია.

### შოზის კუნძულები

მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში. ფართობი — 135 კვ.კმ., მოსახლეობა — 3 ათასი ადამიანი., 1958 წლამდე შედიოდა ინგლისის კოლონია სინგაპურში, 1958 წლიდან ავსტრალიის მფლობელობაშია.

### ქოქოსის კუნძულები

არქიპელაგი ინდოეთის ოკეანეში. შედგება 27 მცირე მარჯნის კუნძულისგან. აქედან დასახლებულია სამი. ფართობი 14,2 კვ.კმ. მოსახლეობა — 670 ადამიანი. 1609 წელს აღმოაჩინა ინგლისელმა კაპიტანმა კილინგმა.


აღმოსავლეთ სამოა

## ახალი ზელანდია

### ტოკელაუ

კუნძულები პოლინეზიაში. ფართობი — 10,1 კვ.კმ. მოსახლეობა — 1,5 ათასი. მართავს ადგილობრივ უხუცესთა საბჭო.

### ნიუე

მარჯნის კუნძულები წყნარ ოკეანეში. ფართობი — 262 კვ.კმ., მოსახლეობა — 2 ათასი, სახელმწიფოს ხელმძღვანელობს ახალი ზელანდიის ხელისუფლების მიერ დანიშნული კომისარი-რეზიდენტი.

### კუკის კუნძულები

არქიპელაგი წყნარ ოკეანეში. ფართობი — 237 კვ.კმ., მოსახლეობა — 16,5 ათასი ადამიანი. აღმოაჩინა ჯეიმს კუკმა 1773 წელს.

***ვლასტი №9***

# კრემლის საიდუმლო გეგმა

ჩეჩნეთის ოფიციალური ხელისუფლება, ა. მასხადოვი, ჩეჩნური დიასპორა მოსკოვში — ყველა ერთხმად ალაპარაკდა რესპუბლიკისთვის ახალი კონსტიტუციის შექმნაზე. ანალიტიკოსების აზრით, მოვლენები შეიძლება შემდეგნაირად განვითარდეს. არაუგვიანეს 2003 წლისა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ჩატარდება რეფერენდუმი ახალი კონსტიტუციის მისაღებად. მასზე დაყრდნობით 2004 წელს ჩატარდება გარდამავალი ორპალატიანი პარლამენტის არჩევნები. სავარაუდოდ, გარდამავალი პერიოდის მანძილზე (4-5 წელი) ჩეჩნეთის რესპუბლიკის თავკაცს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დანიშნავს, შემდგომში კი მოსახლეობა აირჩევს. თუმცა სიტუაციის „გეგმური“ განვითარება შეიძლება დაირღვეს, როგორც ეს არაერთხელ მოხდა. ცნობილია, რომ მოსკოვს კონტაქტები აქვს ა. მასხადოვთან და მასთან კონსულტაციებს მართავს. მაგრამ ბოლო ხანს „მოუხელთებელმა“ პრეზიდენტმა გაამკაცრა თავისი პოზიცია. ამის მიზეზი გახდა ინფორმაცია პანკისის ხეობაში ამერიკელთა შესაძლო გამოჩენის თაობაზე. ბოევიკთა ლიდერებმა უმალ ივარაუდეს, რომ მათი ზურგი საიმედოდ იქნება გამაგრებული. თუ ასრულდება გოსდუმის მუქარა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე, მაშინ ჩეჩნეთი შეეცდება, მისი დამოუკიდებლობა ცნონ საქართველომ და დასავლეთის ზოგიერთმა ქვეყანამ.

***კომერსანტი***

# ბერეზოვსკიმ ბასაევს 10 მლნ დოლარი გადასცა

რუსეთის გენპროკურატურამ ბ. ბერეზოვსკი დაადანაშაულა ჩეჩენი ტერორისტების დაფინანსებაში. რფ ყოფილი პრემიერი ა. კულიკოვი აცხადებს: „1997 წლის 28 აპრილს მივიღე ინფორმაცია, რომ ინგუშეთის აეროპორტ „სლეპცოვსკში“ ჩაფრინდა ბერეზოვსკის წარგზავნილი ბადრი პატარკაციშვილი. მან ინგუშეთის პრეზიდენტის რ. აუშევის თანდასწრებით შამილ ბასაევს გადასცა 10 მლნ დოლარი. მძიმე ჩანთა, რომელიც დაახლოებით 20 კგ-ს იწონიდა, მანქანაში ჩადეს, ამის შემდეგ ბასაევი ჩეჩნეთის საზღვრისკენ წავიდა. ტვირთს იცავდა ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე პოლკოვნიკი ჰამზათ ძეპტოევი. 30 აპრილს მისი გვამი რესპუბლიკის მალგობეკის რაიონში იპოვეს. იმავე დღეს სოჭში ჩეჩნეთში შექმნილ ვითარებაზე მოვახსენე ბ. ელცინს. დაწვრილებით მოვუყევი ბასაევისათვის ბერეზოვსკის მიერ ფულის გადაცემის ამბავი.

ერთხელ სრულიად შემთხვევით შევხვდი ბორის აბრამოვიჩს მაშინდელი ვიცე-პრემიერის ნემცოვის კაბინეტში და პირდაპირ მივახალე — რატომ აძლევთ ფულს ბანდიტებს-მეთქი. ბერეზოვსკიმ იუარა. მაშინვე გავახსენე ბადრის ჩამოსვლა „სლეპცოვსკში“. ამის შემდეგღა აღიარა, — ფული მივეცი, მაგრამ ათი კი არა, ერთი მლნ დოლარიო“.

***ამონარიდი***
***არგუმენტი ი ფაკტი №11***

# ოკუპანტები — სად და რამდენი?

სადღეისოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სავარაუდოდ 4.500 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და ოფიცერი იმყოფება.

ტაჯიკეთში დაბანაკებულია 120 ამერიკელი. ეს ქვედანაყოფი ორგანიზებას უწევს ავღანეთის ჩრდილოეთ ალიანსის ხელმძღვანელობის კავშირს ამერიკის სამხედრო ძალთა მეთაურებსა და ტაჯიკეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან.

910 ამერიკელი ჯარისკაცი არის ყირგიზეთის ტერიტორიაზე. ისინი კოორდინირებას უწევენ მანასის აეროდრომზე განლაგებულ ბომბდამშენებს, რომლებიც ჩრდილოეთ ავღანეთში ახორციელებენ ავიადარტყმებს. სპეციალური დანიშნულების ერთ-ერთი ჯგუფი იცავს აეროდრომს და საჭიროების შემთხვევაში თავისი რაზმებით აძლიერებს ავღანეთში სპეცდანიშნულების ამერიკულ ჯგუფს.

ჯერჯერობით, ყველაზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი უზბეკეთშია — დაახლოებით 3.480 კაცი. ამ დაჯგუფების მთავარი დასაყრდენია სპეცდანიშნულებისა და 101-ე დივიზიის ელიტარული ქვედანაყოფი 1.600 კაცის შემადგენლობით. უზბეკეთშია აგრეთვე ამერიკულ ძალთა „ჩრდილოეთის მიმართულების“ შტაბი, რომელიც პასუხისმგებელია ოპერაციაზე ჩრდილოეთ ავღანეთში.

შტაბთან მოქმედებს ამ რეგიონში ყველაზე მსხვილი სადაზვერვო ცენტრი, რომელიც აგროვებს და ამუშავებს ინფორმაციას არა მარტო ავღანეთზე, არამედ მის მიმდებარე რაიონებზე. უპირველეს ყოვლისა, რუსეთზე, თურქმენეთზე, ირანზე.

„კომანდოსების“ საჰაერო მხარდაჭერას ახორციელებს 100-ზე მეტი საბრძოლო და სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენი. სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები და ბომბდამშენები სხდებიან ტაშკენტისა და ჩირჩიკის აეროდრომებზე, სადაც აგრეთვე განლაგებულია საავიაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის, კავშირგაბმულობის, ნავიგაციისა და დაცვის ქვედანაყოფი. ეს გასაიდუმლოებული მონაცემები, რომლებიც უშიშროების საბჭოს წყაროს საშუალებითაა მოძიებული, ცხადყოფს, რომ ამერიკელები დიდი ხნით და სერიოზულად აპირებენ აქ ყოფნას, ამიტომაც გაფაციცებით ეძებენ „დასაყრდენ“ რაიონს.

***ზავტრა №11***



## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

*ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.*

*მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.*

*ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...*

## „ბიზნესმენი“ წიგნებით

დაახლოებით 30 წლის წინ, ჩეხოსლოვაკიაში პირველად ვნახე გერმანელი სტუდენტები, რომლებიც ზაფხულში ტურისტებს ემსახურებოდნენ, ფულს შოულობდნენ და თავიანთი სწავლის გადასახადს აგროვებდნენ. შინდაბრუნებული ამ ამბავს აღტაცებით ვყვებოდი — ჩემს სამშობლოში მაშინ თითქმის ვერ ნახავდი სტუდენტს, რომელიც თავისი შრომით ირჩენდა თავს. ასეთი რამ დღესაც დიდი იშვიათობაა. ახლა შეიძლება ვინმე შემომედავოს, სამუშაო პროფესიონალებისთვის არ არის და სტუდენტმა რა უნდა ქნასო... მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვისაც დამოუკიდებლად ცხოვრებისა და სწავლის სურვილი აქვს, ვინც შრომას არ უკადრისობს, საარსებო საშუალებას ყოველთვის გამონახავს. ამ შემთხვევაში, მთავარია მიზანი...

ამას წინათ ძალიან ლამაზი გოგონა გავიცანი, რომელიც ერთ-ერთი ხალხმრავალი რესტორნის წინ საღამოობით წიგნებს ყიდის. ასე, 19-20 წლისა იქნება. წიგნის შემოთავაზებისას, აუცილებლად მოგიყვებათ, რის შესახებაა იგი და როგორაა მოთხრობილი ესა თუ ის ამბავი... თანაც, ისე საინტერესოდ და სასიამოვნოდ გიამბობთ, აუცილებლად შეიძენთ რაიმეს. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, მისგან რამდენიმე წიგნი ვიყიდე. არც სხვები ჩაუვლიან ხოლმე გულგრილად — მოგეხსენებათ, ნიჭიერად გაკეთებულ რეკლამას რა დიდი ძალა აქვს. ამავე დროს, წიგნებიც საკმაოდ იაფია, თითოეულის ფასი 1-2 ლარს არ აღემატება, ამიტომ მყიდველი ყოველთვის არის. ერთი სიტყვით, ჩემს მშვენიერ ნაცნობს, კარგი ვაჭრობა აქვს. როცა გავესაუბრე, მითხრა: აქ დგომა პირველად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მინდოდა მესწავლა და რადგან უფასო სექტორზე გამოცდების ჩაბარება ვერ შევძელი, ყველა უხერხულობა გადავლახე და წიგნებით ვაჭრობა დავიწყე. სხვა რა გზა მქონდა — ჩემი ოჯახის მთელი შემოსავალი პურის საყიდლად ძლივს გვყოფნიდა, ახლა ტანსაცმლის შესაძენადაც მრჩება ცოტაოდენი თანხაო. სხვათა შორის, „პატარა ბიზნესმენი“ თუმცა სადად, მაგრამ ყოველთვის მოხდენილად არის ჩაცმული. ვერ ვიტყვი, რომ მისთვის ასეთი მუშაობა დღესასწაულია, მით უმეტეს, ზამთრის ქარსა და ყინვაში, მაგრამ გოგონა მშვიდად უძლებს ამ „წვრილმანებს“...

ვინ იცის, ჩემი პატარა მეგობარი ოდესღაც იქნებ მართლაც ძლიერი ბიზნესმენი გახდეს და თავის მემუარებში მოიგონოს კიდეც, როგორ შეეჭიდა დიდ საქმეს... მე მას წარმატებას გულით ვუსურვებ!

***ნიკო გორგი***

**P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**

## საქართველო სამჯერ მეტ გაზს მიიღებს

### ვიდრე რუსეთი გვაწვდის დღეს, თანაც უფასოდ!

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და ბრიტანული კომპანია „აითი“-ის ინიციატივით, თბილისში გაიმართა საქართველოს ნავთობის, გაზისა და ენერგეტიკის საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებას ინვესტორ კომპანიებსა და საქართველოს მთავრობას შორის ბაქო-თბილისი-არზრუმის, ანუ შაჰ-დენიზის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამით პრაქტიკულად საწყისი მიეცა ამ უდიდესი ენერგოპროექტის განხორციელებას. კონფერენციას და ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიას დაესწრო პრეზიდენტი შევარდნაძე, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ „გლობალურ ანტიტერორისტულ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა, რის შესახებაც პრეზიდენტმა ბუშმაც განაცხადა ვაშინგტონში 11 მარტს, მილსადენთა უსაფრთხოების პროგრამასაც გულისხმობს. ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის განვითარებით საქართველო ბუნებრივად მოექცა როგორც მეზობელი, ისე ევროპისა და აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესთა არეალში“.



კონფერენციაში მონაწილეობდა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საგანგებო მრჩეველი კასპიის რეგიონის ენერგეტიკული დიპლომატიის საკითხებში სტივენ მანი, რომელმაც პრაქტიკულად დაადასტურა პრეზიდენტ შევარდნაძის ნათქვამი. მეტიც, კონფერენციაზე ისიც დაფიქსირდა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფნის განვითარების პროცესში ნატო-ს სტრუქტურებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. სტივენ მანმა წარმოაჩინა ოფიციალური ვაშინგტონის პოზიცია და ბრძანა, რომ აშშ სერიოზულ ყურადღებას დაუთმობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰ-დენიზის გაზსადენის უსაფრთხოებას!

ამავე კონფერენციაში მონაწილეობდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და პრეზიდენტ პუტინის საგანგებო მრჩეველი კასპიის ზღვის სტატუსის დარეგულირების საკითხებში ვიქტორ კალუჟნი, რომელმაც განაცხადა, — კასპიის ენერგოპროექტების განხორციელება მეტად მნიშვნელოვანი საქმეა და რუსეთის ჩართვა ამ პროექტში ხელს შეუწყობს სტაბილურობას რეგიონში და თანამშრომლობის განვითარებასო. რუსი დიპლომატის ამ პოზიციას მაღალი შეფასება მისცა ქართულმა მხარემ. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გია ჭანტურიამ კი ვიქტორ კალუჟნის გააცნო ნოვოროსიისკი-სუფსა-ჯეიჰანის შემაერთებელი ნავთობსადენის მშენებლობის იდეა, რომელმაც აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს. ნოვოროსიისკიდან ჯეიჰანის მარშრუტით რუსული ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთს ყოველწლიურად 500-700 მლნ დოლარის სუფთა მოგებას მისცემს! ბუნებრივია, ამ პროექტის რეალიზება პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან და როგორც ჩანს, რუსებს სერიოზულად მოუწევთ დაფიქრება, როგორც გია ჭანტურიამ ბრძანა, — რა აირჩიონ, ამ ენერგოპროექტში ჩართვა და მოგების მიღება, თუ კვლავაც სეპარატისტული და არეულ-დარეული, უპერსპექტივო აფხაზეთი! არადა ფაქტია, რომ ვერც ნოვოროსიისკის პორტი და ვერც თურქეთის სრუტეები ვერ გაატარებენ იმ ნავთობის ნახევარსაც კი, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან ნოვოროსიისკიდან წამოსული ნავთობსადენის შეერთების მეშვეობით იქნება შესაძლებელი! რაც შეეხება შაჰ-დენიზის გაზსადენის ეკონომიკურ მნიშვნელობას, საქართველო ყოველწლიურად სამჯერ მეტ გაზს მიიღებს, თანაც უფასოდ, ვიდრე რუსეთი გვაწვდის დღეს!

***საკუთარი ინფორმაცია***

## ბუში „სწორად განვითარებად ქვეყნებს“ 5 მლრდ დოლარს აძლევს

ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ კონგრესს განსახილველად წარუდგენს განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების ახალი პროგრამების პროექტს. იგი სამ წელზეა გათვლილი და 5-მილიარდიანი ბიუჯეტი აქვს. ამერიკა დაეხმარება მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებშიც იცავენ ადამიანის უფლებებს, ებრძვიან კორუფციას, აქვთ ღია ბაზარი და განათლების სისტემა. ბუშის თქმით, პროგრამის მიზანია არა გაჭირვებული ქვეყნებისათვის კრედიტის მიცემა, არამედ რეფორმების მიზანდასახული დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის ალმავლობას და მას ვალების გადახდის საშუალებას მისცემს.

***ასოშეითედ პრესი***



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### ბავშვის გვარის გამოცვლას მამის ნებართვა სჭირდება...

**— მყავს შვილი, რომელიც ჩემთან იზრდება და ატარებს მამის გვარს. ოფიციალურ ქორწინებაში არ ვყოფილვართ. მამა-შვილს ექვსი წლის განმავლობაში (ბავშვი ექვსი წლისაა) არ უნახავთ ერთმანეთი. მინდა ბავშვი გადმოვიყვანო ჩემს გვარზე. როგორ მოვიქცე?**

***ე. ქართველიშვილი, თბილისი***

— ბავშვის დაბადების დროს თქვენ შეიტანდით ერთობლივ განცხადებას მოქალაქეობრივი რეგისტრაციის შესაბამის განყოფილებაში, რის საფუძველზეც სამოქალაქო კოდექსის 1192-ე მუხლის თანახმად დადგენილი იქნებოდა მამობა. ე.ი. თქვენი შვილი ატარებს მამის გვარს — ამავე კოდექსის 1196-ე მუხლის შესაბამისად. ბავშვის გადმოყვანა თქვენს გვარზე შესაძლებელია რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (ამისთვის საჭიროა მამის თანხმობა, ხოლო თუ ბავშვი 10 წელზე მეტი ხნისაა, ასევე დაგჭირდებათ მისი თანხმობაც). საბოლოოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით მიბრძანდებით მმაჩის განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც მოხდება ბავშვის რეგისტრაცია თქვენს გვარზე.

### საბუთის ასლის მტკიცებულება სასამართლოს პრეროგატივაა

**— შეიძლება თუ არა სასამართლომ ჩათვალოს მტკიცებულებად თანხის ნასესხობის შესახებ ნოტარიულად დაუმოწმებელი ხელწერილის ქსეროასლი, რომლის დედანიც არ არსებობს.**

***გ. კალატოზიშვილი, თბილისი***

— საქართველოს სამოქალაქო საპროცედურო კოდექსის თანახმად, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილი უნდა იქნას დედნის სახით. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ არსებობს ისეთი მიზეზები, რომლის თანახმადაც შეუძლებელია ასეთი საბუთების წარდგენა და აღნიშნულ ფაქტს სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს. ასე რომ, საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება სასამართლოს პრეროგატივაა.

***იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი***

### ყველაზე გავრცელებული გვარები საქართველოში

**— თუ შეგიძლიათ, დაგვისახელოთ საქართველოში ყველაზე გავრცელებული გვარი და ამ გვარის ადამიანთა რაოდენობა. დიდად დაგვავალებთ, თუ მე და ჩემს მეგობრებს დაგვეხმარებით დაუსრულებელი დავის გადაწყვეტაში.**

***ა. გელაშვილი, თბილისი***

— გთავაზობთ საქართველოში ათი ყველაზე რიცხვმრავალი გვარის ჩამონათვალს: ყველაზე გავრცელებულია ბერიძის გვარი, რომელიც დაახლოებით 24 797 ადამიანს ითვლის. მას მოჰყვება შემდეგი გვარები: კაპანაძე (18 550); გელაშვილი (17 995); მაისურაძე (16 516); გიორგაძე (14 582); კვარაცხელია (13 618); ლომიძე (12 949); შენგელია (12 764); წიკლაური (12 499); ხუციშვილი (11 062).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კიდევ ათასამდე ისეთი გვარია, რომელთა წარმომადგენლები (თითოეული გვარის მიხედვით) ათას კაცს აღემატებიან.

### როგორ იბეგრება დარიცხული ხელფასი?

**— მაქვს დარიცხული ხელფასი 45 ლარი, ხელზე ვიღებ 38 ლარს და 50 თეთრს. გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ უნდა მოხდეს დაქვითვა ჩემი ხელფასიდან?**

***ა. გილიგაშვილი, ქუთაისი***

— საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, თქვენს დარიცხულ ხელფასს, 45 ლარს აკლდება დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც საქართველოში 9 ლარის ოდენობით განისაზღვრება. დარჩენილი თანხა იბეგრება შემდეგი განაკვეთებით: 1) საშემოსავლო გადასახადი — 12% (აღნიშნული კოდექსის 42-ე მუხლი); 2) სოციალური უზრუნველყოფის გადასახადი — 1%; 3) ჯანმრთელობის დაცვის გადასახადი — 1% (იმავე კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად). ე.ი. დასაბეგრ თანხას, 36 ლარს აკლდება 14% — 5 ლარისა და 04 თეთრის ოდენობით. მიღებულ თანხას ემატება დაუბეგრავი მინიმუმი 9 ლარი. რაც საბოლოო ჯამში შეადგენს 39 ლარსა და 96 თეთრს. საშემოსავლო გადასახადის პროცენტი ცვალებადია დასაბეგრი შემოსავლის ზრდის პროპორციულად.

***„კვირის პალიტრა“***


**ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები**
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

**საუკეთესო ასლგადამღები აპარატები**
**გარანტიით, ფასდაკლებით**
შესაძლებელია:
**განვადება ლიზინგი (იჯარა)**

**საუკეთესო ქსეროასლები შავ-თეთრი**
**2 თეთრიდან 5 თეთრამდე**
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
**ფერადი — 1 ლარი**
**ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან**

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 16 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2350 |
| ევრო | 1,9755 |
| ინგლ. ფუნტი | 3,1739 |
| რუსული რუბლი | 0,0719 |
| თურქული ლირა (10.000) | 1,6580 |


**ოთხშაბათს, 20 მარტიდან გამოვა ასტროლოგიური პროგნოზების ყოველთვიური გაზეთი**
**ზოდიაქო**
ასტროლოგიური პროგნოზების გაზეთი
გამოდის თვეში ერთხელ
ფასი 1 ლარი
აპრილი, 2002 ჰოროსკოპი

„ალოზაფრონის“ ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 34-49-40; 61-32-37 (საღამოს); 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“ აწარმოებს

**ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**
მის: აკურის ქ. №8 (საორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



## თარაზულად:

5



სადასტაქრო არტახების მასალა

6



ჩილეს დედაქალაქი

9



თვალით უხილავი მიკროორგანიზმი

10



საზაფხულო ქუდი

11



ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი

15



ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო

17



კაქტუსის სახეობა, „ტეკილას“ ნედლეული

18



გერმანიის ყოფილი ფულის ერთეული

19



შვებულების გასატარებელი ადგილი

20

ძაფის ან თოკის მსგავსი ლითონის ნაწარმი

24



სიმღერა, რომელსაც ფეხზე ამდგარი ასრულებენ და უსმენენ

25

ქალაქი კახეთში

26



ბრიტანეთის დედოფალი

29



ერთ-ერთი უდიდესი რალის საბოლოო პუნქტი

32



ყველაზე ცნობილი გვარი მსოფლიო მოდის ისტორიაში

33



რკინის ღერო, რომელზედაც აგებულია ხორცის ნაჭრები

34



მდინარე და ტბა კანადაში

35



წარმოსახვითი ხაზი, რომელიც გარს უვლის დედამიწას და ყოფს მას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად

## შვეულად:

1



ლითონის ფირფიტა მელნით საწერად

2



სახელმწიფოს მთლიანობის გარანტი

3



არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული

4



თაქთაქიშვილის ოპერა

5



სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება, საჭიროების შემთხვევაში კვლავ გაწვევის შესაძლებლობით

7



ძეგლის სახეობა

8



საყრდენი, ლითონის გამოსაჭედად

12



ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული

13



სიტყვების გამოცნობაზე აგებული გასართობი — ამოცანა

14



ზღვის მტაცებელი, რომლის ხრტილს კიბოს საწინააღმდეგო საშუალებად იყენებენ

16



თეთრი თიხა, აუცილებელი ნედლეული მაღალი ხარისხის ფაიფურისათვის

21



96მისხალი=409,5გ=1?

22



ეზოს დიდი კარი, ჭიშკარი

23



გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი

27

სისხლძარღვებში გაჩენილი სისხლის შენადედი

28




ტროპიკული ქარი, რომელიც ქრის სუბტროპიკული სარტყელიდან ეკვატორისკენ

30



ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა

31



მომცრო საზიდარი

**კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ**

**„კვირის პალიტრა“ №10 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ლისაბონი; 6. კარტინგი; 9. მტკვარი; 10. შიფერი; 11. არქივი; 15. ავტოგრაფი; 17. ატამი; 18. ბერია; 19. პალიტრა; 20. ტრიტონი; 24. ნერგი; 25. ბროლი; 26. ბრილიანტი; 29. სათალი; 32. ბალიში; 33. სარდაფი; 34. ალბინოსი; 35. არლეკინი.

**შვეულად:** 1. ღამურა; 2. ენოტი; 3. ბასრი; 4. მინორი; 5. ლილიპუტი; 7. ინოვაცია; 8. გვერგვი; 12. უვერტიურა; 13. ოფიციანტი; 14. ემბარგო; 16. სეინერი; 21. ბენგალია; 22. ბრიგადა; 23. პლანშეტი; 27. ალალია; 28. შაკიკი; 30. „დაისი“; 31. სფერო.



# ამ სამი კაცის დაღუპვით თითქოს მთელი თაობა გაქრა...

**აგვისტოს მიწურულს თბილისი რომ საოცარი ხიბლით ივსებოდა, ეს კარგად ახსოვს სამოციანი წლების თაობას... ღიმილჩამდგარი თვალებით და მოყვასისთვის ღია გულით მოდიოდნენ დედაქალაქის დედაქუჩაზე გარუჯული და ხალისიანი თბილისელები...**

**მიკითხვ-მოკითხვა ისმოდა ყველგან...**

**ერთმანეთს მონატრებული შორეული ნაცნობებიც კი დიდხანს ველარ შორდებოდნენ ერთმანეთს.**

**მაშინაც ასეთი აგვისტოს მიწურული იდგა. 1961 წლის 29 აგვისტო... მეხივით გავარდა ხმა უნივერსიტეტში, კიროვის პარკში, რუსთაველზე შემოიჭრა და ჩააქრო ღიმილი. ელდა ჩადგა თვალებში — კუხო დაიღუპაო, ჯუმბერი დაიღუპაო... ჩვენი ბიჭები ტიან-შანზე დაღუპულანო.**

ეს მოხდა 40 წლის წინ... ტიან-შანზე, მწვერვალ გამარჯვების პიკის დალაშქვრის შემდეგ, უკან დაშვებისას ტრაგიკულად დაიღუპა სამი ქართველი მთამსვლელი — **ილია გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი**. დანარჩენი წევრები — კირილ კუზმინი, მიხეილ ხერგიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) მშვიდობიანად დაეშვნენ ბანაკში. როგორ დატრიალდა ეს ტრაგედია, რომელმაც მაშინდელი ალპინისტური სამყაროს ეს უძლიერესი მთამსვლელები შეიწირა, ამის შესახებ ცოცხლად გადარჩენილთა მონათხრობიდან თუ მეძმარიაშვილის დღიურებიდან შეიტყვეს დანარჩენებმა.

დაღუპულთაგან ორი — კუხიანიძე და მეძმარიაშვილი მაშინვე იპოვეს და გადმოასვენეს, ხოლო ილია გაბლიანი, რომელიც პირველი დაიღუპა, ახლაც განისვენებს 6900 მეტრის სიმაღლეზე, მარადი თოვლითა და ყინულით დაფარული მთის კალთაზე.

საერთოდ, ეს რაიონი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ რაიონად ითვლება. ორი დიდი ქედი მილივით ისრუტავს რაც კი შუა აზიის უდაბნოში ტენი ორთქლდება და ამის გამო, დღის მანძილზე ამინდი შეიძლება შვიდრვაჯერაც კი შეიცვალოს მოწმენდილი ციდან გაუვალ ქარბუქამდე. ერთ-ერთი მიზეზი ტიან-შანზე მომხდარი ტრაგედიებისა ესეც არის. განსაკუთრებით მძიმე პირობებია გამარჯვების პიკზე.

1959 წელს ამ რაიონში აღმოჩნდა ქართველთა სასიმაღლო ნაკრები — ილია გაბლიანი, გიორგი აბაშიძე, რეზო და ოთარ ხაზარაძეები, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, შოთა მირიანაშვილი, დიმიტრი დანგაძე, ომარ ბერაძე, სოლიკო ხაბეიშვილი, ნოდარ ნადირაშვილი. კაპიტანი იყო ჯუმბერ მეძმარიაშვილი. მათი ამოცანა გამარჯვების პიკზე ახალი, სასიმაღლო-ტექნიკური მარშრუტის გავლა იყო. მაგრამ ის-ის იყო ჯგუფმა მარშრუტის დამუშავება დაიწყო, რომ მიიღეს რადიოგრამა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ზვავში მოყოლილ ლენინგრადელ ტურისტებს დახმარება ესაჭიროებოდათ. ამას მოჰყვა მეორე რადიოგრამა — ამჯერად საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჯგუფი ითხოვდა სამაშველო სამსახურს... ასე გაცდა ის სეზონი. 1960 წელს შეიკრიბა სსრკის ნაკრები, რომელიც 30 მთამსვლელისაგან შედგებოდა. მიზნად ჰქონდათ ტიან-შანზე დაღუპული ალპინისტების ჩამოსვენება. მაგრამ როგორც კი გავიდა ჯგუფი მყინვარიდან და დაიწყო ასვლა ყინულის ბარიერზე, ყველანი ზვავში მოჰყვნენ. მათგან მხოლოდ 19 გადარჩა, მათ შორის, ექსპედიციის ხელმძღვანელი კირილ კუზმინი. ამ ტრაგედიამ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ ალპინისტურ სამყაროზე და განსაკუთრებით, ოთარ გიგინეიშვილზე — მაშინდელ ქართულ მთამსვლელობაში ერთ-ერთ წამყვან ორგანიზატორსა და დიდად წარმატებულ ხელმძღვანელზე — მას იმ ტრაგედიის შემდეგ გახედვაც აღარ უნდოდა ტიან-შანისკენ.

**შოთა მირიანაშვილი** მოგვითხრობს: *„ჩვენ მაშინ კატეგორიულად მოვითხოვეთ 1961 წლის ექსპედიციის მოწყობა. ბოლოს და ბოლოს, ბ-ნი ოთარი დაგვთანხმდა, ოღონდ გადაწყვეტილება მიიღო, ექსპედიცია მოეწყო არა რომელიმე გუნდთან, არამედ საქართველოს ნაკრებთან ერთად. მხოლოდ 25-მა თუ 28 კაცმა მოიყარა თავი. ცხადია, ეს ძალიან გააძნელებდა ასვლას, უნდა დადგენილიყო მოიერიშე ჯგუფი, ასევე მეორე ჯგუფი. ჩემი წაუსვლელობაც სწორედ ამ მომენტმა განაპირობა — აქვე, თბილისში ვერ გადაწყდა, ვინ რომელ ჯგუფში იქნებოდა. მახსოვს, კუხიანიძე მეუბნებოდა, თუ დარჩენა გაქვს გადაწყვეტილი, მითხარი, და არც მე წავალ, რაღაც გული არ მიმიწევსო. მაშინ კონკრეტული პასუხი ვერ მივეცი, რაც მერე ძალიან ვინანე. მოგეხსენებათ, ალპინიზმი არც ფეხბურთია და არც კალათბურთი, სადაც შეიძლება შეყარო უძლიერესი სპორტსმენები და კარგი გუნდი გამოგივიდეს, რომელიც მერე კარგ შედეგსაც მოიტანს. ჩვენს საქმიანობაში ასე არ არის. შეიძლება ძლიერ მთამსვლელთა ჯგუფი შეკრა, მაგრამ შიგნიდან არ იყოს, ასე ვთქვათ, შეკრული. აი, სწორედ ეს მომენტი აკლდა ამ მომავალ ექსპედიციას. სხვადასხვა ინტერესის მქონე, სხვადასხვა სკოლაში ნამუშევარი მთამსვლელები ერთმანეთს ნაკლებად იცნობდნენ, ერთად სიარულის გამოცდილება ბევრ მათგანს არ ჰქონდა. ერთი სიტყვით, მე აღარ წავედი ასეთ დაულაგებელ სიტუაციაში. გეგმად დაისახეს 1959 წლის მარშრუტის გამეორება. პირველ ჯგუფში მოხვდნენ ჯუმბერ მეძმარიაშვილი (გუნდის კაპიტანი), კირილ კუზმინი, ილია გაბლიანი, თემურ კუხიანიძე. მეხუთე წევრად გიგინეიშვილმა მიშა ხერგიანი ჩაწერა. მაგრამ ამ უკანასკნელმა ულტიმატუმი წაუყენა, თუ ჩემს ბიძაშვილს, „პატარა“ მიშას არ ჩასვამთ ჯგუფში, მეც ვერ წავალო. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. თუმცა, არ ვიცი, გიგინეიშვილის ამ გადაწყვეტილებაზე რამ იმოქმედა. ისე, „პატარა“ მიშა არ იყო ურიგო მთამსვლელი, საკმაოდ ძლიერი შედეგები ჰქონდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ასეთ სიმაღლეზე არ იყო ნამყოფი და არავინ იცოდა, აიტანდა სასიმაღლო ასვლას თუ ვერა. საერთოდ ცნობილია, რომ მთიან რეგიონში მცხოვრები ხალხი ცუდად იტანს აკლიმატიზაციას სიმაღლეზე. თურმე იმის გამო, რომ მთაში ცხოვრობენ, წითელი ბურთულაკების რაოდენობა სისხლში თავისთავად მომატებული აქვთ. სიმაღლეზე ეს რაოდენობა კიდევ უნდა გაიზარდოს, რადგან ორგანიზმისთვის დამაკმაყოფილებელი ჟანგბადი შეითვისოს. როგორც ამბობენ, ვისაც ეს „მატების“ პროცესი უკვე გავლილი აქვს, შემდგომად უფრო უჭირს დამატებითი რაოდენობის ბურთულაკების გამომუშავება, ვიდრე ბარში მცხოვრებს. ეს მომენტი ოთარისთვისაც ნაცნობი იყო, მაგრამ გარისკა და დათანხმდა. ასე რომ, იმ ოთხეულს „დიდი“ და „პატარა“ მიშა ხერგიანებიც დაემატნენ. მეორე ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ოთარ ხაზარაძე, რომელსაც პირველი ჯგუფის კვალდაკვალ ევალებოდა გასვლა, ოღონდ ტრავერსი არ უნდა გაეკეთებინა და თუ საჭირო გახდებოდა, პირველ ჯგუფს დახმარებოდა. მაგრამ მაშველი მაშინ უფრო საიმედოა, როცა ყოველ წამს მზად არის დასახმარებლად. იყო შემთხვევები, როცა ორივე ჯგუფი მთაზე ყოფილა, საბაზო ბანაკში კაციშვილი არ დარჩენილა და გაჭირვების ჟამს დახმარება ვერავის მოუხერხებია“.*

ასე იყო თუ ისე, პირველი ჯგუფი 22 აგვისტოს გავიდა მარშრუტზე. სამი დღე მოანდომეს დასავლეთ ქედზე ასვლას, რომელსაც ვაჟა-ფშაველა დაარქვეს. იქიდან მოყოლებული, სწორი ქედი კილომეტრ-ნახევრის შემდეგ ადგება წიბოს, რომელიც უშუალოდ გამარჯვების პიკის მწვერვალზე მიდის. მე-4 თუ მე-5 ღამისთევა ჰქონდათ სწორედ წიბოს დასაწყისში. ეს გახლავთ 26-27 აგვისტო. ერთი კარავი ჰქონდათ, სადაც ოთხნი იყვნენ, ხოლო დანარჩენი ორი წევრისთვის მღვიმე გააკეთეს. გათენდა. ყველანი მოემზადნენ და დაიწყეს ასვლა. მწვერვალამდე დაახლოებით 400 მეტრი იყო გასავლელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „პატარა“ მიშა სიმაღლის გამო ცუდად შეიქნა და გზას ვერ აგრძელებს. აქ დადგნენ დილემის წინაშე — რა ვქნათ! ყველას თავისი მოსაზრება ჰქონდა. ერთზე კი ექვსივე შეთანხმდა: ტრავერსის გავლა უნდა გამოერიცხათ. თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებით ყველა პრობლემა არ გადაჭრილა. ზოგის აზრით, „პატარა“ მიშა კარავში უნდა დაეტოვებინათ, ასულიყვნენ მწვერვალზე, რომელიც ფაქტობრივად 5-6 საათის სიარულს მოითხოვდა, მერე დაბრუნებულიყვნენ ავადმყოფთან კარავში და დილით ყველანი ერთად დაეშვებოდნენ ქვემოთ. მეორენი ამჯობინებდნენ, ღამე კარავში გაეთენებინათ და ავადმყოფის მდგომარეობა თუ არ გაუარესდებოდა, მერე ასულიყვნენ მწვერვალზე. მაგრამ უმრავლესობამ ამ სიმაღლეზე კიდევ ერთი ღამის გათენება და ძალების დაკარგვა სწორ გადაწყვეტილებად არ მიიჩნია. ჯუმბერ მეძმარიაშვილმა, კუზმინმა, კუხიანიძემ და გაბლიანმა ზურგჩანთები დატოვეს და მწვერვალისკენ აიღეს გეზი, ხოლო მიშა ხერგიანმა გადაჭრით გადაწყვიტა, რომ ნათესავი არ მიეტოვებინა და მასთან ერთად ბანაკში დარჩა. ოთხეულმა მწვერვალს მიაღწია და ისევ დილემის წინაშე დადგა.



ილია გაბლიანი

**შოთა მირიანაშვილი:** *„იქ ძალიან დიდი მასივია და იოლი არ არის, თქვა, რომელი წერტილია უმაღლესი. საბჭოთა ალპინისტურ წრეებში იყო აზრი, რომ 1956 წელს აბალაკოვმა ვერ მიაღწია მწვერვალს. ჰოდა, თუ ჩვენები დადგამდნენ ფეხს იქ პირველად, ეს დიდი მონაპოვარი იქნებოდა ქართველებისთვის. კუზმინმა შესთავაზა ჯუმბერს, მოდი გადავიდეთ ქედის იქითა მხარეს და დავრწმუნდეთ, არის თუ არა იქ ნამყოფი აბალაკოვიო. ეს საუბარი ჯუმბერის დღიურში არ არის, ამიტომ მხოლოდ კირილის მონათხრობს ვეყრდნობი, რომელიც ასე აგრძელებს ამ ამბავს... მათ შესთავაზეს კუხიანიძეს და გაბლიანს, დაეწყოთ დაშვება ბანაკისკენ, თვითონ კი წავიდნენ. მაგრამ კუხიანიძე ის კაცი არ იყო, ჯგუფის წევრები მიეტოვებინა და თვითონ ბანაკში დაბრუნებულიყო. ვინ იცის, რა დაემართებოდათ და მერე, ბანაკში მისულები ხომ ველარ შეძლებდნენ ზემოთ ხელახლა ასვლას და დახმარებას?.. ამიტომ გადაწყვიტეს, დარჩენილიყვნენ და დალოდებოდნენ. ჯუმბერს და კირილს სასიარულო საკმაოდ ბევრი ჰქონდათ, მაგრამ გადაიარეს თუ არა ქედი, იქ აბალაკოვის წერილი დახვდათ. ასე რომ, ის ვარიანტი, თითქოს ქართველებმა პირველებმა დადგეს ფეხი მწვერვალზე, არ გამართლდა. დაიწყეს დაშვება, მაგრამ ერთ ადგილას კლდეს მოსწყდნენ და დაახლოებით 100-150 მეტრი „იფრინეს“ ჩრდილოეთის მიმართულებით. სასწაულებრივად გადარჩნენ. კუზმინი ჰყვებოდა — ქედზე უკან ასვლის თავი აღარ გვქონდა, გზა გვერდზე გადავჭერით და მწვერვალი, სადაც კუხიანიძე და გაბლიანი გველოდნენ უკან მოვიტოვეთ. არც კი დავეჭვებულვართ იმაში, რომ ისინი უკვე კარავში იქნებოდნენო. დაღამებისას მიაღწიეს კარავს. ნახეს, რომ დანარჩენების ზურგჩანთები ხელუხლებად ეწყო. ბევრი იყვირეს, მაგრამ მიშა ხერგიანს ხმა ვერ მიაწვდინეს, რადგან ისინი მღვიმეში იყვნენ და არ ესმოდათ. ამასობაში სულ ჩამობნელდა. არანაირი საშუალება უკან დაბრუნებისა აღარ გააჩნდათ. კარავიც არ გაუშლიათ, ღამე საძილეებში გაათენეს. დილით დაინახეს, რომ თხემზე მწვერვალიდან ორი კაცი ეშვება. როგორც ჩანს, მათ უცადეს, უცადეს, ამასობაში დაღამდა და ველარ დაეშვნენ ქვემოთ. როგორც მერე მეძმარიაშვილმა დღიურში ჩაწერა, კუხიანიძეს უცდია თოვლში რაღაც მღვიმისმაგვარი გამოეჭრა, მაგრამ სიმაღლეზე მღვიმის გამოჭრა, როცა არ გაქვს სპეციალური ნიჩაბი და ხერხი, ერთი კაცისთვის შეუძლებელი გახლავთ. მით უმეტეს, ქედზე არ იქნებოდა დიდი თოვლი. ცოტა ხანში ყინული გამოჩნდებოდა“.*



ჯუმბერ მეძმარიაშვილი



როგორც ჯუმბერი აგრძელებს თავის ჩანაწერში, ილიკო გაბლიანი ჩამომჯდარა იმ გამოჩორკნილ „მღვიმეში“, ხოლო კუხიანიძე წინ ედგა და იფარავდა. იგი კიდევ იმან გადაარჩინა, რომ მთელი ღამე ხტუნავდა და დარბოდა. მაგრამ სიმაღლეზე ღამით მინუს 30-40 გრადუსია. ასეთ პირობებში ღამენათევი კაცი როგორ იქნება, ძნელი მისახვედრი არ არის. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თავისი ფეხით ჩამოვიდნენ. ის ღამე კარავში გაათენა ამ ოთხეულმა. ხერგიანები კვლავინდებურად მღვიმეში დარჩნენ. მეორე დილით მივიდა მათთან მიშა ხერგიანი და უთხრა, რომ ისინი უკვე მზად არიან და იწყებენ დაშვებას. ცოტა ხანში დანარჩენებიც მოემზადნენ. ჯუმბერი წერს, რომ ილიას დაეხმარა „შეკელტონების“ ჩაცმაში, თან რაღაცას ელაპარაკებოდა, ილია პასუხობდა. უცებ ლაპარაკი შეწყვიტა. როცა ჯუმბერმა მისკენ მიიხედა, გაბლიანი წაქცეული იყო. მივიდა, გასინჯა, აღარ სუნთქავდა. ჯუმბერი სასწრაფოდ დაეწია მიშა ხერგიანს და უთხრა, რომ ილია გარდაიცვალა. მიშამ ურჩია, ახლა ცოცხლებზე ვიზრუნოთ, ილიას წასვენებას რომ ვერ მოვახერხებთ, ეს ცხადზე ცხადიაო. დაბრუნდა ჯუმბერი უკან. მან და დანარჩენებმა ილიას ცხედარი იმ ერთადერთ კარავში გაახვიეს, მოედანი მოუწმინდეს, ქვები და ყინულები მიუწყვეს. ჯუმბერმა ილიას წერილი ჩაუდო: „გვაპატიე, წელს ვერ შევძელით შენი ქვემოთ ჩაყვანა, მაგრამ აუცილებლად ჩაგიყვანთ“. აქ წყდება მეძმარიაშვილის დღიური. დანარჩენი მონათხრობი მხოლოდ კირილ კუზმინს ეკუთვნის, რადგან ხერგიანები საკმაოდ დაწინაურებულნი იყვნენ იმისთვის, რომ დაენახათ, როგორ განვითარდა მოვლენები. რაც შეეხება ილია გაბლიანს, მთამსვლელთა ვარაუდით, მისი სიკვდილის მიზეზი ან ორგანიზმის ე.წ. გადაცივება იყო, ან ჩვეულებრივი ინფარქტი.

კუზმინმა, მეძმარიაშვილმა და კუხიანიძემ თოკი გადაკიდეს ქვაზე, ჩაებნენ და სათითაოდ დაიწყეს დაშვება. ჯერ კირილი და ჯუმბერი ჩავიდნენ, შეყოვნდნენ თოვლის პატარა ბაქანზე და ელოდნენ კუხოს, რომელიც ბოლოს მოდიოდა. კუზმინი წერს, რომ სულ რაღაც ერთ-ნახევარი მეტრი ჰქონდა დარჩენილი თეიმურაზს, როცა იგი უცებ საჯდომით და ზურგჩანთით დაეცა. ეს ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. კირილი იმდენად დაიბნა, რომ როგორც თვითონ ამბობს, შეეძლო ხელის გაწოდება ბაქნიდან და მისი შეჩერება, მაგრამ იმწამს ეს ვერ მოისაზრა. ამასობაში კუხიანიძე დაცურდა და საშინელი სისწრაფით წავიდა ქვემოთ. ეს ხდება დაახლოებით 6700 მეტრის სიმაღლეზე. ჯუმბერ მეძმარიაშვილმა გადაწყვიტა, ყინულის ფერდი გადაეკვეთა და ენახა, იქნებ სადმე შეიმაგრა თავი თეიმურაზმა და მისი გადარჩენა შესაძლებელი იყო.

მე ვუთხარი ჯუმბერს, წერს კუზმინი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, თან ყინულზე სასიარულო აღჭურვილობა არ გააჩნდა, მაგრამ არ დაიშალა და მეც რა მექნა, მარტოს ხომ არ გავუშვებდი, მივყევი კვალდაკვალო.

ჯუმბერი ჭრიდა საფეხურებს ყინულზე, კირილ კუზმინი უკან მიჰყვებოდა. უცებ წინ მიმავალი ასხლტა და დაცურდა. რამდენიმე წამში სასწაულებრივად გაჩერდა წერაყინზე. კუზმინსა და მას შორის სულ რამდენიმე მეტრი იყო. კირილმა დაიწყო საფეხურის ჭრა მისი მიმართულებით, იმედი ჰქონდა, რომ ხელს მიაშველებდა, რადგან აღარც ერთი თოკი აღარ შერჩათ, ყველაფერი თემურმა გადაიყოლა ქვესკნელში. ჯუმბერმა ხელი აუშვა წერაყინს...

**ოთარ ხაზარაძე,** მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი: *„30-ში მე და ჯუმბერ კახიანი გავდივართ ქედზე 5200 მეტრზე და იქ ვიგებთ მწვარე სინამდვილეს. მიშა ხერგიანი და ჯოკია გუგავა უკვე ჩასულან მყინვარ „ზვიოზდოჩკაზე“ ბიჭების — კუხოსა და ჯუმბერის გვამების საძებნელად. მეც დაუყოვნებლივ ჩავდივარ მათთან. მყინვარზე ჯერ ვპოულობთ კუხოს ზურგჩანთას, შემდეგ კი მათ გვამებს. ფერდობიდან ისინი ძირს ჩამოგვყავს და თოვლში ვასვენებთ.*

*2 სექტემბერს გვამები საბაზო ბანაკში გადმოვიტანეთ. 12-ში კი თბილისიდან გადმოგზავნილ საკაცეებში მოვათავსეთ. აეროდრომზე უამრავი ხალხი გვხვდება. საშინლად მძიმე შეხვედრა იყო. ამ დროისათვის ეს იყო პირველი ქართული ექსპედიცია, რომელიც ასე წარუმატებლად და ტრაგიკულად დამთავრდა (საუბედუროდ, ტრაგედიები შემდეგშიც განმეორდა. 20 წლის შემდეგ კი მთის სიყვარულმა ჯუმბერის ვაჟი — დათოც იმსხვერპლა). ჯუმბერისა და კუხოს ნეშტები ქართველმა ხალხმა დიდუბის პანთეონს მიაბარა, ილიას ნეშტი დღესაც „გამარჯვების“ ქედზე, 6700 მეტრის სიმაღლეზე განისვენებს. შემდგომში მისი ნეშტი რამდენიმე ჯგუფმა ინახულა. ილიას ნეშტის ჩამოსასვენებლად 1966 წელს ტიანშანზე ექსპედიცია გაემგზავრა მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით, მაგრამ, დიდი უამინდობის გამო ვერ მოხერხდა.*



თეიმურაზ კუხიანიძე

*დიდი ბოდიში მინდა მოვუხადო ჯუმბერის, კუხოსა და ილიას ოჯახის წევრებსა და მათ ახლობლებს ამ ისტორიის შეხსენებისათვის“.*

**შოთა მირიანაშვილი:** *„ამ სამი კაცის დაღუპვით, თითქოს მთელი თაობა გაქრა. დარჩნენ ძველები, ანუ შედარებით ხანში შესული ალპინისტები და ძალიან ახალგაზრდები, რომლებიც მხოლოდ იწყებდნენ სერიოზულ მუშაობას. იმ 29 აგვისტოს შემდეგ „29“ რიცხვი თითქოს ავბედითად სდევდა მთამსვლელებს, რადგან ამ რიცხვში კიდევ არა ერთი ტრაგედია დატრიალდა. ტიან-შანისკენ კი გახედვა აღარ უნდოდათ არც ალპინისტებს და მით უფრო, მათ ახლობლებსა და ოჯახებს, თუმცა შემდგომში მაინც არა ერთი გამარჯვება მოიპოვეს ქართველებმა ამ ულამაზეს ცისფერ მთებში“...*

**ლელა კოდალაშვილი**

# მუსიკა ზეციდან

## ხელებს შოპენის სული ამოძრავებს... მუსიკას ლენონის სული მკარნახობს...

1960 წელს დიდ ბრიტანეთში გამოჩნდა ვინმე როზმარი ბრაუნი, რომელიც ირწმუნებოდა, — ციდან ჰანგების მოსმენის უნარი მაქვსო. იგი თითქოს ისმენდა ლისტის, ბეთჰოვენის და შოპენის ნაწარმოებებს.

კალიფორნიელი ბელინდა არლი XX საუკუნის 70-იან წლებში ასრულებდა შოპენის უცნობ ნაწარმოებებს, თანაც მისი თითები კლავიშებზე თავისთავად დარბოდნენ. ბელინდა ამტკიცებდა, — ჩემს ხელებს შოპენის სული ამოძრავებსო. გარდა ამისა, ქალი უცნობი ავტორების კომპოზიციებსაც უკრავდა. ზოგიერთ სიმღერას მისთვის უცნობ, უცხო ენებზე მღეროდა. ხმას კი ბარიტონიდან მეცო-სოპრანომდე იცვლიდა.

1999 წელს ამერიკელმა ექსტრასენსმა ლინდა პოლიმ განაცხადა, რომ ციდან თავის სიმღერებს უგზავნის ჯონ ლენონი. იგი სიზმარში გამომეცხადა და ცაში თავისი მუსიკალური მოღვაწეობის შესახებ მიამბო. თანაც მითხრა, ამას მსოფლიოს გადარჩენის მიზნით ვაკეთებო, — ირწმუნებოდა ლინდა პოლი.

ლინდა და მისი, ასევე ექსტრასენსი ქმარი ჯერალდი გამოსცემენ ჟურნალ „სულების ხმებს“. იგი მთლიანად ეძღვნება სპირიტიზმის თემას, მიცვალებულებთან ასტრალურ კავშირს. ამ ჟურნალში ლინდა და ჯერალდ პოლებმა გამოაქვეყნეს სპირიტუალური ინტერვიუები ისეთ ცნობილ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ რუდოლფ ვალენტინო, გრეტა გარბო, ელვის პრესლი. ცოლ-ქმარი ირწმუნება, რომ ხშირი ურთიერთობა აქვთ მწერალ არტურ კონან დოილის, მეცნიერ ნიკოლო თესლას სულებთან...

ჯერალდ პოლს ეს არაჩვეულებრივი უნარი ბავშვობიდან აქვს. იგი ყოველთვის ხედავდა სულებს და ესმოდა ხმები. 17 წლის ასაკში სულები მას სიზმარსა და ხილვებში ეცხადებოდნენ. მათ ჯერალდს აცნობეს: შენი მოწოდება ამ ცხოვრებაში ადამიანებისთვის ჩვენი შეტყობინებების გადაცემააო. ლინდამ და ჯერალდმა სულების მითითებით დააარსეს სპირიტიზმის კურსები. პოლები თავიანთ ფილოსოფიას სპირიტიზმს უწოდებენ. ცოლ-ქმარი უარყოფს ყველა რელიგიას და ირწმუნება, რომ ხდება სხეულის და სულის რეინკარნაცია, ქორწინების საკითხი ზეცაში წყდება და სხვ...

პოლების აზრით, გარდაცვლილთა სულები ადამიანთა ცხოვრებაზე ზეგავლენას ახდენენ და განსაზღვრავენ ჩვენს ბედს. მათი აზრით, ყველა ადამიანს თავისი სულიერი მფარველი — სპირიტუალური გიდი ჰყავს. ჯერალდმა და ლინდამ რამდენიმე წიგნი გამოსცეს სპირიტიზმის შესახებ.

ლინდა ჰყვება, როგორ ნახა სიზმარში ლენონი: „დავინახე გრძელთმიანი და სათვალიანი



კაცი. სულთა საუფლოში ჩემმა გიდმა მითხრა, ეს ჯონ ლენონიაო. მიბრძანა, ამელო ფურცელი და ფანქარი და ჩამწერე მისი სიმღერებიო“. ლენონის სული წერდა ლინდას ხელით. ეს სიმღერა ლინდამ გაღვიძებისთანავე ფორტეპიანოზე შეასრულა და ჯერალდს მოასმენინა. ლენონმა მათ სულ 17 სიმღერა გამოუგზავნა.

ჯონ ლენონის „ყური დაუგდე ანგელოზებს“ ლინდამ ლოს-ანჯელესის რადიოში შეასრულა. ლენონმა სიზმრებში აუხსნა ლინდას, რომ იგი „ბითლზებთან“ ერთად დაწყებულ საქმეს ზეცაში აგრძელებს. მისი მიზანია — მშვიდობა მთელ მსოფლიოში, საყოველთაო სიყვარული, ისევე როგორც სპირიტუალურ სამყაროში, რომელსაც ადამიანებმა ენერგეტიკული თანადგომა უნდა გაუწიონ.

რა მოხდება, თუ სპირიტუალური სამყარო დაინგრევა? ლინდას აზრით: „მაშინ სიცოცხლე დედამიწაზეც შეწყდება. თუ ადამიანები არ შეწყვეტენ თავიანთი ზიზღით და შურით ბნელი ძალების გაძლიერებას, არ ილოცებენ საყვარელ ადამიანებზე, დედამიწა განწირულია!“

ლინდა და ჯერალდ პოლები ხშირად მართავენ კონცერტებს, სადაც ძირითადად ჯონ ლენონის სიმღერებს მღერიან.

მაიკლ ჰარინგტონგს, ბელმონტის უნივერსიტეტის მუსიკის პროფესორს „ბითლზების“ შვიდი ათასი ორიგინალური ჩანაწერი აქვს. როგორც იგი ამბობს, ლინდას მიერ ზეციდან მიღებული მუსიკა ძალიან ჰგავს ჯონ ლენონის სტილს, იდენტურია მელოდიური სტრუქტურა, რიტმი და ჰარმონია.

ზეციდან მიღებული სიმღერების ჩანაწერი თავისი შესრულებით ლინდამ ლენონის ვაჟიშვილებს — ჯულიანსა და შონს გადასცა.

ამ ცოტა ხნის წინ სენტ-ჯეიმსის სამედიცინო ცენტრის მეცნიერებმა შესთავაზეს ლინდას გამოკვლევის ჩატარება. ლინდას თავზე დამონტაჟებული ელექტროდების დახმარებით, მეცნიერები შეეცდებიან, მიღებული სიგნალების ჩაწერას. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ გზით მსოფლიომ მოისმინოს ზეციდან გამოგზავნილი ჯონ ლენონის მორიგი მუსიკალური შედევრი.

*კალეიდოსკოპი №8*

# ინტუიცია — მფარველი ანგელოზია



დღეს მეცნიერება თავისუფლად ლაპარაკობს ამოუცნობ მოვლენებზე, რომელიც ადრე მისტიკად ითვლებოდა.

ელექტრომაგნიტურ ველში მოთავსებული ადამიანი ნათებას იწყებს. ეს გარკვევით ჩანს ფოტოზე — ადამიანის ფიგურა განათებულ ნიმბშია მოქცეული. ფიქრობენ, რომ სწორედ ესაა ადამიანის არსი, რომელსაც აურას უწოდებენ. ზოგიერთი ექსტრასენსი ამტკიცებს, რომ ეს მარტო ბიოენერგია კი არ არის, არამედ ადამიანის სული და როცა ადამიანი კვდება, მისი სული, ენერგიის კოლტის სახით, ზეცაში ადის, ყოველ შემთხვევაში, მიცვალებულის სხეული ელექტრომაგნიტურ ველში არ ანათებს.

სულიერების ენერგეტიკა ორი ნაკადით იკვებება: ზემოდან წამოსული — კოსმოსიდან და ზეასული — მიწიდან. დედამიწიდან ასული ენერგეტიკა ცხოველურ, მიწიერ სურვილებს ავითარებს. ზეცისეული კი — სულიერს. რუსმა მეცნიერმა ვერნადსკიმ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ჩამოაყალიბა სწავლება ნოოსფეროზე — ადამიანის გონიერი საქმიანობით შექმნილ ბიოსფეროს ახალ ევოლუციურ მდგომარეობაზე და რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დედამიწა გარშემორტყმულია სამყაროსეული გონიერებით, რომელიც რაღაცნაირად ურთიერთმოქმედებაშია ყველა ცოცხალი და მკვდარი ადამიანის გონებასთან?

ეტყობა, ინტუიციის არსებობაც ამ ურთიერთმოქმედებით აიხსნება. ვთქვათ, ემზადებით სადღაც წასასვლელად, მაგრამ რაღაც უსიამოვნო გრძნობა გეუფლებათ, რაღაც გაკავებთ. მაინც მიდიხართ და იქ ხიფათი შეგემთხვევათ. მაშინღა გაიხსენებთ, რომ წასვლა არ გინდოდათ.

ეს უთუოდ იყო რომელიღაც სამყაროსეული გონების ენერგეტიკული კარნახი — ტყუილად კი არ არსებობს მითი მფარველი ანგელოზის შესახებ. ხომ შეიძლება ეს ანგელოზი ენერგეტიკული ღრუბელი იყოს?

ხანდახან ადამიანს მისი ახლობელი მიცვალებულიც მფარველობს.

ერთ საღამოს ახალგაზრდა წყვილი პარკში სეირნობდა. ის იყო, სიღრმეში მიმავალ ბილიკს უნდა გაჰყოლოდნენ, რომ გოგონამ უეცრად გეზი იცვალა და სხვა გზით გაიყოლა ვაჟი. ასე რატომ მოიქეციო, როცა ვაჟმა ჰკითხა, გოგონამ მიუგო, — არ ვიცი, რაღაც სიმძიმე ვიგრძენიო!

მეორე დღეს გაიგეს, რომ იმ ღამეს, იმ პარკში, სწორედ იმ ბილიკზე მკვლელობა მოხდა.

ეტყობა, გარდაცვლილი მამის აჩრდილმა გადაუღობა გზა საფრთხისაკენ მიმავალ საყვარელ ქალიშვილს...

*ვოტ ტაკ! №4*

# კვერცხისთავა მისნები

ომსკის ყორღანების გათხრისას არქეოლოგები გააოცა რვა ადამიანის უჩვეულო ნეშტმა, რომელთაც აშკარად ხელოვნურად დეფორმირებული, კვერცხის ფორმის თავის ქალები ჰქონდათ. ისიც დაადგინეს, თუ როგორ აკეთებდნენ ამას ძველად: ჩვილს თავის ქალაზე მჭიდროდ უჭერდნენ ღვედს, ამიტომ იგი მხოლოდ სიმაღლეში იზრდებოდა.

სხვა ვარაუდით, მეომრებს თავის უცნაური ფორმა მტრის დასაშინებლად სჭირდებოდათ; გარდა ამისა, ოდითგან ცნობილია, რომ დავიწროებული თავის ქალა ამახვილებს მხედველობას და სმენას, რაც მეომრისთვის ძალიან საჭიროა, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ რვიდან შვიდი ნეშტი ქალისაა. შესაძლოა, ომსკელმა არქეოლოგებმა ციმბირელ ამორძალებს მიაკვლიეს, რომლებიც საიდუმლოდ ებრძოდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს.

მეორე ვერსიით — მისნები ხშირად ისახიჩრებდნენ თავებს, რადგან სწამდათ, ეს გაუადვილებდათ ღმერთებთან კავშირს.

*მეგაპოლის-ექსპრესი №9*

# უნიკალური ჯამბაზი

მსოფლიოში ყველაზე „მონგრეული“ კაცი ფრანკფურტში ცხოვრობს, თუმცა, ოტო შლიმერი ამას სულაც არ განიცდის, პირიქით, ცირკის ჯამბაზი სავსებით იყენებს თავის ფიზიკურ ნაკლს პროფესიული საქმიანობისას: მარჯვენა ფეხი — 48, ხოლო მარცხენა — 37 ზომისა აქვს. მარჯვენა ხელი 17 სანტიმეტრით გრძელია მარცხენაზე, მარჯვენა თვალი ორჯერ დიდია მარცხენაზე, ხოლო მარჯვენა მხარი 50 სმ-ით მაღალია მარცხენაზე.

ერთი სიტყვით, ცირკის არენაზე გამოსვლისას არც გრიმი სჭირდება და არც საგანგებო კოსტიუმი. თუმცა ცხოვრებაში შლიმერს ყველაზე მეტ უსიამოვნებას კოსტიუმები აყენებს, რადგან ერთის ნაცვლად სხვადასხვა ზომის ორი კოსტიუმის ყიდვა სჭირდება. როგორც თავად ამბობს, ცოლი ორ სხვადასხვა კოსტიუმს შუაზე ჭრის და ნახევრებს ერთმანეთს აკერებს.

*მირ ნოვოსტეი*

# „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. **რებუსი**
ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა.

II. ვარდი

III. ყველა ხისგანაა დამზადებული.

# ჩვენ გვწერენ



## დედაშვილობა

შინ დაბრუნებულმა დალიმ უმცროსი ძმა მოიკითხა. ახლახან კინოში წავიდაო, — მიუგო დედამ, რომელიც თეფშებს რეცხავდა. გოგონას ძალიან მოუნდა კინოში წასვლა. დედისგან მალულად გასხლტა კარში და კინოთეატრისკენ გასწია — იქნებ სეანსს მივუსწროო...

დედა უეცრად შეკრთა, გულმა ავად შემოკვნესა. თეფშის ზედაპირზე ისე, თითქოს ეკრანზე ხედავსო, დაინახა, კინოთეატრის წინ როგორ გაიტანა ავტომანქანამ მისი გოგონა. ათრთოლებული ხელით აკრიფა კინოთეატრის ტელეფონის ნომერი და ჩასძახა:

— ამწუთას ჩემს ქალიშვილს მანქანა დაეჯახა. ცოცხალია?..

ყურმილი დუმდა. მერე ყვირილი გაისმა:

— ეს ხომ ახლა მოხდა!.. კი დაეჯახა, მაგრამ მსუბუქად დაარტყა... ეტყობა, განწირული არ ყოფილა... გოგონა წამოდგა და კოჭლობით მიუყვება ტროტუარს... მაგრამ ეს როგორ გაიგეთ!..

დალი შემდეგ ჰყვებოდა:

— მანქანა რომ დამეჯახა, დედაჩემის შეშინებული სახე დავინახე. დავუძახე კიდეც, — დედიკო, მიშველე-მეთქი და ხელი მტაცა...

*ნუნუ მარჯანიძე*


# ლამაზი გაზაფხული — თქვენი არჩევანი?!

როგორც იქნა, უკან მოვიტოვეთ ზამთრის მძიმე დღეები. დასასრულს მიუახლოვდა სიცივით, უშუქობითა და უამინდობით გამოწვეული დისკომფორტი. წელიწადის ყველაზე მომხიბლავი და რომანტიკული პერიოდი — გაზაფხული გველოდება — განახლების, სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლო. ამ დროს, განსაკუთრებით დიდი სურვილი გვებადება, შესანიშნავად გამოვიყურებოდეთ, ამისათვის კი, მხოლოდ სურვილი არ კმარა.

ყველაზე ხშირ შემთხვევაში, ქალები საკუთარი გარეგნობის გასაუმჯობესებლად, ახალ ტანსაცმელს და პარფიუმერიას იძენენ, მიმართავენ კოსმეტიკურ სალონებსა და საპარიკმახეროებს. ამ 'სტრატეგიული' გეგმის განხორციელების შემდეგ, სარკეში იხედებიან და... რა დასანანია! შედეგი აბსოლუტურად არ შეეფერება დახარჯულ დროს, ნერვებსა და თანხებს.

ხომ აშკარაა, რომ კანის დეფექტებს, ნაოჭებს, სიმსუქნეს, გალიფეს, ფორმადაკარგულ მკერდს, ჭარბთმიანობას ან პირიქით, სიმელოტეს, კოსმეტიკა და ტანსაცმელი მხოლოდ დროებით და მხოლოდ გამოუცდელი თვალისთვის დამალავს. ამ პრობლემებს დროული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება ესაჭიროება.

სამედიცინო ცენტრი „მედი“, მსოფლიოს წამყვანი კლინიკების სტანდარტების დონეზე ახორციელებს ჯანმრთელობასა და გარეგნობასთან დაკავშირებული მრავალი სახის პრობლემის მოგვარებას, უმაღლესი კატეგორიისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დახმარებით. „მედი“-ში ფუნქციონირებს უახლესი და უნიკალური სამედიცინო ტექნოლოგიები, რაც მაქსიმალური შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა.

აი, მცირე ჩამონათვალი იმ დიდი შესაძლებლობებიდან, რაც დღეისათვის სამედიცინო ცენტრში „მედი“ ხორციელდება:

**1. ეპილაცია**, საქართველოში ერთადერთი, ალექსანდრიტის ლაზერული აპარატით: არასასურველი თმის მოშორება უმტკივნეულოდ და სამუდამოდ.

**2. მიმიკური ნაოჭების გასწორება** ახალი ფრანგული მეთოდით, ბოტოქსისა და ბიოთავსებადი გელის საშუალებით.

**3. ფიგურის კორექცია ულტრაბგერითი ლიპოსაქციის მეშვეობით:** თქვენ სამუდამოდ მოიშორებთ ზედმეტ ცხიმოვან ნაკეცებს.

**4. კაპილარული და ვენური ქსელის მოშორება** ლაზერითა და სპეციალური ინიექციებით სახესა და ტანზე.

**5. ოქროს ძაფებით არმირება:** თქვენ დაიბრუნებთ ჯანმრთელ და უნაკლო კანს.

**6. მკერდის ფორმის კორექცია** ბიოორგანული იმპლანტანტის ჩანერგვით და სხვა.

გზა სრულყოფისა და სილამაზისკენ არსებობს მუდამ და თუ თქვენ მას აირჩევთ, აუცილებლად მიაღწევთ მიზანს. ჩვენთან მოსული ყოველი პაციენტი, ექიმისაგან პატარა სასწაულს ელოდება; დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „მედი“ აუცილებლად აგიხდენთ ოცნებას და ეს გაზაფხული, თქვენი ცხოვრების ულამაზესი წლების დასაწყისი გახდება.

სამედიცინო ცენტრი
**მედი**
25-02-02 93-89-75

MEDI

ალ. ყაზბეგის გამზ. №1

# მძიმეთ ძალი! კალაძის გატაცების სენსაციური ვერსია

*უსმინეთ კალაძეებს და შეწყვიტეთ ჭორაობა! მერწმუნეთ, კალაძეების ტრაგედიის შემხედვარე, შეუძლებელია სხვაგვარი დასკვნის გამოტანა.*

*დღეს საქართველოში უამრავი ჭორი ისმის აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ჭორების შინაარსი დაახლოებით ასეთია: თითქოს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებმა დიდი ხნის წინ ჩაიფიქრეს კალაძის გაუკრაინელება და საკმაოდ საინტერესო სცენარით (ლევანის გატაცებით) ფიფას გულის მოგებასა და პრეცედენტის დატყუებას ეცდებიან, ანუ მოთამაშეს სამშობლოში დევნის მოტივით სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაშის უფლებას დართავენ.*

*რა თქმა უნდა, უამრავი სხვა ვერსიაც არსებობს, თუმცა მათი აბსურდულობა მარტივად — კალაძეების ოჯახის წევრთა აღელვებულ-ცრემლნარევი კილოთი ბათილდება. კახა და ლევან კალაძეების მამიდა,* **ქალბატონი რუსუდანი** *აღელვებული ჰყვება:*

— იმ დღეს, როდესაც ლევანი გაიტაცეს, გული რატომღაც ცუდს მიგრძნობდა. ჩემი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია, რომ საავადმყოფოში არ გავყევი. გატაცებამდე მცირე ხნის წინ ლევანი ავადმყოფობდა და ანალიზებზე უნდა წასულიყო.

**— გული ცუდს რატომ გიგრძნობდათ?**

— ვერ გეტყვით, შვილო, წინათგრძნობა, ხომ იცით, გაუცნობიერებელია... თუმცა, დრო რომ გავიდა, მას შემდეგ ბევრი ფაქტი გავიხსენე, რაღაც-რაღაცები გავაანალიზე და მეტად საყურადღებო ამბავი გამახსენდა, რომელიც, შესაძლოა, გატაცებას უკავშირდებოდეს.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— გატაცებამდე ერთი თვით ადრე ვიღაც გოგო ურეკავდა. მაეჭვებს ის ფაქტი, რომ მის ყოველ ზარზე ლევანი წითლდებოდა, ფითრდებოდა. რატომ მოსდიოდა ასე, ვერაფრით ვერ დავადგინე. როდესაც ვეკითხებოდი, — მამიდა, რა გჭირს-მეთქი? — გაურკვევლად მპასუხობდა. მაშინ ვიფიქრე, ეტყობა, ვიღაც გოგო ეშაყირება, ახალგაზრდა, წესიერი და ცხოვრებააწყობილი ბიჭია და ალბათ, აწუხებს-მეთქი. იცით, ლევანი ძალიან გულჩათხრობილი ბიჭია და ვაითუ, ამის გამო ბევრი რამ დამიმალა.

**— რა იცით, რომ უცნობი, გოგონა იყო და მართლაც არ შაყირობდა?**

— შაყირზე შეიძლება ხასიათი გაგიფუჭდეს, მაგრამ გაფითრდები? ამან დამაეჭვა. თანაც, გოგო რომ იყო, ლევანმა თვითონ მითხრა, — უკვე ძალიან შემაწუხაო, მაგრამ მეტი არაფერი უთქვამს. ყველაფერი რომ მოეთხრო, უპასუხოდ ვის დავტოვებდი? ეჭვიც აღარ მეპარება, რომ გატაცებაში ვიღაც ქალის ხელი ურევია. ერთხელ, ჩვენს ნათესავთან ყოფნისას მობილურზე კიდევ ერთხელ დაურეკავს ჩვენთვის უცნობ გოგონას. ლევანი გამწარებულა, — აღარ შემიძლია ამ თავხედის ატანაო. როდესაც ჩვენმა ნათესავმა ტელეფონი გამოართვა, კავშირი გაწყდა. ყველაზე მეტად ის ფაქტი მაეჭვებს, რომ მობილურზე არ იწერებოდა დამრეკავის ნომერი. შაყირის მოყვარული ასე გაქნილად ერთი თვის მანძილზე არ მოიქცეოდა, ეტყობა, საამისოდ სერიოზული მიზეზიც ჰქონდა. ვინც გაიტაცა, ყველაფერი უმაღლეს დონეზე გათვალა... დღემდე ვერ მომინელებია, ნასიცხარ ბავშვს საავადმყოფოში რომ არ გავყევი, ეს ამბავი იმ დღეს აუცილებლად ასცდებოდა...

საერთოდ, ბევრი რამ არის საეჭვო ლევანის გატაცებაში.

**— ქალბატონო რუსუდან, თქვენი აზრით, ვინ იყო დაინტერესებული ლევანის გათავისუფლების შესახებ ჭორის გავრცელებით?**

— რა ვიცი, შვილო, რა გითხრათ. ნერვები მეშლებოდა, როდესაც მეკითხებოდნენ, მართლა გაათავისუფლესო? ნეტავ, შვილო, ოჯახს დაუბრუნდეს და ვინ დამალავს? როგორც შევიტყვეთ, ნარჩემაშვილმა პარლამენტში ლევანის თემაზე ილაპარაკა. უახლოეს პერიოდში ყველაფერი დადებითად გადაწყდებაო. ღმერთმა ქნას, მაგრამ როდემდე ავიტანოთ? ათი თვე გაუსაძლის მდგომარეობაში, ნერვიულობასა და სტრესში ვართ.

**— პანკისის ხეობაში ლევანის ყოფნას გამორიცხავთ?**

— გამოვრიცხავთ, თუმცა დანამდვილებით არა. ჩვენი ინფორმაციით, ლევანი შესაძლოა დასავლეთ საქართველოში იყოს... რატომღაც მგონია, რომ მომხდარში ვიღაც შინაურის ხელი უნდა ერიოს.

**— შინაურის?**

— დიახ, დიახ შინაურის! ციხე შიგნიდან ტყდება, არ გაგიგიათ?

**— კონკრეტულად, ვინმეზე გაქვთ ეჭვი?**

— კონკრეტულად რომ მცოდნოდა, ლევანი დღემდე ოჯახში დაბრუნდებოდა. აბა, უცხომ რა იცოდა, ლევანი სად და როდის მიდიოდა? ლევანი ჩემთან ცხოვრობდა, შვილივით მყავს და ყოველთვის ვაკონტროლებდი. მაინც, რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდაა, ვინმემ არ მოატყუოს, რაიმე არ აკადროს-მეთქი და ამიტომაც ოთხი თვე სულ კუდში დავდევდი...



როგორ დამეჩაგრა ბიჭი, ვინ იცის, რა დღეშია და რა უჭირს.

**— კახა როგორ მდგომარეობაშია, მისი განცხადებიდანაც ჩანს, თუმცა, ესეც ბოლომდე ოჯახის წევრებზე უკეთ ვის ეცოდინება.**

— მის მდგომარეობაში ყოფნას, შვილო, არავის ვუსურვებ. დღეში 30-ჯერ გვირეკავს სახლში და მიკვირს, გაოცებული ვარ, ასეთი უმძიმესი სტრესის შემდეგ იტალიაში თამაშს როგორ ახერხებს. თქვენ ფიქრობთ, მას ოდესმე მართლა უფიქრია უკრაინის ნაკრებში თამაში?

**— აბა, რითია გამოწვეული მისი განცხადება?**

— ეს იყო უკიდურესი გამწარების შედეგი, სხვაგვარად კახა ასეთ კატეგორიულ ტონს არ გამოიჩენდა. მე უფრო ის მადარდებს, ხალხი რატომ არ არის აღშფოთებული, როდესაც ცნობილ ოჯახებს ძარცვავენ, აყაჩაღებენ და გაუსაძლის მდგომარეობაში აგდებენ. პრეზიდენტი რას აკეთებს? იტალიაშიც არაერთი დანაშაული მომხდარა, ყველამ იცის, როგორი ფეხმოკიდებულია მაფია, მაგრამ იქაც გააჩნიათ გარკვეული ზღვარი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ გადააბიჯებენ. საქართველო რაღას დაემსგავსა, ხომ ხედავთ? ყველა ზღვარი წაიშალა.

**— ქალბატონო რუსუდან, არის ვერსია, თითქოს მომხდარში კრიმინალური სამყაროს ხელი ურევია. იქნებ, ამის თაობაზე უფრო დეტალურად გვესაუბროთ.**

— ჩვენ გვქონდა შავი სამყაროს წარმომადგენლებთან საუბარი და მეტად საინტერესო ამბავი გაგვანდეს — დამიჯერეთ, შეიძლება, ფულის გამოძალვის მიზნით ვიღაცას იტაცებენ კიდეც, მაგრამ გამორიცხულია 10 დღეზე მეტხანს პატიმრობაში გააჩერონო.

**— რა მოტივით?**

— ქურდული სამყარო არ კადრულობს ადამიანის წამებით ფულის აღებას, ჩვენში ასეთი რამ არ ხდებაო. რამდენიმე კაცს დავეკითხეთ და გამოვრიცხეთ მათი მონაწილეობა. ვიღაცას დაავალეს საქმე, ლევანი საჭირო ადგილას მიიყვანეს და ასე გაიტაცეს.

*კალაძის ოჯახური ტრაგედია ბოლო ერთ კვირაში ისეთმა ცნობილმა გამოცემებმა გააშუქეს, როგორიც გახლავთ „გაძეტა დელა სპორტი“, „ტუტოსპორტი“, შვედეთის, იაპონიის, რუსეთის, უკრაინისა და ესპანეთის წამყვანი გამოცემები. მათ ასეთი ყურადღებით ერთი კვირის წინ „ლუგანოს“ პრეზიდენტის მკვლელობა და „არსენალის“ ნახევარმცველ კანუს ბინის გაქურდვაც არ გაუშუქებიათ.*

*სხვათა შორის, ახლახან იუგოსლავიაშიც ანალოგიური ფაქტი მოხდა — „აეკის“ ფორვარდის ილია ივიჩის და მისი ძმის, „პარტიზანის“ ლიდერის ვლადიმერ ივიჩის მშობლები გაიტაცეს და საფასურად 100 ათასი დოლარიც მიიღეს, რის შემდეგაც ივიჩებმა მშობლები საბერძნეთში გადაიყვანეს. მეტიც — ასეთი შემთხვევები იუგოსლავიაში ხშირად ხდება, მაგრამ ყურადღების ცენტრში მაინც საქართველოა, რადგანაც 10 თვით გატაცება არსად მომხდარა.*

*ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ ცნობილ სპორტსმენთა დაჟინებით, — თავდაპირველად შს მინისტრი, ხოლო შემდგომ პრეზიდენტი შევარდნაძეც, ცნობილ სპორტსმენთა დელეგაციას შეხვდებიან, რათა პასუხი გასცენ კითხვას — რეალურად რას აკეთებენ ლევან კალაძის გამოსახსნელად.*

***ლაშა დუმბაძე***

# ევროპაში ფრეების ეპიდემია გრძელდება

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური

12 და 13 მარტს ჩემპიონთა ლიგაში მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა, V ტური გაიმართა. ზოგ ქვეჯგუფში უკვე ყველაფერი გარკვეულია, ზოგან კი ისეთი ვითარებაა შექმნილი, ოთხიდან ოთხივე გუნდს საკმაოდ კარგი შანსი აქვს მეოთხედფინალში გასვლისა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ „ოლდ ტრეფორდზე“ უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს და ოფიციალურად გაინაღდეს მომდევნო ეტაპზე გასვლა, ჯგუფის მეორე შეხვედრა ისეთივე უფერული გამოდგა, როგორი მონაწილეებიც ჰყავდა „ნანტისა“ და ბოავიშტას სახით და ფრედ 1:1 დასრულდა. B ჯგუფში ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა. არადა „რომასაც“ და „ბარსელონასაც“ გასულ კვირაში შეეძლოთ ბოლო ტური ფორმალობად ექციათ, მაგრამ ვერ ივარგეს. განსაკუთრებით ეს ფაბიო კაპელოს გუნდზე ითქმის, რამდენიმე დღის წინ „ლაციოს“ გამანადგურებელმა „რომამ“ შინ „გალათასარაის“ ვერ მოუგო და ქულას დასჯერდა. „ნოუ კამპზე“ „ბარსელონა“ 90 წუთი ცდილობდა „ლივერპულის“ მასირებული დაცვის გარღვევას, მაგრამ ვერაფერს გახდა. შედეგად — „ბარსა“ ბოლო ტურში — სტამბოლურ „ჯოჯოხეთში“ ეცდება თავისი შანსის გამოყენებას. „ბარსელონას“ ფრეც ხელს აძლევს, თუ თურქებმა გაიმარჯვეს, ზედიზედ მეორედ გავლენ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. არანაკლებ საინტერესო იქნება „ლივერპულისა“ და „რომას“ დაპირისპირებაც. როგორც ჩანს, მადრიდის „რეალი“ ქულის დაუკარგავად აპირებს ჯგუფური ტურნირის დასრულებას. „სამეფო კლუბის“ მორიგი მსხვერპლი ჩეხური „სპარტა“ გახდა. „პორტუმ“ რის ვაივაგლახით მოუგო შინ „პანათინაიკოსს“ და მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი შეინარჩუნა. პორტუგალიური კლუბი ჯგუფიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა, თუ ბოლო ტურში თავად სტუმრად დაამარცხებს „სპარტას“, „პანათინაიკოსი“ კი შინ დამარცხდება „რეალთან“. ყველა სხვა ვარიანტი ბერძნული კლუბისთვისაა მისაღები. უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა ლევერკუზენის „ბაიერმა“. გერმანელებმა „იუვენტუსის“ ძლევით „ბებერ ქალბატონს“ თითქმის გადაუწურეს იმედი მეოთხედფინალში გასვლისა. V ტურის ყველაზე მოულოდნელი შედეგი ლონდონის „ჰაიბერიზე“ დაფიქსირდა, სადაც „არსენალი“ „დეპორტივოსთან“ დამარცხდა. ხავიერ ირურეტას გუნდმა პრაქტიკულად გაინაღდა მეოთხედფინალში თამაშის უფლება.

### A ჯგუფი

მანჩესტერი-ბაიერნი 0:0

ნანტი-ბოავიშტა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 5 | 2 | 3 | 0 | 10:3 | 9 |
| **ბაიერნი** | 5 | 2 | 3 | 0 | 3:1 | 9 |
| **ბოავიშტა** | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| **ნანტი** | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |

### C ჯგუფი

პორტუ-პანათინაიკოსი 2:1

რეალი-სპარტა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| **პანათინაიკოსი** | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| **პორტუ** | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| **სპარტა** | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |

### B ჯგუფი

რომა-გალათასარაი1:1

ბარსელონა -ლივერპული 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რომა** | 5 | 1 | 4 | 0 | 6:3 | 7 |
| **ბარსელონა** | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| **გალათასარაი** | 5 | 0 | 5 | 0 | 5:5 | 5 |
| **ლივერპული** | 5 | 0 | 4 | 1 | 2:4 | 4 |

### D ჯგუფი

არსენალი-დეპორტივო 0:2

ლევერკუზენი-იუვენტუსი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დეპორტივო** | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| **არსენალი** | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| **ლევერკუზენი** | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| **იუვენტუსი** | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |

## უეფას თასი მეოთხედფინალი. I შეხვედრები

# ჰაპოელი აღარ ხუმრობს

| | | | |
|---|---|---|---|
| **ინტერი (იტალია)** | — | **ვალენსია (ესპანეთი)** | **1:1** |
| **ჰაპოელი (ისრაელი)** | — | **მილანი (იტალია)** | **1:0** |
| **პსვ (ჰოლანდია)** | — | **ფეინოორდი (ჰოლანდია)** | **1:1** |
| **ლიბერეცი (ჩეხეთი)** | — | **დორტმუნდი (გერმანია)** | **0:0** |

ჩემპიონთა ლიგაში ოთხშაბათს დაფიქსირებული ოთხი საყაიმო შედეგის შემდეგ, უეფას თასზე დასრულებული სამი ფრე არავის გაჰკვირვებია. ერთადერთი გამარჯვებული, ებრაული „ჰაპოელია“, რომელმაც კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში უმასპინძლა კახი კალაძის გარეშე მოთამაშე „მილანს“ და 1:0 მოუგო. თუ „როსონერომ“ ვერც განმეორებით შეხვედრაში ივარგა, „ჰაპოელისგან“ გაგდებული მეორე იტალიური კლუბი გახდება, „პარმას“ შემდეგ. სხვა წყვილებში პრაქტიკულად არაფერია გარკვეული, მხოლოდ დორტმუნდის „ბორუსია“ შეიძლება ჩაითვალოს წყვილის აშკარა ფავორიტად.

# «შემაგინოს და ვესვრი!»

## ქართულ ფეხბურთში ახალი პრობლემა მომწიფდა

თითქმის ყველა ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში მოიძებნება გუნდები, რომლებსაც მოწინააღმდეგეთაგან რომელიმე ერთი მეტოქე ამოუჩემებიათ და ოღონდ იმას მოუგონ და სხვებთან მარცხი დიდად არ აღელვებთ. ასე არიან ესპანეთში „რეალი“ და „ბარსელონა“, იტალიაში „რომა“ და „ლაციო“, „მილანი“ და „ინტერი“, გერმანიაში „ბაიერნი“ და „მიუნხენ 1860“. ჩამოთვლა და გაგრძელება შორს წაგვიყვანს. ამ კლუბების ფანები დასანახადაც ვერ იტანენ ერთმანეთს, ამდენად მათ შორის ჩხუბი და აყალმაყალიც ჩვეულებრივი მოვლენაა. ფანების „ომი“ ხშირად სავალალო შედეგებითაც სრულდება. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ საქართველოშიც ყალიბდება მსგავსი ტენდენცია და თუ ოდესმე ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი ზემოთ ნახსენები ქვეყნებისას ცოტა მაინც დაემსგავსება, თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრა ყოველთვის გამორჩეული იქნება და მეტ მაყურებელსაც მიიზიდავს. „დინამოსა“ და „ტორპედოს“ ფანების „ურთიერთპატივისცემა“ წინა კვირასაც გამოჩნდა ქუთაისში, სადაც „დინამო“ სტუმრობდა. თბილისელთა ტრიბუნას მასპინძელთა გულშემატკივრებმა ქვები დაუშინეს და ზოგს თავი გაუტეხეს, ზოგს ცხვირი. თავის მხრივ, არც თბილისელები დარჩენილან ვალში და სულ მკვდარი და ცოცხალი „უტრიალეს“ „გულუხვ“ მასპინძლებს. ქუთაისელებმა „დინამოს“, ავტობუსიც დაულეწეს და ასე გამოისტუმრეს შინ. ახლა კი თბილისელი „ფანები“ ილესავენ კბილებს — „ტორპედოსაც“ მოუწევს ჩვენთან ჩამოსვლაო. ვიმეორებთ — ასეთები უცხოეთშიც ხდება და ხშირად უფრო მძიმე შედეგებითაც სრულდება, მაგრამ ჩვენ რა? დღეს ავტობუსი დალეწეს, ერთმანეთს ქვები დაუშინეს, კაცმა არ იცის, ხვალ ვის რა იდეა მოუვა თავში. მოკლედ, ჩვენს ფეხბურთში კიდევ ერთმა და თან მეტად სერიოზულმა პრობლემამ — მაყურებელთა და მოთამაშეთა უსაფრთხოებამ წამოყო თავი. ამდენად, გასაოცარია ფეხბურთის ფედერაციის ქმედება — ქუთაისში მომხდარზე საგანგებოდ იმსჯელა ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ და სერიოზულად არავინ დაუსჯია, უფრო მეტიც, ზოგიერთმა საფეხბურთო მოხელემ ქუთაისში მომხდარით კმაყოფილება ვერ დამალა — ეს ჩვენი ფეხბურთის პროგრესზე მიუთითებსო (!). ჩვენში ფეხბურთის დონეც ამაღლდებაო (?!). ასე რომ, გულშემატკივრებს მივმართავთ — სტადიონზე წასვლისას ბარაქიანი რიყის ქვებიც თან გაიყოლეთ, რაც შეეხება გინებას, ამ საქმეში ქართველებს ბადალი არ გვყავს და მეტოქე გუნდის გულშემატკივრებისა და ფეხბურთელებისთვისაც ნუ დავიშურებთ თითოოროლა „ტკბილ“ სიტყვას — ამით ქართულ ფეხბურთს „გადავარჩენთ“!

ხუმრობა იქით იყოს და თბილისელ და ქუთაისელ ფანთა ურთიერთდამოკიდებულება უბრალო საქმე არ გახლავთ და ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება საფეხბურთო ფარგლებსაც გასცდეს. ეს ცოდვაღა აკლია ისედაც გასაცოდავებულ ქართულ ფეხბურთს. თუ უცხოელებს ვბაძავთ, მათ ბევრი კარგიცა აქვთ მისაბაძი და რაღა მაინცდამაინც ცუდი უნდა გადმოვიღოთ? გინება და ქვის სროლა „რეკორდი“ რომ არის, ცნობილი ფილმი — იმას უხდება, თორემ დიდ ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მფg7-h6!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს **სამ** სვლაში.



# სიცილის დედოფალი ვუპი გოლდბერგი

## ვუპის არ უყვარს, როდესაც მსახიობ ქალებს შორის მოიხსენიებენ

***მე ვარ მსახიობი, რომელიც მამაკაცის როლშიც დამაჯერებელია, — ამაყად აცხადებს კინოვარსკვლავი.***

პირველი ცდა, მამაკაცის როლის შესრულებისა, ვუპი გოლდბერგს თეატრალური კარიერის დასაწყისში მოუწია. სან-დიეგოს თეატრში, ბრეხტის დედილო კურაჟს ისე ასახიერებდა, რომ ხალხი სიცილით იხოცებოდა. უცებ, სან-ფრანცისკოში საგასტროლოდ გამგზავრების წინ, მისი პარტნიორი მამაკაცი ავად გახდა. იძულებული შეიქნა, ორივე როლი ეთამაშა. მოკლედ, რომ იტყვიან, ოჯახში კაციც უნდა ყოფილიყო და ქალიც. ვუპი შეშფოთდა, მაგრამ რა ექნა, ყველა ბილეთი გაყიდული აღმოჩნდა... და ახალგაზრდა მსახიობმა ისე ითამაშა ორივე როლი, რომ მაყურებელს მისი სცენიდან გაშვება აღარ უნდოდა.

ფილმში „ქურდი“ ვუპი ბრუს უილისის მაგივრად გადაიღეს, ხოლო როცა რობერტ დე ნირომ უარი თქვა „ბოგუსში“ თამაშზე — მაშინაც შეუდარებელი გოლდბერგი გაახსენდა რეჟისორს. სხვათა შორის, ამას წინათ სანტა-კლაუსის როლზეც დათანხმდა ახალ ამერიკულ კინოკომედიაში.

იგი 1955 წლის 13 ნოემბერს მოევლინა ქვეყანას. ვუპი ნიუ-იორკის „ფერად“ რაიონში, ჩელსიში დაიბადა. მისი ნამდვილი სახელია ქეთრინ ელენ ჯონსონი. გოგონა ისეთ რაიონში იზრდებოდა, სადაც შერწყმული იყო სხვადასხვა კულტურა და ამიტომაც თავისუფლად ლაპარაკობდა ბერძნულ, იტალიურ, ესპანურ, ჩინურ, ებრაულ, ჰინდის და, რასაკვირველია, ინგლისურ ენებზე.

ვუპი რამდენიმე თვის იყო, როცა მამამ ოჯახი მიატოვა. დედა ორ ბავშვს დიდი გაჭირვებით არჩენდა.

შავკანიან გოგონას დალხინებული ცხოვრება არ ჰქონია. ავი ბედი მეძაობას ან ნარკომანობას უქადდა. მეძაობას კი გადაურჩა, მაგრამ ნარკოტიკებს გაეცნო.

ვუპი ძალიან განიცდიდა, რომ მომხიბვლელობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. თანატოლები ხან მაიმუნს ეძახდნენ, ხან — მახინჯს და ხან კიდევ რას. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, კარგი ადამიანი ელენ რუბინშტეინი რომ არ შეხვედროდა, რომელმაც ნიუ-იორკის თავის ექსპერიმენტულ საბავშვო თეატრში მიიყვანა. „ეს პაწაწინა, კოლოფივით თეატრი იყო“, — იგონებს ვუპი. სწორედ აქ იქცა იგი მსახიობად და ძნელად თუ იფიქრებდა, რომ ბედი დიდ მომავალს უმზადებდა.

..მანამდე კი, გოგონამ საშუალო სკოლა მიატოვა და ჰიპების სათვისტომოს მიეტმასნა. იქ ვუდიმ ახალგაზრდა ფარმაცევტი ელვინ მარტინი შეიყვარა (ეტყობა, სწორედ იმან მიაჩვია ჰეროინს) და ცოლადაც გაჰყვა. 18 წლისას ქალიშვილი ეყოლა — ალექსანდრა, მაგრამ 1973 წელს ქმარი მიატოვა, ნარკოტიკებს შეეშვა და პაწია შვილით კალიფორნიისკენ გასწია — თეატრალური ლოს-ანჯელესის, სან-დიეგოს და სან-ფრანცისკოს დასაპყრობად.

შვიდი წლის მანძილზე მარტოხელა დედა სხვადასხვა ქველმოქმედების ფონდების კმაყოფაზე იყო, მუშაობდა მშენებლობებზე მუშად, მორგში — დეკორატორად — მიცვალებულებს ალამაზებდა „ჰოლივუდის ვარსკვლავთა“ მსგავსად. პარალელურად სხვადასხვა თეატრალურ დასში თამაშობდა. სწორედ მაშინ აირჩია სასცენო ფსევდონიმად ვუპი გოლდბერგი.

— ეს სახელი არსაიდან წარმოიშვა, ჰაერიდან — პირდაპირი მნიშვნელობით, — იგონებს ხუმრობის მოყვარული მსახიობი, — იცით, როცა შემთხვევით ჯდები რეზინის სათამაშოზე, იგი ასეთ ხმას გამოსცემს: „ვუუპ-ფ-ფ-ფ“. ასე პირითაც შემიძლია გავაკეთო; ამიტომაც შემარქვეს ვუპი. სალაღობოდ ვუპი კუშონი დავირქვი. მაგრამ დედამ მირჩია, ასეთი სახელს სერიოზულად არავინ აღიქვამსო და ამიტომაც მისი ქალიშვილობის გვარი გოლდბერგი ავიღე. იგი ებრაელია, ასე რომ, მეც ებრაელი ვარ. მაგრამ შინ, ძველებურად ქეთრინს მეძახიან.

„დედილო კურაჟის“ წარმატების შემდეგ, ვუპიმ ძალების მოზღვავება იგრძნო და მონოსპექტაკლისთვის სცენარი დაწერა, სადაც ექვსი სხვადასხვა პერსონაჟი განასახიერა. „მოჩვენებათა შოუში“ ამომავალი ვარსკვლავი ადვილად, სულ რამდენიმე წამში გარდაისახებოდა ხან 13 წლის გოგონად, ხან მათხოვრად, ხან ტიპურ ებრაელ ქალად ან რესპექტაბელურ მილიონერად. სცენაზე ვუპი დედოფალი იყო. „მოჩვენებათა შოუს“ უდიდესი წარმატება ჰქონდა არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ კანადასა და ევროპაშიც. ვუპი თეატრის ვარსკვლავად აღიარეს, იგი ბროდვეიზე მონოსპექტაკლებს ატარებდა. მხოლოდ 1985 წელს შედგა მისი კინოდებიუტი — სტივენ სპილბერგმა მიიწვია ფილმში „ალისფერი“.

პირველივე კინოროლმა წარმატება მოუტანა — „ოქროს გლობუსი“ ერგო „საუკეთესო მსახიობის“ ნომინაციაში. ფილმმა „მოჩვენება“ პირველი ოსკარი მოუტანა — მეორე პლანის როლისთვის. სულ ამ ბრწყინვალე მსახიობმა 80-ზე მეტ ფილმში ითამაშა. უამრავი ჯილდოს მფლობელია. 2001 წელს გოლდბერგმა უკვე მეოთხე და ძალზე პრესტიჟული ყოველწლიური პრემია მიიღო იუმორის დარგში. თანაც პირველი ქალი იყო ამ სფეროში. იგი ერთადერთია შავკანიან ამერიკელ მსახიობ ქალთაგან, რომელსაც სამჯერ ერგო ბედნიერება „ოსკარის“ ცერემონიას გასძღოლოდა... 1995 წელს კი ასრულდა მისი ბავშვობის ოცნება — შესულიყო ჰოლივუდის ისტორიაში: კომედიის დედოფლის ხელ-ფეხის ანაბეჭდი სამუდამოდ დარჩა ვარსკვლავთა ხეივანში. ყოველივე ამან და სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციაში მუშაობამ ჰოლივუდის იერარქიის კიბეზე განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა.

რაც შეეხება ვუპის პირად ცხოვრებას — ის სრული საიდუმლოებითაა მოცული. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ გოლდბერგს მოწაფეობისას ძალიან იშვიათი დავადება შეეყარა — დაერღვა წაკითხულის ათვისების უნარი. ამიტომ მიატოვა სკოლა. სამაგიეროდ,



მის მამაკაცებს უნებლიეთ მიმართავენ — „ბატონო გოლდბერგ“.

*ტიმოთი დალტონთან ერთად*

შემდგომ სრულიად საწინააღმდეგო რამ მოხდა — 1992 წელს შეთხზა საბავშვო წიგნი პატარა ზანგი გოგონას შესახებ, „ალისა“, რომელსაც მოწონება ხვდა წილად. მერე ავტობიოგრაფიული ნაწარმოები გამოსცა, რომელსაც უბრალოდ „წიგნი“ დაარქვა. იგი უცებ გახდა ბესტსელერი და 6 მილიონი დოლარი მოუტანა მის ავტორს. წიგნის წარმატება იქნებ იმან განაპირობა, რომ აქ ოდნავ აეხადა ფარდა ვუპის პირად ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ არის შარონ სთოუნივით თვალწარმტაცი, მამაკაცები მაინც ბუზებივით ეხვევიან. ხუთი წელი იყო ვუპის საყვარელი სცენარისტი და მსახიობი დევიდ შეინინი, შემდეგ ცოლად გაჰყვა დევიდ კლაესენს, რომელსაც ორი წლის შემდეგ გაშორდა. ვუპი ელვისებური რომანების დიდოსტატიცაა. ლეგენდარულმა მექალთანე ჟერარ დეპარდიემ მისი გულისთვის კინაღამ მიატოვა მომხიბლავი კაროლ ბუკე, ვუპის ანდამატს ვერ გაუძლო ისეთმა ლოველასმა, როგორიც ტიმოტი დალტონია. 90-იანი წლების დასაწყისში ვუპის ცხოვრებაში მსახიობი თედ დენსონი გამოჩნდა, რომელიც მასთან ერთად თამაშობდა ფილმში „დამზადებულია ამერიკაში“, მაგრამ ესეც ხანმოკლე რომანი იყო. ამის შემდეგ აპირებდა ცოლად გაჰყოლოდა ლაილ ტრახტენბერგს, მაგრამ ერთი წლისთავზე გადაიფიქრა და ფრენკ ლანგელთან გააჩაღა სიყვარულობანა.

ჟურნალისტის კითხვას, — რატომ ვერ ჩერდები დიდხანს მამაკაცებთანო, მსახიობმა უპასუხა: — მათი გაგება შეიძლება, ძნელია ცნობილ ადამიანთან ცხოვრება, არავის მოსწონს სხვის ჩრდილში ყოფნა. თანაც მამაკაცებს არ სიამოვნებთ, როცა მათ უნებლიეთ მიმართავენ — „ბატონო გოლდბერგ“.

იმასაც ამბობენ, ვუპის ეჭვიანობაც აფრთხობდა კაცებსო. ასეა თუ ისე, ახლა მსახიობს სიმპათიური, მასზე 15 წლით უმცროსი ბიზნესმენი მაიკლ ვისბალი ჰყავს თანამეცხედრედ. საკითხავია, ვუპის როდემდე გაჰყვება ეს სიყვარული.

ხალისიანი და მიზანმიმართული ვუპი გოლდბერგი ბევრს მუშაობს კინოსა და ტელევიზიაში. მას გაუთავებლად იღებენ და თვითონაც იღებს ფილმებს. დღეში 10-12 საათს მუშაობს. მაგრამ მთავარი მისთვის მაინც ოჯახია. დედა, ქალიშვილი, სიძე და სამი შვილიშვილი, რომლებიც ახალგაზრდა ბებიასთან სტუმრობის შემდეგ უარს ამბობენ ჯანსაღ საკვებზე და ჰამბურგერებს და სოსისებს ითხოვენ. ვუპი თავს იმართლებს და ქალიშვილს ამშვიდებს: „სულაც არ არის ცუდი, რომ ბავშვები მხიარული და უკომპლექსოები არიან. ზუსტად ისეთები, როგორიც მე...“

***7 დღე №8***

# ჰოლივუდელი „ცუდი ბიჭი“

## ჩხუბი და ჟურნალისტების ცემა მისთვის ჩვეულებრივი ამბავია...



**რობი რაითი და შონ პენი**

იგი ტანმორჩილი, ჭკვიანი და საოცრად ნიჭიერია. ხშირად იგინება, მუშტებს იქნევს, მაგრამ არც არისტოკრატიულობა აკლია მის გარეგნობას. ჟურნალისტებს უყვართ მის ცხოვრებაში ქექვა. მსახიობი სიძულვილით და მუშტებით პასუხობს.

კანონები, რომლის მიხედვითაც ჰოლივუდის კინოვარსკვლავების კარიერა იქმნება, ყველასთვისაა, მაგრამ არა შონ პენისთვის. 1980 წელს დაბადებული მსახიობის ოჯახი (მამა ტელე და კინორეჟისორი იყო, დედა — თეატრალური კრიტიკოსი). კალიფორნიის სანაპიროზე, ქალაქ სანტა-მონიკაში ცხოვრობდა. თავდაპირველად, შონს იურისტობა უნდოდა, მაგრამ აქტიორულმა გენებმა თავისი გაიტანა და სამსახიობო ოსტატობის კურსებზე ჩაეწერა. პროდიუსერები გააოცა 19 წლის ჭაბუკის სიჯიუტემ — წინა დღეს გამოცდაზე სამარცხვინოდ ჩაფლავებული, მეორე დღეს ისე გამოცხადდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მეორე ცდამ ისე გაუმართლა, რომ პენს ბროდვეის ერთ-ერთ სპექტაკლში მისცეს როლი. დებიუტანტს თეატრალური პრესა აღფრთოვანებით შეხვდა. მერე კი უამრავ ტელესერიალსა და კინოფილმში მიიპატიჟეს. პირველივე ფილმებით „ოცნებათა ფაბრიკის“ ამომავალ ვარსკვლავად იქცა. მეტიც, მისი თაობის ყველაზე ნიჭიერ მსახიობად აღიარეს. ამას გარდა, სკანდალური გამოხდომებითაც გაითქვა სახელი. ჩხუბის ატეხა და ჟურნალისტების ცემა მისთვის ჩვეული საქმე გახდა — ამიტომაც უწოდეს „ცუდი ბიჭი“, „სიმშვიდის პროფესიონალი ამრევი“ და ა.შ.

1985 წელს გადაღებებზე ლუიზა ჩიკონე, შემდგომში ცნობილი მომღერალი მადონა გაიცნო. ტემპერამენტიან მადონას ყოველთვის მოსწონდა ფიცხი მამაკაცები. მალე მრისხანების გამოვლინება შონ პენის საფირმო ნიშნად იქცა. მაგალითად, წყვილმა ქორწილის გადახდა ვიწრო წრეში, პრესის გარეშე გადაწყვიტა. სტუმრებმა თავი მოიყარეს თუ არა, ცაში პაპარაცებით სავსე ვერტმფრენები გამოჩნდნენ. გამხეცებულმა ნეფემ პისტოლეტი იშიშვლა და ისეთი ბათქაბუთქი ატეხა, ქორწილი კი არა, ნამდვილი ვესტერნი გეგონებოდათ.

ვარსკვლავურმა ქორწინებამ ფილმში „შანხაიური სიურპრიზი“ პარტნიორობა და ახალი სკანდალები მოიტანა. შონს თვალის დაუხამხამებლად შეეძლო ცოლის აუზში გადაგდება, ან გაზქურის აერლუმელში თავით შეჩურთვა. და რაც მთავარია, ფიცხი მსახიობი პისტოლეტით ჟუჟავდა მეზობლების ეზოებში ციყვებს, ენოტებს და სკუნსებს. 1988 წლის დასასრულს ცოლ-ქმარს შორის საბოლოოდ გაირბინა შავმა კატამ — პენს რამდენიმე საათს ხელფეხგაკრული ჰყავდა მეუღლე დაგდებული. ძლივს თავდახსნილმა მადონამ შერიფს მიაშურა და ქმარს უჩივლა...

გავიდა წლები და შონ პენის ჰორიზონტზე ახალი ქალი გამოჩნდა — რობინ რაითი (ყველას ახსოვს „სანტა-ბარბარაში“ მისი კელი ქეფველი). რობინ რაითზე დაქორწინებამ ახალი აღმაფრენით აღავსო — საკუთარი სცენარით ფილმი „ინდიელი მორბენალი“ გადაიღო და პრიზიც აიღო ლოკარნოს ფესტივალზე. შონ პენმა განაცხადა, მსახიობობას თავს ვანებებ და რეჟისურას უნდა ვუძღვნა თავიო. შემდეგმა ნამუშევარმა „გუშაგი გზაჯვარედინზე“ ვენეციის კინოფესტივალზე „ოქროს ლომი“ მოუტანა, თუმცა თავისი განცხადების მიუხედავად, აქტიორულ მუშაობას განაგრძობდა. ფილმში „მიცვალებული მოდის“ მთავარი როლის შესრულებისთვის „ოსკარის“ ნომინაცია და ბერლინის კინოფესტივალის პრიზი მიიღო. ფილმისთვის „ის ისეთი მშვენიერია“ — კანის ფესტივალის პრიზი დაიმსახურა.

შონ პენი ძველებურად ენამწარეა. მიუხედავად იმისა, რომ ვუდი ალენის დიდი პატივისმცემელია, საჯაროდ შეუძლია განაცხადოს, ვერ ვიტან მისი რეჟისურის მეთოდებსო. ოლივერ სთოუნთან ლაპარაკი კი იგივეა, თუნდ ღორს ელაპარაკოო. არც ყოფილ მეუღლეს ინდობს: „ის ოცდათოთხმეტი დღე (გულისხმობს ერთ-ერთი სკანდალის შედეგს), რომელიც ციხეში გავატარე, ჩემი საუკეთესო დღეები იყო მადონასთან თანაცხოვრების წლებიდან!“ ერთი სიტყვით, შონ პენი ის კაცია, ვინც აკეთებს იმას, რაც სურს და ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობს. ჰოლივუდს მსახიობი ცინიზმისა და სიხარბის აკვანს უწოდებს. ვერ იტანს იმ მსახიობებს, რომლებიც ფულის გამო ყველა როლს ასახიერებენ. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი საუკეთესო ფილმებში თამაშობს და მუშაობს საუკეთესო რეჟისორებთან, მისი ჰონორარები 200-300 ათას დოლარს არ აჭარბებს, რაც სასაცილოდ გამოიყურება მისივე კოლეგების ჰონორარებთან (თუმცა პროდიუსერები ირწმუნებიან, რომ უნდოდეს, ფილმში რვა მილიონსაც აიღებსო). შონი არ პოზიორობს, უბრალოდ, იგი მკაცრია საკუთარი თავის მიმართ: „როცა სცენარს ვკითხულობ და ფიქრში ხუთ მსახიობს მაინც ჩამოვთვლი ამ როლის შესრულება რომ შეუძლიათ, ამ როლზე უარს ვამბობ“.

თანდათან პენმა ემოციების მოთოკვა ისწავლა და გასაქანს მოჭარბებულ გრძნობებს მხოლოდ გადასაღებ მოედანზე აძლევს. ახლახან კი „ცუდმა ბიჭმა“ პარიზში საკუთარი რესტორანიც გახსნა, საჯაროდ განაცხადა — სმას თავს ვანებებ და გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომის“ ეკრანიზებასაც ვაპირებო. მთავარ როლს მარლონ ბრანდო ითამაშებს.

***ჩასტნაია ჟიზნ №4***

# მოზაიკა...მოზაიკა...მოზაიკა...



**ვარსკვლავი რესტორნიდან გამოაძევეს.** შოუ-ბიზნესის ყველაზე სექსუალურმა ქალბატონმა ჯენიფერ ლოპესმა სახელი გაითქვა ჭირვეულობით. მისი მოთხოვნები ყოველთვის თვალის დახამხამებაში სრულდებოდა და მსახიობს ვარსკვლავური ავადმყოფობაც ფანტასტიკური სისწრაფით მოერია. გარკვეულ დრომდე ყველაფერს აპატიებდნენ, მაგრამ ბოლო დროს... ლონდონის ცნობილ რესტორანში ჯენიფერს უკვე აღარ უშვებენ. ერთი საღამოს მანძილზე მსახიობმა შეკვეთის პირობა რამდენჯერმე შეცვალა.. თავიდან მოითხოვა მაგიდა 6 სულზე, ნახევარი საათის შემდეგ 8 სულზე და კიდევ 20 წუთის შემდეგ — 10 კაცზე გააშლევინა. თანამშრომლები უსიტყვოდ ასრულებდნენ მის ბრძანებებს. მაგრამ როცა რესტორანში 3 უზარმაზარი მამაკაცი შევიდა — ჯენიფერის მცველები — და მთელი შენობის დათვალიერება მოითხოვა, მენეჯერი გაცეცხლდა, — ჯენიფერ ლოპესი ჩვენი რესტორნის ერთადერთი ვარსკვლავი არ არის და აქ არავინ მოითმენს მის ჭირვეულობასო.

**ჰარისონ ფორდი დეპრესიას ბავშვობაში პიცით ერეოდა.** ჰარისონ ფორდი თურმე თანაკლასელებზე პატარა იყო. ამიტომაც სცემდნენ და დასცინოდნენ. დაჩაგრული ბიჭუნა ხშირად აცდენდა გაკვეთილებს. გაღვიძებისთანავე პიცას მიირთმევდა და ისევ იძინებდა. „რამდენჯერაც მატკენდნენ გულს, იმდენ პიცას ვსანსლავდი. ხანდახან, პიცა რომ მომენატრებოდა, სულმოუთქმელად ველოდი, როდის მოინდომებდნენ ჩემი თანაკლასელები ჩემს აბუჩად აგდებას,“ — იხსენებს მსახიობი.

**უკვე იყრებიან.** ჯერ 5 თვეც კი არ გასულა დრიუ ბერიმორის გათხოვებიდან და ვარსკვლავის ქმარმა უკვე განცხადება შეიტანა განსაქორწინებლად. მსახიობმა ტომ გრინმა ვერ გაუძლო ცნობილ ცოლთან ერთად ცხოვრება, ჩამოახმო მეუღლის შურმა. ცოლ-ქმარი წარამარა ჩხუბობდა. მთელი 3 თვე ფსიქიატრთან დადიოდნენ და თავიანთი ქორწინების გადარჩენას ცდილობდნენ. ამაოდ!..



**ფაქიზი ჯონი.** ჯონ ტრავოლტა ცნობილია თავისი სისუფთავით. ერთ პერანგს ორჯერ არასოდეს იცვამს და ამ წესს გადაღებებზეც არ ღალატობს. ვარსკვლავური სტატუსის წყალობით, ტრავოლტას შეუძლია თავს უფლება მისცეს, ისე იცხოვროს, რომ ცოლი, კელი პრესტონი არ დასაქმოს. მაგალითად, კონტრაქტის თანახმად, ტრავოლტას ბოლო ფილმზე „ბასიო“ ყოველდღიურად აძლევდნენ არმანის მაისურს, თითოეული 350 დოლარი ღირდა.

# ჯანცლერის მეზობლები აუჯანყდნენ



ჰანოვერელები მეტად შრომისმოყვარე და მახვილგონიერი ხალხია, არც იუმორი აკლიათ, რაც ალბათ თავიანთი ცნობილი თანამემამულის — ბარონ მიუნჰაუზენისგან ერგოთ მემკვიდრეობით. სამწუხაროდ, ბარონისგანვე ერგოთ მდიდარი წარმოსახვაც, რაც გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრედერს ახლა დიდ უსიამოვნებას უქადის.

ექვსი თვეც და კანცლერი ოჯახთან ერთად ჰანოვერში ახლახან ნაყიდ სახლში გადავა. სახლი არაფრით გამოირჩევა იქაური სხვა სახლებისაგან.

ქალაქის მმართველობა უკვე ემზადება კანცლერის დასახვედრად. რაიონში გაძლიერდება დაცვა. ახლომახლო მცხოვრებლებს აეკრძალებათ საკუთარი ავტომანქანების სახლთან გაჩერება და ღამით დატოვება. ამან შრედერის მომავალი მეზობლები ძალზე გაანაწყენა. ახლომახლო სუპერმარკეტების მფლობელები შიშობენ, რომ რაიონის გაძლიერებული დაცვა მას შეზღუდული მისაწვდომობის ზონად აქცევს და მაღაზიებში მომხმარებლების რიცხვი შემცირდება. ეს კი გაკოტრების საფრთხის წინაშე დააყენებს მაღაზიების მეპატრონეებს. ამიტომ კანცლერის მომავალი მეზობლები უკან დახევას არ აპირებენ და შესაძლოა, სასამართლოსაც მიმართონ. თვითონ კანცლერს ამ გაფრთხილებაზე რეაგირებისთვის არ სცალია — იგი წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული. მის მეუღლეს, დორისს კი ძალიან ახარებს ჰანოვერში ახალმოსახლეობა — ქალბატონ შრედერს თურმე არ მოსწონს ბერლინური მდიდრული აპარტამენტები, რომელიც მართლაც ისეთი უგემოვნო რამ ყოფილა, რომ მეტსახელად „სარეცხ მანქანას“ უწოდებენ.

***ეხო პლანეტი №9***

# მექსიკელებმა ბევრი ყავა უნდა სვან



„მექსიკელებმა რაც შეიძლება მეტი ყავა უნდა დალიონ“, — ასე მიაჩნიათ ამ არომატული მარცვლეულის მომყვან მეწარმეებს. ამიტომაც მათ ქვეყანაში თავიანთი პროდუქციის მასობრივი სარეკლამო კამპანია წამოიწყეს. რეკლამებში აქცენტი ამ სასმლის ეროტიკულ თავისებურებებზეა გამახვილებული. სინამდვილეში, ინიციატივა პოტენციადაქვეითებულთა დასახმარებლად კი არა, არამედ მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგის ასაღორძინებლადაა მოწოდებული.

მექსიკელი საშუალოდ 750 გრამ ყავას სვამს წელიწადში, მაშინ, როცა ყავის მთავარი მწარმოებლის ბრაზილიის ერთი სული მოსახლის ნორმა 5 კილოგრამია.

დარგის კრიზისის გამო 2001 წელს მექსიკური ყავის წარმოება და ექსპორტი 30%-ით შემცირდა, ამიტომაც მისი მომეტებულად მოხმარება (დაახლოებით 2 კგ-მდე) ერთ სულ მოსახლეზე სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის ეკონომიკას და უპირველესად, ყავის წარმოებას. როგორც სპეციალისტები ამბობენ, დღეში 4-5 ჭიქა ყავა მთლიანად გადაჭრის პრობლემას.

***მირ ნოვოსტეი №9***

# ნეტავ, რა იქნა ჩვენი ძროხა?

## ომის ვეტერანის ნაამბობი



გერმანელებმა მთელი ძალით შემოგვიტიეს. ჩვენ პატარ-პატარა ჯგუფებად ვიხევდით უკან, ძირითადად ღამით, რათა შეუმჩნეველი ვყოფილიყავით. ღამღამობით თივის ზვინებს ვაფარებდით თავს. ერთხელ დაქანცულებს ღრმად გვეძინა, უეცრად მკერდზე ხიშტის შეხება ვიგრძენი. გათავდა, — გავიფიქრე, — ჩემი აღსასრულიც დადგა! თვალი გავახილე... ძროხა თივას მისდგომოდა და უნებურად რქით გამომედო. ცური რძით ჰქონდა სავსე. რამდენიმე დღის უჭმელებმა რიგრიგობით ჩამოვწველეთ მუზარადებში რძე და სული მოვითქვით. დილას დავიძარით. ძროხა არ მოგვცილდა და გამოგვყვა. დღისით, როცა ვიმალებოდით, იგი შემოდგომის ნარჩენ ბალახს ძოვდა, შემდეგ კი რძით გვკვებავდა. ღამით არ გვტოვებდა და მოგვყვებოდა. ერთხელ ბლავილით ჩვენკენ გამოიქცა. მივხვდით, უნდოდა შეეტყობინებინა, მტერი გვეწევაო. ავჩქარდით. ასე ვიარეთ რამდენიმე დღის განმავლობაში.

ჩვენ იგი ჰოსპიტალში დავტოვეთ... გაიხარეს დაჭრილებმა...

მერე არაფერი მსმენია ამ ძროხაზე... ხშირად კი თვალწინ მიდგას და დიდი მადლიერებით ვიგონებ...

***მირ ნოვოსტეი №9***

# „მიყვარხარ. მელი. პოლიცია“

ბრიტანელმა სამართალდამცველებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს თავიანთი დახვეწილი იუმორის გრძნობა და წმინდა ვალენტინის დღე მიულოცეს... იმ ბოროტმოქმედებს, რომლებიც ჯერჯერობით ციხის გარეთ დასეირნობენ.

ეს მხიარული იდეა აღმოსავლეთ სასექსის საგრაფოს პოლიციას გაუჩნდა. ოლქის ყველაზე ცნობილ ქურდებსა და მძარცველებთან გაგზავნილ ბარათში ისინი წერენ: „იმედი გვაქვს მალე შევხვდებით ერთმანეთს. თქვენთვის მზადაა მყუდრო საკნები. თუ კანონს დაარღვევთ, სიტყვას გაძლევთ, რომ პოლიციის მანქანით ქარივით გამოგაქროლებთ პოლიციისაკენ და დაგაპატიმრებთ“.

როგორც გაირკვა, ასეთი „მილოცვა“ უკვე ტრადიციად ქცეულა და კონკრეტული შედეგებიც მოაქვს თურმე — უკანასკნელი 2 წლის მანძილზე საგრაფოში ძარცვათა რიცხვი 38%-ით შემცირდა, მანქანების გატაცება კი — 22%-ით.

***ვოკრუგ სვეტა №2***

# ლეგენდის ჩრდილში





ფრანგი მსახიობის ალენ დელონის ვაჟი ანტონი დელონი მომაჯადოებელი ღიმილით ჰყვება თავის ცხოვრებაზე: — მე უკვე 37 წლის ვარ. ახალგაზრდობა მშფოთვარე მქონდა — შეკრებები, უძილო ღამეები, ალკოჰოლი, ნარკოტიკები... ჩემი პირველი ფილმი „ფრანჩესკო როსი“ კანის ფესტივალზე წარადგინეს და დააჯილდოეს. სამწუხაროდ, მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი და არ მეგონა, რომ მსახიობობა ჩემი მოწოდება იყო. ადვილად მოვიდა წარმატება და იმის ნაცვლად, რომ მემუშავა, თავისუფალი ცხოვრება ვარჩიე. მეორე ფილმის გადაღებებზე ნარკოტიკებით გაბრუებული მივდიოდი და ვერაფერს ვაკეთებდი. რაღა თქმა უნდა, კრიტიკამ არაფერი მაპატია. ეს იყო ჩემი ცხოვრების შავბნელი პერიოდი. ბევრს ვფიქრობდი და დავასკვენი — შემიძლია და კარგი მსახიობი უნდა გავხდე-მეთქი. ზოგჯერ გარეგნობაც მიშლის ხელს, ყველა როლისთვის არ გამოვდგები. ამას წინათ ფრანგული ტელევიზიით აჩვენეს ფილმი „ფაბიო მონტალე“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მამაჩემმა თავისი კარიერის დასასრულს მოინდომა, ჩემთან ერთად ეთამაშა რომელიმე ფილმში. ადრე არასდროს უფიქრია ამაზე. წმინდა მსახიობური პატივმოყვარეობის გამო ჩემი წარმატება არ უხაროდა (ამაში ჩვენ ერთმანეთს ვგავართ), ეშინოდა კონკურენციისა. ალბათ ეს გასაგებიცაა. კმაყოფილიც კი ვარ, ცხოვრების ასეთი ძნელი გზა რომ გავიარე. მამაჩემის საყვარელი გამოთქმაა: „სიძნელე, რომელიც არ გკლავს, გაძლიერებს“, ასეც არის უეჭველად.

ისეთი ლეგენდის ჩრდილში ყოფნა, როგორიც ალენ დელონია, კარგიც არის და ცუდიც. „ალენ დელონის შვილობა ძნელია, მაგრამ ალენ დელონის შვილის მამობა — უფრო ძნელი“ — ალენ დელონის ეს ცნობილი ფრაზა აისახა მამისა და შვილის ურთიერთობაში. გავიდა წლები. მწვავე ურთიერთობები მათ შორის შერბილდა, მაგრამ ნამდვილი შეხვედრა მამასა და შვილს შორის ჯერ კიდევ არ შემდგარა...

***პარი მატჩი***

# გაყრა ეგვიპტურად



კაიროს ფეშენებელურ რესტორანში უზარმაზარი ქორწილი იყო გამართული. ტახტზე მჯდარი ნეფე-პატარძალი სტუმრებისგან საჩუქრებსა და მილოცვებს იღებდა. პატარძალს პარიზში საგანგებოდ შეკერილი ბრილიანტებით გაწყობილი კაბა ეცვა. საქმროს ხელში მარწყვის წვენით სავსე ჭიქა ეკავა, რადგან მუსლიმებს ეკრძალებათ ალკოჰოლის სმა. უცებ სიძეს ჭიქა ხელიდან გაუვარდა და წვენი პატარძალს კაბაზე გადაესხა.

— რა უტვინო და მოუქნელი ხარ! დაბრმავდი თუ რა მოგივიდა? — აწიკვინდა პატარძალი.

ამ შეურაცხმყოფელი სიტყვების შემდეგ ნეფე წამოდგა, სტუმრებს მიუბრუნდა და საზეიმოდ განაცხადა:

— მადლობას მოგახსენებთ ჩვენი დაფასებისა და ქორწილში მობრძანებისთვის, მაგრამ ახლა გთხოვთ, დაიშალოთ. ქორწილი დამთავრდა, რადგან ჩვენ გავიყარეთ.

ნეფემ სამჯერ წარმოთქვა გაყრის შარიათისეული ფორმულა: „თალაქ, თალაქ, თალმითალაქ“ (მე შენ გეყრები).

იქვე, იმავე ნოტარიუსმა, რომელმაც სულ ორიოდე საათის წინ წყვილის ქორწინება დაამოწმა, დოკუმენტურად გააფორმა მათი განქორწინებაც.

როგორც ჩანს, ეს ქორწინება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანმოკლეა.

***კალეიდოსკოპი №11***

# ჩიტის მოტანილი ამბები

**გამჭვირვალე თავის ქალა.** 32 წლის ინგლისელ ედი ფილბერს რომ ნამდვილად აქვს ტვინი, ამაში ყველა დარწმუნდება, რადგან მისი თავის ქალის ზედა ნაწილი სრულიად გამჭვირვალეა.

ედის ავარიის დროს ნახევარი თავი წასძვრა. კლინიკაში ქირურგმა გიდეონ ფლემინგმა ძვლების ნამსხვრევები მოაცალა — საოცარია, მაგრამ ედის ტვინი არ დაზიანებია, თუმცა მოსალოდნელი შერყევისგან დასაცავად ფლემინგმა პლასტმასის გამძლე, გამჭვირვალე ხუფის პროთეზი დაადგა, რომელიც საგანგებო სალტეთი დაუმაგრა, რაც ექიმებს გაუადვილებს, თვალი ადევნონ პაციენტის ტვინის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარონ. ედი ძალიან კმაყოფილია თავისი გამჭვირვალე თავით — დაე, ყველამ ნახოს, როგორი ტვინი მაქვსო.

**პრეზიდენტიც, მწერალიც და არქიტექტორიც.** ერაყელი ლიდერი სადამ ჰუსეინი თავისი მოღვაწეობის შემოფარგვლას მხოლოდ პოლიტიკით არ აპირებს. ლიტერატურის გარდა (როგორც ამბობენ, მისი დაწერილია ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული რომანები: „მეფე და ზაბიბა“, „მიუდგომელი ციხესიმაგრე“), ქვეყნის მეთაური ახლა არქიტექტურამაც გაიტაცა. ბაღდადის საერთაშორისო სამშენებლო გამოფენაზე იგი საცხოვრებელი სახლის პროექტს წარადგენს. 8 კვმ-იანი საცხოვრებელი სახლის მოდელი ჰუსეინმა ისე დააპროექტა, რომ სურვილისამებრ შეიძლება მისი გაფართოება და გაზრდა 180 კვმ-ით.

**გინება არც ბრიტანელ ტელემაყურებელს მოსწონს.** ხუთმა ტელემაყურებელმა უჩივლა ბრიტანეთის CHANNAL-4-ს იმის გამო, რომ პირდაპირი გადაცემის მსვლელობისას მომღერალმა მადონამ შეიგინა. ამ ინციდენტის გამო ტელეარხი დამოუკიდებელმა სატელევიზიო კომისიამაც გააკრიტიკა — ტელეკომპანიამ დაარღვია ქცევის კოდექსიო. მართალია, CHANNAL-4-მა ორჯერ მოიხადა ბოდიში მაყურებლის წინაშე იმის გამო, რომ გინება ეთერში 21 საათამდე გავიდა (ამ დრომდე ეთერში არ უნდა გავიდეს უხამსი გამოთქმები. გადაცემებს მოზარდებიც უყურებენ), მაგრამ მაყურებლის გული მაინც ვერ დაიბრუნა.

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“






**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იოჰან სებასტიან ბახის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

**გ.** „ხევისბერი ...“ ; **ა.** იჯარა; **ე.** კაზაკთა ატამანი, რომელმაც ციმბირი დაიპყრო; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **თ.** ქართული სუფრის წინამძღოლი; **ე.** ერუდირებული ადამიანი; **დ.** ჯარების გადასხმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე; **ა.** შუააზიელი ფილოსოფოსის და მეცნიერის აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი; **დ.** XX საუკუნის ვერცხლისა და ოქროს ფული დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; **ა.** თხა, რომელმაც ჩვილი ზევსი თავისი რძით გამოკვება (ამავე სახელწოდების მქონე ფირმა დღეს თბილისში რძის პროდუქციას აწარმოებს); **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს.** პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები; **ვ.** მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავდა შერლოკ ჰოლმსი; **ე.** აღგზნებული, მხიარული განწყობილება, კმაყოფილების, კეთილდღეობის გრძნობა, რომელიც არ შეესაბამება ობიექტურ მდგომარეობას; **ნ.** სასიმინდეს სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ე.** საზოგადოების ზედა ფენა; **ჩ.** პატარა ჩიტი; **ვ.** რა ერქვა წითელარმიელ მეთაურ კიკვიძეს; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ.** მეტსახელი; **ა.** ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ტროპიკებში მობინადრე კუზიანი კურდღელი; **ნ.** ფრენსის ფორდ კოპოლას გახმაურებული ფილმი; **ე.** უძველესი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე; **რ.** ერთად შეკრული და გარეკანში ჩასმული ქაღალდის ფურცლები; **თ.** საქონლის ჯგუფი; **ა.** რა ერქვა ანარქისტს მხატვრული ფილმში „ლაზარე“; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დისპუტი; **ა.** არამისი; **ი.** იაქე; **ს.** სვანეთი; **ვ.** ვარციხე; **ე.** ერთაოზი; **ნ.** ნავარა; **ე.** ელენე; **ჩ.** ჩალმა; **ვ.** ვიოლინო; **ე.** ექსცესი; **ნ.** ნეშტი; **ს.** სპინოზა; **გ.** გიშერი; **ა.** აბვერი; **ზ.** ზნეობა; **ე.** ეკლერი; **თ.** თრითინა; **თ.** თასმა; **ა.** აზარტი; **ნ.** ნუტრია; **ე.** ელეგია; **რ.** რივალდო; **თ.** თვალი; **ა.** ატრია; **დ.** დუიმი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **საქართველოს შიშველი სატევარი.**

## №10 (284) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

№10 რეიტინგის საპრიზო ფონდი 200 ლარი იყო. თემას — „ორატორები“ 1238 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 508 ქალმა და 720-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე სიტყვამოსწრებული პოლიტიკოსი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, ყველაზე სიტყვამოსწრებული შალვა ნათელაშვილია.

რესპონდენტთა 30-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 9 ქულა, მინიმალური კი მხოლოდ — 1-მა მიაკუთვნა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულა სწორედ მას ხვდა წილად.

**6,93** საშუალო ქულით ლეიბორისტთა ლიდერი პირველ ადგილზეა.

ედუარდ შევარდნაძე საუკეთესო ორატორია — ასე ფიქრობს მკითხველთა 26. პრეზიდენტი 6,15 საშუალო ქულით მეორე ადგილზეა.

შევარდნაძეს ერთ დროს მისი თანაგუნდელი და თანამოაზრე „რეფორმების მამა“ მოსდევს. საშუალო ქულაა 5,85.

მკითხველმა ასევე მაღალი შეფასება მისცა ვახტანგ ბოჭორიშვილს — 19-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით და ამ ნიშნით მან უკან ჩამოიტოვა III ადგილის მფლობელი მჭევრმეტყველი სააკაშვილი.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსთა შორის, შედარებით ნაკლებად არიან სიტყვამოსწრებულნი ირინა სარიშვილი, გიორგი თარგამაძე და კობა დავითაშვილი.

**P.S.** შედეგები რამდენად ლოგიკურია, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდია. ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა მკითხველების აზრი გიორგი თარგამაძისა და კობა დავითაშვილის ორატორული ნიჭის შესახებ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. არც მიახლოებული ვარიანტები დაფიქსირებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეიტინგში კვლავ ჯეკ-პოტია და შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდი ამჯერად **300** ლარს შეადგენს.

წარმატებებს გისურვებთ!

## №11 (285) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

~~100~~ ~~200~~ 300 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№11 (285) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 20 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 21 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი

### თემა №11 (285) — ქართველი ბიზნესმენები

**რომელი ქართველი ბიზნესმენის მიმართ ხართ ყველაზე მეტად კეთილგანწყობილი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№11(285) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ბიზნესმენი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მამუკა ხაზარაძე | |
| 2 | ბადრი პატარკაციშვილი | |
| 3 | ლევან პირველი | |
| 4 | გოგი თოფაძე | |
| 5 | ავთანდილ წერეთელი | |
| 6 | ნუგზარ შევარდნაძე | |
| 7 | თემურ ჭყონია | |
| 8 | ლევან გაჩეჩილაძე | |

### *მკითხველის რეიტინგი*

**რომელი ქართველი ჟურნალისტი (ტელე-რადიო-პრესა) მიგაჩნიათ ყველაზე პროფესიონალად?**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

**რომელი ცნობილი ოჯახური წყვილი იმსახურებს ყველაზე მეტად თქვენს კეთილგანწყობას?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | სანდრა რულოვსი და მიხეილ სააკაშვილი | 33,1% |
| 2. | სოფიკო ჭიაურელი და კოტე მახარაძე | 8,3% |
| 3. | ნინო მიქელაძე და ლევან გაჩეჩილაძე | 8,0% |
| 4. | ნინო ბურჯანაძე და ბადრი ბიწაძე | 5,8% |
| 5. | ნანული და ედუარდ შევარდნაძეები | 5,4% |
| 6. | გურანდა გაბუნია და ოთარ მეღვინეთუხუცესი | 3,6% |
| 7. | თამრიკო ჭოხონელიძე და გია როინიშვილი | 3,1% |
| 8. | მაია და ვახტანგ რჩეულიშვილები | 2,7% |
| 9. | თათია თოფურია და გიორგი თარგამაძე | 2,4% |
| 10. | ნინო ძაჯაია და ნიკა ტაბატაძე | 2,0% |

ზემოთ ჩამოთვლილი ოჯახური წყვილების გარდა მკითხველებმა დაასახელეს აგრეთვე სესილი გოგიბერიძისა და ზაზა შენგელიას, ლელა წურწუმიასა და კახა მამულაშვილის, ნათელა ურუშაძისა და გიორგი გეგეჭკორის და სხვა ოჯახური წყვილები.

რესპონდენტთა 4% არც ერთი წყვილის მიმართ არ არის კეთილგანწყობილი, 5%-ს კი გაუჭირდა კონკრეტული ოჯახური წყვილის დასახელება.

ქალებთან პირველი სამეული ასეთია: 1. რულოვსი-სააკაშვილი, 2. ჭიაურელი-მახარაძე, 3. ბურჯანაძე-ბიწაძე. მამაკაცებთან: 1. რულოვსი-სააკაშვილი, 2. მიქელაძე-გაჩეჩილაძე, 3. ჭიაურელი-მახარაძე.

*მკითხველის რეიტინგში 883-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

### რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ლევან გაჩეჩილაძე, კობა დავითაშვილი

**ვ.რ.** — კალიგულას თუ ცხენი შეჰყავდა სენატში, შენ პარლამენტში ვითომ არ გამოდგები?!

***თამაზ გაბუნია, თბილისი***

— ბატონო ვახტანგ, რატომ ახრჩობ ძაღლს?

**ვ.რ.** — რა ვიცი, კორუფციონერ ჩინოვნიკს რომ დაინახავდა, უყეფდა.

— მერე მაგისთვის ახრჩობ?

**ვ.რ.** — რა ვიცი, ამ ბოლო დროს მეც დამიწყო ყეფა.

***დათო, ქუთაისი***

**ვ.რ.** — ძაღლია, ჭკუის კოლოფი, გაგიჟდა ვინც რომ ნახა, ცოტა ის ტეხავს, ქუჩაში როცა ვუძახი „კახას“!

***ი. ბალიაშვილი, თბილისი***

**ვ.რ.** — შენი ჭკუისებს ყოველდღე ვხედავ პარლამენტში!

**ძაღლი:** — (ბურტყუნებს) ერთხელ მომიგო ჭადრაკში და...

***ლევან ბეჭვაია, თბილისი***

**ვ.რ.** — ჩემო ცუგა, შენ ხომ მეთანხმები, რომ ჩემისთანა ლამაზი და კარგი მზარეული ცოლი არავის არა ჰყავს?!

***თ. ღ., თბილისი***



ვახტანგ რჩეულიშვილი

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 175 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**ვ.რ.** — როგორა ხარ, ჩემო მეგობარო?

**ძაღლი** — მომწყინდა მე ძაღლური ცხოვრება, იქნებ მიპროტექტორო შევარდნაძესთან და მეც გავხდე პარლამენტარი. თქვენზე მეტს ხომ ვერაფერს გავაფუჭებ?!

***„ჭყონდიდელი“, ქუთაისი***

**ვ.რ.** — ეჰ, ჩემო ცუგა, დავილალე აქეთ-იქით სირბილით, აღარ ვიცი ვის მივეკედლო, ლამისაა გული გამისკდეს.

**ცუგა** — იყავი ჩემსავით ერთგული, დაეტიე ერთ პატრონთან და არაფერი მოგივა.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

ბ-ნ ვახტანგს ეს წუთია მოუყვანეს ამერიკიდან გამოგზავნილი სპეციალური ჯიშის ძაღლი, რომელიც ყარაულობს მხოლოდ საცურაო აუზს და უწყლობის შემთხვევაში ყეფით იკლებს იქაურობას. ე.ი. შეიძლება აუზში გაბედულად გადახტომა, როცა ყეფა არ ისმის (სიმთვრალეშიც).

ბ-ნი ვახტანგი ბედნიერია.

***გელა ზურაბიშვილი, ყვარელი***

წარწერა სურათზე:

**ვ.რ.** — მაიკო, ჰალსტუხი რომ უკეთია, ეგ მე ვარ.

***ნინო გახოკია, თბილისი***

გამიწიე, მურია,
ძმური სამსახურია —
ბოლოს, ცოტა გავსუქდი,
მიჩქარდება გულია,
პარლამენტშიც მიტევენ,
გამიხვრიტეს ყურია,
— აქეთ სახლი, აგარაკი,
ბიზნესი და ფულია...
აღარ მინდა მე მაგათი
არც ყველი, არც პურია,
ჩემს მაგივრად სესიებზე
შენ წაბრძანდი, მურია.

***ლალი ტატუნაშვილი, თბილისი***

C

## ფოტო განწყობისთვის



დიდი ყაცთან პაცჯარის ყაცცა...

22/III ☾ პირველი მეოთხედი
მაგნიტური დღეა: 21 და 22 მარტი

## წინა სკანვორდის პასუხები






## ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; სამგორთალის ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:თამარ პეტრიაშის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამიფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვეფხვლას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

*ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (11) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№11 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 21 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## თურმე...

● კოცნისას ორგანიზმში გამომუშავდება ენდორფინის ჰორმონი, რომელიც ამშვიდებს ნერვულ სისტემას და ორგანიზმს სტრესისაგან იცავს. გარდა ამისა, კოცნა ხელს უშლის ნაოჭების წარმოქმნას, ვინაიდან ამ პროცესის დროს ხდება სახის კანის კუნთების მასაჟი.

● კლასიკური მუსიკის და საერთოდ ხელოვნების მოყვარულები 10-15 წელზე მეტხანს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, ვისაც არ უყვარს მშვენიერება.

* * *



ერთი ეკითხება მეორეს:
— კაცო, ცოლს გაეყარე და ცოლისდა შეირთე?
— რა ვქნა, ძმაო, ახალ სიდედრს მე ველარ გადევიტან და...

* * *

ქიჟიკია შედის თევზის მაღაზიაში:
— ტუფლი გაქვთ?
— აქ თევზის მაღაზიაა, ბატონო!
— ხეკი გაქვთ?
— არა.
— დოში?
— არა.
— შე კაცო, არც თევზი გქონიათ და რა მნიშვნელობა აქვს, თევზს ვიკითხავ თუ ტუფლს?



ფირმა „ზერმუხა“
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

R ნიშნით აღნიშნული ტექსტები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი ბუხრიკიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: რედაქცია: 33-39-64
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“®
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.